საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№07 (289)
25 თებერვალი - 3 მარტი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 საბანკო სესხის პროცენტები საგრძნობლად მოიმატებს

4 სიმართლე ნატოში (არ)შესვლის შესახებ — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

თუ ლარის კურსის დაცემის პროცესი დროულად არ შეჩერდა, ქვეყანა მძიმე შედეგებამდე მივა 5

11 სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

14 რას წერს დასავლური მედია ვლადიმერ პუტინზე

24 რაც დასავლეთ ევროპას დამართა «სექსუალურმა რევოლუციამ», იმას ელოდოს ყველა, ვინც მათი მოძმე და მაქებარია

## «ქართულ ოცნებაში» დაპირისპირებაა, რესპუბლიკური პარტია ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს» 9








## «გვჭირდება ნაცრეჟიმისთვის დანაშაულების მიმტევებელი და ხუნტის მხარდამჭერი ხელისუფლება?» 12



«ეს საწვრთნელი ცენტრი იქნება დაკომპლექტებული ნატოელი მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეებითა და ექსპერტებით, რომლებიც ჩვენ შეიარაღებულ ძალებს დაეხმარებიან წვრთნაში და სტრატეგიის შემუშავებაში»

ირაკლი სესიაშვილი: 7

## ამერიკელები დღესაც აქ არიან და ჩვენი ჯარისკაცების წვრთნაში გვეხმარებიან



«უკრაინელებმა მიიყვანეს თავიანთი ქვეყანა დაშლამდე... თუ ისე მოვიქცევით, როგორც უკრაინელები, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია»

დავით თევზაძე: 6

## 2007-2008 წლებშიც ასე ღიად გვეუბნებოდნენ, გარკვეული მიმართულებებით არ გადაგვედგა ნაბიჯები...



## მელიტონ ქანთარიას შვილი საბერძნეთში გაიხიზნა 10

«არც ერთ აფხაზს არ უთქვამს ჩემთვის, აფხაზეთიდან გადასახლდიო...»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## კენეტ იალოვიცი: უკრაინაში «ნაციონალების» დანიშვნამ შეიძლება პრობლემები შექმნას

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის, კენეტ იალოვიცის განცხადებით, უკრაინის მთავრობაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დანიშვნამ შესაძლოა, პრობლემები არა მხოლოდ უკრაინას, არამედ სხვა ქვეყნებსაც შეუქმნას.** „უკრაინა ცდილობს, რეფორმების პროცესის მიმდინარეობისას დასავლეთში ნდობა მოიპოვოს. აქედან გამომდინარე, მე პრობლემა არ მექნებოდა, ეს ადამიანები მრჩევლებად რომ მიეწვიათ. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების უკრაინის მთავრობის წევრის ამპლუაში გამოჩენამ კი პრობლემები შეიძლება, არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მის გარეთაც შექმნას“, — განაცხადა იალოვიცმა.



## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი: ადამიანი სულიერად დაცემული და გაუბედურებულია

**„წარსულში კაცობრიობა ასე დაცემული არ ყოფილა“, — განაცხადა 22 თებერვალს საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.**

„ადამიანი ფიქრობს დღეს მხოლოდ მატერიალურზე და ვერ ხედავს, რომ ადამიანი სულიერად დაცემული და გაუბედურებულია. წარსულში ასეთი დრო, რომ ასე დაცემული ყოფილიყო კაცობრიობა, არ ყოფილა. ღმერთმა შეგინდოთ, ღმერთმა გაპატიოთ ცოდვები და ღმერთმა მოგცეთ მადლი სულიწმინდისა“, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, ადამიანი თვითონ ირჩევს სასუფეველს და ჯოჯოხეთს.

„ადამიანი თვითონ დგება მაცხოვრის მარჯვენა ან მარცხენა მხარეს. ბოროტი, ურწმუნო ადამიანი, სასუფეველში ვერ გაძლებს, ეს იქნება მისთვის ტანჯვა, რადგან ის ბოროტებით არის შეპყრობილი. ყველა ადამიანმა უნდა იფიქროს თავის ცოდვებზე, ჩვენ ვცდილობთ, დავინახოთ სხვების ცოდვები და არა საკუთარი. ეს ამდაბლებს ადამიანს და ამძიმებს. ადამიანმა სწორად უნდა შეაფასოს ის ვითარება, რომელიც ჩვენს წინაშეა. ხშირად ჩვენ ვცხოვრობთ წარსულით, წარსული საჭიროა, მაგრამ დღევანდელი დღისა და მომავლის არდანახვა საშიშია. წარსულის მაგალითმა მომავალში უნდა გვიჩვენოს, რა გავაკეთოთ და რა არ გავაკეთოთ. რა არის თეთრი და რა არის კარგი. მაინც სად მივდივართ? — ადამიანმა გადადგა უზარმაზარი ნაბიჯები წინ და თითქოს ერთად მოიყარა თავი ყველაფერმა – მეცნიერებამ, ფილოსოფიამ, ინტერმედიამ და სხვ. ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ ჟამი ახლოს არის. ადამიანს წარსულში ახასიათებდა რწმენა, თავმდაბლობა, ღრმა აზროვნება. დღეს კი ორიენტირებულია მხოლოდ ურწმუნოებაზე, ამპარტავნებასა და განკითხვაზე“, — ბრძანა ილია მეორემ.

## აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 5 800-ს მიაღწია

**ჰუმანიტარულ საკითხებში გაეროს კოორდინატორის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 5 800-ს მიაღწია.** გაეროს მონაცემებით, 2014 წლის აპრილიდან დღემდე დაიღუპა 63 მცირეწლოვანი. რაც შეეხება დაშავებულებს, მათი საერთო რაოდენობა 14,5 ათასს აღწევს, მათგან 169 ბავშვია. ამას გარდა, მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების გამო, საკუთარი საცხოვრებელი სახლი უკვე მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა და იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა.



## ირაკლი ღარიბაშვილი: ლარის გაუფასურებამ ნეგატიური გავლენა იქონია მოქალაქეების ჯიბეზე, ჩვენ მზად ვართ, ქამრები შემოვიჭიროთ!

**საქართველოს მთავრობა „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაზე გადადის. როგორც პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, იმ ფონზე, როცა ლარის გაუფასურებამ ნეგატიური გავლენა იქონია მოქალაქეებისა და კომპანიების ჯიბეზე, აუცილებელია, მოხდეს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება.** „ვინაიდან ლარის გაუფასურებამ ნეგატიური გავლენა იქონია ჩვენი მოქალაქეების ჯიბეზე, ასევე კომპანიებზე, ჩვენც მზად ვართ, რომ იტყვიან, ქამრები შემოვიჭიროთ და მაქსიმალურად ეფექტიანად, კოორდინირებულად განვაგრძოთ მუშაობა. ჩვენ ყველაფერს უნდა გადავხედოთ. ალბათ, მოგვიწევს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. გონივრულად, მიზანმიმართულად და რაციონალურად უნდა ვხარჯოთ ჩვენი ბიუჯეტი“, — აღნიშნა პრემიერმინისტრმა.




## საბანკო სესხის პროცენტები საგრძნობლად მოიმატებს

**ლარი დღითიდღე უფასურდება, ეროვნული ბანკი კი ვითარებას აკვირდება. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკი მზად არის, პროცესებში ჩაერიოს, თუმცა ეს საზოგადოებას უფრო მტკივნეულად დააწვება.**

გიორგი ქადაგიძემ აღნიშნა, რომ უკვე გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრება ეკონომიკას დააზარალებს, შემცირდება ხელმისაწვდომობა სესხებზე, კიდევ უფრო მოიმატებს ისედაც მომატებული საპროცენტო განაკვეთი. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ფასების ზრდა გადააჭარბებს განსაზღვრულ ნიშნულს, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს.

„ჩანს ეკონომიკური შოკის ნიშნები. იკლო გზავნილებმა, ტურიზმმა, ექსპორტმა. ამან ასახვა ჰპოვა ლარზე. გვაქვს სამი მიზანი: ფინანსური უზრუნველყოფა; ფასების ზრდის შემცირება და დახმარება იმ ადამიანებისა, რომლებსაც მიმდინარე პროცესებმა სესხზე პროცენტი მნიშვნელოვნად გაუძვირა. ფინანსური სტაბილურობა იქნება უზრუნველყოფილი — ეს ჩვენი მანდატია და რომ შეგვიძლია, არაერთხელ დაგვიმტკიცებია. ყოველდღიურად ვაკვირდებით ფასებს და, თუ საჭირო გახდება, ჩავერევით ისე, როგორც საჭირო იქნება. ჩარევის შედეგად შემცირდება ფული, რაც ნიშნავს იმას, რომ მოხდება პროცენტის ზრდა სესხებზე, ნაკლებ ხელმისაწვდომი გახდება სესხი“, — განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.



## დავით კირკიტაძეს დაპატიმრებას უპირებენ

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვინაიდან დავით კირკიტაძე თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას დადგენილება ბრალდების შესახებ დაუსწრებლად წარედგინება და საქართველოს მთავარი პროკურატურა აღმკვეთი ღონისძიების სახით მოითხოვს პატიმრობას, რომლის შეფარდების შემთხვევაშიც მის მიმართ გამოცხადდება ძებნა.**

საგამოძიებო სამსახურმა დავით კირკიტაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. 2011-2012 წლებში დავით კირკიტაძის მითითებით, ქვემო ქართლის გუბერნიის კუთვნილი სპეცტექნიკით, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, უსასყიდლოდ შეასრულეს სამუშაოები დავით კირკიტაძის ძმის — ირაკლი კირკიტაძისა და ყოფილი საჯარო მოხელის — გიორგი უდესიანის ერთობლივი კომპანიების — შპს „ავტოჰაუს-რუსთავი 2011“-ისა და შპს „ტიტანი 2011“-ის სასარგებლოდ, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე ავტობაზრობის მშენებლობისას, რითაც სახელმწიფოს მიადგა 248 400 ლარის მატერიალური ზიანი. დავით კირკიტაძე, როგორც მისი ადვოკატი ამბობს, ამერიკაში სასწავლებლად არის წასული.



## პურპროდუქტების ასოციაცია იმედოვნებს, რომ პურის მწარმოებელი კომპანიებისთვის დენი და ბუნებრივი აირი არ გაძვირდება

**პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები პურზე ფასის მომატებას არ აპირებენ. როგორც პურპროდუქტრების ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ფქვილი გაძვირდა, მაგრამ არ მიუღწევია იმ კრიტიკულ ნიშნულს, რომელიც პურის გაძვირებას გამოიწვევს და, შესაბამისად, მწარმოებელ კომპანიებს პურზე ფასის მატება არ აქვთ დაგეგმილი.**

„თუ 42-43 ლარს აცდება 1 ტომარა ფქვილის ღირებულება, კრიტიკული მომენტია და ამ შემთხვევაში მეწარმე გადახედავს პურის ფასს. მეწარმე ფასს უმატებს იმ მიზეზით, რომ თვითღირებულებაში ჩაეტიოს და პატარა მოგებაც დარჩეს, სხვა შემთხვევაში წარმოება ვერ იარსებებს. პურის ფასი სოციალური ბარომეტრია და მისი ხშირად ცვლა არასასურველია ეკონომიკური თვალსაზრისით. მაქსიმალურად ვცდილობთ ხოლმე, რომ ფასი არ შეიცვალოს რადგან ეს იწვევს ადამიანების უკმაყოფილებას, სოციალური ფონის შეცვლას. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირიც გაგვიძვირდა, ფქვილი, მარილი და საფუარი უკვე გაძვირებულია და პურის ფასიც მოიმატებს. კომპანიებს სხვა გზა აღარ დარჩებათ,“ — აღნიშნა დოლიძემ.

პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ შესრულდება პრემიერ-მინისტრის ნათქვამი და პურის მწარმოებელი კომპანიებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადი არ გაძვირდება.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამერიკას უყვარს და მისი იდიოტებიც



**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკელი ხალხისადმი რადიომიმართვისას განაცხადა, რომ „უყვარს ამერიკა და მისი მოქალაქეები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი იდიოტები არიან," — წერს ჟურნალი New Yoker-ი.** „ამერიკაში ცხოვრობს ყველა ტიპის ადამიანი: მოხუცები და ახალგაზრდები, სუსტები და ძლიერები, ჭკვიანები და ბრიყვები და, როდესაც ბრიყვი ადამიანები... მოქმედებენ, როგორც კლოუნები, მე კვლავ განვაგრძობ მათ სიყვარულს, რადგან ისინი ამერიკის ნაწილს წარმოადგენენ, საკმაოდ დიდ ნაწილს," — განაცხადა ბარაკ ობამამ.

# აშშ-ს ისე არაფერი აშინებს, როგორც რუსეთთან თანამშრომლობის მსურველი ძლიერი ევროპა

**ევროპისა და რუსეთის ნაყოფიერ თანამშრომლობას ხელს უშლის აშშ, რომელიც ევროპის კონტინენტზე, უკვე 70 წელია, დომინირებ, — წერს ავსტრიული ინტერნეტგამოცემა Contra-Magazin-ი.**



ავსტრიული გამოცემა აღნიშნავს, რომ რუსეთი საფრთხე არ არის ევროპისთვის, თუმცა აშშ ცდილობს, მსოფლიო საპირისპირო მოსაზრებაში დაარწმუნოს.

„ნატო უკვე აღარ არის თავდაცვითი კავშირი, ახლა ის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გასამხედროებული ფრთაა. ყველა ქვეყანაში, რომელსაც ნატო დაცვას სთავაზობს, საბოლოოდ საქმე ამბოხებამდე, რევოლუციამდე ან ომამდე მიდის. ევროპა უნდა დაფიქრდეს, სურს თუ არა მას ასეთი „დაცვა". აშშ-ს კი ხელს აძლევს არასტაბილურობა კონტინენტზე. მას ისე არაფერი აშინებს, როგორც ძლიერი, ეკონომიკაში დომინანტი, წარმატებული ევროპა, რომელიც რუსეთთან ითანამშრომლებს — აშშ არ მიესალმება კონკურენტებს. ევროკავშირისა და რუსეთის ნაყოფიერი თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიაა და ეს უკრაინის კრიზისამდეც თვალნათლივ ჩანდა. ევროკავშირს არ სჭირდება ომი, არც საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება, ევროკავშირს სჭირდება თავისუფალი განვითარება და აშშ-მა ეს უნდა გაითვალისწინოს," — აღნიშნავს Contra-Magazin-ი.

**«ნატო უკვე აღარ არის თავდაცვითი კავშირი, ახლა ის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გასამხედროებული ფრთაა, ყველა ქვეყანაში, სადაც ნატო დაცვას სთავაზობს, საბოლოოდ საქმე ამბოხებამდე, რევოლუციამდე ან ომამდე მიდის. ევროპა უნდა დაფიქრდეს, სურს თუ არა მას ასეთი «დაცვა». აშშ-ს კი ხელს აძლევს არასტაბილურობა კონტინენტზე. მას ისე არაფერი აშინებს, როგორც ძლიერი, ეკონომიკაში დომინანტი, წარმატებული ევროპა, რომელიც რუსეთთან ითანამშრომლებს»**




## Die Zeit: პოროშენკო — ადამიანი, რომელიც დაპირებებს არ ასრულებს

**კორუფციასთან ბრძოლა, ქვეყნის აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარება, რეფორმები, უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან, ფაბრიკა Roshen-ის გაყიდვა — ამ ამოცანებიდან უკრაინის პრეზიდენტმა ვერც ერთი ვერ გადაჭრა, — წერს გერმანული გამოცემა Die Zeit-ი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტს უწოდებს „ადამიანს, რომელიც დაპირებებს არ ასრულებს".**

„ბევრი უკრაინელი ჯერ კიდევ ლოიალურად არის განწყობილი პრეზიდენტ პოროშენკოს მიმართ, რადგან ის თავს პატრიოტად წარმოაჩენს. თუმცა ბოლო ხანს მისდამი მხარდაჭერა მცირდება. კომპანია Research and Branding group-ის მიერ 26 იანვარი — 6 თებერვლის პერიოდში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გასული წლის აგვისტოდან პოროშენკოს მოქმედებისადმი მხარდამჭერთა რაოდენობა 12%-ით შემცირდა და ახლა ის 45%-ს შეადგენს. პრეზიდენტის საქმიანობით უკმაყოფილოა გამოკითხულთა 46%.

გასაკვირი არ არის, რომ არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არ შესრულდა — კორუფციასთან ბრძოლა გაჭიანურდა, ვერ მოგვარდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხი, უკრაინელებს განსაკუთრებით აღელვებთ ის, რომ პრეზიდენტმა პოროშენკომ თავისი საკონდიტრო ფაბრიკა Roshen-ი არ გაყიდა. როგორც ჩანს, შექმნილი ვითარება განამტკიცებს თვალსაზრისს, რომ პოლიტიკა უკრაინაში მხოლოდ ბიზნესია. მმართველი ელიტა კვლავინდებურად არ ურთიერთობს ადამიანებთან ისე, როგორც ამას იმსახურებენ — პატიოსნად და ღირსეულად," — წერს გერმანული გამოცემა.

უილიამ ენგდალი:

# ეს ბებერი «ფინანსისტი» ყველანაირად ცდილობს, წარმოაჩინოს, თითქოს მის გულთან ყველაზე ახლოს უკრაინაა

**პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი უილიამ ენგდალი New Eastern Outlook-ში გამოქვეყნებულ ახალ სტატიაში თავის თვალსაზრისს გვიზიარებს ჯორჯ სოროსის საბედისწერო როლზე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში.**

როგორც ენგდალი აღნიშნავს, სოროსი კარგად არის ცნობილი არა მხოლოდ მსოფლიოს ექსპერტებისთვის, არამედ ევროპის ქვეყნების სამართალდამცველი ორგანოებისთვისაც. „საკმარისია, გავიხსენოთ სხვადასხვა მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული სტატიები სოროსის მიერ მსოფლიოს ბაზრებზე ე. წ. ჰეჯ-ფონდების მეშვეობით განხორციელებული მრავალრიცხოვანი სპეკულაციების შესახებ, აგრეთვე, იმაზე, როგორ გატეხა მან „ინგლისის ბანკი", რისთვისაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა არა მხოლოდ ინგლისში, არამედ საფრანგეთშიც.

ცხადია, ასეთი მრავალმილიარდიანი ოპერაციები ვერ განხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებსა და ფინანსური წრეების წარმომადგენლებისგან გაცემული ინფორმაციის გარეშე.

დღეს ეს ბებერი „ფინანსისტი" ყველანაირად ცდილობს, წარმოაჩინოს, თითქოს მის გულთან ყველაზე ახლოს უკრაინაა, სადაც მნიშვნელოვანი კაპიტალი ჩადო არასამთავრობო ორგანიზაციების გასაძლიერებლად, რომელთა მეშვეობითა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევით, 2004 წელს განხორციელდა „ნარინჯისფერი რევოლუცია". სოროსის ფონდი დღესაც წარმატებით განაგრძობს საქმიანობას უკრაინაში. ეს მან ტელეკომპანია CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა: „უკრაინაში ფონდი იქამდე შევქმენი, ვიდრე ის რუსეთისგან დამოუკიდებელი გახდებოდა. ეს ფონდი ახლაც მუშაობს, მან უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ბოლოდროინდელ მოვლენებში".



**ეს „მამაცი და ქველი ჯვაროსანი" დღეს ევროკავშირის ლიდერებს ამუნათებს, რომ მათ არ სურთ, დააფინანსონ „მემარჯვენე სექტორის" „საწყალი" წარმომადგენლები, ნაცისტური პარტია „სვობოდა" და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სხვა დამნაშავეები.** ცოტა ხნის წინათ სოროსი კიევს ეწვია და სხვა მილიარდერს — „შოკოლადის მეფეს" — პეტრე პოროშენკოს შეხვდა ეკონომიკურ პროექტებზე სასაუბროდ. მან თავისი „რეცეპტები" წარადგინა მიუნხენის კონფერენციაზეც, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი და სხვა გავლენიანი პირები: „უკრაინა — ეს არის ის, რაც საჭიროა ევროკავშირისთვის". მაგრამ განა ამჟამინდელი უკრაინა შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ ქვეყნად, იმ უბედურებების გათვალისწინებით, რომლებიც თავს დაატყდა უკრაინელ ხალხს დასავლეთის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, და რომელსაც ამერიკული ანალიტიკური ცენტრის — Straford-ის — ხელმძღვანელმა ჯორჯ ფრიდმანმა „ისტორიაში ყველაზე აღმაშფოთებელი გადატრიალება" უწოდა?! და განა დემოკრატიულად უნდა **ჩაითვალოს 2014 წელს უკრაინის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლითაც ოფიციალურად დააწესეს სამოქალაქო მონობა, დამსაქმებლის მიმართ მორჩილებითა და შრომის იძულებით, რაც ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციას არღვევს.**



**«მამაცი და ქველი ჯვაროსანი» დღეს ევროკავშირის ლიდერებს ამუნათებს, რომ მათ არ სურთ, დააფინანსონ «მემარჯვენე სექტორის» «საწყალი» წარმომადგენლები, ნაცისტური პარტია «სვობოდა» და აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სხვა დამნაშავეები»**

განა სოროსი, რომელიც აფინანსებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს უოჩს", ვერ ხვდება, რომ შრომის იძულება („თანხმობის გარეშე") არღვევს გაეროს წესდებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს?" — წერს უილიამ ენგდალი.




## პოლონელმა ფერმერებმა მთავრობისთვის კუბოები შეუკვეთეს

**პოლონელმა ფერმერებმა ვარშავის ცენტრში მასობრივი საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი სოფლის მეურნეობის მინისტრის გადადგომასა და ანტირუსული სანქციების გაუქმებას ითხოვდნენ.**

„პოლონეთი რომ გაძლიერდეს, ვითხოვთ ბელადს და არა — ვირს!" — სკანდირებდნენ საპროტესტო მარშის მონაწილეები და თან მიჰქონდათ კუბოები, რომლებსაც ეწერა: „სოფლის მეურნეობა".

„თუკი ყველაფერი ბრიუსელზეა დამოკიდებული, მაშინ გავაუქმოთ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რისთვისღა გვჭირდება?" — განაცხადეს მანიფესტანტებმა, რომლებიც კიდევ რამდენიმე დღე აპირებენ საპროტესტო აქციების გაგრძელებას.

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ნაციონალური მოძრაობის“ რეაქციაზე ლაპარაკი არც ღირს, მაგრამ ბოლო ხანს მის რიტორიკასთან ერთობ დაახლოებული „თავისუფალი დემოკრატები“ თითქოს ხელის აქნევას ელოდნენ და ისევ ამოაწყვეს სკივრიდან ნაფტალინიანი თეზისი: „საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს აშკარა და რეალური საფრთხე ექმნება!“ დიპლომატების პარტია ღიად აბეზღებს საქართველოს ხელისუფლებას და რუსეთს ატყობინებს: „ნატოს უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტი სწორედ ის გეგმაა, რომელიც ითვალისწინებს ნატოს ინფრასტრუქტურის განთავსებას საქართველოში და ქვეყნის საბოლოო მიზნის, ნატოში გაწევრების ხელშეწყობას“.

# სიმართლე ნატოში (არ)შესვლის შესახებ — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

**ორიოდე კვირის წინათ გამოვაქვეყნე წერილი „მარტივი ტესტი ქართული პოლიტიკური ელიტისთვის“, რომელშიც უკვე მერამდენედ ვწერდი გაუაზრებელი საგარეო ვექტორისა და ნატოსკენ სწრაფვის დემონსტრირების შესახებ. ის წერილი ამ სიტყვებით დავასრულე: „ღიად განაცხადეთ, რომ ნატოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე აპირებთ შესვლას! ღიად თქვით და კარგად დაითვალეთ, რამდენ ხმას მიიღებთ ვადამდელ თუ ვადიან საპარლამენტო არჩევნებში!“**





პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობა ერთმანეთს ასწრებს, რომ დასავლეთს დაანახვოს, რარიგ ერთგულია ევროატლანტიკური იდეებისა. ნატოს მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ხალხი უსმენს (განსაკუთრებით — 2008 წლის აგვისტოში „ქმედითი“ დახმარების შემდეგ) ამ რიტორიკას და უყურებს ათჯერ უფრო დიდი და მრავალრიცხოვანი უკრაინის შემზარავ მოვლენებს. დასკვნების გამოტანას ხალხი უკეთ ახერხებს, ვიდრე პოლიტიკოსები. ცხადია, გამონაკლისებიც არსებობს. **ნინო ბურჯანაძე: „ნატოში ვერ შევალთ, სანამ რუსეთის ჯარი დგას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. ან მაშინ უარი უნდა ვთქვათ ამ ტერიტორიებზე და ისე შევიდეთ ნატოში“.**

გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ე.წ სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ, თუ ნატო საქართველოს ალიანსში “ჩათრევის” პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებს. ეს განცხადება ზემოთ ნახსენებმა პოლიტიკურმა ელიტამ მუქარად შეაფასა, თუმცა არავის უხსენებია კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ლავროვმა ილაპარაკა: **„ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საჭიროა სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტის გაფორმება ძალის არგამოყენებასთან დაკავშირებით, რაც 2008 წლის მოვლენების გამეორებას თავიდან აგვაცილებს“.**

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობა არანაირად არ არის მიმართული საქართველოში ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებისკენ.

„ასეთი გეგმა ბუნებაში არ არსებობს და ბრიუსელში, მოსკოვსა და თბილისშიც კარგად იციან, რომ დღეს და ხვალ საქართველოს ნატოში გაწევრება დღის წესრიგში არ დგას. საქართველო საერთოდ არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ზიანს მიაყენებს რეგიონულ უსაფრთხოებას. რეგიონულ უსაფრთხოებას, საქართველოს უსაფრთხოებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს უპირველესად საფრთხეს უქმნის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, რუსეთის სამხედრო ჯარების, სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

აქაც, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ყურადღება არ მიაქცია აბაშიძის განცხადების მეორე ნახევარს და გნიასი იმაზე ატეხა, ჯერ ერთი, რატომ „გამოტყდა“ პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენელი იმაში, რომ დღეს და ხვალ ნატოში არ გვიღებენ და მეორე – რატომ უარყო ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება საქართველოშიო!

**„ნაციონალური მოძრაობის“ რეაქციაზე ლაპარაკი არც ღირს, მაგრამ ბოლო ხანს მის რიტორიკასთან ერთობ დაახლოებული „თავისუფალი დემოკრატები“ თითქოს ხელის აქნევას ელოდნენ და ისევ ამოაწყვეს სკივრიდან ნაფტალინიანი თეზისი: „საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს აშკარა და რეალური საფრთხე ექმნება!“ დიპლომატების პარტია ღიად აბეზღებს საქართველოს ხელისუფლებას და რუსეთს ატყობინებს: „ნატოს უელსის სამიტზე მიღებული არსებითი პაკეტი სწორედ ის გეგმაა, რომელიც ითვალისწინებს ნატოს ინფრასტრუქტურის განთავსებას საქართველოში და ქვეყნის საბოლოო მიზნის, ნატოში გაწევრების ხელშეწყობას“.**

თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ საგანგებოდ განმარტა, რომ ზურაბ აბაშიძე გულისხმობდა საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზის განთავსებას, რაც არ იგეგმება. „საქართველოში იგეგმება წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსება, რომელიც მოემსახურება ჩვენი შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმის ამაღლებას, მათ ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას და ა.შ. ეს არ არის სამხედრო ბაზა, რომელსაც აქვს სამხედრო მიზნები და ამოცანები, არამედ აქვს წვრთნისა და შეფასების ფუნქცია“, — განაცხადა **მინდია ჯანელიძემ.**

იგივე დაადასტურა სახელმწიფო მინისტრმა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **დავით ბაქრაძემაც:** „სამხედრო ბაზაზე საუბარი არ არის, არის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც განსაზღვრულია არსებით ღონისძიებათა პაკეტით“. **დავით ბაქრაძეცა და მინდია ჯანელიძეც განმარტავენ, რომ იქმნება ნატო-საქართველოს საწვრთნელი ცენტრი, რომელიც საქართველოს (და არა ნატოს) ინფრასტრუქტურას წარმოადგენს.**

კაცმა რომ თქვას, ეს აჟიოტაჟი თავის დროზე ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებებს მოჰყვა, რომელიც ამ „ბაზაზე“ სირიელი ამბოხებულების წვრთნასაც აპირებდა. მაგრამ არა — **„თავისუფალი დემოკრატები“ მიზეზს სხვაგან ეძებენ:** „საინტერესოა, რომ ზურაბ აბაშიძის განცხადება დროში დაემთხვა კრიზისების მართვის საბჭოს გუშინდელ სხდომას, რუსეთს საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის განცხადებას და აბაშიძე–კარასინის თებერვლის ბოლოს დაგეგმილ შეხვედრას, რითაც გამოაშკარავდა ამ შეხვედრის რეალური დღის წესრიგი“.

სინამდვილეში სულ სხვა რამ გამოაშკარავდა: ამ პარტიასა და მის ლიდერს გაცილებით მეტად ადარდებთ საკუთარი პოლიტიკური მომავალი, ვიდრე საქართველოს მთლიანობა და ხვალინდელი დღე. ამ „კეთილ საქმეში“ მათ პრეზიდენტიც შეიპატიჟეს და საჯარო განცხადების გაკეთება მოთხოვეს, ხოლო საგარეო და ევროატლანტიკურ სამინისტროებს, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ თვითონ ხელმძღვანელობდნენ, მოუწოდეს, გამიჯვნოდნენ ზურაბ აბაშიძის განცხადებას და გამოეხატათ „ერთგულება ნატოში საქართველოს გაწევრებისადმი“. ბოლოს კი მიმართეს არასამთავრობო ორგანიზაციებს, „გამოხატონ საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია და არ მისცენ უფლება მთავრობას, გადაუხვიოს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსიდან“.

ამით მთლად „ნაციონალებივით“ ღიად არა, მაგრამ სახალხო მღელვარების შესაძლებლობაზე ირიბად მინიშნება სცადეს, თუმცა **აშშ-ის საელჩოს „მნიშვნელოვან პარტნიორებს“ — სამ წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციას სახალხო მღელვარების ორგანიზება რომ არ შეუძლია, ეს ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმაც კარგად იცის. ამიტომაც განაცხადა ხაზგასმით:** „ძალიან მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ნატო არავის ჩათრევას არ გეგმავს ალიანსში. ქვეყნები თვითონ ითხოვენ წევრობას. ნატოს თითოეული წევრი სუვერენული ქვეყანაა, რომელიც თითონ წყვეტს ნატოში შესვლისა თუ მეზობლებთან ურთიერთობის საკითხებს. რაც შეეხება არსებით პაკეტს და სამხედრო ინფრასტრუქტურას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოშია, ეკუთვნის საქართველოს, მის ხელისუფლებას. ეს არ არის ეგრეთ წოდებული ნატოს ინფრასტრუქტურა“.

**მაინც რა თქვა ასეთი ზურაბ აბაშიძემ ისეთი, რაც ისედაც ძალიან კარგად არ ვიცოდით? ან რა იყო ამ განცხადებაში იმგვარი, რაც პირდაპირ არ უთქვამთ აშშ-ისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს, გერმანიის კანცლერს, საქართველოში აკრედიტებულ დასავლეთის სახელმწიფოთა ელჩებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს? — რომ არაფერი, ამას რამდენიმე ციტატითაც დაგიდასტურებთ:**

***„ნატოს გაფართოებისა და ორგანიზაციაში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანება ალიანსის უახლოეს გეგმებში არ არის, არც უკრაინა და არც საქართველო ნატოს წევრობის გზაზე არ არიან“ (აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა).**

***„გადაწყვეტილება უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების პირველი საფეხურის - სამოქმედო გეგმის (MAP) მიცემაზე უარის თქმის შესახებ სწორი გადაწყვეტილებაა და დღესაც უცვლელი რჩება“ (გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი).**

***„მინდა შეგახსენოთ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენ ნატოში იმ ქვეყნების მიღებას ვცდილობთ, რომელთაც საზღვრების პრობლემა მოგვარებული აქვთ. ჩვენ არ ვაპირებთ, რომ ნატოში პრობლემების იმპორტი მოვახდინოთ“ (საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი).**

***„ახლა საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ნატოში გაწევრიანებაზე საუბრის დრო არ არის“ (ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკი).**

***„ჩვენ მოლაპარაკების მაგიდას უნდა დავუბრუნდეთ — სხვა გამოსავალი არ არსებობს. თანაც, უკრაინამაც უნდა გაითავისოს, რომ ერთობ უჩვეულო გეოპოლიტიკურ სიტუაციაშია. იგივე ითქმის საქართველოზეც: ნატოში გაწევრების მოთხოვნა კონფლიქტის გაღვივებას ნიშნავს. ამავე მიზეზით ნატოც არ შეიფარებს არც საქართველოს და არც უკრაინას, რადგან ბრიუსელში იციან, რომ ეს ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრის. ასეთი ტიპის სიმბოლური პოლიტიკა არაფერში გამოადგებათ. უნდა იფიქრონ იმაზე, რომ გაძლიერდნენ ალიანსის წევრობის გარეშე და მზად იყვნენ ურთიერთობებისთვის როგორც დასავლეთთან, ასევე აღმოსავლეთთან, ღია იყვნენ როგორც ევროკავშირისთვის, ასევე ევრაზიული კავშირისთვის“ (ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თავმჯდომარე შტეფან შენახი).**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმაც კი, რომლის პროდასავლურობაშიც ეჭვს თვით „ნაციონალური მოძრაობაც“ ვერ შეიტანს, მკვახედ შეუძახა „ნატოში საქართველოს გაწევრებისადმი ერთგულებს“: „დილით, შუადღესა და საღამოს იმის თქმა, „ხვალვე მიგვიღეთ ნატოში“ საქმეს რომ შველოდეს, გაძლევთ პირობას, პირველი მე ვიქნები, ვინც ამას დღეში სამჯერ იტყვის“!

ასეა თუ ისე, **ხელისუფლებაში რევანშით დაბრუნების მსურველებს თუ არ ჩავთვლით (ასეთი კი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ როდია — „თავისუფალი დემოკრატებიც“ რევანშის წყურვილს ჰყავს ატანილი), ყველას კარგად ესმის, რომ ეს ბავშვური თამაში უნდა დასრულდეს და საქართველომ საკუთარი სახელმწიფო ინტერესები უნდა დააყენოს ყველაფერზე მაღლა.**

ქართულ მედიაში იწერება იმის შესახებ, რა უთხრა „ნაციონალებს“ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ქალბატონმა ნულანდმა. მოკლე შინაარსი ასე გამოიყურება: ძალიან მალე, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხელისუფლება გადადგამს მკვეთრ პრორუსულ და ანტიდასავლურ ნაბიჯებს, რაც პროდასავლურ პარტიებს საშუალებას მისცემს, თუნდაც ქუჩის აქციები დაიწყონ ხელისუფლების შესაცვლელად... თუ ეს პროცესები დროში გაიჭიმა, მაშინ „ნაცმოძრაობას“ ამერიკის დიდი მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ვიდრე რუსეთი უკრაინის პრობლემებშია ჩაფლული, ვიდრე რუსეთს საქართველოსთვის არ სცალია, პროდასავლურმა ძალებმა ამ პერიოდში უნდა იაქტიურონ, თორემ, თუ რუსეთმა თავი დააღწია „უკრაინულ ქაოსს“, მერე მასთან პაექრობა საქართველოს გამო აშშ-ს ძალიან გაუჭირდება (თითქოს მანამდეც და ახლაც სულ საქართველოს გამო ეპაექრებოდნენ!).

„მაიდნის“ მოსურნეთა საყურადღებოდ: დღევანდელმა ხელისუფლებამ გვიან, მაგრამ მაინც თქვა სიმართლე ნატოში „ხვალ-ზეგ“ შესვლის პერსპექტივაზე; გვიან და ძნელად, მაგრამ მაინც დაიწყო სამართლიანობის აღდგენაზე ფიქრი; გვიან და რთულად, მაგრამ საგადასახადო შეღავათებსა და დავალიანებების ჩამოწერაზე გააკეთა განცხადება. ახლა „მაიდანზე“ ორი პარტია თუ გავა მხოლოდ და ისინიც ვერ შეაგროვებენ იმდენ ადამიანს, რომ ნულანდმა ორცხობილები უზიდოს ამერიკიდან! დაივიწყეთ ეგ დადგმული „რევოლუციები“ და მოეშვით იმის ძახილს, რომ „ქართველებს მეზარბაზნეები არა ჰყავთ“!



„რუსეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა, სამაგიეროდ, საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა ყოველთვიურად იზრდება. გამოდის, რომ დადებითი სალდო ანუ შემოსული თანხის რაოდენობა, გასულ თანხებთან შედარებით სულ უფრო მცირდება, რაც შორს მიმავალი უარყოფითი შედეგების მომტანია“

ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუ ლარის კურსის დაცემის პროცესი დროულად არ შეჩერდა, ქვეყანა მძიმე შედეგებამდე მივა

**ხელისუფლების იმედიანი პროგნოზების მიუხედავად, ლარის კურსი დოლარის მიმართ ლამის ყოველდღიურად ეცემა. ექსპერტები ამბობენ, რომ, თუ ლარის კურსის დაცემის პროცესი დროულად არ შეჩერდა, ქვეყანა ეკონომიკის კრიზისამდე და მძიმე შედეგებამდე მივა. ლარის გაუფასურების გამომწვევ მიზეზებზე „საქართველო და მსოფლიო“ ეკონომიკის ექსპერტებს — იოსებ არჩვაძესა და დემურ გიორხელიძეს ესაუბრა.**



**იოსებ არჩვაძე:**

**იოსებ არჩვაძე:**

— ლარის გაუფასურება მრავალ საშინაო თუ საგარეო ფაქტორს უკავშირდება. თუმცა, ლარის კურსის წონასწორობა სამ ძირითად მოცემულობაზე — ექსპორტის სიდიდეზე, უცხოურ ინვესტიციებსა და უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებზეა დამოკიდებული. ამჟამად, შეიძლება ითქვას, უარყოფით ფაქტორთა თანხვედრა მოხდა. მკვეთრად გაუარესდა ექსპორტის სიდიდე. გასულ წელს საგადამხდელო ბალანსი 600 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა. ასევე გასათვალისწინებელია ინვესტიციების ფაქტორი. მართალია, მესამე კვარტალში 500 მილიონ დოლარზე მეტი იყო ინვესტიცია და ინვესტიციების ზრდა „ვიზეიმეთ“, მაგრამ მეოთხე კვარტალში ზრდა მაინცდამაინც არ ყოფილა.

**— ლარის კურსის შემცირების ერთ-ერთ მიზეზად უცხოეთიდან ფულად ტრანზაქციებს ასახელებთ. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების 40-50%-ს სწორედ რუსეთიდან შემოსული თანხა შეადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ლარის გაუფასურებაზე რუსული რუბლის კურსის დაცემამაც იქონია გავლენა?**

— ბუნებრივია, ამანაც იქონია გავლენა. იყო დრო, როდესაც რუსეთიდან შემოსული ფულადი გზავნილები 55-60%-ს აღწევდა, ახლა კი, რუსეთის წილი საქართველოში განხორციელებულ ფულად ტრანზაქციებში, მაგალითად, იანვრის მდგომარეობით, 34%-მდე დაეცა. **2013 წელს დაახლოებით 800-801 მილიონი აშშ დოლარი შემოვიდა რუსეთის ფედერაციიდან, შარშან კი ეს თანხა გაცილებით შემცირდა. მაგალითად, 2014 წლის სექტემბრიდან უკვე ყოველთვიურად დაიწყო რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება. ნავთობის გაიაფებამ რუსული რუბლის დევალვაცია გამოიწვია, შესაბამისად, რუსეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა ან სამსახურები დაკარგეს, ან მათი შემოსავალი რუსული რუბლიდან ამერიკულ დოლარში გადახურდავების შემდეგ, თანდათან იკლებდა.** და შესაბამისად, რუსეთიდან ფულადი გზავნილებიც შემცირდა. **თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, მხოლოდ რუსეთიდან 350-დან 400 მილიონ აშშ დოლარამდე თანხას დავკარგავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილები 40-45%-ით შემცირდება.**

# ეროვნული ბანკის ქმედებებში აშკარად შეინიშნება არაპროფესიონალიზმის ან საბოტაჟის ნიშნები

რუსეთიდან საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა შემცირდა, სამაგიეროდ, საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობა ყოველთვიურად იზრდება. გამოდის, რომ დადებითი სალდო, ანუ შემოსული თანხის რაოდენობა, გასულ თანხებთან შედარებით, სულ უფრო მცირდება, რაც შორს მიმავალი უარყოფითი შედეგების მომტანია.

**— შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ბანკის მხრიდან საქმე გვაქვს ერთგვარ საბოტაჟთან ?**

— ექსპერტების ნაწილი მიმდინარე პროცესებში ეროვნულ ბანკს ადანაშაულებს. მე ეკონომისტი ვარ და არ მაქვს ამის საბუთები, მაგრამ, **თუ ეკონომისტის მანტიას მოვიხსნით და ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიციიდან შევხედავთ ეროვნული ბანკის ქმედებებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს საბოტაჟია.** სამართლებრივად, ეროვნული ბანკი პასუხს აგებს მხოლოდ ინფლაციაზე და ვალუტის კურსის რყევაზე მას პირდაპირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. აქედან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს ფორმალურად ვერ შევედავებით, რატომ იქცევა ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ თუ მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, **ეროვნული ბანკის ქმედებებში აშკარად შეინიშნება ან არაპროფესიონალიზმის (რაც ნაკლებად სარწმუნოა, რომ ისინი არაპროფესიონალები იყვნენ), ან საბოტაჟის ნიშნები.**

თუმცა, პასუხისმგებლობას მხოლოდ ეროვნულ ბანკს ნუ დავაკისრებთ. აღმასრულებელ ხელისუფლებასაც აქვს პასუხისმგებლობის წილი. იმან, რომ ბიუჯეტის შესრულებაში გარკვეულ არითმია შეინიშნებოდა, თავისი როლი ითამაშა. ხარჯების ერთბაშად წახალისება უკუეფექტს იწვევს, გავლენას ახდენს მომდევნო პერიოდზე და, საბოლოო ჯამში, ინფლაციიდან დევალვაციამდე მივდივართ. ანუ, მარტივად რომ ითქვას, თუ ეროვნული ბანკის არასწორი ქმედება აისახება ჯერ ვალუტის კურსსა და შემდეგ ინფლაციაზე, მთავრობის არასწორი მოქმედება პირიქით — ჯერ ინფლაციაზე აისახება და შემდგომ სავალუტო კურსზე.



**დემურ გიორხელიძე:**

**— ლარის კურსის სტაბილიზაციის მიზნით, მთავრობამ სავალუტო ფონდს დამატებითი თანხა სთხოვა. ნიშნავს თუ არა თუნდაც ეს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია?**

**— როდესაც საუბარი მიმდინარეობს იმაზე, რომ დამატებითი სესხი ავიღოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომ მოხდეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის გადასინჯვა შემცირებისკენ, ეს გარკვეულწილად უკვე ნიშნავს, რომ ქვეყანაში ან რეცესიის ნიშნებია, ან ეკონომიკური კრიზისის.**

ხელისუფლებას აქვს საკმარისი ბერკეტები, რათა შეძლოს სიტუაციის მართვა.

**დემურ გიორხელიძე:**

— ლარის სტაბილიზიაცია შესაძლებელი იყო, თუ მთავრობა და ეროვნული ბანკი ყველაფერს სწორად გააკეთებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. კვლავ გააგრძელეს არასწორი პოლიტიკა, რამაც ვალუტის დეფიციტი გამოიწვია და ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ახლა ვითარება გაცილებით სერიოზულია. სამწუხაროდ, ყველა პროგნოზი, რომლებიც თვეებით ადრე გავაკეთე, სრულად ახდა, რაც ძალიან ცუდია და იმას ნიშნავს, რომ **არც საქართველოს მთავრობას და არც ეროვნულ ბანკს არ შესწევს უნარი მოისმინოს და გაანალიზოს კრიტიკული მოსაზრებები.** ვალუტის ძირითადი წყარო ექსპორტი უნდა იყოს, ჩვენი ქვეყანა კი, მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. აუცილებელია, შეიქმნას გადამამუშავებელი მრეწველობა. იმპორტი უნდა ჩანაცვლდეს, ხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

უმოქმედობამ და ეროვნული ბანკის ნაბიჯებმა ამ ვითარებამდე მიგვიყვანა. თუმცა, ბოლო შემთხვევაში მხოლოდ ეროვნული ბანკი არ არის დამნაშავე, მთავრობის უმოქმედობამაც თავისი როლი ითამაშა. უამრავი პრობლემაა, რომელზე პასუხიც ჯერჯერობით არც ერთს არ გაუცია.

**— ეროვნული ბანკის მონაცემებით, ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების 40-50%-ს სწორედ რუსეთიდან შემოსული თანხა შეადგენდა. ექსპერტები გარე ფაქტორებზე საუბრისას, ლარის კურსის დაცემის ერთ-ერთ მიზეზად რუსული რუბლის გაუფასურებას ასახელებენ.**

— რუსეთიდან განხორციელებული გადმორიცხვები, რომელიც წლიურად მილიარს აღემატებოდა, ჩემი შეფასებით, 20-25%-ით მაინც შემცირდება, რაც დაახლოებით 250 მილიონი აშშ დოლარია. რუსეთში ეკონომიკური ვითარება გართულდა და ასიათასობით ჩვენი მოქალაქე, ბუნებრივია, ვეღარ გადმორიცხავს იმდენივე თანხას, რამდენსაც აქამდე რიცხავდა. ამას გარდა, კრიზისის გამო, მცირდება ტურისტების ნაკადიც, ექსპორტი მწირია, ვალუტის შემოდინების სტაბილური წყარო აღარ არსებობს, ცხადია, ლარზე ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება. როგორ შეიძლება ქვეყანა ტურისტებზე იყოს დამოკიდებული?! როგორც კი კრიზისი დაიწყო რუსეთში, უკრაინაში, ევროპის ქვეყნებში, საიდანაც ტურისტების ძირითადი ნაკადი შემოდიოდა, ვითარებაც დამძიმდა.

**— საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდს დამატებითი თანხა სთხოვა. ეს რამდენად დაეხმარება ლარის კურსს?**

— დღეს ვერ ვხედავ ქვეყანაში პოლიტიკას, რომელმაც ლარის კურსის სტაბილიზაცია უნდა მოახდინოს. გასაგებია, რომ **რაღაც ფული მაინც უნდა შემოვიდეს ქვეყანაში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს თანხა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დაიხარჯება, რომლებიც იმპორტზეა მიბმული, ამ თანხის დიდი ნაწილიც ისევ თურქეთსა და ჩინეთში წავა.** აუცილებელია ფული საქართველოს ეკონომიკაში მიდიოდეს. სხვანაირად, არ მესმის, როგორ აპირებს მთავრობა ვითარების გამოსწორებას. როდემდე უნდა ვიყოთ თხილსა და ღვინოზე დამოკიდებულები? თუ დიდი ხანძარია, წყლის დიდი ჭავლი შეიძლება მიუშვა, მაგრამ ერთი მოქმედებით ხანძარი არ ქრება. იგივე დაემართება ქართულ ეკონომიკასაც. საქართველოს ეკონომიკაში ფუნდამენტური პრობლემებია, რომლებსაც მთავრობა უკვე წლებია, არ წყვეტს და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ.

# საქართველოს ეკონომიკაში ფუნდამენტური პრობლემებია, რომლებსაც მთავრობა, უკვე წლებია, არ წყვეტს და შესაბამისი შედეგიც მივიღეთ

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ არაფერი ისეთი არ ხდება, ვითარება დარეგულირდება, თუმცა, ლარის კურსი ეცემა და პროდუქტებზე ფასებიც იზრდება, რაც მოსახლეობის ისედაც მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება...**

— დღევანდელ ვითარებაში განცხადება, რომ არაფერი არ ხდება, დიდი უპასუხისმგებლობაა.

*მოამზადა* **შორენა ციცქარაშვილმა**

---

მოკლედ

## დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა კრემლის განწყობა უკრაინის კრიზისის მიმართ არასწორად შეაფასეს



**ბრიტანეთის ლორდთა პალატის ევროკავშირის საკითხთა კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა კრემლის განწყობა უკრაინის კრიზისის მიმართ არასწორად შეაფასეს.**

ბრიტანელი კანონმდებლების შეფასებით, ევროპა კრიზისის მოგვარებას აქტიურად არ ცდილობს, ევროკავშირს არ აქვს გაცნობიერებული რუსეთის მტრული გეგმები, ხოლო ბრიტანეთი ნაბიჯებს არ დგამს ვითარების მოსაგვარებლად. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროპა მოსკოვის მიმართ დიდი ხნის განმავლობაში ოპტიმისტურად იყო განწყობილი და რუსეთს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბება სურდა.

„ამიტომაც 2013 წელს, როდესაც უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება გააფორმა, არავინ იფიქრებდა, რომ რუსეთი ამას საფრთხედ და მტრობად შეაფასებდა“, — წერია ლორდთა პალატის დასკვნაში.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენს ხელისუფლებაშია პრობლემა, ზოგი არასაკმარისი პროფესიონალია, ზოგი — არასაკმარისად ეფექტიანი, ზოგს მოჩვენებითი ლიდერის თვისებები აქვს და ეს ყველაფერი საბოლოოდ აისახება იმაზე, რომ მთელი რიგი სფეროებისა თავის ნებაზეა მიშვებული“**



დავით თევზაძე:

# 2007-2008 წლებშიც ასე ღიად გვეუბნებოდნენ, გარკვეული მიმართულებებით არ გადაგვედგა ნაბიჯები...

**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე არასამთავრობო ორგანიზაციას — „საქართველო მშვიდობისთვის“ — აფუძნებს და აქტიურობისთვის ემზადება. დღეს ის საქართველოს შიგა და გარე საფრთხეებსა და მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე გვესაუბრება.**

**— ბატონო დავით, რატომ გადაწყვიტეთ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება სწორედ ახლა და, თუ ორგანიზაციის სათაურიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, რა საფრთხე ემუქრება დღეს საქართველოში მშვიდობას?**

— 10 მარტისთვის ორგანიზაციის პრეზენტაციას ვაპირებთ და, ალბათ, იქ უფრო გამოიკვეთება, როგორ გავაგრძელებთ საქმიანობას. რაც შეეხება ორგანიზაციის სახელწოდებას, ის ძირითადად ასახავს ჩვენს მიდგომას საკითხებისადმი — ვინ ვართ ჩვენ და რა გარემო გვინდა, გვქონდეს ქვეყანაში. ჩვენი მოძრაობა ღიაა ყველასთვის, ვინც თავს საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევს და ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რა მომავალი ექნება ამ ქვეყანას.

გარე საფრთხეებზე როდესაც ვალაპარაკობთ, გამუდმებით გვესმის, რომ სამეზობლოში არ არის დალაგებული სიტუაცია და ადამიანებს უწევთ მოსალოდნელი აგრესიის შიშის ქვეშ ცხოვრება. გარდა ამისა, თვითონ ქვეყნის შიგნით ყველა მოქალაქისთვის მშვიდობა გარანტირებული უნდა იყოს. **დღეს საქართველოს მოსახლეობა თავს დაცულად ვერ გრძნობს, სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ვერ იცავს, რაშიც ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმაც დაგვარწმუნა. იური ვაზაგაშვილის სიკვდილიც ამას ადასტურებს.** გვინდა, მოქალაქეები უფრო გააქტიურდნენ, რათა შეიცვალოს როგორც ქვეყნის შიგნით არსებული ვითარება და ის უფრო სტაბილური იყოს, ასევე გარე სივრცეც დაექვემდებაროს პროგნოზირებას, სხვა შემთხვევაში, შეიძლება, სახელმწიფოს გარეშე დავრჩეთ.

**— რა გაძლევთ ასეთი შემაშფოთებელი პროგნოზის საფუძველს?**

— სამწუხაროდ, ხელისუფლება ვერ დგას თავის სიმაღლეზე. **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქვეყანა დინებაზეა მიშვებული. გამოკვეთილად არ ჩანს არც საგარეო ურთიერთობების სტრატეგია და არც მომავალი სტაბილურობის კონტურები.** დღეს დიდი მოთამაშეები მსოფლიოში გავლენის მოპოვებას ცდილობენ და რა ფაზაში შევა მათი დიალოგი თუ დაპირისპირება, სამწუხაროდ, არ ვიცით. **ერთ დღეს შეიძლება, ისეთ რეალობაში გავიღვიძოთ, როგორშიც ჩვენმა წინაპრებმა 1921 წელს, როდესაც დიდმა მოთამაშეებმა — საქართველოს ტერიტორია გაიყვეს.**

**— თუ რუსეთისა და თურქეთის ბოლოდროინდელ დაახლოებასა და მჭიდრო თანამშრომლობას გავითვალისწინებთ, როგორ აისახება ეს საქართველოზე, დღესაც იმავე სცენარის განმეორების საფრთხის წინაშე ვდგავართ?**

— ბუნებრივია, სცენარი იგივე არ იქნება, ვინაიდან ახლა ცხოვრება შეიცვალა, მაგრამ სხვა სცენარი შეიძლება გათამაშდეს. **რუსეთი და თურქეთი ყოველთვის გამონახავენ საერთო ენას და ეს მოხდება არა იმიტომ, რომ რომელიმე მათგანი ბოროტია, არამედ ეს დიდი მოთამაშეების თვისებაა.**

**— ბრძანეთ, ხელისუფლება სუსტია და ვერ დგას თავის სიმაღლეზეო. აქედან გამომდინარე, რეალურად მიგაჩნიათ ყოფილი პრეზიდენტის განცხადება, რომ იმაზე ადრე დაბრუნდება საქართველოში, ვიდრე ამჟამინდელ ხელისუფლებას წარმოუდგენია. რისი იმედი აქვთ „ნაციონალებს“?**

— არ ვიცი, რისი იმედი აქვთ, მაგრამ შეიძლება, „ნაციონალებმა“ საქართველოში მინი მაიდანი ან რაღაც ამდაგვარი მოაწყონ. თუმცა არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს. პრობლემა არის ის, რომ არ ჩანს, რა გზები და რა ეფექტიანი მექანიზმები არსებობს ამ სცენარიდან გამოსასვლელად, ამას არავინ გვეუბნება და ხელისუფლებასაც არ ეტყობა, რომ ეს იცის.

**— კიევური მაიდნის თბილისში განმეორების საფრთხეზე პოლიტიკოსები, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებიც, ხშირად საუბრობენ, მაგრამ ქვეყნის შიგნით ხალხის მხარდაჭერის იმედი სააკაშვილის გუნდის წევრებს ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. აქვთ თუ არა „ნაციონალებს“ საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი? მაგალითად, ახლახან ამერიკელმა კონგრესმენმა მაიკლ ტერნერმა ინტერპოლს მოუწოდა, სააკაშვილის საერთაშორისო ძებნასთან დაკავშირებული მოთხოვნები არ დააკმაყოფილოს.**

— რომელიმე პოლიტიკოსი ან სენატორი რას იტყვის, ამას მნიშვნელობა მხოლოდ მისთვის აქვს. ამიტომ ვფიქრობ, ამაზე დიდი აქცენტის გაკეთება არ ღირს. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, პროკურატურას რა მასალები აქვს სააკაშვილის წინააღმდეგ, აქვთ თუ არა საგამოძიებო ორგანოებს მტკიცებულებები, რომლებიდანაც იკვეთება არა პოლიტიკური დევნა, არამედ დანაშაული, რათა დაარწმუნონ ინტერპოლი, რომ ეს აუცილებლად არის გასაკეთებელი და მაშინ ვერც ერთი სენატორის თუ კონგრესმენის მოწოდება პროცესს ხელს ვერ შეუშლის.

**„ნაციონალებს“ საერთაშორისო მხარდაჭერაც ვერაფერს უშველით, თუ სახელმწიფო ძლიერი იქნება. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომელმა უცხოელმა რა თქვა, და ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ იმას, თვითონ რას ვაკეთებთ.**

უკრაინული მაიდნის სცენარის განმეორება საქართველოში იმიტომ არის მოსალოდნელი, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი ძალიან დამძიმდა და სააკაშვილმა შეიძლება ისარგებლოს ამ სიტუაციით. მოგეხსენებათ, მას აქვს ამის გამოცდილება. მე რომ ვიყო ისეთი ადამიანი, რომელსაც შეთქმულების თეორიისა სჯერა, თუ ყველა სირთულეს, რომელიც დღეს ქვეყანაშია შევაჯამებდი, საფრთხეს ნამდვილად დავინახავდი. მთავარია, ასეთ ვითარებაში რას აკეთებს ხელისუფლება. რადიკალური ზომების მიღებაა საჭირო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გამკეთებელი არავინ ჩანს. ყოველთვის გარეთ ვეძებთ მიზეზებს და დამნაშავეებს, არადა, მიზეზი ჩვენ ვართ. **ჩვენს ხელისუფლებაშია პრობლემა, ზოგი არასაკმარისი პროფესიონალია, ზოგი — არასაკმარისად ეფექტიანი, ზოგს მოჩვენებითი ლიდერის თვისებები აქვს და ეს ყველაფერი საბოლოოდ აისახება იმაზე, რომ მთელი რიგი სფეროებისა თავის ნებაზეა მიშვებული...**

## უკრაინელებმა მიიყვანეს თავიანთი ქვეყანა დაშლამდე...



## თუ ისე მოვიქცევით, როგორც უკრაინელები, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია

**— საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უკრაინაში ვიზიტისას განაცხადა, რომ უკრაინის ლეგიტიმური მთავრობის გადასაწყვეტია, ვის დანიშნავს თანამდებობებზე. როდესაც ამ დანიშვნებს საქართველოში ხელისუფლების წევრების მხრიდანაც საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა, მართებულია, პრეზიდენტი ასეთ განცხადებას რომ აკეთებს?**

— არ მიყვარს პრეზიდენტების განცხადების კომენტირება. როგორც ჩანს, მათ ასე ესმით დიპლომატია, ამას მე ველარ ვუშველი.

**— როგორ შეაფასებთ სააკაშვილის განცხადებას, რომ საკმარისია 40-50 რუსული ტანკის აფეთქება და რუსეთი დაიბნევა,შემდეგ კი უკრაინის არმია რუსეთს ომს მოუგებს. რას ემსახურება ამგვარი განცხადებები?**

— არ ვიცი, მსგავსი განცხადებები რას ემსახურება, მაგრამ, რასაც სააკაშვილი ლაპარაკობს, არასერიოზულია.

**— ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიუხედავად, უკრაინის რიგ რეგიონებში ბრძოლები მაინც გრძელდება. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ ზოგიერთი ქვეყანა უკვე აწვდის უკრაინას შეიარაღებას...**

— ბუნებრივია, ბრძოლები გაგრძელდება. ვინაიდან დღეს სამი რეალური მოთამაშეა — ამერიკა, ევროპა და რუსეთი. თითოეული მათგანი საკუთარ ინტერესებს იცავს. მართალია, ჩანს, რომ აშშ და ევროპა ერთად დგანან, მაგრამ მთლად ასეც არ არის, მათ განსხვავებული ინტერესები აქვთ. შორეულ პერსპექტივაში რას მოუტანს ეს ვითარება რუსეთს, რთული სავარაუდოა, მაგრამ ამ ეტაპზე, ფაქტია, რუსეთი ფლობს ინიციატივას.

**— ხშირად გვესმის, რომ საქართველოს ბედიც უკრაინაში წყდება. რა ელოდება საქართველოს, რეალურია საფრთხეები ჩვენი ქვეყნისთვის? როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ხვალ ანალოგიურ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ?**

— თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, ამის შესახებ კონფერენციებზეც ვისაუბრე და წერილებიც გამოვაქვეყნე, მაგრამ არც ხელისუფლებიდან გამომხმაურებია ვინმე და არც არავინ დაინტერესებულა. საზღვარგარეთ გავაკეთე მოხსენება, რომელმაც იქ დიდი ინტერესი გამოიწვია. საუბარია იმაზე, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სამი რამ — გეოპოლიტიკურ რეალობა, არსებული ვითარება რუსეთში (რომელიც მას აიძულებს აქტიურად იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დათმოს, სულ მცირე, თავისი ევროპული სივრცე) და ის სამხედრო შესაძლებლობები, რომლებიც რუსეთს გააჩნია.

**საქართველოს ბედი უკრაინაში არ წყდება, საქართველოს ბედი საქართველოში წყდება. თუ ისე მოვიქცევით, როგორც უკრაინელები, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერია. არ აქვს მნიშვნელობა, გარედან ვინ რა გავლენა მოახდინა და რომელმა დიდმა მოთამაშემ რა როლი ითამაშა, უკრაინელებმა მიიყვანეს თავიანთი ქვეყანა დაშლამდე. ამ მოვლენების თავიდან აცილება შეიძლებოდა.**

**— ზურაბ აბაშიძის განცხადებას ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ პოლიტიკოსების მხრიდან დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რატომ გამოიწვია ასეთი ხმაური საკითხმა, რომელიც ისედაც ყველასთვის ნათელია და პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ხვალ და ზეგ ნატოში არავინ მიგვიღებს?**

— პოლიტიკოსებისგან ამგვარი განცხადებები გასაკვირი არ არის. პოლიტიკოსს სურს, ეკრანზე ჩანდეს, ყურადღების ცენტრში იყოს, ეს ხდის მას აქტუალურს. პოლიტიკოსებს ნაკლებად აწუხებთ, რეალურად რა მოხდება, მათთვის მთავარია პოლიტიკური მომავალი, ამის გამო, სამწუხაროდ, ხშირად ნაციონალური ინტერესებიც ხურდავდება.

ხვალ და ზეგ ნატოში რომც მიგვიღონ, იმ „უსაფრთხოების ქოლგას“, რომელსაც ქართველი ერი ასე ელოდება, უცებ მაინც ვერ მივიღებთ. დღეს ეს საკითხი დღის წესრიგში ნატოშიც არ დგას. ნატოს თავისი პრობლემები აქვს, მას აღმოსავლეთი ფლანგის დაცვის ეფექტიანი მექანიზმები აქვს მოსაფიქრებელი. თუ საქართველოს მოსახლეობას ნატოში შესვლა სჭირდება და უნდა და, თუ ნატოსაც დასჭირდება ეს, ერთ დღეს შეიძლება ასეც მოხდეს და ამ შემთხვევაში, რუსეთიც იძულებული იქნება, ეს მიიღოს, მაგრამ დღეს რუსეთს შეუძლია, ნატოში საქართველოს შესვლას ხელი შეუშალოს.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ: „თუ ნატო საქართველოს ჩათრევის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, ამას რუსეთი შესაბამისი ნაბიჯებით უპასუხებს“. რუსები არც აქამდე მალავდნენ, რომ არ დაუშვებენ რეგიონში ნატოს გაძლიერებას.**

— რა თქმა უნდა, ლავროვი სხვას არაფერს იტყოდა. 2007-2008 წლებშიც ასე ღიად გვეუბნებოდნენ, გარკვეული მიმართულებებით არ გადაგვედგა ნაბიჯები. რუსეთი ისე უნდა იქცეოდეს, როგორც იქცევა. საკითხავია, ჩვენ რატომ ვიქცევით ისე, რომ რუსეთს ამგვარი მოქცევის საშუალებას ვაძლევთ?

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

„ეს საწვრთნელი ცენტრი იქნება დაკომპლექტებული ნატოელი მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეებითა და ექსპერტებით, რომლებიც ჩვენ შეიარაღებულ ძალებს დაეხმარებიან წვრთნაში, შესაბამისი სამხედრო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებაში, ჩვენი ჯარისკაცების მომზადებასა და ერთობლივი წვრთნების ჩატარებაში“

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ირაკლი სესიაშვილი:

# ამერიკელები დღესაც აქ არიან და ჩვენი ჯარისკაცების წვრთნაში გვეხმარებიან

**მართალია, ნატო თავს იკავებს ალიანსში ჩვენი ქვეყნის მიღებისგან, მაგრამ საქართველო ჯიუტად ცდილობს ნატოში შეძრომას და ახალ-ახალ თემებს სთავაზობს მტერსაც და მოყვარესაც. მაგალითად, ახლა საქართველოში ერთობ უცნაური ბაზის გახსნაა დაანონსებული. სწორედ ამ ბაზის გახსნის საკითხზე ვესაუბრეთ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე ირაკლი სესიაშვილს.**



**— ბატონო ირაკლი, რა სარგებელს მოგვიტანს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ცენტრი — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარება ?**

— არ ვიცი, ასეთი კითხვები საიდან მოგაქვთ? ეს დაახლოებით იმას ჰგავს, მე რომ გითხრათ, ჩვენ ვყიდულობთ კოვზებს და ეს დაგვეხმარება, გამაძლარი ვიყოთ-მეთქი. ქვეყანაში რამდენიმე საწვრთნელი ცენტრი არსებობს: შსს-ს ცალკე აქვს, თავდაცვას — ცალკე, სასჯელაღსრულებას — ცალკე და ა.შ. ჯარისკაცს წვრთნა რომ სჭირდება, ამაზე ხომ არ ვდავობთ? ჯარისკაცს რომ ვწვრთნით, ნიშნავს, რომ ტერიტორიულ მთლინობას ხვალვე აღვიდგენთ? რას სარგებელს მოუტანს ქვეყანას? — **ეს საწვრთნელი ცენტრი იქნება დაკომპლექტებული ნატოელი მაღალკვალიფიციური სამხედრო მოსამსახურეებითა და ექსპერტებით, რომლებიც ჩვენ შეიარაღებულ ძალებს დაეხმარებიან წვრთნაში, შესაბამისი სამხედრო გეგმებისა და სტრატეგიების შემუშავებაში, ჩვენი ჯარისკაცების მომზადებასა და ერთობლივი წვრთნების ჩატარებაში, რაც, საერთო ჯამში, ემსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას.**

**— საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ეს ცენტრი მიმართული არ არის მესამე მხარის ინტერესების საწინააღმდეგოდ. გამოდის, საქართველოში განთავსებულ ამ არასამხედრო ბაზას, რომლის ერთადერთი მიზანი მსოფლიოში სიამტკბილობაა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ნატოფობი სერგეი ლავროვი და სხვები ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ?!**

— გეუბნებით, ქვეყანაში ათეულობით სამხედრო ბაზა არსებობს, ოდესმე კითხვა დაგისვამთ კრწანისის სასწავლო ცენტრი მესამე მხარის ინტერესში შედის თუ არა?

**— დღეს ამ ბაზაზეა საუბარი... თუ რაიმე მიზანი აქვს ამ ცენტრის აქ არსებობას, ე.ი., მესამე მხარეც არსებობს, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ამ ცენტრის მიზნები. არ მეთანხმებით ?**

— კრწანისის სასწავლო ცენტრში წვრთნების განხორციელებაში ამერიკელებიც გვეხმარებიან, ამერიკელები დღესაც აქ არიან და ჩვენი ჯარისკაცების წვრთნაში გვეხმარებიან, მაგრამ მესამე ძალას ვხედავთ? არანაირი მესამე ძალის ძებნა არ არის საჭირო, რასაც ვაკეთებთ, ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, უფრო ძლიერი ჯარი რომ გვყავდეს, უფრო კარგად რომ მოვამზადოთ და აღვჭურვოთ. აი, ეს არის.

**— ჩვენი ჯარისკაცები იწვრთვნებიან, მაგრამ მათ საქართველოსთვის არ იყენებენ. მათ წვრთნიან ერაყისთვის, ავღანეთისთვის და, ღმერთმა უწყის, კიდევ რომელი ქვეყნისთვის. გაიწვრთნებიან და წავლენ ერაყში...**

— რას ჰქვია, ერაყში წავლენ? რა კითხვებს მისვამთ, საიდან მოგაქვთ? ჩემი ქვეყანა უნდა დავიცვა, რას ჰქვია, ერაყში წავიდეს. ერაყში რომ მიდის საერთაშორისო მისიებში მონაწილეობს...

**— ჩვენი ჯარისკაცები სხვა სახელმწიფოს ინტერესების გამო იბრძვიან ცხელ წერტილებში, სადაც, სამწუხაროდ, არაერთი დაიღუპა...**

— არ ვიცი, ჩვენ ასე ვერ გავაგრძელებთ, ვერ გავაგრძელებთ რა! ჩვენი თითოეული ჯარისკაცი და ოფიცერი ემსახურება ჩვენს ქვეყანას. ყველა ამისთვის ვარჯიშობს დღე და ღამე. დიახ, ვარჯიშობენ, ემზადებიან, იწვრთნებიან, მათ შორის საერთაშორისო მისიებში გამოცდილებას იღებენ და განაგრძობენ ქვეყნის სამსახურში ყოფნას.

**— ესე იგი, საქართველოში განლაგდება სამხედრო ბაზა, რომელიც პრობლემებს არ შეუქმნის ჩვენს ქვეყანას რუსეთთან? რუსეთმა შეიძლება, ნატოს ომი არ აუტეხოს, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ მკაცრ ზომებს რომ მიიღებს, ფაქტია, რატომ უნდა გავიჩინოთ ახალი პრობლემა მაშინ, როცა ძლივს ოდნავ დათბა ქართულ-რუსული ურთიერთობები?**

— მოდით, ასე ვთქვათ, არასოდეს თქვა არასოდეს. ეს ბაზა იქნება თუ არა, რუსეთი საქართველოზე თავდასხმას თუ დაგეგმავს, განახორციელებს კიდეც. ყველა სახელმწიფოს აქვს თავდაცვის უფლება. ჩვენ ვდგამთ ჩვენი ქვეყნის გაძლიერებისთვის შესაბამის ნაბიჯებს. ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ — ეს არის ევროპული ღირებულებები, დემოკრატია, უსაფრთხოება და ამ მიმართულებით მივდივართ. ჩვენ არავის წინააღმდეგ აგრესიას არ ვეგუმავთ, მით უმეტეს, გაცხადებული გვაქვს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას ვაპირებთ მხოლოდ მშვიდობიანი გზებით. და თუ ამ შიშებს ავყევით, ეს არის სწორედ, რაც მტერს უნდა — გახლეჩილი საქართველო, რომელიც თავისთავად, ცხადია, არასტაბილური იქნება.

**— აშშ-ს როგორი საქართველო უნდა, ბატონო ირაკლი?**

— ამერიკა და ნატო რეგიონში თავის სტრატეგიულ პარტნიორად საქართველოს მიიჩნევს. ამერიკას სურს, პარტნიორად ჰყავდეს სტაბილური და დემოკრატიული საქართველო, ნატოს წევრი, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება ის გზა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, თამამად ვთქვათ: ჩვენ ვაკმაყოფილებთ ყველა სტანდარტს, რათა ვიყოთ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში.

**— იმ ამერიკაზე საუბრობთ, რომელიც სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა და რომელიც, როგორც ჩანს, ავტორია იმ ყველაფრის, რაც უკრაინაში ხდება?**

— იცით, დემოკრატიის შუქურის ძეგლი დადგა თუ მითი, ეს მითი დიდი ხანია დამსხვრეულია და ეს ძალიან კარგად იცის ყველამ. სააკაშვილში ძალიან დიდი ინვესტიცია და იმედი იყო ჩადებული დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის, აშშ-ის მხრიდან — იმედი, რომ სააკაშვილი შეძლებდა პოსტსაბჭოური ქვეყნის ტრანსფორმაციას. პირველი ნიშნები შთამბეჭდავი იყო, რამაც მოახდინა ზემოქმედება დასავლეთზე. **სააკაშვილს ორატორობაში მართლა არაფერი დაეწუნება, ტყუილსა და მართალს ერთმანეთში ისე ურევს, მგონი, დედამისსაც კი უჭირს გარჩევა, როდის ცრუობს და როდის ამბობს სიმართლეს.** მაგრამ შემდეგ თავისი მმართველობის მეორე ნაწილში სიმართლე სრულიად დაივიწყა და მხოლოდ ტყუილზე ააგო ყველაფერი. როგორც ჩანს, ამან გარკვეულ პერიოდამდე იმუშავა, მაგრამ 2012 წელს ეს მითი დაიმსხვრა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველას დავანახვეთ, ვისთან გვქონდა საქმე. ნამდვილად აღარ არის სააკაშვილი სუპერდემოკრატი. **დღეს დასავლეთი ერთადერთს გვთხოვს, თქვენივე სტაბილურობისთვის, თქვენივე სიმშვიდისთვის ნუ ჩაეძიებით წარსულს, იფიქრეთ მომავალზე და მეტი რესურსი დახარჯეთ მომავალშიო, რასაც ვცდილობთ კიდეც.**

**— თუმცა ვიღაცები კვლავაც ამყარებენ პოროშენკოს მრჩეველ სააკაშვილზე იმედს... ფიქრობთ, რომ აშშ-ის პოლიტიკური წრეები არ ლობირებდნენ “ნაცმოძრაობის” წევრების უკრაინის მთავრობაში დანიშვნას?**

— უკრაინაში მოღვაწეობა მხოლოდ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ ინტერესშია. იჩალიჩეს იმისთვის, რომ როგორმე ცხვირი ჩაეყოთ უკრაინის პროცესებში. როცა მსოფლიოს დღის წესრიგში უკრაინა ნომერი პირველი თემაა, იქ ცხვირის შეყოფა, გინდა-არ გინდა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში გაქცევს. **სააკაშვილის ერთადერთი მიზანია, თავი გადარჩინოს მართლმსაჯულებისგან. გადარჩენის შანსი კი არის ის, რომ მისი პოლიტიკური წონა კვლავაც აქტუალური იყოს. ამიტომაც შეეტენა უკრაინის კრიზისს და მუშაობს იმაზე, რომ უკრაინის ზურგს ამოეფაროს და საკუთარი პოლიტიკური ინტერესები დაიკმაყოფილოს.** მე სააკაშვილის სხვა რეალურ მიზანს ვერ ვხედავ. აქედან წყევლა-კრულვით გავაგდეთ, უფრო ზუსტად, გაიქცა და, როგორ ფიქრობთ, ლოგიკური იქნება, სხვა ქვეყანამ მიიღოს?

**— კი მიიღო უკრაინამ და...**

— როგორც ჩანს, ამ ადამიანმა შეძლო, დაერწმუნებინა თავისი მეგობრები უკრაინაში, რომ მისი იქ ყოფნით უკრაინას სარგებელი ექნებოდა. **სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს ლობისტური მიზნებისთვის ხარჯავდა — პიარის გასაკეთებლად და საჭირო კავშირების მოსაძიებლად. ეს კავშირები მას ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი. უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც სჭირდება დასავლეთის მხარდაჭერა, სააკაშვილის არხები გამოიყენა. სააკაშვილმა კი საკუთარი მიზნებიც აღასრულა უკრაინის ახალი ხელისუფლებისთვის ამ მომსახურების შეთავაზებით. უკრაინა, ადრე თუ გვიან, დარწმუნდება, რომ უკრაინის რეალური პარტნიორი საქართველოს ხელისუფლებაა და არა ეს ავანტურისტთა ჯგუფი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა.**

**«უკრაინა, ადრე თუ გვიან, დარწმუნდება, რომ უკრაინის რეალური პარტნიორი საქართველოს ხელისუფლებაა და არა ეს ავანტურისტთა ჯგუფი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უფსკრულამდე მიიყვანა»**

**— ეს ავანტურისტთა ჯგუფი იმუქრება, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდება და იმის ნაცვლად, რომ გისოსებს მიღმა იყოს, უკრაინაში თბილად არის მოკალათებული...**

— ეს მუქარა 2012 წლის ნოემბრიდან მესმის. ჯერ აპრილში უნდა მოსულიყვნენ, შემდეგ— მაისში, მერე ოქტომბერში და ასე მოდიან და მოდიან. **დასრულდა დრო, როცა „რუსთავი 2“-ის „აპოკალიფსური“ იდეების პროპაგანდით, რაიმე ძალაუფლებას დაიბრუნებს „ნაცმოძრაობა“.** რაც შეხება ტბილად მოკლათებას, საზოგადოებამ ამ სიტუაციას პრაგმატულად უნდა შეხედოს. ჩვენ გვინდა ვიყოთ ცივილიზებული სახელმწიფო და არა ისეთი, რომელიც წინა ხელისუფლებაზე ნადირობს, თუმცა ადამიანებს, რომელთა მიმართაც ბრალდებები არსებობს, ადრე თუ გვიან, სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევთ. მხოლოდ იმ საქმეებს არ ვგულისხმობ, რომლებიც ახლაა აღძრული, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი დაემატება.

**— დასასრულ, თავდაცვის სამინისტროს გარშემო განვითარებულ მოვლენებზეც გვითხარით. მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო ზონდერებითა და სისხლის სამართლის დამნაშავეებით რომ არის სავსე. წარმოუდგენელია, მინისტრს არ ცოდნოდა, ამ ადამიანების მიმართ გარკვეული კითხვები რომ არსებობდა. ისინი ერთად მუშაობდნენ კონტრდაზვერვაში. პოლიტპატიმრები ვახტანგ მაისაია, გიორგი აბდალაძე და სხვები ბრალს სდებდნენ ზუმბაძეს და არა მხოლოდ მას..**

— ერთი უკიდურესობიდან მეორეში ნუ გადავვარდებით. დიახ, ნუ ავყვებით საზოგადოებრივ ისტერიკას. „ის ამბობდა, ეს ამბობდა“ — არ არის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ყველას აქვს თავის აზრი და ყველა ადამიანი ცდილობს, უდანაშაულობის დამტკიცებას. მგონი, არავინ გამოსულა ციხიდან, ეთქვა, დამნაშავე ვიყავიო. იშვიათია დამნაშავე, რომელიც დანაშაულს აღიარებს. ასე რომ, მათი სიტყვა თუ გახდება საფუძველი იმისა, რომ ადამიანებზე ვთქვათ, დამნაშავეები არიანო, მაშინ დაღუპულა ეს ქვეყანა.

**«კრწანისის სასწავლო ცენტრში წვრთნების განხორციელებაში ამერიკელებიც გვეხმარებიან, ისინი დღესაც იქ არიან და ჩვენი ჯარისკაცების წვრთნაში მხარს გვიჭერენ, მაგრამ მესამე ძალას ვხედავთ?»**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოლიციიდან შინ დაბრუნებულ მამუკას ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვხედავდი, რომ ძალიან დათრგუნვილი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ თავისი მეგობრებისთვის უთქვამს, მცემეს, მაწამეს და შემდეგ გამზადებულ ჩვენებაზე ხელი მომაწერინესო. ჩვენება წინასწარ რომ იყო გამზადებული, ფაქტია. მაგალითად, ჩვენების მიხედვით, ჩემმა მეუღლემ „აღიარა“, რომ 10 დღით ადრე მარიხუანას მოიხმარდა, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი, ორგანიზმში ნარკოტიკის კვალი არ აღმოაჩნდა“.**

# «ვიდრე ვაზაგაშვილივით არ დაგვხოცავენ, ყურადღება არ უნდა მოგვაქციონ?!»

**საქართველოს ხელისუფლება გახმაურებული საქმეების გამოძიებითაა დაკავებული, მაგრამ ბევრი საქმე კვლავ უყურადღებოდაა დარჩენილი.**
**36 წლის მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს, დღის ორ საათზე, დააკავეს. პოლიციის ინფორმაციით, იგი ნარკოტიკული საშუალება — მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მოწმედ დაიკითხა.**




ზიზი ექგვერაძე

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოდან გამოსულმა მამუკა მიქაუტაძემ მეუღლესა და მეგობრებს უამბო, იგი პოლიციაში სცემეს, აწამეს და მეგობრის წინააღმდეგ ცრუ ჩვენებაზე ხელი მოაწერინეს. მეორე დღეს კი მამუკა მიქაუტაძის გვამი თბილისის ზღვის ტერიტორიაზე იპოვეს — ხეზე ჩამომხრჩვალი. პოლიციამ საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღძრა, თუმცა, ოჯახისა და მეგობრების ჩვენებების მიუხედავად, იმის დადასტურება, რომ მიქაუტაძის მიმართ პოლიციის თანამშრომლებმა ძალა გამოიყენეს, ვერ მოხერხდა. 2013 წლის ივლისში საქმეში სერიოზულ დარღვევებზე საუბრობდა საქართველოს სახალხო დამცველი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, მათ შორის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

საქმის დეტალებისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ მამუკა მიქაუტაძის ოჯახის წევრებს ესაუბრა.

**ზიზი ექგვერაძე, გარდაცვლილი მამუკა მიქაუტაძის მეუღლე:**

— პოლიციიდან შინ დაბრუნებულ მამუკას ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ ვხედავდი, რომ ძალიან დათრგუნვილი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ თავისი მეგობრებისთვის უთქვამს, მცემეს, მაწამეს და შემდეგ გამზადებულ ჩვენებაზე ხელი მომაწერინესო. ჩვენება წინასწარ რომ იყო გამზადებული, ფაქტია. მაგალითად, ჩვენების მიხედვით, ჩემმა მეუღლემ „აღიარა“, რომ 10 დღით ადრე მარიხუანას მოიხმარდა, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი, ორგანიზმში ნარკოტიკის კვალი არ აღმოაჩნდა. ასევე, გაუგებარია, რატომ არ დაიკითხა საქმის ყველა ფიგურანტი, ვგულისხმობ ორ ქალბატონს, რომლებიც მისი დაკავების პროცესს პირადად ესწრებოდნენ.

**— როგორც ვიცი, მეუღლეს გარდაცვალებამდე ესაუბრეთ...**

— დიახ, იმ დღეს რამდენჯერმე დავუკავშირდით ერთმანეთს. როგორც მეგობრებს პირად საუბარში უთხრა, იმ დღესაც დაბარებული იყო პოლიციაში, ჩემთან ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას მითხრა, თბილისის ზღვაზე ვარ, ვიბანავებ და სახლში მალე მოვალო. მეორედ რომ დავრეკე, ტელეფონი ბავშვმა აიღო და ამიხსნა, რომ მამუკა ზღვაზე გაიცნო და ტელეფონი დაუტოვა, თვითონ კი მაღაზიაში წავიდა. ამ ბავშვის ჩვენებებშიც არის გაუგებრობები, იმ დღეს ჩემს მეუღლეს თეთრი მაისური ეცვა, ბავშვი კი ამბობს, რომ მუქი ფერის მაისურიანი მამაკაცი იყო მასთან ერთად თბილისის ზღვაზე.

**— როგორც ცნობილია, დაიკითხა პოლიციის 8 თანამშრომელი, რომლებიც თქვენი მეუღლის დაკითხვაში მონაწილეობდნენ.**

— დიახ, დაჰკითხეს, მაგრამ რომელი იტყვის, რომ მამუკას მიმართ ზეწოლას ჰქონდა ადგილი? ეს ხომ აღიარებითი ჩვენებაა. მამუკა რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყავდათ დაკავების ადგილზე. გაურკვეველია, რა მიზნით. ადვოკატს არ მისცეს მასთან შეხვედრის საშუალება — ოთხი საათის განმავლობაში გარეთ ელოდებოდა ორდერით ხელში. სწორედ ამ მომენტში ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

**როდესაც ავედი თბილისის ზღვაზე ჩემი მეუღლის მოსაძებნად, დავრეკე 112-ში. იქიდან კი მიპასუხეს: "მანდ ხართ და მოძებნეთ!". თავის დროზე რომ მომხდარიყო რეაგირება და პატრულს საათნახევარი ოქმის წერაში კი არა, ძებნაში გაეტარებინა, იქნებ გადაერჩინათ ჩემი მეუღლე.** პრობლემა არის ის, რომ საქმე თავიდანვე გადასცეს გენერალურ ინსპექციას, რომელმაც ყველაფერი გააკეთა სამართალდამცველების უდანაშაულო პირებად წარმოსაჩენად. კვალი თავიდანვე სპეციალურად არიეს. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ „დაადგინეს“, რომ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მამუკა მიქაუტაძის მიმართ ფიზიკური ზეწოლა არ მომხდარა... ყველამ ნახა მამუკას ცხვირზე ნაჭდევი, რომელიც, კერძო ექსპერტის დასკვნის მიხედვით, სიცოცხლეშია მიყენებული, თუმცა ოფიციალურ დასკვნაში მასზე არაფერი წერია. არადა, ჩემი მეუღლე მეგობრებს ეუბნებოდა, პოლიციელებმა იატაკზე დამაგდეს და ცხვირზე ფეხს მაჭერდნენო... პოლიციამ არც გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები მოითხოვა, რომ გარკვეულიყო იმ მომენტში კიდევ ვინმე სხვა ხომ არ ავიდა თბილისის ზღვის იმ ტერიტორიაზე. არც ერთი თითის ანაბეჭდი არ აუღიათ, არც თოკიდან, არც იქვე დაგდებული არყის ბოთლიდან... მე, უბრალოდ, ვითხოვ იმის დადასტურებას, რაც მართლა მოხდა. ვიცი, რომ ჩემს მეუღლეზე ზემოქმედებდნენ, რის გამოც ასეთი ტრაგედია დატრიალდა...

**გუგული უგულავა, გარდაცვლილი მამუკა მიქაუტაძის დედა:**

— ჩემი შვილი ზურაბ მეგრელიშვილმა წაიყვანა და დაჰკითხა. ვფიქრობ, მას დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი ოჯახის ტრაგედიაში. როცა მეგრელიშვილი სამმართველოში ვნახე, რომ დამინახა, სად შემძვრალიყო, არ იცოდა. სახეზე შეეტყო, რომ დამნაშავეა... ახლა ბევრს საუბრობენ „ნაციონალური მოძრაობის“ დროინდელ კადრებზე ძალოვან სტრუქტურებში, იქნებ ჩემი შვილის საქმეც ამასთანაა დაკავშირებული. მამუკა და მისი მეუღლე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ. მაშინაც ვეუბნებოდი, რომ კოალიციის დროშებით სიარული კარგს არაფერს მოუტანდა. როდესაც ჩემი შვილი გარდაიცვალა ირაკლი ღარიბაშვილი — შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო ალექსანდრე ჭიკაიძე თბილისის სამმართველოს უფროსი იყო. იმხანად ღარიბაშვილმა თქვა, რომ მამუკა მიქაუტაძის საქმეს პირად კონტროლზე აიყვანდა, რადგანაც ამ საქმის გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს მუნდირის ღირსების საქმეაო. ამის შემდეგ კი გამოძიება ადგილიდან არ იძვრის. მამუკას დაზიანებებზე დღემდე ოფიციალურად არსად საუბრობენ, არადა, ოჯახის წევრებმა ხომ ვნახეთ სისხლჩაქცევები. **მოვითხოვე, შეამოწმებინათ საბუთები და ენახათ, იყო თუ არა ჩემი შვილი გარდაცვალების დღეს განმეორებით დაკითხვაზე მისული პოლიციაში, მაგრამ დღემდე პასუხი არ არის.** ვთვლი, რომ ჩემი შვილი უკვე გარდაცვლილი ჩამოკიდეს ხეზე და შემდეგ სპეციალურად არ აიღეს ანაბეჭდები. პირველ რიგში, მთავრობას ვადანაშაულებ, შს მინისტრი ღარიბაშვილი იყო, გენერალური ინსპექციის უფროსი კი — ზვიად ჯანყარაშვილი. ნათესავებმა ჩაიბარეს ამ საქმის გამოძიება და ვხედავთ, როგორც გამოიძიეს.

იმ მძიმე დღეებში ბატონი დავით უსუფაშვილი გამოვიდა და თქვა, რომ ხელთ აქვს მამუკას წერილი, რომლითაც ყველაფერი გაირკვევა. იმის შემდეგ წელიწად-ნახევარზე მეტი გავიდა, ვითხოვ უსუფაშვილთან შეხვედრას, მაგრამ ამაოდ. ასევე ვითხოვდი შეხვედრას აშშ-ის ელჩ **რიჩარდ ნორლანდთან.** როდესაც მეორედ დავრეკე შეერთებული შტატების საელჩოში, მიპასუხეს, რომ ბატონ ნორლანდს ჩემნაირ ხალხთან შესახვედრად არ სცალია. როდესაც იური ვაზაგაშვილი დაიღუპა, ნორლანდმა განაცხადა, რომ ვაზაგაშვილმა მისი შვილის საქმის დასკვნის გამო რამდენჯერმე მიმართა საელჩოს. ამის შემდეგ იმედი გამიჩნდა, რომ საელჩო დამელაპარაკებოდა, მაგრამ უარი მივიღე.

**ვიდრე ვაზაგაშვილივით არ დაგვხოცავენ, ყურადღება არ უნდა მოგვაქციონ?!**

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**

**«ჩემი მეუღლე მეგობრებს ეუბნებოდა, პოლიციელებმა იატაკზე დამაგდეს და ცხვირზე ფეხს მაჭერდნენო... პოლიციამ არც გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები მოითხოვა, რომ გარკვეულიყო იმ მომენტში კიდევ ვინმე სხვა ხომ არ ავიდა თბილისის ზღვის იმ ტერიტორიაზე. არც ერთი თითის ანაბეჭდი არ აუღიათ, არც თოკიდან, არც იქვე დაგდებული არყის ბოთლიდან... მე, უბრალოდ, ვითხოვ იმის დადასტურებას, რაც მართლა მოხდა. ვიცი, რომ ჩემს მეუღლეზე ზემოქმედებდნენ, რის გამოც ასეთი ტრაგედია დატრიალდა»**

**P.S. მამუკა მიქაუტაძის ოჯახის წევრები მივმართავთ პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და მოვითხოვთ მკვლელების გამოაშკარავებას! მოვითხოვთ საქმის სასწრაფოდ და ხარისხიანად გამოძიებას, რათა დადგინდეს, რომ მასზე ზემოქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი“, — განაცხადეს გუგული უგულავამ და ზიზი ექგვერაძემ.**

მსოფლიო

## ვლადიმერ პუტინი: არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ შესაძლებელია რუსეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვება!



**რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთი ნებისმიერ ზემოქმედებაზე ადეკვატურ პასუხს მოძებნის.**

„არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ შესაძლებელია რუსეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვება, მასზე რაიმე სახის ზემოქმედება, მსგავს ავანტიურას ყოველთვის ადეკვატური პასუხი მოჰყვება. ჩვენმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ, ყველაზე რთულ, არასტანდარტულ ამოცანებს გაართვან თავი, როგორც ნაწრთობმა, ბრძოლისუნარიანმა თანამედროვე ჯარმა, რომელიც თავის ტრადიციებს და სამხედრო ვალს უფრთხილდება“, — განაცხადა პუტინმა მამულის დამცველთა დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე სიტყვით გამოსვლისას.

„ყველა საკითხზე მსჯელობისგან ჩვენ, ფაქტობრივად, გარიყული ვართ. მაგალითად, საკადრო საკითხებზე არავინ არაფერს გვეკითხება, მერე კი ვიმტვრევთ ცხვირს, როდესაც ჩვენს აზრს არ ითვალისწინებენ. ასეთ საკითხებს ორი-სამი კაცი კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ გუნდი. სასწრაფოდ უნდა შეკრას გუნდი მან, ვისაც ხელეწიფება. სჯობს, მოაგვარონ ეს პრობლემა, თორემ, თუ ვიფეთქე, მტერს! საშინელი აფეთქება ვიცი ხოლმე, მაგრამ, ახლა ეს რომ გავაკეთო, კატასტროფა იქნება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართულ ოცნებაში» დაპირისპირებაა, რესპუბლიკური პარტია ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს

**მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“, უკვე კარგა ხანია, მძიმე პირობებში მართავს ქვეყანას, თუმცა, მიუხედავად სირთულეებისა, მაინც ვაჟკაცურად ინარჩუნებს მთლიანობას, მაგრამ რის ფასად? — საკითხავი, აი, ესაა. თურმე კოალიციაში დაპირისპირებული ბანაკებიც არსებობენ და ე. წ. მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნაზე სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს...**
**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე.**





## ომარ ნიშნიანიძე: საგანელიძეს უნდა ესმოდეს, რომ პარლამენტარი არ არის მხოლოდ ღილაკზე თითის მიმჭერი

**— ბატონო ომარ, ბოლო ხანს „ქართულ ოცნებაში“ დაძაბულობა შეინიშნება — უკვე გამოიკვეთენ ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი დაჯგუფებები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ინტერესებიც და ისიც, რას ერჩიან მოწინააღმდეგე ბანაკს, ასეა?**

— კოალიციას გულისხმობთ თუ პარტიას? მგონი, პარტია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობთ, რადგან კოალიციაში, კარგა ხანია, დაპირისპირებაა. რესპუბლიკელები ნახევრად ოპოზიციაში არიან და ა. შ. რაც შეეხება პარტია „ქართულ ოცნებას“, **ჩვენ უფრო იმას განვიცდით, რაც პარტიის შიგნით ხდება და რაც უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს უკავშირდება. დიახ, ჩვენ, 22 დეპუტატმა, მის წინააღმდეგ გავილაშქრეთ. იყო დაპირისპირება...** რაც უნდა ვმალოთ, შუბი ხალთაში არ დაიმალება, მაინც გამოჩნდება, ამიტომ **ვაღიარებ — „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირებაა.** ამ დაპირისპირებას პიროვნულს ვერ ვუწოდებ, მას სხვა მიზეზები აქვს. გუნდი ვერ შეიკრა, დიახ, რასაც გუნდი ჰქვია, და ეს ხდება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის ძალიან შეკრული გუნდი გვიპირისპირდება.

პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატების გარეშე ბევრი ისეთი საკითხი წყდება, რომლებიც ჩვენთან ერთად უნდა იყოს განხილული. ბევრ საკითხს პოსტფაქტუმ ვიგებთ. არადა, მხოლოდ ღილაკზე თითის მიმჭერები ხომ არ ვართ, ჩვენც ხომ გვაქვს თვალსაზრისი?! ეს უნდა ესმოდეს საგანელიძეს. და როდესაც სხვის თვალსაზრისს გვახვევენ თავს, არასწორია. თუმცა არის საკითხები, რომლებზეც შეიძლება, დათმობაზე წავიდეთ და კომპრომისული გადაწყვეტილება მივიღოთ, ოღონდ უნდა დაგვარწმუნონ, რომ ეს ნამდვილად ასეა საჭირო. მაგრამ ყველა საკითხზე მსჯელობისგან ჩვენ, ფაქტობრივად, გარიყული ვართ. მაგალითად, საკადრო საკითხებზე არავინ არაფერს გვეკითხება, მერე კი ვიმტვრევთ ცხვირს, როდესაც ჩვენს აზრს არ ითვალისწინებენ. ასეთ საკითხებს ორი-სამი კაცი კი არ უნდა წყვეტდეს, არამედ გუნდი. **სასწრაფოდ უნდა შეკრას გუნდი მან, ვისაც ხელეწიფება. სჯობს, მოაგვარონ ეს პრობლემა, თორემ, თუ ვიფეთქე, მტერს! საშინელი აფეთქება ვიცი ხოლმე, მაგრამ, ახლა ეს რომ გავაკეთო, კატასტროფა იქნება.**

**— ამბობენ, რომ ყველაფერს საგანელიძე წყვეტს და ენა მიაქვს ივანიშვილთან. თამაშგარე მდგომარეობაში რომ გტოვებთ არ უნდა გააპროტესტოთ?**

— არ მგონია, ენა მიჰქონდეს, თუმცა ვაღიარებ, ბატონი დავითი არის პირველი კომუნიკატორი ყოფილ და დღევანდელ პრემიერთან, აგრეთვე, პრეზიდენტთანაც. ჩვენ იშვიათად ვხვდებით მათ, არადა, აუცილებელია კომუნიკაცია და შეხვედრები. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში შევხვდებით პრემიერს, დარწმუნებული ვარ, მოიცლის და ამ საკითხებზე ვისაუბრებთ. არ არის გამორიცხული, შევხვდეთ ყოფილ პრემიერსაც.

ჩვენ ვერ ვიქნებით რადიკალები, რადიკალიზმმა დაღუპა საქართველო. ყველაზე ანტიეროვნული, ანტინაციონალური ხელისუფლება იყო „ნაცმოძრაობა“. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის თამაშს თამაშობდნენ და თამაშობენ დღესაც.

**— ჰოდა, ამბობენ, რომ ეს ყველაზე ანტიეროვნული მოძრაობა ალასანიასთან, რესპუბლიკელებსა და პრეზიდენტთან ერთად ე. წ. მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნას გეგმავს გია ხუხაშვილის ხელით. თქვენ თუ გსმენიათ ამის თაობაზე?..**

— ხუხაშვილი ისეთი გამოხუხული პიროვნებაა, არ გამიკვირდება, თუ ამაში იქნება გარეული. არ ვიცი, რას გეგმავენ, გეტყვით, მე რა როგორ მესახება. მომავალ არჩევნებში, ცხადია, ერთად იქნებიან ე.წ. ლიბერალები, რომლებიც ამ შემთხვევაში ერთად არ იყრიან კენჭს, მაგრამ ერთად იქნებიან. შეიძლება კოალიციაში გაერთიანდნენ „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკელები და პრეზიდენტიც. მეორე ლიბერალური მხარე იქნება „ნაცმოძრაობა“ და, რა თქმა უნდა, ეს ორი მხარე პარლამენტში ბევრ თემატურ საკითხზე ითანამშრომლებს. ეს უკვე გარკვეულია. იცით, რა ხდება პარლამენტში, ერთხელ მოვკიდე ჩემს მობილურს ხელი და მინდოდა, მათთვის სურათი გადამეღო, მაგრამ თავი შევიკავე.

**— ვისთვის გინდოდათ ფოტოს გადაღება?**

— რესპუბლიკელებისა და „ნაციონალებისთვის“. **„ნაციონალები“ რესპუბლიკელებთან ისე არიან ჩახუტებულნი, გაგიჟდებით. და აღარც მალავენ. ჩახუტებულები არიან გოგორიშვილთან, რატიანთან და სხვებთან. საკითხებს ერთად გადიან, — ეს ასე იქნება, ის — ისეო, და მიდის სიცილ-კისკისი.**

მაგალითს გეტყვით: თერჯოლის რაიონში ვერ მოვახერხეთ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევაც კი, რესპუბლიკელები მოწინააღმდეგე ბანაკში არიან და შეკრება ჩაგვიშალეს. წარმოგიდგენიათ, რას სჩადიან — საკრებულოს თავმჯდომარე ვერ აგვირჩევია?! აშკარაა, რომ რესპუბლიკური პარტია ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს, „ქართული ოცნების“ ოპოზიციაა. ადრე ერთ-ერთ ჩვენს მეგობარზე ვამბობდი, ცალი ფეხი „ნაცებისკენ“ აქვს-მეთქი და ამათ ორივე ფეხი იქით ჰქონიათ, ვეღარ გამიგია, რა ხდება!

**— კოალიციიდან წასვლას აპირებს ელისო ჩაფიძე ტრიპოლსკისთან დაპირისპირების გამოო. იმასაც ამბობენ, მუშტი-კრივსა და ცემა-ტყეპაზე მიმდგარა საქმეო...**

— ფრაქციის თუ უმრავლესობის სხდომა იყო, მაგრამ მე არ ვესწრებოდი იმ სხდომას და დეტალები არ ვიცი, თუმცა მითხრეს ჩემმა კოლეგებმა, რომ დაპირისპირება მომხდარა. მგონი, ტრიპოლსკის უთქვამს, ვიღაცისთვის თქვენი მომავალი მაჟორიტარი ესა და ეს იქნებაო. ამაზე ძალიან განაწყენებულა ქალბატონი ელისო და რეაქცია ჰქონია, მაგრამ ცემა-ტყეპის ამბავი არ გამიგია. მუშტი-კრივზე არაფერი მსმენია და, დაპირისპირება რომ იყო, ვადასტურებ. აი, ამ დაპირისპირებების აღსაკვეთად საჭიროა ირაკლი ღარიბაშვილის მხრიდან მეტი სიმკაცრე, ასეთი სიტუაციის დალაგება მხოლოდ პირველ კაცს შეუძლია.

**— ღარიბაშვილს პარტიაში ვითარების დალაგება იმთავითვე საგანელიძისთვის დაუვალებია, თუმცა ამ კაცს, როგორც ჩანს, მხოლოდ არევა შეუძლია...**

— პირველი პირი, ვისთანაც საკითხები განიხილება ხოლმე, რა თქმა უნდა, ბატონი დავით საგანელიძეა, სხვა ვისთან უნდა განივიხილოთ თუ არა უმრავლესობის ლიდერთან, მაგრამ მხოლოდ მასთან არა. პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც თავს გაწირავენ ქართული საქმის გამო და რატომ არ გვენდობი? შენიანი ვარ, რატომ არ გვენდობი, კაცო? აი, სწორედ ეს არის გულდასაწყვეტი, სად იხედები, აგერ ვართ ჩვენ, დაგვავალე რამე, ჩაგვაბარე რამე.

**— თქვენ ვინ რას ჩაგაბარებთ, ბატონო ომარ, ყველაფერი საგანელიძემ ჩაიბარა და დაივალა...**

— ჰოდა, კარგად რომ არ არის საქმე, ვხედავთ. მაშინ მან დაიკისროს პასუხისმგებლობა. არ შეიძლება, ერთ კაცს ებაროს ყველაფერი — ეს დააქცევს ქვეყანას. ამიტომ პრემიერმა უნდა ითავოს ჯერ გუნდის შეკვრა და შემდეგ — ფუნქციების გადანაწილება. თუ არაფერი დამავალე, არ გაანაწილე ფუნქციები, რა გამოდის? რა, ვერ ვისწავლი და ვერ მოვაბამ თავს რამეს?! ჩემს თავზე რომ ავიღო ზედმეტი, მერე „ყურს ამიწევენ“ და არ მინდა, ამ ხნის კაცი ახლა ვიღაცას შევეტენო. მაგრამ მე გავაკეთებ ჩემს საქმეს, თუგინდ წყალმა წამიღოს, ოღონდ ჩემი ქვეყანა იყოს კარგად!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**„იცით, რა ხდება პარლამენტში — მოვკიდე მობილურს ხელი და მინდოდა, მათთვის სურათი გადამეღო. „ნაციონალები“ რესპუბლიკელებთან ისე არიან ჩახუტებულნი, გაგიჟდები. და აღარც მალავენ. ჩახუტებულები არიან გოგორიშვილთან, რატიანთან და სხვებთან. საკითხებს ერთად გადიან, — ეს ასე იქნება, ის — ისეო, და მიდის სიცილ-კისკისი“**

მსოფლიო

## ორბანი: მე არ მინდა ისეთი ევროპა, რომელიც რუსეთის მტერია

**უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანს მიაჩნია, რომ ევროპის მომავალი რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზეა დამოკიდებული და ამიტომ საკითხის დასმა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის იზოლაციაზე, უარყოფილი უნდა იქნას.** „ზოგიერთს მიაჩნია, რომ რუსეთი იზოლირებული უნდა იქნას ევროპასთან ეკონომიკურ ურთიერთობებში. ისინი საკითხსა სვამენ ასე — უნდა აირჩიო ან ევროპის ერთიანობა, ან რუსეთი. ...ასეთ სიტუაციაში თვითონ შეკითხვა უნდა ვუარყოთ. მე არ მინდა ვიცხოვრო ისეთ ევროპაში, რომელიც რუსეთთან ცივ ომს აწარმოებს. რომელიც ევროპელებისაგან რუსეთის მტერს ქმნის.” —განაცხადა უნგრეთის პრემიერმა. ორბანმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს გულთბილად უმასპინძლა, აგრეთვე, განაცხადა, რომ მხარს უჭერს პუტინის ინიციატივას ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ერთი კაცი (გვარი არ ვიცი), მოვიდა ჩვენთან ოჩამჩირეში, 1966 თუ 67 წელი იყო. იმხანად სოხუმში ვსწავლობდი. დავინახე ეს კაცი და მამას ვუთხარი, ვიღაც გკითხულობს-მეთქი. გავედით და სტუმარი ეზოში დაჩოქილი დაგვხვდა. მუხლებზე მოეხვია მამას და შვილის გადარჩენა სთხოვა. დახვრეტა ჰქონია მისჯილი. მამამ წამოაყენა, რატომ კადრულობო ამას, რომელი წმინდანი მე ვარო! მოუსმინა. წაყვა რუსეთში. სად — არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ იმ კაცის შვილი უდანაშაულო აღმოჩნდა და დახვრეტა კი არა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს“.

# მელიტონ ქანთარიას შვილი საბერძნეთში გაიხიზნა

**ქალბატონი ციალა საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას შვილია, ქართველი მეომრის, რომელმაც რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე აღმართა. კაცი — სიმბოლო, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელისგულზე ატარებდა. შვილი კი საკუთარ სამშობლოში დაივიწყეს. რამდენიმე დღით ჩამოვიდა ქალბატონი ციალა ქანთარია საქართველოში ლტოლვილის სტატუსის გასაფორმებლად, ქანთარიები აფხაზეთში ცხოვრობდნენ.**





**«ბევრს ეხმარებოდა მამა. თვითონ გაიხდიდა და სხვას ჩააცმევდა. სტუმართმოყვარე იყო და მომსვლელები მთელი საბჭოთა კავშირიდან არასოდეს გვაკლდა. მარშალი ჟუკოვიც კი ჩამოვიდა. ეგოროვი ხომ ძალიან ხშირად იყო ჩვენთან»**

— ჩემი ერთი შვილი — თამაზ ოჩიგავა — ინალიშვილის ბატალიონში იბრძოდა. დაიღუპა ბესლახუბასთან. ხუთი წელიწადი ფეხზე ვერ ვდგებოდი, ნერვიულ ნიადაგზე მოძრაობა შემეზღუდა, — **იწყებს საუბარს ქალბატონი ციალა,** — ტყვარჩელში დავრჩი. შვილის საფლავს ვერ მივატოვებდი, მაგრამ შემდეგ ჩემმა გოგომ, რომელიც სოხუმელ ბერძენზეა გათხოვილი, მაიძულა, საბერძნეთში გადავსახლებულიყავი. აქ არსებობის არავითარი პირობა არ მქონდა.

**— თბილისში რატომ ჩამოხვედით?**

— გაჭირდა ცხოვრება საბერძნეთშიც. მოგეხსენებათ, ეკონომიკური კრიზისია. ჩამოვედი, ლტოლვილის პენსია გამიფორმეს. საბუთები შევიტანე ბინის მიღებაზე.

ქალბატონ ციალას მეორე ვაჟიც საბერძნეთშია. ბინების გარემონტების ოსტატია. ერთხანს სამუშაოც ჰქონდა და შემოსავალიც. ასე იყო 1990-იანი წლების მეორე ნახევრამდე, მაგრამ 2000-ისკენ გაუარესდა მდგომარეობა და ევროკავშირის წევრ ამ ქვეყანაში ისეთი კრიზისი დაიწყო, რომ:

— ვის სცალია ახლა ბინების რემონტისთვის?! იქიდან რომ წამოვედი, ჩემი ბიჭი სამი თვის უმუშევარი იყო. თენგიზს ახლა ტელეფონით რომ ველაპარაკე, გახარებული იყო: ერთი კვირის სამუშაო მაქვსო. ბერძენი სიძე რომ არ გვყავდეს, ძალიან გაგვიჭირდებოდა იქ არსებობა. ყველაფერს ფული უნდა. ეს ერთი. და მეორე — გოგო მეორე კლასშია...

**— შვილიშვილი?**

— დიახ, შვილიშვილი. უფროს კლასებში რომ გადავა, ისე მიეჩვევა იქაურობას, რომ იტყვის, რად მინდა შენი საქართველო, საბერძნეთში უნდა დავრჩეო. მე კი მინდა, რომ ყველა ჩემი შთამომავალი საქართველოს დაუბრუნდეს.

**— მაგრამ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ რომ ვერ მოუარა იმ მებრძოლის შვილს, რომელიც გამარჯვების სიმბოლოდ იყო მიჩნეული, ხომ ფაქტია?**

— ტყუილი რა საკადრისია და გულწრფელად გეტყვით: ორ წელიწადზე მეტხანს მოსკოვში ვცხოვრობდი, მაგრამ არც რუსეთის ხელისუფლებისთვის მითხოვია რამე, არც საქართველოს ხელისუფლებისთვის. კაციშვილთან არ მივსულვარ, ლტოლვილი ვარ და ბინა მომეცით-მეთქი... ახლა გამიჭირდა ძალიან. საქართველოში თავის შესაფარებელი რომ მოგვცა, არც მე, არც ჩემი შვილი ერთი დღეც არ გავჩერდებით საბერძნეთში. ერთი დღეც კი!

**— ამ საკითხზე თბილისში შეხვდით ვინმეს?**

— ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განცხადება დავტოვე.

**— მინისტრთან შესვლა არ გიცდიათ?**

— არა. იმიტომ, რომ მითხრეს, ბინის საკითხზე კაციშვილს არ იღებსო... ბოლო ხანს გაიგეს ჩემი ამბავი, თორემ, რომ ვარსებობ, მანამდე არავინ იცოდა.

**— არც განცხადებაში დაგიწერიათ, მელიტონ ქანთარიას შვილი რომ ხართ?**

— კი, ვწერდი. ყველგან ვწერდი...

**— და არაფერი?**

— დაპირება არის.

**— ახლა მამაზე მელაპარაკეთ, საბჭოთა კავშირის გმირზე — მელიტონ ქანთარიაზე.**

— **ჩემს ძმებს ვეხუმრებოდი, თქვენ გმირის შვილები არ ხართ. გმირის შვილი მე ვარ, რადგან მას შემდეგ ვარ დაბადებული, რაც მამას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს-მეთქი** *(იცინის).* ორი ძმა მყავდა. ერთი 2000 წელს გარდაიცვალა, მეორე — 2013-ში. ბედიაში არიან დაკრძალულები, ჩემი ვაჟიც იქაა დასაფლავებული.

მამა ოჯახის კაცი იყო. ყურადღებას არ გვაკლებდა, მაგრამ სხვებს უფრო ეხმარებოდა, ვიდრე ჩვენ.

მახსენდება, **ერთი კაცი (გვარი არ ვიცი), მოვიდა ჩვენთან ოჩამჩირეში, 1966 თუ 67 წელი იყო. იმხანად სოხუმში ვსწავლობდი. დავინახე ეს კაცი და მამას ვუთხარი, ვიღაც გკითხულობს-მეთქი. გავედით და სტუმარი ეზოში დაჩოქილი დაგვხვდა. მუხლებზე მოეხვია მამას და შვილის გადარჩენა სთხოვა. დახვრეტა ჰქონია მისჯილი. მამამ წამოაყენა, რატომ კადრულობო ამას, რომელი წმინდანი მე ვარო! მოუსმინა. წაყვა რუსეთში. სად — არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ იმ კაცის შვილი უდანაშაულო აღმოჩნდა და დახვრეტა კი არა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.**

**ბევრს ეხმარებოდა მამა. თვითონ გაიხდიდა და სხვას ჩააცმევდა. სტუმართმოყვარე იყო და მომსვლელები მთელი საბჭოთა კავშირიდან არასოდეს გვაკლდა. მარშალი ჟუკოვიც კი ჩამოვიდა. ეგოროვი ხომ ძალიან ხშირად იყო ჩვენთან.** კარგი კაცი იყო ძალიან. საშუალო რომ დავამთავრე, სამედიცინოში მინდოდა სწავლის გაგრძელება. ეგოროვმა ეს რომ გაიგო, მამას უთხრა: ვარლამოვიჩ, მე გამაყოლე შენი შვილი ლენინგრადში, უმაღლესშიც მოვაწყობ და კარგადაც მოვუვლიო, მაგრამ რად გინდა: ექიმმა არ მომცა ცნობა, რომ ჩემი ჯანმრთელობა ექიმის პროფესიას შეეფერებოდა. გული გაქვს სუსტი და ექიმობას ვერ შეძლებო. ამიტომ ბიოლოგიურზე ჩავაბარე სოხუმის პედინსტიტუტში.

კი იყო მამა გმირი, მაგრამ ოჩამჩირეში ყოფნისას იძულებული იყო, შავ მუშად ემუშავა. არასოდეს უძებნია თბილი ადგილი. ოჩამჩირეში დამბას რომ აგებდნენ, იქ მუშაობდა ფიზიკურად.

ერთხელ მარშალმა ჟუკოვმა უთხრა, მოდი, ვარლამოვიჩ, სამხედრო აკადემიაში მოგაწყობთო. არ მინდაო. რაც იმ ომში ვნახე და გადავიტანე,მას შემდეგ საერთო არაფერი მინდა მქონდეს სამხედრო საქმესთანო.

ჩემმა შვილიშვილმა თენგიზმა, ახლა საბერძნეთში რომ ცხოვრობს, მამაჩემს ჰკითხა:

— ბაბუ, სკოლაში იციან, შენი შვილიშვილი რომ ვარ. შეიძლება მთხოვონ, ბაბუაშენზე რამე მოგვიყევიო და რა ვუთხრა? მომიყევიო რამეო.

დაისვა ბაბუამ შვილიშვილი და დაიწყო ფრონტული თავგადასავლის თხრობა, მაგრამ შუა ლაპარაკში ცრემლი წამოუვიდა, ადგა და მიატოვა.

ემოციური კაცი ყოფილა მელიტონ ქანთარია და, ჟუკოვს რომ უთხრა, ომის გახსენება არ მინდა, ამიტომ სამხედრო აკადემიაში სწავლას არ ვაპირებო, მართალი ყოფილა.

**— სტალინი თუ უხსენებია მამას?**

— ერთხელ მოსკოვში ჩასულა მამა. მიდის სტალინთან. კრემლის შესასვლელში გუშაგმა გააჩერა:

— კუდა იდიოშო? — ჰკითხა.

მამამ უთხრა, რომ სტალინთან მიდიოდა და ოქროს ვარსკვლავი დაუნახვებია.

ულაპარაკოდ შეუშვიათ კრემლში.

**— სტალინთან რა უნდოდა?**

— დახმარება უნდოდა ეთხოვა.

**— ეტყობა, არც მაშინ გქონიათ დალხენილი ცხოვრება. სტალინმა რაო?**

— მამას არასოდეს მოუყოლია სტალინთან შეხვედრის შესახებ...

**აფხაზეთის ომის დაწყება ძალიან განუცდია მელიტონ ქანთარიას. ამას შვილიშვილის დაღუპვის ამბავიც დაერთო. ვეღარ გაუძლო ამდენ დარდს დიდ ომგადატანილი ვეტერანის გულმა და 1993 წლის 27 დეკემბერს გარდაიცვალა.**

**— საბერძნეთში ცხოვრებისას ჩვენს საელჩოსთან თუ გქონდათ ურთიერთობა?**

— კი იცოდნენ, რომ იქ ვარ, მაგრამ... რუსეთის საელჩოდან დაურეკიათ: მელიტონ ქანთარიას შვილი არისო აქ სადღაც და ვეძებთო. ჩვენებს უპასუხიათ, არაფერი ვიცითო... იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ!

ერთი ღონისძიება არ ჩაუტარებიათ რუსეთის საელჩოში, მე რომ არ მივეწვიეთ. ყოველთვის მეძახდნენ — 9 მაისი იქნებოდა, მასწავლებლის დღე თუ სხვა დღესასწაული. ყოველთვის აცხადებდნენ, რომ გვესწრებაო საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას შვილი.

**— ქალბატონო ციალა, თქვენ, ალბათ, იცით, რომ „პერესტროიკის“ წლებში რუსულ პრესაში გამოჩნდნენ სხვა მეომრები, რომლებმაც თითქოს მთავარი დროშა აიტანეს რაიხსტაგის გუმბათზე.**

— მამაჩემის სიცოცხლეშიც დაწერეს ვიღაც-ვიღაცებმა. მამა ამბობდა, მოვიდეს ის ვიღაც, ვინც ეს ტყუილი იკადრა, მოვიდეს, გმირის ვარსკვლავს მივცემ და დამშვიდდესო.

**— ქართული პრესა ხომ არ დაგკავშირებიათ საბერძნეთში ყოფნის წლებში ან შემდეგ?**

— არა.

**— ტყვარჩელში რომ ცხოვრობდით, აფხაზებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— ძალიან კარგი. 1996 წლამდე იქ ვიყავი. სამი წელიწადი. წინ ზიხარ და უკან გადაჯექიო, არავის უკადრებია. რძალი მყავს აფხაზი — ძმის ცოლი, ბედიაშია. მეორე ძმის ცოლი გვარამია კი არის, მაგრამ აფხაზები არიან ისინიც.

**არც ერთ აფხაზს არ უთქვამს ჩემთვის, აფხაზეთიდან გადასახლდიო. არაფერს მერჩოდნენ. ერთხელ თავიანთ შტაბში დამიძახეს და მითხრეს: რადგან ჩვენთან დარჩი, მოდი, აფხაზად გადაიწერეო. ვუპასუხე: თუ გულში თქვენს წინააღმდეგ ვიქნები განწყობილი, თუ გული დამპალი მექნება თქვენ მიმართ, გინდა, აფხაზად გადამწეროთ, გინდა — მეგრელად, გინდა — თურქად, თქვენდამი დამოკიდებულებას ამით ვერ შეცვლით. გადახედეს ერთმანეთს და გადაულაპარაკეს: უყურე, რა სიმართლე თქვაო.**

— იდიტე ს ბოგომო, — მითხრეს.

მამა მოსკოვში რომ გარდაიცვალა, ტყვარჩელის ქალაქკომში დამიბარეს და მითხრეს, ენგურის ხიდზე, იქით გადაგიყვანთ, მაგრამ უკან დაბრუნებას ვერ დაგპირდებითო. დავრჩი ტყვარჩელში. არ წავედი.

მამა ჯვარში გადმოასვენეს და სკოლის ეზოში დაკრძალეს.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. საზოგადოება „გამარჯვების მემკვიდრეების“ საბჭომ წამოაყენა წინადადება საქართველოში მელიტონ ქანთარიას ბიუსტის თბილისში დადგმის შესახებ. ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და შესაბამისი წერილით მიმართა დედაქალაქის მერიას.**

**ბექა ქანთარიამ, მელიტონ ქანთარიას ძმის შვილიშვილმა, „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას მოაწოდა სკულპტურის ესკიზი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ (ავტორი — მოქანდაკე რომან შეროზია).**

**„გამარჯვების მემკვიდრეების“ საერთაშორისო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფმა 2015 წლის 10 მაისს წერილით მიმართა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და დახმარება სთხოვა ამ მამულიშვილური განზრახვის განხორციელების საქმეში.**

**ეს უკვე მესამე მცდელობაა მელიტონ ქანთარიას სახელის უკვდავყოფის. პირველი 2000 წელს იყო. მაშინდელმა კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ყურად არ იღო დედაქალაქის მერიის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება.**

**მცდელობა მეორე: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს პრეზიდენტს (მ. სააკაშვილს) სთხოვა, გადაეწყვიტა „ლეგენდარული მამულიშვილის, მეორე მსოფლიო ომის გმირის, აფხაზეთიდან დევნილი პატრიოტის — მელიტონ ქანთარიას“ ბიუსტის დადგმის საკითხი.**

**ხელისუფლება, რომელმაც ქუთაისში ააფეთქა სამამულო ომში მებრძოლი ქართველების მემორიალი, გორის მთავარი მოედნიდან კი ქურდულად გაიტანა უმაღლესი მთავარსარდლის ძეგლი, ამ თხოვნას რომ არ შეასრულებდა, იმთავითვე ცხადი იყო.**

**ახლა — მესამე მცდელობა!**

**განზრახვა — მამულიშვილური, საბაბი — საუკეთესო: დიადი გამარჯვების 70 წელი!**

**ღმერთი სამობითააო!**

**განვაგრძობთ რუბრიკას „გენერალისიმუსის პორტრეტისათვის“, რომელშიც ბატონი გრიგოლ ონიანი მსოფლიოში სახელგანთქმული პიროვნების, გენერალისიმუს სტალინის მიერ გაკეთებულ მამულიშვილურ საქმეებსა და ხასიათის თავისებურებებზე გვესაუბრება. დღეს გთავაზობთ ბატონი გრიგოლის პირველ წერილს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შენახული ქართული საგანძურის საქართველოში დაბრუნების საქმეში სტალინის შეტანილ წვლილზე.**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

**ისტორიის გამყალბებლებს ძველ რომში ისევე სჯიდნენ, როგორც ფულის გამყალბებლებს — მათ ცეცხლზე წვავდნენ. ჩვენს ეპოქაში კი ისტორიის გამყალბებლებს არათუ ცეცხლზე წვავენ, გუნდრუკსაც კი უკმევენ. ამის დამადასტურებელია, სატელევიზიო ეთერში ღვაწლმოსილი მეცნიერის განცხადება, რომლითაც მან ექვთიმე თაყაიშვილის მიერ უცხოეთში სასოებით შენახული ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნების საქმეში სტალინის როლი დააკნინა და ამით ისტორია გააყალბა.**

**„სტალინის ჩაძაღლებამდე (?! — გრ. ონიანი) 15 დღით ადრე ღვთის კაცის, ექვთიმე თაყაიშვილის, სული უკვდავებაში გადავიდა. 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და დიდი ქართველი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი...“ — განაცხადა ტელეეკრანიდან აკადემიკოსმა.**

**სრულიადაც არ მეპარება ეჭვი ექვთიმე თაყაიშვილის ღმერთკაცობაში, მაგრამ ეჭვი მეპარება ისტორიკოს-აკადემიკოსის სიტყვებში, რომელიც სტალინის მიმართ გამოიყენა. არადა, არათუ ისტორიკოსს, რიგით მოქალაქესაც არ ეკადრება ისტორიის გაყალბება, მით უმეტეს, ისტორიკოს-აკადემიკოსს.**

**მე ვერ შევაფასებ ქართველი ერის ისტორიაში დიდი ექვთიმეს უზარმაზარ ღვაწლს, რომლის „წყაროთმცოდნეობა“ თუ „მიწისქვეშა სიძველენი“, „ქართული ეპიგრაფიკა“ თუ „ძველი საქართველო“ და სხვა სამეცნიერო კვლევები ქმნის იმ უზარმაზარ შემოქმედებით მოზაიკას, რომელიც სხივჩაუქრობელი ელვარებით იკაშკაშებს მომავალშიც. მე მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი პერიოდი მაინტერესებს — „განძის გატაცებისა და დაბრუნების ქრონიკები“, რომელსაც დილეტანტის თვალით უნდა შევხედო და გავაანალიზო.**





## «მისწერეთ პარიზში ქართველ მეცნიერს, ჩაბრძანდეს საქართველოში და ჩაიტანოს მისი მთავრობის მიერ გატაცებული განძი. ქართველი ხალხი განძს ელოდება, უნივერსიტეტის ცარიელი კათედრა კი — მეცნიერს», — უბრძანა სტალინმა დამიანე ჯგუშიას

1922 წლის 20 ივნისს, სტალინის ინიციატივით, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისთვის სამუზეუმო და საარქივო კოლექციების გადაცემის შესახებ, რომელიც წაღებული იყო მეფის მთავრობის მიერ და ინახებოდა რუსეთის ფედერაციის განძთსაცავებში.

მოკლე ხანში ყველა ნივთი, რომელიც ქართული წარმოშობისა იყო, თანახმად დადგენილებისა, ლენინგრადიდან ჩამოიტანეს თბილისში და ჩააბარეს სხვადასხვა ფონდს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ბოტკინის კოლექციად წოდებული საგანძური, რომელშიც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პერიოდში გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან გატაცებული ქართული ტიხრული მინანქრის უძვირფასესი ნიმუშები. როდესაც კრემლის ერთ-ერთ ეზოში ქართული ეროვნული კულტურითა და მისი მომავლით დაინტერესებული იოსებ სტალინი, აბელ ენუქიძე, სერგო ორჯონიკიძე და ალიოშა ქავთარაძე სეირნობდნენ და საქმიანად საუბრობდნენ, კრემლში საქართველოს აკადემიური წრეების წარმომადგენლის — დამიანე ჯგუშიას მეცადინეობით, დადგენილების ასლის ასაღებად მისულმა მეცნიერმა შალვა ამირანაშვილმა (მომავალში აკადემიკოსმა) სწორედ იმ ბილიკზე გაიარა, რომელზეც ქართველები სეირნობდნენ. ქავთარაძემ იხმო ახალგაზრდა მეცნიერი და სტალინს გააცნო. მოახსენა, — ეს ის ახალგაზრდა მეცნიერია, რომელიც ქართული საგანძურის დაბრუნებაზე მუშაობს საქართველოშიო.

სტალინმა ჰკითხა შალვა ამირანაშვილს, ხომ არაფერი გაბრკოლებს საგანძურის მიღებაშიო. ახალგაზრდა მეცნიერმა მოკრძალებით აუხსნა:

„საგანძურის ნაწილი უკვე თბილისშია დაბინავებული, მაგრამ ფერხდება და თითქმის შეუძლებელი ხდება ტიხრული მინანქრის ბოტკინის კოლექციის დაბრუნება. სახელწიფო განძთსაცავის დირექტორი კატეგორიული წინააღმდეგია და აცხადებს, რომ სამუზეუმო კოლექცია არეულ-დარეულია და მისი კლასიფიკაცია მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. აი, მაშინ მოდით და ვნახოთ, თუ აღმოჩნდება ის თქვენს განძთსაცავშიო“.

სტალინმა შარვლის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, შიგ რაღაც ჩაწერა, ფურცელი ამოხია და მეცნიერს მიაწოდა. შემდეგ კი უთხრა:

— კიდევ ერთხელ მიდით და სცადეთ. ხვალ 11 საათზე კი ამ ტელეფონის ნომერზე დამირეკეთ და შედეგები მაცნობეთ.

გახარებული შალვა ამირანაშვილი დილიდანვე ელოდებოდა განძთსაცავის დირექტორს მისაღებში.

— ტყუილად კარგავთ დროს, ახალგაზრდავ, როგორც გითხარით, მობრძანდით ხუთი წლის შემდეგ! — მტკიცედ განუცხადა დირექტორმა აბეზარ მთხოვნელს.

შალვა ამირანაშვილმა სთხოვა დირექტორს, ნება დაერთო, ტელეფონით ესარგებლა. თანხმობის მიღების შემდეგ ნომერი აკრიფა და მალე ყურმილში სტალინის ქართულად ნათქვამი გაისმა:

— როგორ არის საქმე?

— ცუდად. დირექტორი ისევ უარზეა, — უპასუხა შალვა ამირანაშვილმა.

— დაელოდეთ, პასუხს ახლავე მიიღებთ! — უთხრა სტალინმა.

მაგიდის მეორე კუთხეში მდგარმა ტელეფონმა მაშინვე დარეკა. დირექტორი ფეხზე წამოხტა და მხოლოდ ერთ ფრაზას იმეორებდა:

„არის, ამხანაგო სტალინ!“

შემდეგ დირექტორმა ყურმილი დადო, ისტერიკულად მოიხმო თანამშრომლები და გასცა განკარგულება, სწრაფად მიეყვანათ ქართველი მეცნიერი ბოტკინის კოლექციაში, დაეწყოთ განძის ჩალაგება და გასამგზავრებლად მომზადება.

„სამთავრობო განძთსაცავებში გამორჩეულ მარგალიტებად ჩანდა ჩვენი წინაპრების შექმნილი უბრწყინვალესი ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ცალკე ლაგდებოდა, იფუთებოდა და ყოველგვარი სტანდარტების დაცვით ყუთებში იწყობოდა,“ — იგონებს შალვა ამირანაშვილი.

მალე ტიხრული მინანქრის ამ უძვირფასესმა კოლექციამაც დაიდო ბინა თბილისის მუზეუმში.

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოსკოვში დამიანე ჯგუშიამ, რომელიც კომისიის სხვა ქართველ და რუს წევრებთან ერთად ბეჯითად ადევნებდა თვალს საგანძურის მოძრაობას, თბილისის მუზეუმში განძის დაბინავების შემდეგ დაწვრილებითი ანგარიში ჩააბარა სტალინს.

— მუშაობას ნუ შეაჩერებთ. მისწერეთ პარიზში ქართველ მეცნიერს (იგულისხმება ექვთიმე თაყაიშვილი — გრ. ონიანი), ჩაბრძანდეს საქართველოში და ჩაიტანოს მისი მთავრობის მიერ გატაცებული განძი. ქართველი ხალხი განძს ელოდება, უნივერსიტეტის ცარიელი კათედრა კი — მეცნიერს, — უბრძანა სტალინმა დამიანე ჯგუშიას.

1923 წლის 15 იანვარს დამიანე ჯგუშიამ თავისი სახელით დაწერილ და სტალინის მიერ ჩასწორებულ წერილს პარიზში მყოფი ექვთიმე თაყაიშვილის მისამართი დააწერა და დიპლომატიურ ფოსტას გადასცა.

**დამიანე ჯგუშია აცნობებდა თაყაიშვილს, რომ საქართველოდან რუსეთში გაგზავნილი ყველა განძი საქართველოს დაუბრუნდა: „დღეს კი მინდა, მოგმართოთ თქვენ, რათა შეასრულოთ თქვენი დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობა: საქართველოს სიძველეთა სვე-ბედი საზღვარგარეთ თითქმის თქვენზეა დამოკიდებული და ამისათვის მათი საქართველოში ხელუხლებლად დაბრუნება სწორედ თქვენს პირად მოვალეობას შეადგენს. საქართველოს საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს, ოფიციალური წინადადებით მიმართოს მენშევიკებს სიძველეთა დაბრუნების შესახებ, მაგრამ გავიგეთ, რომ საქართველოს სიძველენი იქ საიდუმლოდ ჰქონიათ შენახული და ამისათვის ფართო, ოფიციალურ ლაპარაკს შეუძლია, დიდი საშიშროება მიაყენოს მათ უკან დაბრუნებას, რომ საფრანგეთის მთავრობა ამა თუ იმ მიზეზის გამო აღნიშნულ სიძველეებს ხელში ჩაიგდებს — ეს თქვენთვისაც ცხადია, ამიტომ სიფრთხილე მეტად საჭირო არის. მიუხედავად ასეთი შესაფერი, საიმედო და კეთილსინდისიერი მეთვალყურისა, როგორიც თქვენ ბრძანდებით, დღევანდელ მღელვარე ევროპაში ქართულ სიძველეთა სვე-ბედი მცირე რამ შემთხვევაზეა დამოკიდებული. ამისათვის ყველაფრის, რაც თქვენ გაბარიათ, დაუყონებლივ ჩატანა საქართველოში და თქვენი ჩასვლაც თქვენს პირადი მოვალეობის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში, დღემდე ცარიელ კათედრაზე — აუცილებელი და საჩქარო საქმეა»** (გ. ჟორდანია „დაბრუნებული საუნჯე“, 1983 წელი. გვ. 70).

1923 წლის 10 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილმა წერილითვე უპასუხა დამიანე ჯგუშიას: **„თავსაგან თქვენი წერილისა შეადგენს წინადადება, რომელსაც მაძლევთ: დავბრუნდე საქართველოში და მოვიტანო სიძველენი, რომლებიც მთავრობამ ევროპაში წამოიღო ევაკუაციის დროს. და თქვენ ასე გაქვთ წარმოდგენილი, თითქოს ეს ჩემზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ ეს ასე არ არის. სიძველენი წამოღებული იქნა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, მე დამფუძნებელი კრების თხოვნით გამოვყევი ნივთებს, როგორც მეთვალყური. დაბრუნება ნივთებისა შეიძლება მხოლოდ მთავრობის დადგენილებით. უამისოდ მე არ მაქვს უფლება, მიგილო ნივთები, არც საშუალება, შევასრულო ეგ საქმე. როდესაც მთავრობა გადაწყვეტს დაბრუნებას, მე, რასაკვირველია, მოვალეობად მივიჩნევ, დავბრუნდე და ნივთები ჩამოვიტანო, მიუხედავად ყოველგვარი პირადი დაბრკოლებისა და უსიამოვნებისა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, თქვენ მიერ განზრახული მიმართვა მთავრობისადმი სიძველეების დაბრუნების შესახებ ამჟამად უშედეგოდ დარჩება და ამიტომ არ გირჩევთ. თქვენ მართალი ხართ, რომ მეტი ხმაურობა ამის გამო საქმისათვის სახეირო არ იქნება. ისე, შეიძლება დაგარწმუნოთ, რომ წაღებული სიძველენი ხელშეუხებელია და კარგად დაცული. ბევრი სამუზეუმო ნივთიც შევმატეთ ფონდს“** (გ. ჟორდანია „დაბრუნებული საუნჯე“, 1983 წელი. გვ. 71).

ძვირფასო მკითხველო, ჩემს შემდეგ სტატიებში სწორედ ზემომოყვანილი ორი წერილი უნდა დავუდო საფუძვლად იმ სიზმრის ახსნას, რომელიც ქართველ ხალხს ოდესღაც დაესიზმრა და შემდგომ ზღაპრად აქცია.

ამ ქართული სამეცნიერო ზღაპრის — „განძის გუშაგის“ — მოკლე შინაარსი ასეთია:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა დიდი განძი. მეზობელ ქვეყნებს ყოველთვის თვალი ეჭირათ ამ განძზე, მაგრამ პატარა ქვეყანა ხან სამალავებში, ხანაც სისხლისმღვრელ შეტაკებებში გადაარჩენდა ხოლმე ამ განძეულობას. ერთხელაც ამ პატარა ქვეყანას თავს დაესხა დიდი ქვეყანა. ხალხმა იფიქრა, ამათთან ხმლით ვერაფერს გავაწყობთო და ამ საგანძურს ხელი დაავლო ერთმა „ჩია“ კაცმა და „სამშვიდობოს“ გაიტანა. 25 წლის განმავლობაში განძთან ერთად ცხოვრობდა ეს „ჩია“ კაცი, მაგრამ დიდი მეცნიერი. შემდეგ, როდესაც პატარა ქვეყანამ დიდი სახელმწიფო ალაგმა, „ჩია“ კაცი, მაგრამ დიდი მეცნიერი, განძეულით თავის ქვეყანაში დაბრუნდა. მადლის მკეთებელი ვის დაუფასებია, რომ ეს „ჩია“ კაცი და დიდი მეცნიერი დაეფასებინათ და ისიც, 90 წელს მიღწეული, მიწას 27 კაცის ჭირისუფლობით მიაბარეს. მისი ჩამოტანილი საგანძური კი ელვარებს უკვე „დამოუკიდებლობამოპოვებულ“ და „გაბრწყინებულ“ ქვეყანაში.

ქატო აქა, ფქვილი იქა, ჭირი აქა, ლხინი იქა!

ასე მთავრდება ეს პატარა ქართული მეცნიერული ზღაპარი, რომელსაც რეალურად სხვა შინაარსი აქვს.

**(გაგრძელება იქნება)**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვითომ ასეთი ძნელი შესამჩნევია საფრთხე, რომელიც გვემუქრება, როგორც ერსა და, როგორც ეროვნულ სახელმწიფოს?! რა თქმა უნდა, არა! მაშინ რატომ განაგრძობს „ოცნების“ ხელისუფლება „ნაცების“ ტრადიციებს მხოლოდ მცირე, კოსმეტიკური ცვლილებებით? არც ესაა ძნელი მისახვედრი. იმიტომ, რომ ყველა უწყება-სამინისტროს ასეთი მითითებები აქვთ მიღებული მათთვის მიჩენილი დასავლელი „მრჩევლებისგან“, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში ისეთი კანონები, ისეთი ბარიერები აქვთ მოფიქრებული, რომ უცხოელები, პრაქტიკულად, ვერც კი ყიდულობენ მიწებს.**

# გვჭირდება ნაცრეჟიმისთვის დანაშაულების მიმტევებელი და ხუნტის მხარდამჭერი ხელისუფლება?

**ერთი წუთით თავი დავანებოთ სამართლიანობის აღდგენასა და ბევრ სხვა შეუსრულებელ დაპირებას, რომლებზეც, ორი წელია, ვლაპარაკობთ და სხვა რაკურსით შევხედოთ ხელისუფლებას – მისი გადადგმული თუ არგადადგმული ზოგიერთი, განსაკუთრებით თვალშისაცემი ნაბიჯი შევაფასოთ და გამოჩნდება, რომ საკმარისზე მეტია, რაც ვადროვეთ და რომ იგი მეტის გამკეთებელი არ არის!**

ხელისუფლება თუნდაც იმიტომ არის შესაცვლელი, რომ იგი მხარს უჭერს დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ ტყუპისცალ კიევის ხელისუფლებას — ხუნტას, რომელიც, „ნაცების“ ანალოგიურად, სახელმწიფო გადატრიალების (თანაც, სისხლიანი) გზით მოვიდა ხელისუფლებაში და, რომელმაც ზუსტად იგივე გზა გაიმეორა, რაც სააკაშვილმა რუსეთთან დაპირისპირებით სასტიკ, ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში ჩააბა მოსახლეობა და პროცენტულად თითქმის იმდენივე ტერიტორია დააკარგვინა უკრაინას (13.5 % – 80 000კვ. კმ ყირიმის ნახევარკუნძულის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების სახით), რაც საქართველოს (16.8 % – 11 700 კვ კმ, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით).

აქ საგარეო კურსზე არ მაქვს ლაპარაკი — ტაძრის ნაცვლად ნატოსკენ რომ ჰქონდა აღებული გეზი „ქართულ ოცნებას“, თავიდანვე არ დაუმალავს (რაც, კიდევ ცალკე განსჯის თემაა). აქ სხვა რამ გამოიკვეთა — **კიევის ხუნტის მხარდაჭერით „ქართულმა ოცნებამ“ გასაგებად გვითხრა, რომ ნაცრეჟიმის გამსამართლებელი არ არის, პირიქით — „ნაცების“ მსგავსი რეჟიმების მომხრეა! ხუნტებისა და რეჟიმების მხარდამჭერი ხელისუფლება კი არც ერთი სახელმწიფოს ხალხს არ გამოადგება! ხუნტას ამერიკისა და ევროკავშირის ხათრით უჭერს მხარს თუ შიშით, მნიშვნელობა არ აქვს.**

მაგრამ საკუთარ „ნაცებთან“ და სხვების ხუნტასთან ჩახუტება არ გვაკმარეს ჩვენმა „არჩეულებმა“ და მსოფლიოს დასაცინი გაგვხადეს. **ხელისუფლება თუნდაც იმიტომ არის შესაცვლელი, რომ მინისტრები და პრემიერი იმ ქვეყნებში დადიან (უნგრეთი) ან აპირებენ ჩასვლას ოფიციალური ვიზიტებით (უკრაინა), რომლებშიც თავშეფარებული და დასაქმებულიც (!) ჰყავთ ინტერპოლით ძებნილი, მაგრამ მაინც „მოუხელთებელი“ იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადეიშვილი და პრეზიდენტის მთავარ მრჩევლად ინტერპოლისთვის გადაცემულ, ჩვენს დამაქცევარ ყოფილ პრეზიდენტს — სააკაშვილს ნიშნავენ** *(სხვა წვრილფეხობა „ნაცები“ არცაა მოსატანი)!*

**ამ ვიზიტებით (ახლა, მაიდნის წლისთავზე, ხომ პრეზიდენტიც ეახლება ხუნტას, ოღონდ, – მეგობრული ვიზიტით!) და დამნაშავეთა გადმოცემის მოთხოვნის დაგვიანებით (თვეობით) ხელისუფლება არა მხოლოდ საკუთარ თავმოყვარეობაზე ამბობს უარს, ქართველი ერის, საქართველოს ღირსებას ლახავს!** თუ როგორ, რა გზებითა და ხერხებით უნდა დაიცვას სახელმწიფოს მეთაურმა საკუთარი და ერის ღირსება, ამას დიპლომატიური სკოლის გავლის გარეშეც უნდა ხვდებოდეს ნებისმიერი ადამიანი. როდესაც ხელისუფლება ადეკვატურად არ რეაგირებს და უკრაინასთან ისევ მეგობრობაზე განაგრძობს ლაპარაკს, რომელი სახელმწიფო მოგვეპყრობა პატივისცემით?! პირში თუ არა, ზურგსუკან ყველა დაგვცინებს და, ღირსიც ვიქნებით (ისე, მეგობრობას რაც შეეხება, ყველამ ვიცით, რომ ურთიერთპატივისცემის გარეშე მეგობრობა გამორიცხულია და რომ სახელმწიფოთა შორის მეგობრობაც და სიძულვილიც მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება აომებს ხალხებს ერთმანეთთან, თორემ, აბა, ერებს არაფერი აქვთ გასაყოფი, მით უფრო, მათ, ვისაც საერთო საზღვარი არ აქვთ)!

მარტო ეს ფაქტებიც საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლებას უნდობლობა გამოვუცხადოთ, მაგრამ **ეს, ასე ვთქვათ, ხელისუფლების მხოლოდ მორალური, ზნეობრივი მახასიათებელია, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებს საყდრისის აფეთქების მიმართ დაკავებული მისი ანტიეროვნული პოზიცია და ერთხმად მიღებული სამარცხვინო ანტიდისკრიმინაციული კანონი.**

**გაცილებით საშიში და მორალურთან ერთად ქართველი ერისთვის წარმოუდგენლად დიდი ზიანის მომტანია მიწების გაყიდვა, ანუ, არსებითად, საქართველოს გაყიდვა უცხოელებზე!** თუ სახნავ-სათესი მიწები, წყალი, მდინარეები, ტყეები, საძოვრები და წიაღისეული გაიყიდება (სტრატეგიული ობიექტები, კარგა ხანია, თითქმის სულ გაყიდულია) და ამ ყველაფრის მეპატრონეები თავიანთ გვარ-ჯილაგსაც ჩამოასახლებენ (ხელისუფლების ხელშეწყობით უკვე ხომ ათეულ ათასობით თურქი, ათასობით ჩინელი, ინდოელი, არაბი და აფრიკელია ჩამოსახლებული), უკიდურესად შეჭირვებული ქართველი კაცი კი იძულებული შეიქნება, გუდა-ნაბადი აიკრას და ლუკმაპურისთვის სამშობლოდან გადაიხვეწოს (ბედოვლათი ხელისუფლებების წყალობით უკვე ხომ მილიონ-ნახევარი ქართველია მსოფლიოს მოდებული), რაშიც მას ევროპაც „დაეხმარება“ სავიზო რეჟიმის გამარტივებით, მაშინ აგვიხსნან, რა მოვლენასთან გვექნება საქმე — ეს საქართველოს გაყიდვა და დაქცევა იქნება თუ საქართველოს გამრავლება-გაფურჩქვნა?!



**თუკი ანტიდისკრიმინაციული კანონით ჯერ ზნეობრივი გარყვნა, ხოლო მოგვიანებით ფიზიკური გადაშენებაც გვემუქრება, მიწების უცხოელებზე მიყიდვის კანონით, რომელიც უმიწოდ დარჩენილი სოფლის მოსახლეობის მასობრივად აყრას და სხვა ქვეყნებში იძულებით გადასახლებას გამოიწვევს, ახლო მომავალში ქართველის სახსენებლის გაქრობის ფაქტის წინაშე დავდგებით და ვუძახოთ მერე ქართველებისგან დაცლილ ტერიტორიას საქართველო**

თუკი ანტიდისკრიმინაციული კანონით ჯერ ზნეობრივი გარყვნა, ხოლო მოგვიანებით ფიზიკური გადაშენებაც გვემუქრება, მიწების უცხოელებზე მიყიდვის კანონით, რომელიც უმიწოდ დარჩენილი სოფლის მოსახლეობის მასობრივად აყრას და სხვა ქვეყნებში იძულებით გადასახლებას გამოიწვევს, ახლო მომავალში ქართველის სახსენებლის გაქრობის ფაქტის წინაშე დავდგებით და, ვუძახოთ მერე ქართველებისგან დაცლილ ტერიტორიას საქართველო.

„თუ მიწის ყიდვით არ დავაინტერესეთ უცხოელები, ინვესტიციები არ შემოვა“; „რა მოხდა, იყიდონ უცხოელებმა მიწა, ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ“, — ხშირად გვესმის ტელეეკრანიდან ჩვენი „გონებაგახსნილი“ პოლიტიკოსებისგან თუ ჟურნალისტებისგან. და ასეთ სისულელეს არგუმენტად რომ მოიყვანს, ჩვენი პატრიარქის შეგონებას კი არ გაითვალისწინებს, ის ხელისუფლება გადასარჩევი კი არა, გასაგდებია! ხელისუფლება ისეთი ახლომხედველია (მთლიანობაში, ცხადია, და არა ცალკეული, ერთეული(!) მინისტრები ან დეპუტატები), რომ შორეულს ვინ ჩივის, ახლო მომავალსაც ვერ აფასებს სათანადოდ.

**ვითომ ასეთი ძნელი შესამჩნევია საფრთხე, რომელიც გვემუქრება, როგორც ერსა და როგორც ეროვნულ სახელმწიფოს?! რა თქმა უნდა, არა! მაშინ რატომ განაგრძობს „ოცნების“ ხელისუფლება „ნაცების“ ტრადიციებს მხოლოდ მცირე, კოსმეტიკური ცვლილებებით? არც ესაა ძნელი მისახვედრი. იმიტომ, რომ ყველა უწყება-სამინისტროს ასეთი მითითებები აქვთ მიღებული მათთვის მიჩენილი დასავლელი „მრჩევლებისგან“, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც თავიანთ ქვეყნებში ისეთი კანონები, ისეთი ბარიერები აქვთ მოფიქრებული, რომ უცხოელები, პრაქტიკულად, ვერც კი ყიდულობენ მიწებს. ჩვენსავით მცირემიწიან ზოგიერთ სახელმწიფოში კი საერთოდ აკრძალულია უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა. თუ კარგია ის კანონები, რომლებსაც ჩვენ გვთავაზობენ და გვაძალებენ(!) რომ მივიღოთ, თვითონ რატომ არ იყენებენ საკუთარი ეკონომიკის კიდევ უფრო გასავითარებლად, ზედმეტი მოუვათ და აწყენით?!**

ამ და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზეც პასუხები, დიდი ხანია, ცნობილია უცხოელი მეცნიერების წიგნებიდან, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული მაინც ამერიკელი ავტორის — ჰარვარდისა და პრინსტონის უნივერსიტეტების პროფესორის, **ჯონ პერკინსის,** ორი წიგნია (30-ზე მეტ ენაზე ნათარგმნი): **„ეკონომიკური მკვლელის აღსარება“** და **„ამერიკის იმპერიის საიდუმლო ისტორია** (ეკონომიკური მკვლელები და სიმართლე გლობალური კორუფციის შესახებ)“. ჯონ პერკინსზე ბევრჯერ დაწერილა და დარწმუნებული ვარ, მისი პირველი წიგნი მაინც ექნებათ წაკითხული ხელისუფლებაში თბილად მოკალათებულებს, იგი ქართულადაც არის ნათარგმნი. მაგრამ რად გინდა, თუ დასკვნა არ გამოიტანე?.. მიუხედავად ამისა, ამ წიგნების დედააზრი, ძალიან მოკლედ, ხელისუფლების გასაგონად კიდევ ერთხელ მინდა, გავიმეორო, ეგებ სასწაული მოხდეს, სინდისმა შეაწუხოს და თავში შეუშვას:

**ამერიკას მიზნად აქვს დასახული მსოფლიოზე ბატონობა, რასაც ახორციელებს კიდეც სახელმწიფოების სამხედრო და, უმეტესწილად, ეკონომიკური დამორჩილების გზით, რისთვისაც იყენებს მაღალჩინოსნების მოქრთამვის მეთოდს და კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლებების დახმარებით ატარებს მისთვის სასურველ პოლიტიკას – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხებით ხდება გაჭირვებაში მყოფი სახელმწიფოების დაკაბალება და მოსახლეობის კვლავ სიღატაკეში ჩატოვება. ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ბანკების სესხების გადახდა, პრაქტიკულად, ვერავინ შეძლოს! და როდესაც ველარ იხდის ვალებს, როდესაც პროცენტების გადახდასაც ვერ აუდის, ხელისუფლება იძულებულია, ახალი სესხი აიღოს (გავიხსენოთ ჩვენი ვალი, რომელიც 5-ჯერ, 13.5 მილიარდამდე გაიზარდა 8 წელიწადში (ადვილი დასაანგარიშებელია, რამდენი ათასი ვალი გვაწევს თითოეულ ჩვენგანს) და კიდევ უფრო შემოიჭიროს გლობალისტების ეკონომიკური ყულფი, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა საკუთარ კისერზე! აი, ამ მომენტში ითხოვს მევალე სტრატეგიული ობიექტების, წიაღისეულის, წყლის და ა. შ. გაყიდვას, ითხოვს ქართვე-** ▶

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკას მიზნად აქვს დასახული მსოფლიოზე ბატონობა, რასაც ახორციელებს კიდეც სახელმწიფოების სამხედრო და, უმეტესწილად, ეკონომიკური დამორჩილების გზით, რისთვისაც იყენებს მაღალჩინოსნების მოქრთამვის მეთოდს და კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლებების დახმარებით ატარებს მისთვის სასურველ პოლიტიკას – მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხებით ხდება გაჭირვებაში მყოფი სახელმწიფოების დაკაბალება და მოსახლეობის კვლავ სიღატაკეში ჩატოვება. ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ბანკების სესხების გადახდა, პრაქტიკულად, ვერავინ შეძლოს! და როდესაც ველარ იხდის ვალებს, როდესაც პროცენტების გადახდასაც ვერ აუდის, ხელისუფლება იძულებულია, ახალი სესხი აიღოს.**

**◀ ლი სამხედროების გაგზავნას ნებისმიერ წერტილში და ნაცისტური ხელისუფლებისთვის სოლიდარობის გამოცხადებასაც!**

ვინ უგდებს ყურს ან კათალიკოს-პატრიარქის შეგონებას ქართული მიწის გაყიდვის დაუშვებლობის თაობაზე, ან ქართველი კაცი ვის ახსოვს? **მთავარია, თურქი, ინდოელი, ჩინელი, არაბი, ებრაელი და სხვა გადამთიელი ჰყავდეთ კმაყოფილი და... ამერიკის ელჩმა არ დატუქსოს კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურის პირით!**

როგორ გგონიათ, მიწების გაყიდვის უაზრობა მხოლოდ ჩვენ გვესმის და ჩვენ „რჩეულებს" კი – არა?! ყველას ყველაფერი შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული და ამერიკის შორსმიმავალი გეგმების თაობაზეც სხვაზე არანაკლებად იციან, მაგრამ გარედან მიღებული მითითებების შეუსრულებლობას და შიგნიდან არასამთავროების მიერ ატეხილ ყაყანს (ზემოთ დასახელებული სამეულის თავკაცობით) ყველაფერი ურჩევნიათ — **მანქურთები მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ. მთავარი მიზეზი არის ის, რომ ეშინიათ, ქვეყნის ინტერესების დაცვას და ამით გამოწვეულ დაპირისპირებას დასავლეთთან სავარძლების დაკარგვა არ მოჰყვეს** — ისინი ვერაფრით შეელევიან თანამდებობით მინიჭებულ პრივილეგიებს: მაღალ ხელფასებს თავისი პრემია-დანამატებით, უცხოეთში რეგულარულად გასეირნებას (ვიზიტებს რომ ეძახიან) და, რაც მთავარია, ვერ შეელევიან დიდი ფულის გაკეთების შესაძლებლობას! კარგადაა ცნობილი, რომ დეპუტატს მხოლოდ სხვადასხვა კომპანიის პროტექციონიზმითა და წილებში ჩაჯდომით (ტენდერებით, აშკარა მფარველობით თუ ფარული შეწერებით) შეუძლია მილიონების დაგროვება! ასე რომ არ იყოს და მათაც ისეთივე ანაზღაურება ან შესაძლებლობა ჰქონდეთ, როგორიც დანარჩენ, თუნდაც განათლებულ მოსახლეობას (უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერ მუშაკებს, ექიმებს) და მომავალშიც 150-ლარიანი (და არა ათჯერ დიდი!) პენსია ელოდებოდეთ, მერწმუნეთ, არაფრად ჩააგდებდნენ არასამთავრობოებსაც და დასავლეთის „მეგობრულ" რჩევებსაც!

პარლამენტის იმედი რომ გვქონდეს, ყურსაც არ შეიბერტყავდა კაცი ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ მომზადებულ მიწის კანონპროექტზე, რომელიც გასული წლის მიწურულს შევიდა პარლამენტში, მაგრამ რა ვაჟკაცები გვყავს საკანონმდებლო ორგანოში, ანტიდისკრიმინაციული კანონის კენჭისყრისას გამოჩნდა!

**მოქრთამული (გნებავთ, უხვად დაფინანსებული) პოლიტიკოსების, ექსპერტების, არასამთავრობოებისა და ჟურნალისტების ენით ხდება მოსახლეობის მიზანმიმართული დამუშავება, რაც გამოიხატება დეზინფორმაციის მიწოდების ფონზე მოვლენების (უპირველესად, პოლიტიკურის, შემდეგ კი – რელიგიურის, კულტურულის და ა.შ.) ცალმხრივად გაშუქებაში, რასაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ტვინების გამორეცხვა უწოდეს.** ყველა ტელეარხიდან („ობიექტივის" გამოკლებით) ყოველდღიურ რეჟიმში ნიაღვარივით წამოსულ დეზინფორმაციას ვერავინ არიდებს თავს, მისი გავლენის ქვეშ ექცევა, პრაქტიკულად, ყველა – გაუნათლებელიც და განათლებულიც და ამიტომ უადვილდება ხელისუფლებას ჩვენი მართვა, ჩვენ კი ძალიან გვიძნელდება, გავერკვეთ, სად არის ტყუილი და სად – მართალი, ვინ ვინ არის სინამდვილეში, საქართველოზე მაფიქრალი ჭეშმარიტი მამულიშვილია თუ სულგაყიდული. სწორედ ამის გამოა, რომ არაფერი იცვლება და არჩევნებიდან არჩევნებამდე მუდამ „სანიმუშო" ხელისუფლება გვყავს.

ჩვენს ზომბირებაზე მეტყველებს ის, რომ დამნაშავე „ნაცების" უკრაინის მთავრობაში დანიშვნას არ მოჰყვა მძაფრი რეაქცია ქართველი საზოგადოების მხრიდან; მეტყველებს ისიც, რომ უკრაინაში მებრძოლ ქართველებს ჰგონიათ, საქართველოსთვის იბრძვიან და ვერ გაუგიათ, რომ სააკაშვილისნაირ რეჟიმს, პოროშენკო-ვალცმანის, იაცენიუკის, გროისმანისა და კოლომოისკის რეჟიმისთვის სწირავენ თავს! მაგრამ **ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენზე მეტად უკრაინელ ხალხს ექნებოდა გამორეცხილი ტვინი — როდესაც კორუფცირებული იანუკოვიჩით გამოწვეული მათი უკმაყოფილება გარკვეულმა ძალებმა ოსტატურად გადაზარდეს უკრაინელ რუსებთან (საბოლოო ჯამში კი, რუსეთთან) დაპირისპირებაში და დაუნდობელ, დამღუპველ ძმათამკვლელ ომში ჩააბეს; ესეც არ აკმარეს უკრაინელებს, მათ ღირსებაც არნახულად შეულახეს, როდესაც თავზე დაასვეს უცხოელებისგან, თანაც მეგობარ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და ძებნაში მყოფი პირებისგან შემდგარი მთავრობა, თითქოს, 45-მილიონიან უკრაინაში ორი ათეული პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანი არ მოიძებნა! ასეთი თავისმომჭრელი პრეცენდენტი ისტორიას არ ახსოვს!**






**პრობლემას დიდწილად გადაჭრის საარჩევნო კოდექსის შეცვლა (რაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა იქნას მიღწეული!) და ხალხის დარაზმვა ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და მართალი ინფორმაციის მიწოდების გზით. სწორედ მართალი ინფორმაციის ეშინიათ მათ, ვინც დღეს რუსეთის ტელეგადაცემების აკრძალვას ითხოვენ, ვინც ადრე რუსული სიმღერები აკრძალეს და პუშკინის ძეგლის აღებასაც ითხოვდნენ!**

ამ დიდი ხარვეზის, ანუ ჩვენი გზააბნეულობის, თუნდაც ნაწილობრივ გამოსასწორებლად და იმაში გასარკვევად, ვინ ვის ემსახურება, აუცილებელია მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, რისთვისაც ხელისუფლებას, ნაცვლად ჩვენი გადამისამართებისა ინტერნეტსაიტებზე, მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება უნდა მოვთხოვოთ. **პარლამენტში ასარჩევ თითოეულ კანდიდატს კი საკვანძო საკითხებზე პოზიციის ღიად და გარკვევით გამოხატვა უნდა მოეთხოვოს.**

აი, რა ფაქტების ცოდნაა, უპირველესად, აუცილებელი (ბევრი მათგანი უცნობია, ზოგიც — დასაზუსტებელი):

**1. რამდენი არასამთავრობო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელი ორგანიზაციები ფინანსდებიან უცხოეთიდან და რა თანხით;**

**2. რამდენი უცხოელი მრჩეველი იყო 2004-2012 წლებში საქართველოში (უწყებების, სამინისტროების მიხედვით) და რამდენია დღეს; ვინ უხდის მათ ხელფასს (თუ — ჩვენ, მაშინ – რამდენს);**

**3. რამდენი დოლარია გადმორიცხული საქართველოს მოქალაქეებზე უცხოეთიდან (სახელმწიფოების მიხედვით) 2004-2014 წლებში;**

**4. რამდენი დოლარია პენსია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ასაკის, დამსახურების და სტაჟის მიხედვით) და ჩვენთან;**

**5. რამდენია საარსებო მინიმუმი ამერიკა-ევროპის სახელმწიფოებში და რას მოიცავს იგი (რომელ პროდუქტებს და რა ოდენობით? საკვები პროდუქტების გარდა რას შეიცავს სხვას); იგივე მონაცემები საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში და ჩვენთან;**

**6. როგორია უმუშევრობის დონე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და ჩვენთან (ერთნაირი მეთოდით დაანგარიშებული, და არა ისე, როგორც ჩვენთანაა, როცა სოფელში მცხოვრები ყველა გლეხი დასაქმებულადაა ჩათვლილი);**

**7. რამდენი ციხის თანამშრომელი, პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, დეპუტატი და სხვა სახელმწიფო მოხელე, რომლებზედაც საჩივარია (საჩივრები!) შესული პროკურატურაში, განაგრძობს მუშაობას საჯარო სამსახურში (იმავე ან სხვა თანამდებობაზე);**

**8. დეპუტატებიდან ვინ დაუჭირა მხარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გათანაბრებას სხვა ეკლესიებთან და რელიგიურ მიმდინარეობებთან? ვინ მისცა ხმა ანტიდისკრიმინაციულ კანონს და მიწის კანონზე მორატორიუმის გაუქმებას;**

**9. რამდენი ადამიანი იქნა მსჯავრდებული საქართველოში 2004-2012 წლებში (წლების მიხედვით); რამდენთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენს წაართვეს ძალით ქონება, გადააფორმებინეს (აჩუქებინეს) და რამდენს — საცხოვრებელი სახლი, აგარაკი, ბიზნესი, მანქანა და ა. შ.; რამდენს დაუბრუნდა წართმეული ქონება სრულად ან მიეცა კომპენსაცია.**

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორი არჩევანის გასაკეთებლად აუცილებელია, დაწვრილებით ვიცოდეთ, თუ ვინ ვინ არის, ვინ დგას დეპუტატობის კანდიდატის უკან (რომელი სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაცია, პარტია). მათ მიერ სულ რამდენიმე კითხვაზე გაცემული პასუხი, წარმოდგენას შეგვიქმნის თითოეული კანდიდატის შრომით წარსულზე, ზნეობრივ სახეზე და პოლიტიკურ პოზიციაზეც.

ეს კითხვებია:

**1. სად მიიღო განათლება და რა სპეციალობით? სად მუშაობდა და რა თანამდებობებზე;**

**2. რომელი პარტიის წევრია და იყო თუ არა წარსულში სხვა პარტიის (პარტიების) წევრი;**

**3. მხარს უჭერს თუ არა ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას;**

**4. მხარს უჭერს თუ არა ისეთი მიწის კანონის მიღებას (და არსებულის გაუქმებას), რომელიც მაქსიმალურად შეზღუდავს სახნავ-სათესი მიწების, საძოვრების, წყლების, მდინარეების, ტყეებისა და წიაღისეულის უცხოელებზე გაყიდვას, რაც ხელს შეუწყობს ქართველი კაცის მიწაზე დამაგრებას, დაიცავს სოფელს და მთლიანად საქართველოს დაცლისგან;**

**5. მხარს უჭერს თუ არა ამერიკის ფულით მოწყობილი მაიდნით, ანუ სამხედრო გადატრიალების გზით მოსულ, ძებნილი სააკაშვილ-ადეიშვილით და სხვა „ნაცებით" გავსებულ უკრაინის მთავრობას, რომლის დაკომპლექტებაში(!) აქტიურად მონაწილეობდა ახლახან ჩვენთან ვიზიტად მყოფი სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ქალბატონი ნულანდი (აგრეთვე, უკრაინაში ამერიკის ელჩი პაიეტი). პასუხი: „მე მხარს ვუჭერ უკრაინას, ან უკრაინელ ხალხს", არ მიიღება!**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორ გინდა, არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში დაამარცხო „ნაცმოძრაობის", რესპუბლიკელების და თავისუფალი დემოკრატების, ანუ სააკაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას ერთობლივი ძალა, როცა ადმინისტრაციული რესურსების 80-90 %, ცენტრშიც და ადგილებზეც, ამათ ხელშია; როცა უსაზღვრო ფინანსური შესაძლებლობაც აქვთ და მედიასაც, ერთი „ობიექტივისა" და რამდენიმე გაზეთის გამოკლებით, ისინი განაგებენ; როცა გარედან დასავლეთის (უპირველესად, ამერიკის) აშკარა პოლიტიკური მხარდაჭერა აქვთ და შიგნით კიდევ ამ დასავლეთის დაფინანსებული არასამთავრობოები უმაგრებენ ზურგს; როცა მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი დეზინფორმირებულია (განსაკუთრებით, რაიონებში და, განსაკუთრებით, აზერბაიჯანელებით და სომხებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ყველაფერს ენობრივი ბარიერი – ქართული ენის უცოდინარობაც ემატება); და, როცა ამ ხელის შემშლელი მიზეზების „ბუკეტს" აგვირგვინებს პრეზიდენტ მარგველაშვილის საჯაროდ გაცხადებული მეგობრობა ამ ძალების ლიდერებთან?!

როგორ გინდა, ასეთ უთანასწორო ბრძოლაში გაიმარჯვო? ეს ხომ წარმოუდგენელია, თითქმის შეუძლებელი. მაშ, რა ვქნათ, ხელები ჩამოვუშვათ თუ ტყუილ დაპირებებში შევეჯიბროთ მათ? რა თქმა უნდა, არა! მაშ, რა ვილონოთ, რა მოვიმოქმედოთ? **პრობლემას დიდწილად გადაჭრის საარჩევნო კოდექსის შეცვლა (რაც ყოველ მიზეზგარეშე უნდა იქნას მიღწეული!) და ხალხის დარაზმვა ახსნა-განმარტებითი მუშაობისა და მართალი ინფორმაციის მიწოდების გზით. სწორედ მართალი ინფორმაციის ეშინიათ მათ, ვინც დღეს რუსეთის ტელეგადაცემების აკრძალვას ითხოვენ, ვინც ადრე რუსული სიმღერები აკრძალეს და პუშკინის ძეგლის აღებასაც ითხოვდნენ!**

თუ მოვახერხებთ ისეთი ფაქტების მიწოდებას, რომლებიც საქართველოს მასშტაბით(!) თვალს აუხელს ამომრჩეველს, ადამიანების უმეტესობა თვითონ გამოიტანს საჭირო დასკვნას — ვის, რა კატეგორიისა და რომელი პარტიის წევრებს დაუჭიროს მხარი.

**იაკობ ლეჟავა**

**მთავარია, თურქი, ინდოელი, ჩინელი, არაბი, ებრაელი და სხვა გადამთიელი ჰყავდეთ კმაყოფილი და... ამერიკის ელჩმა არ დატუქსოს კოჟორიძე-ლომჯარია-გიგაურის პირით!**

უცხო თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აშშ-ისა და ევროპის მიერ სურვილის უქონლობა, წინასწარ განსაზღვრონ რუსეთის საპასუხო რეაქცია, არის სისულელისა და გაუაზრებულობის გვირგვინი... მათთვის საკმარისი უნდა იყოს თუნდაც იმის გახსენება, როგორ პოლიტიკას განახორციელებს აშშ დასავლეთ ნახევარსფეროს უმეტეს ნაწილში“.**

# ის, რასაც ქართული პრესა არ აქვეყნებს

# რას წერს დასავლური მედია ვლადიმერ პუტინზე

**საქართველოს საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით, მისი უმრავლესობა, რომელიც ტელეაუდიტორიად ითვლება და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის წყაროს ტელეეკრანის მეშვეობით ეწაფება, ძნელად წარმოიდგენს, რომ დასავლეთის პრესა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მაინცდამაინც ჩვენთან დამკვიდრებული კლიშეს მიხედვით არ ხატავს. ვითარებაა ასეთი საქართველოში, რეალობა, რომელიც ამ შტამპის არსებობის საფუძველს ქმნის და ამყარებს. ჯერჯერობით მაინც.**

**დასავლეთის თავისუფალი პრესა კი ფობიის არტახებით შექმნილ დისკომფორტს მაინცდამაინც არ გრძნობს და განსხვავებული კუთხით პრობლემის შეფასებას არ ერიდება, მიუხედავად იმისა, რომ მისეული ინტერპრეტაცია შეიძლება აცდენილი იყოს ოფიციალური პოლიტიკის ვექტორს!**



## რა ისწავლა პუტინმა რეიგანისგან

**FOREIGTN POLICY (აშშ)** აქვეყნებს წერილს **„რა ისწავლა პუტინმა რეიგანისგან“.** პუტინმა რეიგანისგან? მოულოდნელია, არა? რა თქმა უნდა, მოულოდნელია. ასევე მოულოდნელია ის ჟურნალისტური ხერხი, რომელიც ავტორმა **სტივენ უოლტმა** პუბლიკაციის დასაწყისშივე გამოიყენა და დაგვარწმუნა, რომ მოულოდნელობა შეიძლება თვალის ახელვასავით იყოს, გასაღები „მოულოდნელი სიმართლის“ აღმოსაჩენად.

„იყო და არა იყო რა, — **ასე ზღაპარივით იწყება წერილი,** — იყო დიდი სახელმწიფო, რომელსაც ფრიად აშფოთებდა ძველი მოწინააღმდეგის მცდელობა, შეესუსტებინა მისი ძლიერება. იქაური ლიდერები ფიქრობდნენ, რომ მოწინააღმდეგე მასზე ძლიერია და ცდილობს მსოფლიოზე გავლენის მოხდენას. ასეც იყო, ეს ძველი მეტოქე მართლაც ერეოდა იმ ქვეყნების საქმეებში, რომლებიც ამ სახელმწიფოს საკუთარ ბოსტნად მიაჩნდა. ტრადიციული გავლენის სფეროს შესანარჩუნებლად მას საეჭვო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული მეზობელ ქვეყნებთან, რომელთაც მართავდნენ უზნეო და დაუნდობელი ოლიგარქები. ისინი ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ ძლიერი მეზობლის ახირებათა პირფერული აღსრულებით.

მაგრამ ერთ-ერთ ასეთ ვასალურ სახელმწიფოში მოულოდნელად აჯანყდა ხალხი, რომელმაც გადააგდო კორუფცირებული ხელმძღვანელი და განდევნა ქვეყნიდან. აჯანყების ლიდერებს ძალიან უნდოდათ, ურთიერთობა დაემყარებინათ დიდი სახელმწიფოს შორეულ მოწინააღმდეგესთან, რადგან აღფრთოვანებული იყვნენ მისი იდეოლოგიით, ამასთანავე, სურდათ, რაც შეიძლება მეტად დაშორებოდნენ მეზობელს, რომელიც ოდითგანვე ბატონობდა ბევრად უფრო სუსტ მათ ქვეყანაზე.

ამის საპასუხოდ ძლიერი სახელმწიფოს შეშფოთებულმა ხელმძღვანელმა უბრძანა თავის მთავრობას, შეეიარაღებინა უწინ მისდამი დამოკიდებული ქვეყნის აჯანყებულები, რათა ახალ მთავრობას არ შეეცვალა ორიენტირები და გარკვეული დროის შემდეგ ძალაუფლება წაერთმია ამ ხელისუფლებისთვის“.

ნაცნობი სურათია? — კითხულობს ავტორი, თქვენ დარწმუნებით უპასუხებთ, რომ, რა თქმა უნდა, ნაცნობი სურათია. მაგრამ აღმოჩნდება, რომ ცდებით: **„ამ ისტორიაში დიდი სახელმწიფო რუსეთი, მისი ანგარიშიანი ხელმძღვანელი პუტინი არ არის, არც უკრაინაა, მისი სუსტი მეზობელი. ძლიერი სახელმწიფო არის აშშ და მისი ხელმძღვანელი რეიგანი, ხოლო უიღბლო მეზობელი — ნიკარაგუა“.**

გაშიფრული ეს არაკი რეალობაში ასე წარმოგვიდგება: სანდინისტურმა მოძრაობამ ნიკარაგუაში ის-ის იყო დაამხო პროამერიკელი დიქტატორი ანასტასიო სომოსა დებაილე და დაიწყო ურთიერთობის დამყარება კუბასთან. პასუხად რეიგანის ადმინისტრაციამ შეაიარაღა და მხარი დაუჭირა სანდინისტების მოწინააღმდეგე კონტრასს.

შედეგად — სამოქალაქო ომი, რომელსაც 35 ათასი ნიკარაგუელის სიცოცხლე შეეწირა.

პარალელები ყოველთვის ზუსტი არ არის, მაგრამ აშშ-ნიკარაგუასა და რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ისტორიებს ერთი რამ აქვს საერთო და უტყუარად მსგავსი: **დიდი სახელმწიფოები ყოველთვის მგრძნობიერად რეაგირებენ თავიანთ საზღვრებთან სიტუაციის ნებისმიერ შეცვლაზე და, როგორც წესი, მზად არიან, დაიცვან (რადაც უნდა დაუჯდეთ) თავიანთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები.**

**ერის ლიდერი ნათელი გონებით, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა აკეთოს, სასოწარკვეთილებაში აგდებს მათ. გადააქციონ მსოფლიო ნავთობის ან სილიკონის ქვიშად, რომელიც შემდგარი იქნება ზომბი-მოქალაქეებისგან, უზარმაზარ მაღაზიებში ვირთხებივით რომ დაშლიგინებენ — აი, მიზანი იმ არამზადების, რომლებიც მას (მსოფლიოს) აკონტროლებენ. მაგრამ ეს პუტინს არ ეხება. იგი სრულად აღიქვამს თავის მიწა-წყალს, მემკვიდრეობას. იგი ზუსტად აფასებს ასეთი მსოფლიოს თაღლითობას და პირშეკრულობას**

ანალიტიკოსები და მათ შორის განსახილველი პუბლიკაციის ავტორი, მიიჩნევენ, რომ **დასავლეთის მიერ სწორედ ამ მომენტის შეუფასებლობა არის უკრაინის კრიზისის წარმოქმნისა და მისი დარეგულირების სირთულის მიზეზი მიზეზთაგანი.**

ამ წერილის ავტორს პრორუსობას ვერ დასწამებ. იგი პირდაპირ ამბობს, რომ **„ის, რაც უკრაინაში ხდება, ტრაგედიაა, ხოლო პუტინისა და რუსეთის მოქმედება გაკიცხვის ღირსია“.**

ასეთია მისი დამოკიდებულება მთავარი ფიგურანტისადმი, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, დარწმუნებით განაცხადოს, რომ **„აშშ-ისა და ევროპის მიერ სურვილის უქონლობა, წინასწარ განსაზღვრონ რუსეთის საპასუხო რეაქცია, არის სისულელისა და გაუაზრებულობის გვირგვინი... მათთვის საკმარისი უნდა იყოს თუნდაც იმის გახსენება, როგორ პოლიტიკას განახორციელებს აშშ დასავლეთ ნახევარსფეროს უმეტეს ნაწილში“.**

ამერიკელმა ხელმძღვანელებმა პატარა, ღარიბ და სუსტ ნიკარაგუაში სერიოზული სტრატეგიული საშიშროება დაინახეს. რეიგანმა პირდაპირ განაცხადა, რომ, თუ სანდინისტებს არ დაამხობენ, ტერორისტები და დივერსანტები „ორიოდ დღეში“ შეძლებენ ჰარლინგტონამდე ტეხასში შეჭრას.

მოინდომეს და დაინახეს, რადგან ამით შეიძლებოდა მათი სტრატეგიის გამართლება.

მსგავსი რამ ხდება დღესაც.

**ამერიკელი ქორები ცდილობენ, დაარწმუნონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, რომ ნატოს აღმოსავლეთით განვრცობა არ არის მტრული აქტი და რომ კიევისთვის გაწეული დახმარება (მათ შორის, „თავდაცვითი შეიარაღებით“) გამორიცხავს რაიმე საშიშროებას რუსეთისთვის.** მათი თვალსაზრისით, პუტინს ან რაღაც ეშლება, ან ფარისევლობს, როცა უცხოეთიდან მოსალოდნელ საშიშროებაზე იწყებს ლაპარაკს, ან, ეგებ, ეშინია კიდეც, რომ უკრაინა აყვავდება და „ამ ფონზე მისი ძალაუფლება საზიზღარი გამოჩნდება“.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამენ ამასთან დაკავშირებით დასავლეთის ექსპერტები. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ამბობენ ისინი, რომ ჩვენ კეთილშობილური განზრახვა გვამოძრავებს და რომ ნატოს და ევროკავშირის გაფართოება არავითარ რეალურ საშიშროებას არ შეიცავს, არამედ ის, რომ რუსეთის ლიდერები საფრთხეს სწორედ ამაში ხედავენ და შეშფოთებული არიან იმის გამო, თუ რა მომავალი ელის მათ ქვეყანას: „თუ პუტინი და კომპანია ამ ჭრილში უყურებენ მოვლენებს (სხვაგვარი შეფასების საფუძველი კი არ გვაქვს), მაშასადამე, ისინი მზად არიან, დიდი საფასურიც გაიღონ ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად“.

**თუ აშშ-ის პრეზიდენტი რეიგანი იმდენად დააფრთხო უძალო სანდინისტების პატარა გუნდმა, რომ გადაწყვიტა, მოეწყო და მხარი დაეჭირა მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო ომისთვის, რატომ არ უნდა შეშფოთებულიყო პუტინი და რუსეთი იმით, რომ მათი კარის მეზობელი ქვეყანა, 45-მილიონიანი უკრაინა, ემზადებოდა ორიენტირების შესაცვლელად და კარს უღებდა უძლიერეს სამხედრო ალიანსს — ნატოს — რუსეთის ზღურბლზე ფეხის მოსაკიდებლად?!**

ამ პოზიციის საწინააღმდეგო მოსაზრება განსახილველ პუბლიკაციაში იმდენად ცინიკურ სტილშია გადაწყვეტილი, რომ დამატებით არგუმენტებს არ საჭიროებს: **„თქვენ შეგიძლიათ, შეგვეკამათოთ,** — მიმართავს თანამემამულეებს ავტორი, — **ჩვენ ხომ კარგი ბიჭები ვართ ორსავე ამ შემთხვევაში. სანდინისტები, ეშმაკმა დალახვროს, კომუნისტები იყვნენ, ისინი გაურიგდნენ ფიდელ კასტროს და მოსკოვურ „ბოროტების იმპერიას“. მათთან შედარებით პოროშენკო, იაცენიუკი და კიეველი რეფორმატორები თავისუფლების მოყვარე და საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირებული დემოკრატები არიან,** რომლებსაც გულმხურვალედ სურთ, აღმოფხვრან კორუფცია, ხელფეხს რომ უბორკავს უკრაინას დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდანვე. **ის, რაც ნიკარაგუაში გავაკეთეთ, შესანიშნავი, კეთილშობილური და აუცილებლად გასაკეთებელი იყო. ზუსტად ასეთივეა ჩვენი პოლიტიკა უკრაინის მიმართ.** ხოლო ის, რასაც პუტინი იქმს, არაადამიანური ბანდიტიზმია. უფრო მეტიც, მისი ასეთი ქმედება საფრთხეს უქმნის იდეას, რომ ევროპაში საზღვრების ძალადობრივი შეცვლა შეუძლებელია“.

ვითომ არ ყოფილა ბალკანეთის ომი, არ ყოფილა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და სამხრეთკავკასიური პრობლემები.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ზემოთ თქმულიდან?

პუბლიკაციის რეზიუმე ასეთია: **პუტინის „მოქმედება დიდად არ განსხვავდება რეიგანის ტიპის ჩვენგან პატივდებული ხელმძღვანელების ქმედებისგან, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, როცა გრძნობდნენ, რომ ფსონი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინტერესებზეა დადებული“.**

დაბოლოს: „უკრაინის თავსატეხის ხანგრძლივვადიანი გადაწყვეტილების მოსაძებნად მორალის ნაკლები ქადაგება და უფრო მეტი სტრატეგიული აზროვნებაა საჭირო. უნდა დავიწყოთ იმის ობიექტური გაანალიზებით, თუ რა ამოძრავებს მოსკოვს. **მე არ ვარ პუტინისადმი სიმპათიით განწყობილი ადამიანი, არც მისი პოლიტიკა და რეჟიმი მომწონს, მაგრამ იმის გასიგრძეგანება, რომ მის ქმედებაში უჩვეულო არაფერია, მხოლოდ წაადგება ჩვენს ძალისხმევას**“.

ეს ავტორი დისტანცირებულია რუსეთის ხელმძღვანელისგან, მაგრამ არიან მისგან რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე მდგარი პუბლიცისტებიც. მაგალითი იხილეთ ქვემოთ!

## პუტინი აუტანელია...

**ეს წერილი ფრანგულ გაზეთ „ლიბერასიონში“ გამოაქვეყნა ჟურნალისტმა ნიკოლა ბონელმა.**

**„იგი მეტისმეტად ვაჟკაცურია და ძლიერი, მეტისმეტად დარწმუნებულია თავის თავში. რუსეთი შეჰღაღადებს, რომ მისი თაყვანისმცემელია, ჩვენ კი, სამწუხაროდ, ამას ვერაფერს ვუპირისპირებთ... დასავლეთს ისე არავინ ანერვიულებს, როგორც პუტინი, ადამიანი, რომელმაც შეინარჩუნა ჩვენი ჟანგმო-**

▶

## „ევროპა უკვე ორჯერ გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ — 1912 წელს და 1941 წელს. რით დამთავრდა ეს ყველაფერი, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი! ნუთუ არ შეგვიძლია, რომ ცოტა ხანს მაინც მშვიდობიანად ვიცხოვროთ რუსეთთან ერთად?! შევქმნათ ევროპა, ნაცვლად იმისა, რომ გადავაიარაღოთ იგი რუსეთის წინააღმდეგ?!“

უცხო თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀დებული საზოგადოებისთვის აუტანელი ვაჟკაცობა, საზოგადოებისა, რომელმაც, როგორც იქნა, შეიგნო, რომ იგი უკვე აღარ უპასუხებს ყველას ინტერესებს.**

რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ათლეტია — საბრძოლო ხელოვნების, სროლისა და ნადირობის ოსტატი, ჩვენი საზოგადოების გემოვნება კი დაციკლულია მორბენალ იდიოტებზე, გოლფისტებზე, მოტო-თხილამურებით მოსრიალეებზე, რომლებსაც არ მოსწონთ პუტინის ტიპის ადამიანები. რუსეთის მეთაური პატრიოტია, რომელიც აზროვნებს ისტორიულად, სტრატეგიულად, როგორც მეფეთა და სსრკ-ის მემკვიდრე. ასეთი ადამიანი მათ აცოფებთ. **ერის ლიდერი ნათელი გონებით, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა აკეთოს, სასოწარკვეთილებაში აგდებს მათ. გადააქციონ მსოფლიო ნავთობის ან სილიკონის ქვიშად, რომელიც შემდგარი იქნება ზომბი-მოქალაქეებისგან, უზარმაზარ მაღაზიებში ვირთხებივით რომ დაშლიგინებენ — აი, მიზანი იმ არამზადების, რომლებიც მას (მსოფლიოს) აკონტროლებენ.**

**მაგრამ ეს პუტინს არ ეხება. იგი სრულად აღიქვამს თავის მიწა-წყალს, მემკვიდრეობას. იგი ზუსტად აფასებს ასეთი მსოფლიოს თაღლითობას და პირშეკრულობას.**

**ანტირუსული გაცოფება აუტანელი ხდება. დასავლეთი „ბრავოს“ შესძახებდა ელცინს, რომელიც ანგრევდა თავის ქვეყანას, აღატაკებდა მოსახლეობას და შოკური თერაპიით სპობდა 20 მილიონ ადამიანს (ასეთია მისი მმართველობის დემოგრაფიული შედეგი), განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ალკოჰოლიკი საკუთარი პარლამენტის წინააღმდეგ ჯარსა და ტანკებს აგზავნიდა. დასავლეთი ამას ნამდვილ დემოკრატიად მიიჩნევდა. კარგი რუსები მხოლოდ მკვდარი რუსები არიან! რისი გაკეთებაც ვერ შეძლო ჰიტლერმა, ელცინი და გოლდმან-საკსის შოკური თერაპია აპირებდა. სუსტი რუსეთის პირობებში ისინი (დასავლეთელები) ყველაფერს გაინაწილებდნენ, პუტინმა კი ამის საშუალება არ მისცა.**

დასავლეთი საყვედურობს პუტინს, რომ იგი დიდხანს რჩება ხელისუფლების სათავეში, მაგრამ არავის სიტყვა არ დასცდენია მიტერანის, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, მიმართ, რომელიც 14 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას; საყვედური არ უკადრებიათ არც ფრანკლინ დელანო რუზველტისთვის — აშშ პრეზიდენტისთვის, არც კლინტონის ცოლისთვის, რომელმაც შერცხვენილი ქმრის კვალზე პრეზიდენტობა მოისურვა, არც ქალბატონ კირშნერისთვის, რომელსაც თავისი ქმრის პოსტის ხელში ჩაგდება მოუნდა.

**რის გამო საყვედურობენ პუტინს? პირველი — მისი აუტანელი ვაჟკაცობისთვის, მეორე კი — უკიდეგანო რუსული განსაკუთრებულობის გამო, რომელზეც დოსტოევსკი წერდა. ანტირუსული სიძულვილი უძველესი და სულელური სიძულვილია, განსაკუთრებით, საფრანგეთში.** არადა, როგორც ომამდე ამბობდა ანრი დე კერილისი, „საფრანგეთს ყოველთვის სარგებელი ჰქონდა რუსეთთან კავშირის დროს, ასევე, ვეიმარის გერმანიას, რომელიც გადაიარაღდა და თავისი ჯარები გაწვრთნა რუსეთის მეშვეობით. ჰიტლერსაც კი — მანამდე, სანამ ხაკისფერხალათიანებს გააგზავნიდა ოქროსთმიანი სლავებისთვის თავების მოსაკვეთად და მათ დასამონებლად. რუსეთს სურს მშვიდობა, დასავლეთს კი მუდამ ომი სწყურია“.

ევროპა უკვე ორჯერ გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ — 1912 წელს და 1941 წელს. რით დამთავრდა ეს ყველაფერი, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი! ნუთუ არ შეგვიძლია, რომ ცოტა ხანს მაინც მშვიდობიანად ვიცხოვროთ რუსეთთან ერთად?! შევქმნათ ევროპა, ნაცვლად იმისა, რომ გადავაიარაღოთ იგი რუსეთის წინააღმდეგ?!

**დღეს პუტინი ერთადერთი ხელისუფალია, რომელიც დე გოლივით აზროვნებს და სწორედ ამას საყვედურობენ რუსეთის ლიდერს“.**

# უკრაინის მოქალაქეების საზღვარგარეთ დეპორტაცია უკრაინის კონსტიტუციითაა აკრძალული, მაგრამ, ჯერ ერთი, ქვეყნის მთავარი კანონი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა, მეორე, როგორ უნდა გადაილახოს ეს სამართლებრივი დაბრკოლება, მიშა ასნავლით, სააკაშვილი (რომელიც მრჩეველთა-მრჩევლად დაისვა უკრაინის პრეზიდენტმა), საქართველოში განხორციელებული რეფორმატორული გარდაქმნების შემოქმედი. თავისუფალი სიტყვისთვის «ქანჩების მოჭერის» მელაძუა ოსტატი

## ოლიგარქები დარჩნენ, ოღონდ – სხვები

**გასულ კვირაში უკრაინამ მაიდნის წლისთავი აღნიშნა — სისხლით მოსვრილი წელიწადი პირველი.**

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელზეც სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ უკრაინელი ექსპერტები, რეალური ვითარებიდან გამომდინარეობს: **დონბასის სამხედრო ოპერაცია არის მცდელობა საკუთრებისთვის მიმდინარე ომის გადასაფარად. და თუ კონფლიქტის ცხელი ფაზა მინსკის შეთანხმებათა საფუძველზე, ასე თუ ისე, დროებით მაინც მოგვარდა, ოლიგარქთაშორისი ომი, რომელიც უკრაინაში მთავარია, ძალას იკრებს და უფრო ჩაღდება.** მთავარი ფრონტი, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, დამხობილი პრეზიდენტის — იანუკოვიჩისა და მისი გარემოცვის აქტივების განაწილება, „სეპარატიზმის მომხრეთა“ ქონების კონფისკაცია, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრების, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დარგებიდან დარჩენილი მსუყე ლუკმების მითვისებაა.

პერსპექტივა დამთრგუნველია, რადგან ამ ომმა შეიძლება ძირი გამოაცალოს ნებისმიერ სამშვიდობო შეთანხმებას და ქვეყანა უფრო სისხლიან შეტაკებათა მორევში ჩაითრიოს. სრულად გაკოტრდა დონბასის ინდუსტრიული კავშირის ხელმძღვანელი, დონეცკის ოლქის ყოფილი გუბერნატორი **ს. ტარუტა.** ერთ დროს უკრაინის უმდიდრეს ადამიანს — **რინატ ახმეტოვს** რეალურად მოქმედი მხოლოდ ერთი, მარიუპოლის მეტალურგიული კომბინატიღა შერჩა და ისიც, — ალბათ, დღე-დღეზე გაჩერდება. ახმეტოვის იმპერია კრივოი როგის კომბინატიდან რკინის მადნის ექსპორტის იმედადღაა. უკრაინის მიერ რუსეთის ნახშირწყალბადის ევროპაში სატრანზიტო სტატუსის დაკარგვა მილიარდერ **დ. ფირტაშს** უფუნქციოდ ტოვებს. მილიონერ **ვიქტორ პინჩუკის** „ინტერპაიპს“ საერთაშორისო ბანკების 1,3 მილიარდი დოლარის ვალი აღრჩობს. ესეც გაკოტრების საშიშროების წინაშე დგას, როგორც ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ჩვენს მკითხველს მაინცდამაინც ბევრს არაფერს მისცემს. **უბედურება ისაა, რომ მათი გაკოტრებით ირღვევა ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალი, რომელზეც დამოკიდებულია მილიონობით უკრაინელი მოქალაქის ბედ-იღბალი.**

**ამასობაში აღმოსავლეთ უკრაინის ოლიგარქებს ჩაენაცვლებიან გაცილებით უფრო დაუნდობელი და უპრინციპო მეტოქენი. პირველ პლანზე სულ უფრო აშკარად გამოდის პოროშენკოსა და კოლომოისკის დუუმვირატი. რა მიზეზების გამო? პასუხი მარტივია — ბიზნესში იმარჯვებს ის, ვინც სახელმწიფო რესურსებს ფლობს, აქვს ძალა და შესაძლებლობა, მხარში ამოუდგეს მოკავშირეებს და დათრგუნოს კონკურენტები.**

ამ ორი ოლიგარქის ინტერესების დაპირისპირება ზედაპირზე დევს და ვინ დარჩება მათ შორის გამარჯვებული, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ საით წავა უკრაინა.

**კოლომოისკის კუთვნილი მედია პოროშენკოს წარმოადგენს, როგორც დროებით ფიგურას, ხოლო მინსკის შეთანხმებას, როგორც „ეროვნულ ღალატს“.** ხაზგასმით ლაპარაკობენ იმაზე, რომ პრეზიდენტის ბიზნესი, კერძოდ, ფირმა „როშენი“ და სხვა, რუსეთის ბაზარზეა გასული. დაკვირვებული მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ „მესამე მაიდანი“ შეიძლება მოხდეს და, მაშასადამე, ახალი გადატრიალება ფანტაზიის ნაყოფი არ არის.

**პოროშენკოსთან დაახლოებულ მედიას კი სააშკარაოზე გამოაქვს კოლომოისკის ბინძური ოპერაციები, კერძოდ, სახელმწიფო რესურსების მითვისების შესახებ, და წინასწარმეტყველებს მილიარდერის იმპერიის, უწინარეს ყოვლისა კი, ბანკ „პრივატის“ გარდაუვალ გაკოტრებას.**

მოკლედ, — დიდი ინტრიგა დიდ სარბიელზე.

## „ყველა ციხეში“-ს და „ნულოვანი ტოლერანტობის“ უკრაინული ვარიანტი

უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენი იაცენიუკი მთავრობის 18 თებერვლის სხდომაზე დაემუქრა ყველას, ვინც წინააღმდეგია რუსეთ-უკრაინის საზღვარზე „კედლის“ აგების, რომ დაეხმარება ერთი მიმართულებით ბილეთის აღებაში — საზღვარს მიღმა! „ეს შეეხება პრორუსულ პოლიტძალებსაც, რომლებმაც თავი წამოყვეს პარლამენტის კედლებში და პრორუსულ და ანტიუკრაინულ ძალებსაც, რომლებიც ცდილობენ ქვეყანაში ქაოსის შექმნას“.

გავასახლებთო!

არადა, **უკრაინის მოქალაქეების საზღვარგარეთ დეპორტაცია უკრაინის კონსტიტუციითაა აკრძალული, მაგრამ, ჯერ ერთი, ქვეყნის მთავარი კანონი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა, მეორე, როგორ უნდა გადაილახოს ეს სამართლებრივი დაბრკოლება, მიშა ასწავლით, სააკაშვილი (რომელიც მრჩეველთა-მრჩევლად დაისვა უკრაინის პრეზიდენტმა), საქართველოში განხორციელებული რეფორმატორული გარდაქმნების შემოქმედი, თავისუფალი სიტყვისთვის „ქანჩების მოჭერის“ მელაძუა ოსტატი.**

თუმცა, როგორც პოლიტოლოგები თვლიან, მიხეილის გამოცდილება ისე სჭირდება დღევანდელ უკრაინას, როგორც მიცვალებულს — სათბუნებელი. რეალობა გაცილებით შორს წავიდა. აი, რამდენიმე მაგალითი ამის დამადასტურებელი:

***ზაპოროჟიეს 23 წლის მცხოვრებმა გადაწყვიტა, ახლობლებისთვის გაეცნო თავისი დაკვირვება თანამოქალაქეთა ფინანსურ ხელმოკლეობაზე.**

**დაწერა და გაავრცელა ფურცლები საინტერესო სტატისტიკით: „პენსია — 1000 გრივნა თვეში, კომუნალური მომსახურება — 600 გრივნა თვეში, გაზი — 300 გრივნა თვეში. ქმარი, შვილი, შვილიშვილი მოუკლეს“ და შეკითხვა: „ევროპაშიც გენოციდია? მადლობა მაიდნის გამარჯვებას“.**

**გააკრა ფურცლები ბოძებზე და... დაუყოვნებლივ მიაბრძანეს საპატიმროში ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის ბრალდებით. გაასამართლებენ მუხლით, რომელიც 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

*ნაცგვარდიის ერთი თანამშრომელი კი უკვე 9 წლით ჩაჯდა, რადგან შეეცადა, რუსეთის მოქალაქეობა მიეღო და კიდევ იმიტომ, რომ „სოციალური ქსელების მეშვეობით ხელს უწყობდა ტერორისტული ოპერაციების განხორციელებას“. მაგრამ რა „მიმოწერა“ ჰქონდა ასეთი ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების, გამოძიებას არ გაუსაჯაროვებია. იყო კი?!

**პარლამენტში განსახილველად შეტანილია პროექტი უკრაინის შეიარაღებულ ძალებში პერსონალური მობილური ტელეფონების გამოყენების აკრძალვის შესახებ.**

*****სახელმწიფო ღალატად იქნა მიჩნეული ივანო-ფრანკოვსკელი ჟურნალისტის — **რუსლან კოცებას** უკრაინაში გახმაურებული საქმე. იგი წინ აღუდგა ქვეყანაში გამოცხადებულ საყოველთაო მობილიზაციას, რადგან **ამ ღონისძიების განხორციელება არსებული კანონით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული.** უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს განცხადებით, უკვე დაკავებულია ამ მოღალატის 19 თანამოაზრე, ისინი, ვინც საჯაროდ გამოვიდნენ მობილიზაციის წინააღმდეგ.

უფრო მეტიც, **მსგავსი სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობამ ამ ერთ წელიწადში 4 ათასს გადააჭარბა. მათგან 78 კონკრეტულად სახელმწიფო ღალატის ბრალდებითაა აღძრული (მიშას ფობია!).**

*****ჩერკასში იძიებენ ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლების ლექტორის საქმეს, რომელიც ინტერნეტით ავრცელებდა სამხედრო ვალდებულთა მიერ სამხედრო კომისარიატებში გაგზავნილ განცხადებათა ასლებს, რომლებითაც უარს ამბობდნენ გაწვევაზე.

ამ მიმართულებით ეფექტიანი და მასშტაბური მუშაობის გასაშლელად კი ნამდვილად სჭირდებათ „დიდი გამოცდილების“ მქონე სააკაშვილის „თანამებრძოლები“, რომლებმაც „მსოფლიო მნიშვნელობის რეფორმები“ განახორციელეს საქართველოში.

**მიმოხილვა მოამზადა**
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. 21 თებერვლის საღამოს „მაიდნის“ სისხლიანი დღის წლისთავი აღნიშნეს კიევში. პოროშენკოს, რომელიც მხნედ მიემართებოდა ტრიბუნისკენ, იქ შეკრებილი ხალხი სტვენითა და შეძახილით — „სირცხვილი!“ — შეხვდა. თუმცა იმ უკრაინული სიტყვის ანალოგი ქართულში უფრო მწარეა და ითქმის, როგორც „თავლაფის დასხმა“.**

## ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავალი 20%-ის ნაცვლად 5%-ით დაიბეგრება

**პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე აღნიშნული საცხოვრებელი ბინის გამქირავებელი ფიზიკური პირებისთვის შემოსავლის დაბეგვრის შემცირებაზე ისაუბრა**

„ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით, ნაცვლად 20%-ისა. ვფიქრობ, ეს საინტერესო იქნება საცხოვრებელი ბინის გამქირავებელი ფიზიკური პირებისთვის“, — აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილების შესახებ განაცხადა: სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობა 2008 წლის აგვისტომდე დაიწყო და დღემდე არ დასრულებულა, სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებისგან თავისუფლდებიან.



## ზაზა პაპუაშვილმა საპარლამენტო უმცირესობას მხდალები და გამყიდველები უწოდა

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც საგარეო ურთიერთობასთან და ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ უმცირესობის პოლიტიკური დებატები მიმდინარეობდა დეპუტატმა ზაზა პაპუაშვილმა უმცირესობას მიმართა

,,აქ ისევ დამოძღვრას ვისმენთ, რაც საკმაოდ მოსაწყენია. ახდენენ თავიანთ, ვითომ ვაჟკაცობის დემონსტრირებას. საქართველომ კარგად ნახა მათი ვაჟკაცობის ხარისხი. დღე-ნახევარში დასრულებული ომი და ლიდერი, რომელიც ახლა კიევშია გაქცეული ბრძოლის ველიდან. თქვენს დროს მოხდა 11 კილომეტრით საზღვრის გადმოწევა და ეს ყველაფერი ვინ დაგვიტოვა მემკვიდრეობით? ამაზე გამეცით პასუხი. ერთ რაღაცას გთხოვთ, ირონიასაც, იუმორსაც თავისი ადგილი აქვს, მაგრამ კიდევ გაფრთხილებთ და გეუბნებით, რომ ,,პეშკები”, მხდალები და გამყიდველები ხართ თქვენ“, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა პლენარულ სხდომაზე, სადაც საგარეო ურთიერთობასთან და ქვეყნის საგარეო კურსის შესახებ უმცირესობის პოლიტიკური დებატები მიმდინარეობდა.

დემოკრატიის ნიღბით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი პროვოკატორების ძალისხმევით საპროტესტო აქცია არეულობებში გადაიზარდა. ბრბომ იარაღი მიმართა თავიანთი კომუნისტი თანამემამულეებისა და უნგრეთში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების წინააღმდეგ. ამას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.**

# გენოციდის შეერთებული შტატები

## წერილი მესამე

ბევრი მკვლევარი და ექსპერტი თანხმდება, რომ ბოლო 100 წლის განმავლობაში წამოწყებულ ომებს, რომელთაც ამერიკის მხარდამჭერები მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად კულტურ-რელიგიური მენტალობების დაპირისპირებას უწოდებენ, ამერიკულმა „ცივილიზაციამ“ შთაბერა სული — ამ ომებს ამერიკის შეერთებული შტატები ან აფინანსებს, ან თვითონ არის მათი წამომწყები, რათა დაამხოს ამა თუ იმ სახელმწიფოს მისთვის მიუღებელი ხელისუფლება, დაეუფლოს ქვეყნის სიმდიდრეებს, გაამყაროს თავისი ვალუტა — დოლარი და მსოფლიოზე იბატონოს. აი, რა განაცხადა ამ საკითხზე ორი წლის წინათ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 18-24 სექტემბერი, 2013 წ.) ცნობილმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე ჭაჭიამ:**

**„მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან“ დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვთ განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია.** ომები, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა. ვიეტნამში 10-წლიანი ომი კონგრესის მოტყუებით დაიწყეს, რომ თითქოს ვიეტნამელები ამერიკულ გემს დაესხნენ თავს. შედეგად მივიღეთ 3 მილიონი მოკლული ვიეტნამელი, რომლებსაც, სხვათა შორის, ქიმიური იარაღით ხოცავდნენ, სანაცვლოდ კი აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მილიარდობით დოლარი იშოვა. **გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა“ და „ალბანელთა გენოციდის“ ამსახველი დადგმული ვიდეოკადრები, რომლებსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ.** გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები“ ერაყის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ფლობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი. მძლავრად განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. **გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა“ „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მოთხოვნა დაიწყეს.** შედეგი — ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ **ეგვიპტე, ტუნისი, იემენი,** სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი“ და ჩვენებური „ვარდების“ მსგავსი „რევოლუციები“ მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი.

**ბოლო ათწლეულებში ამერიკა მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას.**

ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკკეინის მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“.

**ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ამ შეფასებას ეხმაურება ციკლი წერილებისა სათაურით — „გენოციდის შეერთებული შტატები“, რომელსაც გთავაზობთ.**



ბრბომ ხეზე ჩამოჰკიდა უნგრეთის სახელმწიფო უსაფრთხოების თანამშრომლის გვამი. ბუდაპეშტი. 1956 წ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5-6 (287-288)

### უნგრეთი. 1956 წ. ოპერაცია „ფოკუსი“. პირველი „ნარინჯისფერი რევოლუცია“ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სცენარით

**ოპერაციის მთავარი მოქმედი გმირები:**

**ჯოზეფ ფოსტერ დალესი** — აშშ-ის სახელმწიფო მდივანი (1953 წლის 26 იანვრიდან — 1959 წლის აპრილამდე) დუაიტ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის (1953 20 იანვარი — 1961 წლის 20 იანვარი); **ალენ დალესი** და **ცსს.**

1949 წელს შეიქმნა მძლავრი ორგანიზაცია — ფორმალურად კერძო, სინამდვილეში აშშ-ს დეპარტამენტის კონტროლს დაქვემდებარებული — კომიტეტი „თავისუფალი ევროპა“.

ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ალენ დალესი, იმხანად ცსს-ს დირექტორის მოადგილე, უნგრეთში ამბოხების დაწყებისას კი — დირექტორი. კომიტეტი შეიქმნა ომისშემდგომი პოლიტიკური ემიგრაციის გასაკონტროლებლად და მისი მოღვაწეობის მოსამართავად აღმოსავლეთი ევროპის წინააღმდეგ. გარდა ამისა ამ ორგანიზაციის პროპაგანდისტული მანქანის როლიც ეკისრებოდა. ნიუ იორკში ჩამოყალიბდა ნაციონალური კომიტეტები, რომელთა წევრებსაც ამერიკელები ირჩევდნენ. იმხანად შეიქმნა რადიოსადგური „თავისუფალი ევროპაც“. **ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი კი იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელსაც „საიდუმლო ოპერაციების“ ჩატარების უფლება მიეცა.**

„საიდუმლო ოპერაციებში“ კი შედიოდა: პროპაგანდა; „ეკონომიკური ომი“; „ აქტიური პრევენციული მოქმედებები,“ მათ შორის საბოტაჟი, ძირგამომთხრელი საქმიანობა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების წინააღმდეგ, იატაკქვეშა მოძრაობების, პარტიზანებისა და ადგილობრივი ანტიკომუნისტური ელემენტების დახმარება.

**პროამერიკული კომიტეტი „თავისუფალი ევროპა“ უნგრეთში და რადიოსადგური „თავისუფალი ევროპის“ ხელმძღვანელი ბიურო.**

რადიოსადგურმა „თავისუფალმა ევროპამ“ (PCE) მოღვაწეობა დაიწყო 1950 წელს მიუნხენში.

რედაქციას ხელმძღვანელობდნენ 1948 წელს ჩეხოსლოვაკიიდან გაქცეული ემიგრანტები. რადიოსადგურის თანამშრომელთა შორის ბევრი იყო ნაცისტი და კოლაბორაციონისტი, რომლებიც სასჯელისთვის თავის არიდების მიზნით მიუნხენში გაიქცნენ.

**რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“, აშშ-ის მხარდაჭერით ამუშავებდა სპეციალურ პროგრამებს 5 სახელმწიფოსთვის — ბულგარეთისთვის, უნგრეთისთვის, პოლონეთისთვის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიისთვის. თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი რადიოსადგური ცსს-ს მძლავრი იარაღი გახდა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ფსიქოლოგიურ ომში.** აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ირვინმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა: „სახელმწიფო დეპარტამენტი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ეს რადიოსადგურები (“თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“) უკიდურესად სასარგებლოა; მათი მოღვაწეობა პასუხობს ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს“.

რადიოსადგურის თითოეული თანამშრომელი დებდა შემდეგი შინაარსის ხელწერილს: „გაფრთხილებული ვარ, რომ „თავისუფალი ევროპა“ არის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზაცია და მის მოღვაწეობას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებს. თუ ქვემოხელისმომწერი ამ ინფორმაციას მესამე პირს აცნობებს, დაექვემდებარება სასჯელს: ჯარიმას — 10 ათას დოლარის ოდენობით და პატიმრობას — 10 წლის ვადით“.

### ემიგრანტული კონტრ-რევოლუციური ორგანიზაციები

— „უნგრელი მებრძოლების თანამეგობრობა“, მოძრაობა „უნგრეთის თავისუფლებისთვის“ და სხვები, რომლებსაც გფრ-ს ტერიტორიაზე ქმნიდნენ აშშ-სა და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურები.

— უნგრეთის კონტრრევოლუციური ემიგრაციის ცენტრი „უნგრული კანცელარია“, რომელიც ავსტრიაში ამერიკული ოკუპაციის ზონაში შეიქმნა.

— უნგრული დივიზია „სენტ ლასლო“, რომელიც ომის ბოლოს გერმანიაში შექმნეს სსრკ-ს დასავლელმა მოკავშირეებმა ანტიჰიტლერული კოალიციიდან. ომის შემდეგ გფრ-ს ტერიტორიას ბევრმა ფაშისტმა შეაფარა თავი. შემდეგ კი სსრკ-ს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის სამხედრო ქვედანაყოფები ჩამოაყალიბეს.

— ცსს-ს მიერ შექმნილი კონტრევოლუციური ორგანიზაციები: „ამერიკელი უნგრელების კავშირი“; „უნგრელების ნაციონალური კომიტეტი აშშ-ში“. მათ ხელმძღვანელობდნენ კონტრრევოლუციონერები: უნგრეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ნად ფერენცი და ბელა ვარგა.

### მზადება ოპერაცია „ფაუსტის“ ჩასატარებლად

1956 წლის ზაფხულში აშშ-ის კონგრესმა სოციალისტური ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის გამოყოფილ 100 მლნ-ს კიდევ 25 მლნ დაუმატა. გფრ-ს გავლენიანმა წრეებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი უნგრეთში პუტჩის მოწყობაში. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა ჰიტლერელთა ყოფილმა გენერალმა **რეინჰარდ გელენმა** (გეგმა “ბარბაროსას” ერთ-ერთი ავტორი). დასავლეთის ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა უნგრელ ამბოხებულებს დახმარება აღუთქვეს, მათ შორის — სატვირთო ავტომობილებითა და თვითმფრინავებით ხალხის გადაყვანა და იარაღის გადატანა.

1956 წელს სკკპ XX ყრილობის ჩატარების შემდეგ, რომელზეც ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის წინააღმდეგ გამოვიდა, აშშ-ში ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოსთან შეიქმნა სოციალისტურ ქვეყნებში ძირგამომთხრელი საქმიანობის უწყებათაშორისი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **უილიამ ჰარდინგ ჯექსონი** (1901-1971) — ადვოკატი, ბანკირი, ცენტრალური სადაზვერვო ▶

# გუაამის ბაზაზე ვაშინგტონს განზრახული ჰქონდა უსაფრთხოების სისტემის შექმნა შავ ზღვაზე. ამით ის უზრუნველყოფდა კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებთან მისასვლელს. საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ჯექსონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წევრი იყო

დემოკრატიის ნილბით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სამმართველოს დირექტორის მოადგილე, პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში. უილიამ ჯექსონი ალან დალესთან ერთად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დამფუძნებლად და ორგანიზატორად ითვლება.

## კავშირი „ფერად რევოლუციებთან"

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს კავშირი „ფერად რევოლუციებთან", რომელთა კურატორიც არის უილიამ ჯექსონის ვაჟი — **ბრუს ჯექსონი.**

ბრუს ჯექსონი 1979 წლიდან მსახურობდა აშშ-ის არმიის სამხედრო დაზვერვაში. 1990 წელს სამუშაოდ გადავიდა კომპანია Lehman Brothers-ში, დაკავებული იყო საკუთრებისა და ვაჭრობის სფეროს კვლევით. 1993 წლიდან მუშაობდა კომპანია „ლოკჰიდ მარტინში" ვიცეპრეზიდენტად. არის „ნატოს გაფართოების აშშ-ის კომიტეტის დამფუძნებელი. 2002 წელს დააარსა გარდამავალი დემოკრატიის ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამადაც ხელმძღვანელობს. ბრუს ჯექსონის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხარდაჭერაა ნატოში შესასვლელად.

2002 წელს შექმნა პროამერიკული ლობი რუმინეთში, ბულგარეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. იმხანად ეს ქვეყნები ნატოში გასაწევრებლად ემზადებოდნენ. ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ ჯექსონი გადაისროლეს გუაამის (რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც 1997-2006 წლებში შეიქმნა საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის მონაწილეობით) ქვეყნებში. **გუაამის ბაზაზე ვაშინგტონს განზრახული ჰქონდა უსაფრთხოების სისტემის შექმნა შავ ზღვაზე. ამით ის უზრუნველყოფდა კასპიის ზღვის ენერგეტიკულ რესურსებთან მისასვლელს.**

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ჯექსონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წევრი იყო. 2003 წელს ჯექსონი საქართველოში პოლიტიკურ ცვლილებებზე ლაპარაკობდა.

**„მე მომხრე ვარ რევოლუციების, განსაკუთრებით — ხავერდოვანი რევოლუციების, ვიმედოვნებ, რომ საქართველო პირველი წარმატება იქნება კავკასიაში".**

აღსანიშნავია, რომ ბრუს ჯექსონი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს მრჩეველიც იყო.

## ოპერაცია „ფოკუსის" დამტკიცება

ავსტრიაში შეიქმნა საერთაშორისო კომიტეტი უნგრეთის დასახმარებლად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამერიკელი გენერალი **დონოვანი** — ამერიკული დაზვერვის „ლეგენდა". ამბოხების წინ კი ავსტრიაში ჩავიდა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი**, რომელმაც უნგრეთის საზღვარი გადაკვეთა და ამბოხებულებსაც კი ესაუბრა.

თვითონ უნგრეთში ამბოხებას ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი **ჯეიმს კოული**.

1954 წლის 8 სექტემბერს კომიტეტ „თავისუფალი ევროპის" ხელმძღვანელობამ დაამტკიცა „დირექტივა №15. უნგრეთი. ოპერაცია „ფოკუსი". ამ დირექტივის შესაბამისად შეიმუშავეს „ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის" მოქმედების პროგრამა. კომიტეტის რუპორად იქცა რადიოსადგური „ევროპის გათავისუფლება" (თავდაპირველი სახელწოდება „თავისუფალი ევროპა"). 1954 წლის 1 ოქტომბერს მილიონობით პროკლამაცია გააკრეს უნგრეთის ქალაქების კედლებზე და საჰაერო ბურთებით ჩამოყარეს ქუჩებში. რადიოსადგური კი მოსახლეობას უხსნიდა, რა იყო „ეროვნული წინააღმდეგობის" პროგრამა. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გაგზავნილი საპროტესტო ნოტა აშშ-მა არად ჩააგდო.

პოლიტიკური არასტაბილურობის გამო უნგრეთის მოსახლეობაში იზრდებოდა ოპოზიციური სულისკვეთება მმართველი რეჟიმის მიმართ. პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის გამო გადადგა სახელმწიფოს პირველი პირი **მატიაშ რაკოში**, მისი ადგილი კი დაიკავა **იმრე ნადიმ.** გაათავისუფლეს პოლიტპატიმრები, ინტელიგენციისგან, ძირითადად, მწერლებისა და ჟურნალისტებისგან ჩამოყალიბდა მძლავრი ოპოზიცია. უნგრეთის ამბოხების დასავლელი მამები ეყრდნობოდნენ იატაკქვეშეთიდან გამოსულ მემარჯვენე ნაციონალისტურ ორგანიზაციებს („მახვილი და ჯვარი", „თავისუფალი ევროპა", „თეთრი გვარდია", „სისხლიანი შეთანხმება" და სხვ.), რომელთა მიზანი მასობრივი არეულობების გამოწვევა და ნატოს ჯარების შემოყვანა იყო.



გიგა ბოკერია „კმარას" მაისურს გადასცემს თავის მამა-მარჩენალს — ბრუს ჯექსონს

## ქვეყნის დესტაბილიზაცია: ეკონომიკის ნგრევა

1949 წლის ოქტომბრის ბოლოს რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ" გაავრცელა ხმა ახლო მომავალში უნგრული ვალუტის — ფორინტის — დევალვაციის შესახებ.

შედეგად, მოსახლეობა პანიკამ შეიპყრო და დაიწყო სამრეწველო საქონლის მასობრივი შესყიდვა. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უნგრეთის ხელისუფლებამ უნდა აკრძალოს თეთრი პურის გამოცხობა, რადგან „არ შეეფერება ნამდვილ პროლეტარებს". ამის გამო მოსახლეობამ ფქვილის მასობრივად შესყიდვა დაიწყო, რამაც პურის მომარაგების სისტემა შეარყია. აღსანიშნავია, რომ 1949 წელს აშშ-ის ხელისუფლებამ უნგრეთსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში პირველადი მოხმარების საგნების სეტანაზე ემბარგო დააწესა.

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ეს ღონისძიებები ხორციელდებოდა აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს დირექტივებით.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ აშშ-მა სოციალისტურ ბანაკში ყველაზე სუსტ რგოლად უნგრეთი მიიჩნია და 1954 წელს მკვეთრად გააქტიურა ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ამას ხელი შეუწყო ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინისტურმა გამოსვლამაც, რომელიც ამერიკელებმა სოციალისტური ბანაკის ერთიანობის დასანგრევად გამოიყენეს.

1956 წელს უნგრეთში ამბოხება დაიწყო.

სწორედ ამ მომენტიდან იწყება სოციალისტური თანამეგობრობის დაშლის პროცესის ათვლა. ეს პროცესი კი ხელისუფლების სათავეში მოულოდნელად აღმოჩენილმა მიხეილ გორბაჩოვმა დაასრულა.

## საინფორმაციო ომი

საინფორმაციო ომის მთავარი ინსტრუმენტი იყო ცსს-ს მიერ დაფინანსებული რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა". რადიოსადგურის 29 გადამცემიდან 7 მუდმივად იყო მიმართული უნგრეთზე. დასავლური რადიოსადგურები უნგრეთს უკვე პირდაპირ მოუწოდებდნენ ბრძოლისაკენ. აი, 13 ოქტომბრის მოწოდება:

"მოითხოვეთ საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანა, მოითხოვეთ დემოკრატია — ნაცვლად დემოკრატიზმისა, დამოუკიდებლობა — ნაცვლად მეურვეობისა!"

ამერიკულმა დიპლომატიურმა მისიამ აშშ-ის ხელისუფლებას „ლასლო რაიკის საქმის" (რეჟიმის მსხვერპლი — დაპატიმრეს შეთხზული ბრალდებით, თუმცა შემდეგ გაამართლეს და გაათავისუფლეს) გამოყენება შესთავაზა „სტალინისტი" რაკოშის დასამხობად.

1956 წლის 7 აპრილს კომიტეტმა „თავისუფალმა ევროპამ" გეგმა „ფოკუსის" მეორე ეტაპის რეალიზაცია დაიწყო. **პროპაგანდისტული მანქანა სტალინიზმისა და პიროვნების კულტის კრიტიკაზე გადაერთო. 1956 წლის პირველ ნახევარში უნგრეთში 293 საჰაერო ბურთიდან მილიონობით ფურცელი ჩამოყარეს, რომლებშიც ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდნენ.**

1956 წლის 18 ივლისს მატიაშ რაკოში მისმა თანამოსაგრემ, ერნე გერიემ შეცვალა. ექსპერტთა აზრით, რაკოში რომ შეეცვალა იანოშ კადარს ან იმრე ნადს, უნგრეთში ამბოხების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ეს ხელს არ აძლევდათ ამერიკელებს.

საინფორმაციო ომში ჩაერთო ინტელიგენციაც, გაძლიერდა ანტისაბჭოთა აგიტაცია. რადიოსადგურები ავრცელებდნენ ცრუ ინფორმაციას — თითქოს სსრკ ძარცვავს უნგრეთს, ამ ქვეყნიდან გატანილ პროდუქტებზე დაბალი ფასების დაწესებით. სინამდვილეში კი პირიქით იყო — სსრკ გაცილებით ძვირად ყიდულობდა უნგრულ პროდუქციას, ვიდრე დასავლეთი.

## ბანდების მომზადება სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად

აშშ-სა და გერმანიაში ამერიკელებმა ჩამოაყალიბეს უნგრელ ემიგრანტთა ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციას უნგრეთში.

ამ დაჯგუფებებში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სოციალისტური ქვეყნების ემიგრანტები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ. აშშ და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები უნგრეთში დივერსანტებისა და ჯაშუშების გადასასროლად ავსტრია-უნგრეთის ღია საზღვრებს იყენებდნენ.



რადიოსადგურ „თავისუფლების" შტაბ-ბინა მიუნხენში (1953-1967 წწ.)

## ოპერაცია "ფოკუსი" (1956 წლის 23 ოქტომბერი – 31 დეკემბერი)

უნგრეთში მასობრივი არეულობების კატალიზატორი გახდა მოვლენები პოლონეთში, სადაც 1956 წლის 19 ოქტომბერს მმართველი მუშათა პარტიის ლიდერად, კრემლისთვის მიუღებელი და საპყრობილიდან ახალი გათავისუფლებული ვლადისლავ გომულკა აირჩიეს.

საბჭოეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო პოლონეთის საქმეებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში საბჭოთა ჯარი იმყოფებოდა.

**უნგრელი ინტელიგენცია მივიდა დასკვნამდე, რომ ბუდაპეშტშიც შეიძლებოდა პოლონური ვარიანტის გამეორება.**

23 ოქტომბერს ბუდაპეშტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა გამართეს ანტისახელისუფლებო და ანტისაბჭოთა მანიფესტაცია. მათი მოთხოვნები ზუსტად იმეორებდა რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის" მიერ ტირაჟირებულ მოწოდებებს. სტუდენტებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნა: **„საბჭოელებო, წაეთრიეთ შინ!"**

ამერიკელი პროვოკატორების ძალისხმევით საპროტესტო აქცია არეულობებში გადაიზარდა. ბრბომ იარაღი მიმართა თავიანთი კომუნისტი თანამემამულეებისა და უნგრეთში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილების წინააღმდეგ. ამას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

**უნგრელი ნაციონალისტები მოწინააღმდეგეებს იჭერდნენ, ფეხზე თოკს აბამდნენ და ხეებზე ჰკიდებდნენ. ნაცისტებს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდათ შუა საუკუნეებში გავრცელებული დასჯა: სამ-სამ ადამიანს იჭერდნენ, ფეხებით სატვირთო ავტომობილს აბამდნენ და ქვაფენილიან ქუჩებზე დაათრევდნენ, ვიდრე მათი სხეულები სისხლიანი ხორცის მასად არ იქცეოდა.**

ბუდაპეშტის ცენტრში მომხდარმა სისხლიანმა შეტაკებებმა, უშიშროების ორგანოების წარმომადგენლების ლინჩის წესით გასამართლებამ და ანტიკომუნისტური ჯგუფების გააქტიურებამ იანოშ კადარი დაარწმუნა, რომ ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ამ ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი სსრკ-სა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა იყო. 1956 წლის 7 ნოემბერს კადარი, ხრუშჩოვთან შეხვედრის შემდეგ, უნგრეთში საბჭოთა ჯარებთან ერთად დაბრუნდა, მეორე დღეს მან გამოაცხადა, რომ ძალაუფლება გადადიოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ხელისუფლების ხელში.

მკაცრი რეჟიმის მეშვეობით კადარმა შეძლო ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ აშშ-მა სოციალისტურ ბანაკში ყველაზე სუსტ რგოლად უნგრეთი მიიჩნია და 1954 წელს მკვეთრად გააქტიურა ძირგამომთხრელი საქმიანობა ამ ქვეყნის წინააღმდეგ, ამას ხელი შეუწყო ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინისტურმა გამოსვლამაც, რომელიც ამერიკელებმა სოციალისტური ბანაკის ერთიანობის დასანგრევად გამოიყენეს. 1956 წელს უნგრეთში ამბოხება დაიწყო**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**
(გაგრძელება იქნება)

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის პრეზიდენტი ყველანაირად ცდილობს რადიკალური ისლამის პირდაპირი განკითხვისთვის თავის არიდებას და ირწმუნება, რომ პარიზის ჰიპერმარკეტში მოწყობილი სასაკლაო შემთხვევითობა იყო და.**

# რატომ ვერ უმკლავდება დასავლეთი რადიკალურ ისლამიზმს?

**ვინც რას უნდა ამბობდეს, ევროპაში ჯიჰადი გარკვეული გეგმის მიხედვით ხორციელდება. ასე იყო საფრანგეთში, ასევეა დანიაშიც. ერთ-ერთი ტერაქტი ვითომდა რაღაც კარიკატურის გამო საერთომუსლიმანური შურისძიებაა. ადამიანებს ნახატის გამო ხოცავენ. მეორე ტერაქტი, ისევე, როგორც მსოფლიოში ხდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ებრაელებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ებრაელი იდეალური განტევების ვაცია ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში. ვამპირები თავიანთი სისხლის ბანკს ახალი მსხვერპლით ამდიდრებენ.**

მაგრამ საუბარია ევროპაზე, რომელსაც არა მხოლოდ არ ძალუძს ებრაელების დაცვა, არამედ ეშინია კიდეც, ყველაფერს საკუთარი სახელი უწოდოს და თავს სილაში მალავს. კოპენჰაგენის სინაგოგაში მომხდარი ტერაქტის საპასუხოდ დანიის პრემიერ-მინისტრმა ჰელე ტორნინგ-შმიტმა განაცხადა: „ეს არ არის ისლამის ომი დასავლეთის წინააღმდეგ, ეს არ არის მუსლიმანების ომი არამუსლიმანების წინააღმდეგ. ეს არის ომი იმ იდეებს შორის, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებაზეა ბაზირებული“.

გამოდის, რომ დან ოზენი, რომელიც კოპენჰაგენში დაიღუპა, და ადამიანები, რომლებიც პარიზის სუპერმარკეტში დახოცეს, ინდივიდუალური თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ნამდვილი ნაბოდვარია. მაგრამ რა პრეტენზიები შეიძლება წავუყენოთ განვითარებული დანიის პრემიერს, თუ სულ რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა, რომ იმავე სუპერმარკეტში მომხდარი მკვლელობები შემთხვევითობა იყო.

„ადამიანები განურჩევლად ესვრიან სხვა ადამიანებს პარიზის მაღაზიაში“, — აღნიშნა ობამამ. მეორე დღეს თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნსტმა დააზუსტა ობამას ნათქვამი: „მსხვერპლნი წინასწარ შეგნებულად არ იყვნენ შერჩეულნი... ისინი ტრაგიკული ინცინდენტის შედეგად დაიღუპნენ. მაღაზიაში მხოლოდ ებრაელები არ იყვნენ“.

თუ ამ საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ **აშშ-ის პრეზიდენტი ყველანაირად ცდილობს რადიკალური ისლამის პირდაპირი განკითხვისთვის თავის არიდებას და ირწმუნება, რომ პარიზის ჰიპერმარკეტში მოწყობილი სასაკლაო შემთხვევითობა იყო.**



**«ისლამური სახელმწიფოს» ბოევიკები ღიად აცხადებენ: «ჩვენ გხოცავთ თქვენ, ებრაელებსა და ქრისტიანებს, რადგან ერეტიკოსები ხართ». დასავლური სამყარო კი კვლავაც განაგრძობს მტკიცებას, რომ არ ესმის მიმდინარე მოვლენების არსი**

ცოტა ხნის წინათ „ისლამურმა სახელმწიფომ“ გამოაქვეყნა მორიგი ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახულია ეგვიპტელი ქრისტიანების სიკვდილით დასჯა — 21 ადამიანს თავი მოჰკვეთეს. „თქვენ იბრძვით ჩვენ წინააღმდეგ, ამიტომ ჩვენ თქვენ წინააღმდეგ ვიბრძოლებთ“, — ახსნა სიტუაცია ქალბატონი ტორნინგ-შმიტისა და ბატონი ობამასათვის ისლამისტმა ჯალათმა. „ჩვენ ვიომებთ თქვენთან მანამ, ვიდრე არ გავანადგურებთ ერეტიკოსებს. ყველგან შარიათის კანონები იქნება. ჩვენ მოვიცავთ მსოფლიოს“, — დასძინა მან და განა ესეც შემთხვევითობაა?

**„ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები ღიად აცხადებენ: „ჩვენ გხოცავთ თქვენ, ებრაელებსა და ქრისტიანებს, რადგან ერეტიკოსები ხართ“. დასავლური სამყარო კი კვლავაც განაგრძობს მტკიცებას, რომ არ ესმის მიმდინარე მოვლენების არსი.**

ობამას გამონათქვამებში იმალება პატარა ედვარდ საიდი, პალესტინელი ინტელექტუალი ან, სულ მცირე, მისი იდეოლოგია, რაც ჰუმანიტარული სფეროს დაავადებაა.

საიდის იდეოლოგიის თანახმად, მსოფლიო დასავლური კოლონიური პოლიტიკის მსხვერპლია, მსხვერპლი კი ყოველთვის მართალია, მაშინაც კი, როდესაც კლავს. ამის გამოა, რომ „ისლამურ სახელმწიფოსა“ და მსოფლიო ჯიჰადთან ომი ვერ შემოიფარგლება უდაბნოში რომელიღაც ცალკეულ ჯიპებზე საჰაერო დარტყმებით. აუცილებელია პროგრამის კარდინალური ცვლა. არ შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს რეალობისგან დამალვა „შემთხვევითი მსხვერპლისა“ და გარკვეული იდეოლოგიის არმქონე მკვლელების შესახებ ბურუსით მოცული ფორმულირებების მიღმა. ვიდრე რადიკალური ისლამის მიმართ ამგვარი პოლიტიკური დამოკიდებულება იქნება, მუსლიმანური სამყარო ვერ შეძლებს, თავისი სისხლიანი ჯინები ბოთლებში შერეკოს.

**NRG**

# ანგარიში «ბონიერი იარაღის» შესახებ



**რა შეიძლება იყოს უფრო საშიში, ვიდრე ისეთი მანქანის შექმნის იდეა, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს ადამიანის მოკვლის გადაწყვეტილებას. ეს თემა მრავალი ფანტასტიკური ფილმისა თუ ნაწარმოების სიუჟეტში დევს. ამასთან დაკავშირებული შფოთვის ანარეკლია დრონების გამოყენების წინააღმდეგ პროტესტის ზრდა, თუმცა საბრძოლო დრონებს ოპერატორები მართავენ. დიდი ალბათობით, მომავლის ომებში ფართოდ იქნება გამოყენებული ავტონომიური შეიარაღებები, რომლებიც იმგვარად იქნებიან დაპროგრამებულნი, რომ დამოუკიდებლად დააწვებიან სასხლეტს. აშშ-ის უსაფრთხოების საკითხთა კვლევითი ცენტრის უკანასკნელი ანგარიში ცდილობს, რბილად მიიყვანოს საზოგადოება იქამდე, რომ პერსპექტივაში გაჩნდება მოაზროვნე შეიარაღებული მანქანები.**

ანგარიშში რამდენიმე საკვანძო საკითხი დგას მკვლელ რობოტებზე. პირველი საკითხია მანქანების ავტონომიურობა. შეიარაღების სისტემის ავტონომიურობა არის რთული და ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, თუ რა უნდა დარჩეს ადამიანის კონტროლქვეშ და რისი დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება უნდა მიეცეს მანქანას. ტექნიკური ტერმინი „ჩაკეტილი სისტემა“ განსაზღვრავს ადამიანის ამ პროცესში ჩართულობის ხარისხს და ადამიანური რგოლი სისტემაში სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. მაგალითად, რობოტი, რომელიც ახორციელებს სამიზნეების ძებნას, საჭიროებს ადამიანის ნებართვას საიმისოდ, რომ ცეცხლი გახსნას. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ მანქანებისგან, რომლებიც ბრძოლის ველზე დამოუკიდებლად მიიღებენ ცეცხლის გახსნის გადაწყვეტილებას. ამასთან დაკავშირებით სამხედრო ექსპერტებს, რობოტების შემქმნელებს და ასევე სამხედრო სფეროს კანონმდებლებს სერიოზულად მოუწევთ დაფიქრება.

ანგარიშის ავტორები — **პოლ შარი** და **მაიკლ ჰოროვიცი** ჩაკეტილ სისტემებს იკვლევენ. სამიზნის დამოუკიდებლად ამორჩევის უნარის მქონე რაკეტა, რომელსაც ნებართვა სჭირდება ამ სამიზნის განადგურებისათვის, ითვლება სისტემად, რომელშიც ადამიანი მონაწილეობს, ხოლო მანქანა, რომელიც დამოუკიდებლად აირჩევს სამიზნეს და დამოუკიდებლადვე განახორციელებს მასზე შეტევას, არის სისტემა, რომელშიც ადამიანი არ მონაწილეობს. შესაძლებელია ოქროს შუალედის გამონახვაც, მაგრამ ის არ იმუშავებს იმგვარი ავტომატური სისტემებისათვის, როგორიცაა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სარაკეტო სისტემა, რომლის რეაგირების დროც მნიშვნელოვნად მცირეა ადამიანის რეაქციის დროსთან შედარებით. შარი დაჰოროვიცი ამგვარ იარაღს განიხილავენ, როგორც ადამიანის მონაწილეობით მოქმედ ჩაკეტილ სისტემას. ამ შემთხვევაში იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის ნებართვის გარეშე, მაგრამ ადამიანს შეუძლია, შეაჩეროს შემდგომი სროლა.

ყველაფერი დამოკიდებულია სისტემების ავტონომიურობის ხარისხზე. ავტომატურობის ხარისხის მიხედვით, იარაღის კლასიფიცირება სამხედრო სტრატეგებს, კანონმდებლებსა და ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებს აძლევთ საფუძველს, სისტემები, რომლებშიც ადამიანის მონაწილეობა არ იგულისხმება, ყველაზე საშიშ იარაღად მიიჩნიონ. მომავლის ომებში საბრძოლო რობოტების როლის ზრდის კვალობაზე მნიშვნელოვანია ერთიანი ტერმინოლოგიის გამოყენებაც მათი ფუნქციების სრულად გაგებისათვის. ანგარიში „შეიარაღების სისტემების ავტონომიურობის საფუძვლები“ პასუხს არ იძლევა ყველა კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ საზოგადოებასა და სამხედროებს ავტონომიური რობოტების მიმართ, მაგრამ საინტერესო ტერმინოლოგიურ მასალას აძლევს მათ სამომავლო დებატებისათვის.

**MixedNews**

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასათვის გადაცემული მშვიდობის ნობელის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო კურიოზულია. ობამამ პრემია დაპირებებისა და ლამაზი თვალებისათვის მიიღო, მშვიდობისმყოფლობით კი დიდად არ გამორჩეულა. ყველა ომი და ოპერაცია, რომელთაც აშშ მსოფლიოში აწარმოებდა, კვლავაც გრძელდება.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნობელის პრემიაზე მერკელის ნომინირება მისი კარიერის დასასრულის სიმბოლოდ იქცა

**ცნობა იმის თაობაზე, რომ გერმანული ბუნდესტაგის დეპუტატებმა უკრაინის მოვლენებში მშვიდობისმყოფლური ძალისხმევის გამო მშვიდობის ნობელის კანდიდატად გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის დასახელების წინადადება წამოაყენეს, იმაზე მიანიშნებს, რომ პოტენციური კანდიდატის კარიერას, შესაძლოა, სამწუხარო ბედი ელოდეს.**



მშვიდობის პრემიის მერკელისთვის გადაცემის ჰიპოთეზაზე საუბრისას უპრიანი იქნებოდა მისი წინამორბედების სავალალო ბედის გახსენებაც. სამეცნიერო მიღწევებისათვის ჯილდოსაგან განსხვავებით, მშვიდობიანი დარეგულირების საქმეებში მიღწეული შედეგებისათვის გაცემული ჯილდო დიდწილად უკიდურესად პოლიტიზებული ინსტრუმენტია და მისი საშუალებით ევროპული პოლიტიკური ელიტები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ პროცესისა თუ პიროვნების, სახელმწიფოსა თუ მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ. ეს „ოსკარივითაა“, რომლითაც აჯილდოებენ არა მიღწევების, არამედ „ექსპერტული საზოგადოების“ პატივისცემის გამო. მიღწევები კი არა მხოლოდ რეალურად არ არის, არამედ არც სამომავლოდაა მოსალოდნელი. პრემია კი უნდა გადასცენ, ვიდრე პატივისცემაა.

საკმარისია, გავიხსენოთ ნობელის პრემიის გადაცემა **მიხეილ გორბაჩოვისათვის** და ადვილი წარმოსადგენი იქნება ამგვარი აღიარების შემდეგ დამდგარი შედეგების ხასიათი. დაანგრია რა ქვეყანა, ჩაძირა ქაოსსა და სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობაში უზარმაზარი ტერიტორია, გაყიდა უამრავი მოკავშირე მსოფლიოში, დასამშვიდებლად მიიღო მშვიდობის პრემია და შესაძლებლობა, მსოფლიო პრესაში გაბრწყინებულიყო.

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასათვის გადაცემული მშვიდობის ნობელის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო კურიოზულია. ობამამ პრემია დაპირებებისა და ლამაზი თვალებისათვის მიიღო, მშვიდობისმყოფლობით კი დიდად არ გამორჩეულა. ყველა ომი და ოპერაცია, რომელთაც აშშ მსოფლიოში აწარმოებდა, კვლავაც გრძელდება.** ავღანეთში, მიუხედავად საერთაშორისო კონტინგენტის გაყვანის რიტორიკისა, ათასობით ამერიკელი სამხედრო რჩება და ზურგს უმაგრებს ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს — წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაბულში არსებული რეჟიმი აქამდე მრავალჯერ დაემხობოდა.

რაც შეეხება ერაყს, ისევ და ისევ ამერიკის ჯარების ფორმალური გაყვანის შემდეგ კვლავაც გრძელდება აშშ-ისა და მისი მოკავშირეების სრულმასშტაბიანი ოპერაცია, ამჯერად „მუსლიმანური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. საქმე ქვეყანაში სახმელეთო კონტინგენტების გაგზავნამდეც კი მივიდა.

ამერიკელების მიერ პროვოცირებულმა და ადმინისტრირებულმა ომებმა ახლო აღმოსავლეთს გადაუარა.

**წარუმატებლობა სდევს ლაურეატ ობამას საკუთარ ქვეყანაშიც — ჯანდაცვის რეფორმა ამუხრუჭებს, ეკონომიკაში კრიზისია, უმუშევრობა იზრდება და ისეთ ბუნტებს განაპირობებს, როგორიც მსოფლიომ იხილა ფერგიუსონის მაგალითზე.** პოლიცია და ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებები — შტატების ნაციონალური გვარდია — სერიოზულად მზად არიან, პროტესტანტებთან „იმუშაონ“ არა მხოლოდ ხელკეტებით, არამედ რეალური საბრძოლო იარაღიც გამოიყენონ.

**ამგვარი „წარმატებების“ ფონზე ობამას ადმინისტრაცია ახალ ავანტიურას იწყებს უკრაინაში და კიდევ ერთ დარტყმას აყენებს აშშ-ის პრესტიჟს.** ვერაფერს იტყვი, მშვენიერი მემკვიდრეობაა მშვიდობის ნობელის ლაურეატისათვის პენსიაზე ღირსეულად გასასვლელად.

რაც შეეხება მერკელის მშვიდობისმყოფლურ მიღწევებს, ძალზე უცნაურია ამაზე საუბარი სიტუაციაში, როდესაც ევროპამ და გერმანიამ, როგორც ევროკავშირის ფაქტობრივმა ლიდერმა, უკრაინის პრობლემა სამხედრო-პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანა. ევროკავშირს არც თუ კარგი დრო უდგას — ეკონომიკა სტაგნაციაშია, ხელისუფლებებში მოდიან ცალსახად ანტიბრიუსელური ძალები და, თუ უკრაინაში ომი არ დასრულდება, ის აუცილებლად გავრცელდება მეზობელ ევროპულ ქვეყნებზე.

**ამგვარი ყოფის გამო საბერძნეთი უკვე ფიქრობს ევროკავშირიდან გასვლაზე, თუმცა, რაღა საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთიც, დიდი ხანია, კეფას იფხანს და ფიქრობს, რაში სჭირდება ევროკავშირში დარჩენა.**

ანგელა მერკელს უნდა აღელვებდეს თავისი პარლამენტარების ამგვარი აქტივობა, რადგან ძველ ლაურეატებს ბედის ირონია კარგს არაფერს უქადის. შეიძლება გავიხსენოთ კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც მშვიდობის ნობელი აბსოლუტურად არაფრისთვის გადასცეს. 2013 წელს პრემია მიიღო ორგანიზაციამ, რომელიც ქიმიურ იარაღს აკრძალავს. 2012 წლის ნობელი კი, თუ ვინმეს დაავიწყდა, ნორვეგიელებმა საერთოდაც ევროკავშირს გადასცეს.

politrussia.com

# ფანტაზიორი სახელმწიფო დეპარტამენტიდან

**ჟურნალ Foreign Policy-ის მიერ ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას შორის ჩატარებულმა გამოკვლევამ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მოღვაწეობის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინა. ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყველაზე უეფექტო მეთაურად აღიარეს ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. და ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ამერიკული საგარეო პოლიტიკის და არა ბატონი კერის პირადი ან პროფესიონალური თვისებების შეფასებასთან.**

საიდუმლო არ არის, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, ფოკუსური ჯგუფების კვლევები, სხვადასხვა რეიტინგი და რენკინგი ხშირად ლანცეტის — პოლიტიკური ბრძოლის ბასრი იარაღის სახით გამოიყენება. ამ შემთხვევაშიც ჯონ კერის დამდაბლება სულაც არ არის მიმართული იმისაკენ, რომ ყველაზე მდიდარი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსს უფრო ეფექტური მუშაობისკენ უბიძგონ.

უნდა გვესმოდეს, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა მოქმედი პრეზიდენტის მიერ განისაზღვრება, საგარეო საქმეთა მინისტრი კი არის ერთგვარი ნდობით აღჭურვილი პირი, თეთრი სახლის მეთაურის მარჯვენა ხელი. ამდენად, ამერიკულმა საზოგადოებამ თავად ბარაკ ობამა განიკითხა. Foreign Policy-ი ტრადიციულად რესპუბლიკელების მიმართაა სიმპათიით განწყობილი და ზემოხსენებული რეიტინგიც იმისათვის გამოაქვეყნა, რომ კიდევ უფრო შეარყიოს ქვეყნის შიგნით 44-ე პრეზიდენტის ისედაც მორყეული პოზიციები. არჩევნებამდე ხომ ორ წელიწადზე ნაკლები რჩება.

ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 70-იან წლებში „ცივილიზაციების შეჯახების“ კონცეფციის მამის — სემუელ ჰანტინგტონის მიერ დაარსებული ავტორიტარული ჟურნალი არაობიექტური მონაცემებით ოპერირებდა. ნახევარი საუკუნის წინათ იელის უნივერსიტეტის სტუდენტი ჯონ ფორბს კერი ამერიკული პოლიტიკის ნალებში იყო. 1960 წელს მან მონაწილეობა მიიღო ჯონ კენედის წინასაარჩევნო კამპანიაში. ახლა ჯონ კერი უკვე სახელმწიფო მდივანია და ახლოაღმოსავლურ ფრონტზე მისი მუშაობის შუალედური შედეგები უკვე სახეზეა. თუ ამერიკელი პროფესორები ამ ნამუშევარს არაეფექტურს უწოდებენ, სხვამ შეიძლება უპასუხისმგებლო და ფატალურიც კი დაარქვას.

არაბული სამყაროსა და ისრაელის კონფლიქტის დარეგულირებისკენ მიმართული კერის დიპლომატია დასრულდა არა პოზიციების დაახლოებით, არამედ ღაზას სექტორში ოპერაცია „ურღვევი კედლით“. პალესტინელები მსხვერპლის წარმოუდგენელ რაოდენობაზე საუბრობენ — ორი ათასამდე მოკლული და ათი ათასამდე დაჭრილ-დასახიჩრებული მხოლოდ მათ მხარეს. ამასთან, სწორედ ისრაელელები აფრთხილებდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანს არაერთხელ, რომ რეგულირების მისეული მოდელი სიცოცხლისუუნაროა და მხოლოდ კონფლიქტის ესკალაციას განაპირობებდა. საომარი ოპერაციის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დანი დანონმა ჯონ კერის „ამბიციური ფანტაზიორი“ უწოდა, ფანტაზიორი, რომელიც ცხოვრობს აკვიატებული იდეით — შეაჩეროს თანამედროვეობის ყველაზე რთული კონფლიქტი.



**რა არის პრობლემა? რა სჭირს ამერიკის საგარეო პოლიტიკას, რომლის გავლენაც პლანეტის ბედზე იმდენად დიდია, რომ არ უნდა ტოვებდეს ადგილს უპასუხისმგებლო და აუხდენელი ფანტაზიებისათვის? რატომაა, რომ აშშ ჯერ ქმნის პრობლემებს, შემდეგ კი მიდიან და ამ პრობლემებს მოსაგვარებლად სხვა ხალხებს უტოვებენ?** როგორც თავის დროზე აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ეგრეთ წოდებული „კონტროლირებადი ქაოსის“ კრეების შექმნა მომგებიანია ამერიკული ინტერესებისთვის. მაშ, რატომაა, რომ აშშ ჯერ აყალიბებს და მხარს უჭერს რადიკალურ მოძრაობებს, შემდეგ კი მათთან საომრად ისხამს იარაღს? **ავღანეთი, სირია, ერაყი, ეგვიპტე, ლიბია — აი, ამერიკული ფანტაზიების მსხვერპლთა არასრული სია.** რატომ აღმოჩნდა გამოცდილი ჯონ კერი იმ მასხარის როლში, რომლის ქმედებები აპრიორი განაპირობებს საომარ კონფლიქტებს?

როგორც ჩანს, საქმე პერსონალიებში კი არა, ყოველგვარი შესაძლებლობებისგან დაცლილ ამერიკულ „მისიონერულ პოზაშია“. ნახევარი საუკუნის წინათ აშშ-ს ნამდვილად შეეძლო, პრეტენზია გამოეთქვა მსოფლიოში მთავარ მშვიდობისმყოფელობაზე. დღეს ის ღიად ახორციელებს ცინიკურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საკუთარი გავლენის სფეროს გაზრდისკენ, მსოფლიო რესურსების კონტროლისა და სამხედრო-ფინანსური დიქტატისკენ. ამ ყველაფერს უკვე ვეღარ მალავს მითი ამერიკის განსაკუთრებულობის შესახებ. ასეთ პირობებში ვინც არ უნდა იყოს საგარეო პოლიტიკაში, პერიოდულად კონფუზი არ ასცდება.

**გამოდის, რომ 2013 წელს სახელმწიფო მდივნის როტაცია, შესაძლოა, იყო დემოკრატების მხრიდან შესაძლო კანდიდატის, ჰილარი კლინტონის, დაცვის მცდელობა იმ უპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკისაგან, რომელსაც მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი და ომების გამჩაღებელი ობამა ახორციელებს.** ვიდრე კერი დარტყმებს იღებს, ჰილარი კულისებს მიღმა ზის და იმიჯს ისუფთავებს მომავალი საპრეზიდენტო მარათონისთვის.

portal-kultura.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბუშის ადმინისტრაციის დროს ერაყში შექრა მთელ რიგ ილუზიებს ეფუძნებოდა, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის თემასაც. ამერიკის ხელისუფლება ასევე დარწმუნებული იყო, რომ ერაყელები შექმნიდნენ ლიბერალურ, არარელიგიურ დემოკრატიას, აღიარებდნენ ისრაელს, შესთავაზებდნენ ამერიკას საკუთარ ბაზებს შიიტური ირანის წინააღმდეგ გამოსაყენებლად და საერთოდაც შეუერთდებოდნენ ამერიკას სოციალურ-პროგრესული მომავლისაკენ დიად მსვლელობაში.**

# მოკავშირეები, რომლებთანაც აშშ-მა ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს

**ურთიერთობების გაწყვეტა ძნელია. საუკეთესო დრო შეიძლება წარსულში დარჩეს, ერთ დროს სიცოცხლით სავსე კავშირი კი გაწყდეს. ადამიანებს, უბრალოდ, არ შეუძლიათ, აღიარონ, რომ დადგა დრო, თქვან „მშვიდობით“. ანალოგიური პრობლემები აქვთ ქვეყნებსაც, განსაკუთრებით აშშ-ს. ვაშინგტონმა ათწლეულები დაკარგა მოკავშირეების შეგროვებაში. მიუხედავად ცვალებადი გარემოებებისა, აშშ პრაქტიკულად არასდროს ივიწყებს მოკავშირეებს. ცხადია, რაც უფრო ნაკლებაქტუალურია კავშირი, მით უფრო დაჟინებით მოითხოვენ ამერიკელი ჩინოვნიკები, რომ ურთიერთობები „გამყარდეს“ და „გაფართოვდეს“.**

**ობამას ადმინისტრაციას არ აწყენდა, ფხიზელი თვალით გადაეხედა ამერიკის მოკავშირეების მზარდი გუნდისთვის. ვაშინგტონისათვის დადგა დრო, გამოსამშვიდობებელი წერილები დაგზავნოს ნახევარ დუჟინ უცხოურ დედაქალაქებში, მაგრამ ვისგან დაიწყოს? ულირსი და არაკეთილსინდისიერი მეგობრები ხომ ასე მომრავლდნენ...**




## საუდის არაბეთი

ამერიკის ხელისუფლება ცდილობს ღირებულებების დაყოფას, სამხედრო გარანტიებითა და ჩეკებით გულუხვად უზრუნველყოფს ათეულობით ქვეყანას. **ვერავინ მოიტყუებს თავს იმით, რომ საუდის არაბეთთან ამერიკას ბევრი რამ აქვს საერთო, თუ არ გავითვალისწინებთ სანავთობე სფეროს კომერციასა და შემთხვევით საერთო მტრებს, მაგალითად, უსამა ბენ ლადენს.**

მაგრამ ორი ქვეყნისთვის აუცილებელი არ არის მაინცდამაინც კავშირში გაერთიანება იმისათვის, რომ ითანამშრომლონ, როდესაც მათი ინტერესები დაემთხვევა. საუდიტები უნდა ყიდდნენ ნავთობს, რათა იარსებონ: ისინი ნებისმიერის ჩეკებს გაანაღდებენ, მეგობრებისასაც და მტრებისასაც, ხოლო როდესაც მონარქია საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, გადამჭრელ და დაუნდობელ პასუხს გასცემენ ყველას.

როდესაც საუბარია ღირებულებებზე, ერ-რიადი უკიდურესი კონფუზია აშშ-ისთვის. ეს თავისი არსით ტოტალიტარული სახელმწიფოა: მონარქია ძარცვავს ხალხს, მკაცრად უმკლავდება ოპოზიციას, ახშობს რელიგიურ თავისუფლებას და თვით სუნიტური ტირანიის ექსპორტსაც კი ახორციელებს, მაგალითად, მეზობელ ბაჰრეინში. განსვენებულ მეფე აბდალას წარმოადგენდნენ, როგორც ზომიერსა და რეფორმატორს, მაგრამ ეს სიმართლე იყო მხოლოდ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არათავისუფალი საზოგადოების ფონზე. მისი მემკვიდრე მეფე სალმანი, როგორც ჩანს, აპირებს არა მხოლოდ შეაჩეროს, უკანაც კი შეატრიალოს უკანასკნელი ორი ათწლეულის პროგრესი.

დადგა დრო, ერ-რიადს გამოსამშვიდობებელი წერილი მიუვიდეს. ხელისუფლებებს შეუძლიათ, ძველებურად ითანამშრომლონ, სადაც ეს უპრიანი იქნება. მაგრამ აღარ უნდა იყოს საპრეზიდენტო ვიზიტები, რომელთა მიზანია საუდელების ქვეყნისათვის პატივისცემის გამოხატვა. ამერიკელი სამხედროები აღარ უნდა განიხილებოდნენ, როგორც საუდელთა ოჯახებისთვის იაფი პირადი დაცვა, რომელიც მზად არის, ერ-რიადის ბრძანებისთანავე იმოქმედოს.

## სამხრეთ კორეა

თუკი ოდესმე არსებობდა ალიანსი, რომელიც უადგილოდ აქცია გარემოებებმა, ეს არის კორეის რესპუბლიკისთვის აშშ-ის მიერ მიცემული უსაფრთხოების გარანტიები. ორივე ქვეყანა იზიარებს რაღაც ღირებულებებს, უკიდურეს შემთხვევაში მას შემდეგ, რაც სეული ბოლოს და ბოლოს მიუახლოვდა დემოკრატიას ვაშინგტონის მიერ სამხრეთკორეელი დიქტატორების გრძელვადიანი მხარდაჭერის მიუხედავად, მაგრამ ფართო კულტურული, ეკონომიკური და ოჯახური კავშირები გაგრძელდება უშიშროების სფეროში ურთიერთობების გარეშეც.

**ბალტიის ქვეყნებზე ნატოს გაფართოება კარგი მაგალითია იმისა, რომ ვაშინგტონს დაავიწყდა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს კავშირი**

აშშ კორეის ომში ჩაება არა კუნძულისთვის დამახასიათებელი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო — კონფლიქტის წინ თვით გენერალი დუგლას მაკარტურიც კი უარყოფდა ამ ტერიტორიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. დიდწილად ვაშინგტონი რაღაც პასუხისმგებლობას გრძნობდა ამ ომის გამო. რაც შეეხება უშიშროებას, ამერიკელი პოლიტიკოსები მცდარად განიხილავდნენ ჩრდილოეთ კორეის თავდასხმას სტალინის გათვლილ ნაბიჯად, ევროპაზე თავდასხმის პრელუდიად.

შემდეგ ამერიკული ჯარები ნახევარკუნძულზე საჭირონი იყვნენ, ვიდრე სამხრეთმა პოლიტიკურ სტაბილურობასაც არ მიაღწია და ეკონომიკურ განვითარებასაც. თუმცა 1980 წელს სამხრეთ კორეამ შორს უკან ჩამოიტოვა ჩრდილოეთ კორეა ეკონომიკის თვალსაზრისით. 1990-იანი წლებისთვის სეულმა დემოკრატიაც მოიპოვა, ცივი ომის ჩრდილოელი მოკავშირეებიც ასევე ტრანსფორმირდნენ. ჩრდილოკორეული აგრესიის განსაახლებლად აღარ არსებობდა ჩინური ან რუსული დახმარების რაიმე პერსპექტივა. დღეს სამხრეთ კორეა ეკონომიკაში 40-ჯერ, მოსახლეობის რიცხოვნებით კი ორჯერ მეტი უპირატესობით სარგებლობს, უზარმაზარი უპირატესობები აქვს ტექნოლოგიებში და დიპლომატიური მხარდაჭერის მხრივაც.

დღეს სამხრეთ კორეის დაყრდნობა ამერიკის თავდაცვის სუბსიდიებზე ძალიან ჰგავს ვაშინგტონის თხოვნებს ევროპისადმი, დაეხმაროს მას მექსიკის წინააღმდეგ. სამხრეთს მშვენივრად შეუძლია, თვითონ დაიცვას თავი. ზოგიერთი ამერიკელი თვლის, რომ სეული დიდ ალიანსს ჩინეთის შესაკავებლად შეუერთდა, მაგრამ სამხრეთ კორეა მთლად უნდა შეიშალოს, უზარმაზარი მეზობელი რომ მტრად გადაიკიდოს ვაშინგტონის მხარდაჭერით იმ უთანხმოებებში, რომლებიც კორეას ნაკლებად ეხება. თანამშრომლობის სხვა ფორმები, მაგალითად, სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა, შესაძლოა, უფრო მომგებიანი იყოს, მაგრამ ყოველგვარი „ურთიერთთავდაცვის შეთანხმების“ გარეშე, რადგან ეს შეთანხმება მხოლოდ სათაურში გულისხმობს ურთიერთთავდაცვას.

## ერაყი

**ბუშის ადმინისტრაციის დროს ერაყში შეჭრა მთელ რიგ ილუზიებს ეფუძნებოდა, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის თემასაც. ამერიკის ხელისუფლება ასევე დარწმუნებული იყო, და ეს მხოლოდ რწმენის საკითხი გახლდათ, რომ ერაყელები შექმნიდნენ ლიბერალურ, არარელიგიურ დემოკრატიას, აღიარებდნენ ისრაელს, შესთავაზებდნენ ამერიკას საკუთარ ბაზებს შიიტური ირანის წინააღმდეგ გამოსაყენებლად და საერთოდაც შეუერთდებოდნენ ამერიკას სოციალურ-პროგრესული მომავლისაკენ დიად მსვლელობაში.** სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იყო მხოლოდ გრძელვადიანი კოშმარი, მთელი რიგი საოცარი ფანტაზიებისა, რომლებიც 4500-ზე მეტ ამერიკელსა და 200 ათასზე მეტ ერაყელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

„მოსალოდნელის საპირისპირო შედეგის“ კლასიკური მაგალითია „ისლამური სახელმწიფოს“ გაჩენა. ელიტური დიქტატორის — სადამ ჰუსეინის დამხობისას ამერიკამ გაცხარებული სექტანტური ომი გააჩაღა. შიიტურმა უმრავლესობამ, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვა პოლიტიკური უპირატესობა, მაგრამ მისმა სისასტიკემ სუნიტები აიძულა, დახმარებისთვის „ისლამური სახელმწიფოსთვის“ მიემართათ. ახლა ვაშინგტონი კვლავაც ომშია თავისი ნომინალური მოკავშირის მხარეს, მოკავშირისა, რომელმაც დიდი განსაცდელი მოუტანა საკუთარ თავსაც და ბევრ სხვასაც.

დიდი არაა შანსი იმისა, რომ ორი ქვეყანა გაიზიარებს ინტერესებსა და ღირებულებებს. ერაყს დემოკრატიული ტრადიციები არ აქვს, არც სამოქალაქო ინსტიტუტები და არც ტოლერანტული ფილოსოფია. ეს არ ნიშნავს, რომ იქ არავის აინტერესებს უფრო ლიბერალური საზოგადოების მშენებლობა. მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობები ამერიკასა და ერაყში ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან და საეჭვოა, ერთმანეთს დაუახლოვდეს ახლო მომავალში.

არ არსებობს არც დიდი სტრატეგიული თანხმობა. ბაღდადის ურთიერთობები ირანთან მუდამ ერთ-ერთი განმსაზღვრელი იქნება, ამერიკასთან ურთიერთობები კი მუდამ მომგებიან საქმედ დარჩება. შიიტურმა ხელისუფლებამ გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი ძალები და ქვეყნის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. ის დასახმარებლად ამერიკელებს უხმობს. ძალა, რომელიც ემუქრება ირანს, „ისლამური სახელმწიფო“, ამერიკისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს. ბაღდადთან გაერთიანება კი აშშ-ს ჩაითრევს რელიგიურ ომში ▶

## Yandex-ი Google-ს უჩივის

**რუსულმა საძიებო სისტემა yandex-მა რუსეთის ფედერალურ ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიმართა თხოვნით, შეამოწმოს კომპანია google-ის საქმიანობა. yandex-ში აცხადებენ, რომ google-ი მობილურ ოპერაციულ სისტემებში მოწინავე პოზიციას ბოროტად იყენებს.**

google-ი ფლობს ანდროიდის ოპერაციულ სისტემას, რომელსაც უამრავი მობილური მოწყობილობა გამოიყენებს მსოფლიოში. „საბოლოოდ, Google-ს ნებისმიერი აკრძალვის დაწესება შეუძლია, მათ შორის აკრძალოს კონკურენტი კომპანიის მომსახურების გამოყენებაც კი. ვფიქრობთ, რომ მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ არჩევანი, რომელი საძიებო სისტემა დაიყენონ სმარტფონებსა და პლანშეტებზე. Google-მა არ უნდა განსაზღვროს ეს არჩევანი და უფრო მეტიც, არ უნდა დაბლოკოს კონკურენტი საძიებო სისტემების საინსტალაციო აპლიკაციები“, — აცხადებს yandex-ის პიარდირექტორი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკამ ნათლად უნდა მიახვედროს კიევს, რომ უკრაინა ვერასდროს შევა ნატოში და მის ტერიტორიაზე არასდროს იდგება ამერიკული ჯარი. ვაშინგტონი არ მისცემს კიევს იარაღს.

◀ რადიკალი შიიტების მხარეს, ამ შიიტების ნაწილი კი განაგრძობს ერაყელი სუნიტების ხოცვას.

უმჯობესი იქნება, თუ ურთიერთობები წმიდად საქმიანი იქნება. უნდა მიაწოდოს იარაღი ან ავარჯიშოს ამერიკამ ერაყელი სამხედროები? ეს იმაზეა დამოკიდებული, აქვს თუ არა აზრი ამის კეთებას კონკრეტულ მომენტსა და კონკრეტულ სიტუაციაში. ითანამშრომლოს, როდესაც ეს სასარგებლოა, მაგრამ სხვა შემთხვევებში შეინარჩუნოს დისტანცია. აქ მდგრად მოკავშირულ ურთიერთობაზე პრეტენზიებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

## ბალტიის ტრიო

ესტონეთი, ლატვია და ლიტვა დიდი ხნის განმავლობაში იყო შთანთქმული საბჭოთა კავშირის მიერ, ახლაც ეშინიათ მოსკოვის ჩრდილის. სამივე ითხოვს ნატოს ჯარების, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკის ჯარების დისლოცირებას საკუთარ ტერიტორიებზე და მუდმივ დასტურს, რომ ვაშინგტონი მზადაა, იომოს მათთვის.

**ბალტიის ქვეყნებზე ნატოს გაფართოება კარგი მაგალითია იმისა, რომ ვაშინგტონს დაავიწყდა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს კავშირი.** ქვეყნების უმეტესობა მოკავშირეებს საიმისოდ ირჩევს, რომ საკუთარი უსაფრთხოება გაამყაროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ეშინოდა საბჭოთა გავლენის ზრდის ევრაზიაში და ამიტომაც შექმნა ნატო, როგორც ფარი.

ეს პოლიტიკა მუშაობდა და, შესაძლოა, ძალზე კარგადაც, რადგან ევროპელი წევრები უპირატესობას ანიჭებდნენ ამერიკაზე აზრდაკარგულ დამოკიდებულებას მას შემდეგაც კი, რაც აღიდგინეს ძალები და ეკონომიკაში დიდი ნახტომებიც გააკეთეს. ცივი ომის დამთავრების შემდეგ აღარ არსებობდა ალიანსის გაფართოების საბაბი და თავად ამ ალიანსის არსებობის აზრიც. უსაფრთხოების რა საკითხებიც არ უნდა დარჩენილიყო, მათი გადაჭრა შეეძლოთ ევროპელებს ან ნატოს მემკვიდრე კონტინენტური ალიანსის საშუალებით, ან იმავე ნატოს საშუალებით, ოღონდ ევროპელების მეთაურობით. ბალტიის ქვეყნების ჩართვა არის ნათელი მაგალითი იმ ქვეყნების ჩართვისა, რომლებიც უსაფრთხოებაში შავ ხვრელებს წარმოადგენდნენ — სუსტი სახელმწიფოები მინიმალური სამხედრო ძალით, მაგრამ რუსეთთან პოტენციური კონფლიქტებით.

დღეისათვის მხოლოდ ესტონეთი შეესაბამება ნატოს მიერ რეკომენდებულ საერთო შიგა პროდუქტის 2%-იან მაჩვენებლს, რაც თავისთავად მიზერულია ქვეყნისათვის, რომელიც აცხადებს, რომ შესაძლოა, მეზობელი გიგანტი დააცხრეს. ლატვია და ლიტვა ამის ნახევარს ხარჯავენ, მაგრამ პირობას დებენ, რომ როგორმე მიაღწევენ 2%-მდე. მანამდე კი ამერიკას შეჰყურებენ, რომ განალაგოს ჯარი მათ საზღვრებზე და დაიცვას ისინი.

ალბათ, არარეალურია ბალტიის ქვეყნების ნატოდან გაყრა, მაგრამ ნატო ხომ რეალური პრობლემაა ამერიკისთვის. ვაშინგტონი თვითონ უნდა გავიდეს ამ ალიანსიდან და შეიმუშაოს უფრო შეზღუდული სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებები ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალების მქონე ევროპულ ქვეყნებთან და ევროკავშირთან. აუცილებელი არ არის ითქვას, რომ ესტონეთი, ლატვია და ლიტვა ამ სიაში არ უნდა აღმოჩნდნენ.

## ფილიპინები

ამ ნახევრადშეუმდგარ სახელმწიფოსთან ამერიკას ხანგრძლივი და მრავალტანჯული ურთიერთობის ისტორია აქვს. ამერიკას უნდა ჩაეხშო იქ ესპანეთის საწინააღმდეგო დამოუკიდებლობისათვის აქტიური მოძრაობები და დემოკრატიის გავრცელების ამ ადრეულ გამოვლინებას მაშინ დაახლოებით 200 ათასი ფილიპინელი ემსხვერპლა.

ახლა ამ ქვეყანას ჰყავს ფლოტი, რომელიც ვერ ცურავს და ავიაცია, რომელიც ვერ ფრინავს. ფლოტის ფლაგმანი ამერიკული სექენდ ჰენდია. და, მიუხედავად ამისა, ფილიპინელები ეკამათებიან ჩინეთს და სურთ, რომ მათ ნაცვლად აშშ-მა იბრძოლოს. აშკარად დადგა დრო, როდესაც მანილამ აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას მიერ ხელმოწერილი გამოსამშვიდობებელი წერილი უნდა მიიღოს.

## უკრაინა

ტექნიკურად კიევი ამერიკის მოკავშირე არ არის, მაგრამ ამას ვერავინ შეამჩნევს იმის მიხედვით, თუ როგორ ექცევა აშშ-ის ადმინისტრაცია უკრაინას და მით უფრო იმის მიხედვით, თუ როგორ სურთ, რომ მოექცნენ უკრაინას ნეოკონსერვატორები და ჰიპერნაციონალები.

უკრაინა ამერიკისთვის ბევრს არასდროს ნიშნავდა. არც ერთი ამერიკელი სტრატეგი არც ერთხელ არ ამტკიცებდა, რომ უკრაინაზე მოსკოვის კონტროლი რაიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს მოიცავდა.

იმის გაგება შეიძლება, თუ რატომ სურთ უკრაინელებს, რომ ამერიკამ ჯავშანსატანკო ნაწილები გაგზავნოს, მაგრამ ამერიკას ამის გასაკეთებლად მიზეზები არ აქვს. ეს ტრაგიკული, მაგრამ რთული ბრძოლაა, ეს არის სამოქალაქო ომი და ინტერვენცია ერთდროულად. ყველა ადმინისტრაცია რუსეთს ადანაშაულებს იმაში, რაც ამერიკამ გააკეთა, მათ შორისაა შეჭრაც, ამბოხებულების მარდაჭერაც და ხელისუფლების დესტაბილიზაციაც. ახლა უკრაინა უსარგებლოა ამერიკული უსაფრთხოებისთვის და იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ბირთვულ ზესახელმწიფოსთან კონფრონტაციად ღირდეს.

**ამერიკამ ნათლად უნდა მიახვედროს კიევს, რომ უკრაინა ვერასდროს შევა ნატოში და მის ტერიტორიაზე არასდროს იდგება ამერიკული ჯარი. ვაშინგტონი არ მისცემს კიევს იარაღს.** უკრაინაში ამერიკის ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ინტერესები რეალური, მაგრამ შეზღუდულია. როგორი ორმხრივი ურთიერთობაც არ უნდა ჩამოყალიბდეს მომავალში, ეს ალიანსი ვერ იქნება.

**warandpeace.ru**





# თერმობირთვული აფეთქების საფრთხე ცსს-ს შტაბ-ბინაში

**ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია, მაგრამ მონაცემები იმდენად ზუსტია, რამდენადაც კი შეიძლება მათი დაზუსტება ამ ეტაპზე. სამი დღე-ღამის განმავლობაში ვირჯინიის შტატში, ლენგლში, ცსს-ს შტაბ-ბინაში კაცობრიობისთვის არნახული დრამა ვითარდებოდა.**

მიმდინარე მოვლენების არსი თვით ღონისძიების მონაწილე პოლიციელებსაც კი არ ესმოდათ. რამდენადაც ცნობილი გახდა, საგანგებო ვითარებას უმალავდნენ თვით აშშ-ის პრეზიდენტსაც.

თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს. ტერიტორიაზე, რომელიც ფართობით კვადრატულ კილომეტრს აღემატება, ჯორჯ ბუშის სახელობის სადაზვერვო ცენტრში, განთავსებულია მრავალი საიდუმლო ობიექტი, მათ შორის ზესაიდუმლო ლაბორატორიებიც. ერთ-ერთ ამ ლაბორატორიაში დამზადდა შედარებით კომპაქტური თერმობირთვული ჭურვი, რომლის სიმძლავრეც რამდენიმე მეგატონას შეადგენდა.

ცსს არაბული წარმომავლობის ორმა სპეციალურმა აგენტმა მიიღო ბრძანება, სათავეში ჩასდგომოდნენ ჯგუფს, რომელიც ჭურვს ერაყში ჩაიტანდა და მოამზადებდა ბრძოლაში გამოსაყენებლად, სავარაუდოდ, „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგოდ. ზედმიწევნით იქნა გათვლილი დეზინფორმაციული ზომები, რომლებიც ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას ააცილებდა აშშ-ს.

**აფეთქების შედეგად „ისლამური სახელმწიფო“ უნდა განადგურებულიყო. მასთან ერთად დაზარალდებოდა ერაყის მნიშვნელოვანი ნაწილიც, ასევე აშშ-ის ნატოელი მოკავშირე თურქეთიც, ირანიც, სირიაც, იორდანიაც. შემდეგ კი ყველაფერი ისე განვითარდებოდა, როგორც ნიავი დაუბერავდა.**

ამგვარი იდეა მხოლოდ ფსიქოპათებს შეიძლებოდა მოსვლოდათ თავში. სიტუაცია საბოლოოდ გამოვიდა კონტროლიდან, როდესაც ზემოხსენებულმა ორმა აგენტმა უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. გაურკვეველია, თუ რა მოხდა მათსა და მათ ხელმძღვანელობასა და კოლეგებს შორის, ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა.

აგენტებმა ბარიკადები მოაწყვეს საგულდაგულოდ დაცულ შენობაში ზემოხსენებულ ჭურვთან ერთად და მისი მოქმედებაში მოყვანით იმუქრებოდნენ. მოწყობილობა არ არის არმიის, ის განკუთვნილია ცსს-სთვის და ორივე აგენტს, რომლებზეც საუბარია, ნასწავლი აქვს მისი საბრძოლო გამოყენება.

ცსს-ს შტაბ-ბინაში შესასვლელ-გასასვლელები გადაკეტეს და პოლიციის ყვითელი ლენტი შემოავლეს. სიახლოვეს საპატრულო პოლიციის რამდენიმე მანქანა მორიგეობდა. პოლიციელები საქმის კურსში ჩააყენეს იმ კრიმინალური ინციდენტის შესახებ, რომლის შედეგადაც ადამიანები დახოცეს და მძევლად აიყვანეს, მოლაპარაკებების საწარმოებლად დაინიშნა ცსს-ს ფსიქოლოგი და, როგორც პოლიცია იუწყებოდა, სიტუაცია კონტროლს დაუქვემდებარეს. თერმობირთვული საფრთხის შესახებ ცნობა არ გავრცელებულა, მოსახლეობის ევაკუაცია არ გამოცხადებულა.

მუქარის სისრულეში მოყვანის შემთხვევაში, აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს რამდენიმე ქალაქი მიწასთან გასწორდებოდა, მათ შორის ფილადელფია და ვაშინგტონიც. მოსახლეობისა და ადმინისტრაციის უსაფრთხოების ზომები არ აუმოქმედებიათ მხოლოდ იმის გამო, რომ საიდუმლოს ცსს-ს გარეთ არ გაეჟონა.

**perevodika.ru**

**მუქარის სისრულეში მოყვანის შემთხვევაში, აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს რამდენიმე ქალაქი მიწასთან გასწორდებოდა, მათ შორის ფილადელფია და ვაშინგტონიც. მოსახლეობისა და ადმინისტრაციის უსაფრთხოების ზომები არ აუმოქმედებიათ მხოლოდ იმის გამო, რომ საიდუმლოს ცსს-ს გარეთ არ გაეჟონა**

მსოფლიო

## კლინტონი ევროპას მოუწოდებს, შეწყვიტოს „მოკავშირეობანა“ რუსეთთან

**აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან, ჰილარი კლინტონი, ევროპას რუსეთთან ურთიერთობაში „მოკავშირეობანას“ შეწყვეტას ურჩევს.** როგორც კლინტონი აცხადებს, ევროპას ზედმეტად რბილი პოზიცია უკავია რუსეთის მიმართ. ის, ასევე ამბობს, რომ, თუ ვლადიმერ პუტინს ხელი არავინ შეუშალა, ის პოსტსაბჭოთა სივრცეში თავის გავლენას გააძლიერებს. ეს განცხადება ჰილარი კლინტონმა ლონდონის მერ ბორის ჯონსონთან შეხვედრის დროს გააკეთა. როგორც ლონდონის მერი აცხადებს, კლინტონს ხმის ტემბრიც კი ეცვლება კრემლზე და მის ბატონზე საუბრის დროს.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა მიზანს ემსახურება მინიმალური ზღვრის დაწესება (5 ჰა— ფიზიკური პირისთვის და 20 ჰა — იურიდიული პირისთვის). თუ მიზანი ის არის, რომ ნაკვეთების დანაწევრება არ მოხდეს, მაშინ მითითებული უნდა იყოს, რომ ნაკვეთის გაყოფა და ნაწილის შეძენა არ შეიძლება და ეს უნდა ეხებოდეს ასევე საქართველოს მოქალაქესაც. ამასთანავე, გაუგებარია, როგორ მოხდება პირის მიერ ორი მომიჯნავე, მაგალითად, სამჰექტრიანი მიწის ნაკვეთის შეძენა, ანუ ეს ნაკვეთები ჯერ უნდა გაერთიანდეს და შემდგომ იქნება მისი ყიდვა შესაძლებელი?**

# მივიღოთ მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონი

## მიმართვა საქართველოს პარლამენტს

**თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების — კერძოდ, საკვები რესურსების შემცირების — პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე.**




მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი" (შეზღუდული) რესურსი. განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამ ტიპის მიწის მოქალაქეობის არმქონე პირებზე განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება შეზღუდულია ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უმეტეს ქვეყნებში შეზღუდვები არსებობს იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზეც. აქ გვხვდება გარკვეული რეგულირება, წინაპირობები, რომლებიც ართულებს ან გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში — ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვები.

საქართველოს **საზოგადოებას ვთავაზობთ ზოგიერთ მოსაზრებას** 2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეტანილ **კანონპროექტზე „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ"** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (parliament.ge/ge/law/7964/16269).

კანონპროექტის განმარტებით ნაწილში არ ჩანს გარკვეულობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის საჭირო, რომ მცირემიწიანი საქართველო თავის მიწას უცხოელებზე ყიდდეს. ნათელია, რომ ამისთვის კანონმდებლის ცნობიერებაში ან ქვეცნობიერში ერთადერთი მოტივი არსებობს: „ამას მოითხოვს დემოკრატიული ზრდილობა". უკიდურესად არადემოკრატი კანონმდებელი ამით იმშვიდებს „სინდისს" და მომგებიან იმიჯს იქმნის მსოფლიოში, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ უცხოელებზე მიწის განუკითხავი გასხვისება სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელია (ამას მეტყველებს მაღალდემოკრატიული დასავლეთის მთელი საკანონმდებლო პრაქტიკა).

კანონში შესატანი ცვლილებების პროექტიდან არ ჩანს უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენასთან დაკავშირებული ეკონომიკური ანალიზი, ანუ რა რაოდენობის მიწაა შესყიდული, რა ინვესტიციებია განხორციელებული, დამუშავებულია თუ არა მიწა და ა. შ. ასევე, როგორია თანაფარდობა საქართველოს მოქალაქეების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებისა და უცხოელების მიერ გაკეთებულ ინვესტიციებს შორის.

საინტერესოა, რომელი ქვეყნის მოქალაქეები ფლობენ მიწას საკუთრებაში და როგორია მათ მიერ გაკეთებული ინვესტიციების ოდენობა, ამით გავიგებთ, რომელი ქვეყნებიდანაა მიწით სპეკულაციის მაღალი რისკი;

საზოგადოდ, მიწით სპეკულაციის საფრთხე უფრო მეტად არსებობს იურიდიული პირების მხრიდან და, შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი შეზღუდვები უცხოელებისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვაზე ძირითადად მიმართულია იურიდიული პირების მიმართ, რაც ასევე არ ჩანს კანონში ცვლილებების პროექტში;

მნიშვნელოვანია, კანონში ცვლილებების პროექტი აყალიბებდეს/არეგულირებდეს მსხვილმასშტაბიანი მიწის მფლობელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობებს. მისასალმებელი იქნება, თუ მსხვილმასშტაბიანი მიწის მესაკუთრეს, გარდა ზოგადი ვალდებულებებისა სახელმწიფოს მიმართ (მიწის გადასახადი და სხვ.), ექნება ვალდებულებები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ (ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური და სხვა ღონისძიებების დაფინანსება). ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, მიიღოს არაპირდაპირი სარგებელი და, ასევე, ეს ხელს შეუწყობს მათ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება.

კანონმდებლობა ნათლად უნდა აყალიბებდეს თამაშის წესებს, რომლებიც გამორიცხავს/შეზღუდავს არასწორი ინტერპრეტაციებისა და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას. თანამდებობის პირების მიერ (თუნდაც ჯგუფურად) არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება საკუთრების უფლებაზე. რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის ან ეკონომიკის სამინისტროსთან თეორიულად შესაძლებელია შეიქმნას საბჭო, როგორც პოლიტიკის ნაწილი, თუმცა მისი მანდატი უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტებული, რათა არ დარჩეს სივრცე მიკერძოებული გადაწყვეტილებებისთვის.

დასადგენია, რა მიზანს ემსახურება მინიმალური ზღვრის დაწესება (5 ჰა — ფიზიკური პირისთვის და 20 ჰა — იურიდიული პირისთვის). თუ მიზანი ის არის, რომ ნაკვეთების დანაწევრება არ მოხდეს, მაშინ მითითებული უნდა იყოს, რომ ნაკვეთის გაყოფა და ნაწილის შეძენა არ შეიძლება და ეს უნდა ეხებოდეს ასევე საქართველოს მოქალაქესაც. ამასთანავე, გაუგებარია, როგორ მოხდება პირის მიერ ორი მომიჯნავე, მაგალითად, სამჰექტრიანი მიწის ნაკვეთის შეძენა, ანუ ეს ნაკვეთები ჯერ უნდა გაერთიანდეს და შემდგომ იქნება მისი ყიდვა შესაძლებელი?

ასევე საკითხავია, ეფექტიანი თუ იქნება მიწით სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად ზედა ზღვრის დაწესება, რადგან კერძო ან იურიდიული პირის მიერ, შესაძლებელია, დაფუძნდეს რამდენიმე იურიდიული პირი და ისე იქნეს შეძენილი სასოფლო-სამეურნეო მიწა;

საკითხავია, რამ განაპირობა შეზღუდვების გაუვრცელებლობა კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებზე.

გაუგებარია, რატომ არის საჭირო უცხოელისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, ნოტარიუსის გარეშე დადოს გარიგება; ასევე, უცხოელს არასასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისას არ მოეთხოვება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება ნოტარიუსთან.

გაუგებარია მუხლი 1-12, რომელიც ეხება შეღავათს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დროს, თუნდაც ეს ეხებოდეს პირდაპირი მიყიდვის შემთხვევას.

**სწორი ხედვის, სტრატეგიისა და შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივისთვის აუცილებელია კვალიფიციური ანალიზი**.

ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ **სახელმწიფო პოლიტიკა უდავოდ უნდა უზრუნველყოფდეს მიწის ეფექტიან გამოყენებას, თუმცა ეს მიღწეული უნდა იყოს არა მესაკუთრეობაზე შეზღუდვების დაწესებით, არამედ მიწათსარგებლობის მონიტორინგის საშუალებით,** რისთვისაც შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებები იქნება საჭირო, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მიწათსარგებლობის მონაცემთა ბაზის შექმნას, ასევე, მიწათსარგებლობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებას.

სამართალი ვერ იქნება გულგრილი საკუთრების სოციალური დატვირთვისადმი, რადგან სწორედ აქ მჟღავნდება საკუთრების მიერ შესასრულებელი ამოცანა, მისი ადგილი, როლი და მნიშვნელობა. ამიტომ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთიანად მოითხოვს, როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის. **საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლიც ითვალისწინებს საჯარო მიზნებისათვის საკუთრებაში ჩართვის შესაძლებლობას, კერძოდ კი, საკუთრების უფლების შეზღუდვას და საკუთრების ჩამორთმევას.**

**არ არის საკმარისი, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში შევიდეს, თანამედროვეობასთან მორგებულად ჩამოყალიბებული გრძელი რიგი ცვლილებებისა. აუცილებელია, რომ კანონში უკვე არსებული სწორი განსაზღვრებები და ახალი, რომლებსაც დრო მოითხოვს, აწყობილ იქნეს ახალ სისტემად, რომელიც აგებული იქნება ამოცანათა დღევანდელ რუკაში არსებულ პროპორციათა გათვალისწინებით, მათი სიმწვავისა და მნიშვნელობის მიხედვით. ამ ამოცანის გადაჭრას სჭირდება მიწათსარგებლობის ახალი კანონის (კოდექსი) მიღება (და არა ძველის ჩასწორება).** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამ ახალ განსაზღვრებათა შორის არის ის, რომ აუცილებელია, დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველ უცხოელთა მიმართ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული რეგულაციები.

ამასთანავე, მისაღებია ნორმატიული აქტი **„სოფლის მეურნის (ფერმერი) სტატუსის შესახებ",** რომელიც უნდა აისახოს კანონში და გავრცელდეს, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე (პროექტი მომზადებულია).

აგრეთვე, ნორმატიულად უნდა განისაზღვროს **„სოფლის სტატუსი" და დამკვიდრდეს სოფელში თვითმმართველობა,** რადგან დღეს ქართული სოფელი მხოლოდ გეოგრაფიული დასახელების ფუნქციის და არა ტერიტორიული და სოციალური ერთეულის მქონეა (პროექტი მომზადებულია).

მიწის რაციონალური გამოყენების მიზნით აუცილებელია მიწათსარგებლობის მონიტორინგის დაწესება, რომელიც უნდა ფუნქციობდეს მიწის საინფორმაციო სისტემის შემადგენლობაში. **მიწის საინფორმაციო სისტემა ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია.**

სასოფლო-სამეურნეო მიწის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში (ბრუნვაში) მოქცევის არა ერთი, არამედ, **ორი გზა არსებობს: პირველი — მიწის კერძო საკუთრება, მეორე — მიწის გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.**

ჩვენს პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, უცხოელების მიმართ, ძირითადად, მეორე უნდა იქნეს გამოყენებული. ეს ფორმა იგნორირებულ იქნა **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ"** საქართველოს **კანონის გაუქმებით.** ამისთვის კი **საჭიროა, სასოფლო მიწის იჯარის შესახებ ახალი კანონის მიღება და მასში ნათელი და გამჭვირვალე ნორმების შეტანა**.

სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება.

მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა. ხელისუფლება კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს ისე, რომ დაცულ იქნეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები და მათი ბალანსი.

ჯერჯერობით გვაქვს საშუალება, **მივიღოთ მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონი (კოდექსი),** რომელშიც **თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისებას და მხოლოდ ამის შემდეგ ავამოქმედოთ იგი.**

**საქართველოს აქვს იმის ინტელექტუალური პოტენციალიც, რომ პოლიტიკური ნების პირობებში, უმოკლეს ვადაში შექმნას** მიწათსარგებლობის **სრულფასოვანი კანონი (კოდექსი).** საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას აქვს შანსი, მიაღწიოს წარმატებას აგრარულ და ქვეყნის განვითარების საქმეში, თუ:

გაუჭიანურებლად იტყვის უარს წარმოდგენილ კანონპროექტზე; მიიღებს დროებით ნორმებს იმ უცხოელების მიმართ, რომლებსაც უკვე ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე აქტივობები; მთავრობა აიღებს ვალდებულებას, 3-4 თვეში მიწის სრულფასოვანი კოდექსის პროექტის შექმნაზე და გააპიროვნებს ვალდებულებას; პროექტის შემუშავების პროცესში ჩართავს მეცნიერებს, სპეციალისტებს, შემდგომ მოაწყობს პროექტის საჯარო განხილვას საზოგადოებაში, სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში და ამის შემდეგ მიღებულ კოდექსს, რომელიც იქნება მის ირგვლივ საზოგადოების მაღალი კონსოლიდაციის საშუალებაც, დანერგავს ცხოვრებაში. სხვა გზა ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მოლიპულია, ქვეყნისათვის კი – მავნე.

**საზოგადოების „საქართველოს მიწის გუშაგი" სახელით, პროფესორები:**
**თ. ჩხეიძე, გ. მარგველაშვილი, ა. ფირცხალაშვილი, დ. ჯულუხაძე, ნ. ქარქაშაძე, ო. ქეშელაშვილი, ლ. ფრუიძე, მ. ვაჩნაძე, ო. ჟორდანია, ვ. გურული, რ. გოგოხია, ი. ბაჩიაშვილი, გ. მაქაცარია, მ. ბოხუა, დ. ბახტაძე, პ. ცნობილაძე, ბ. რამიშვილი, ა. აბრალავა, ნ. ჩიხლაძე, მ. შალამბერიძე, გ. გოგიაშვილი, ზ. მიქელაძე, ქ. ფრიდონაშვილი, გ. თვალჭრელიძე, პ. გიორგაძე, ლ. ჩაჩუა, მ. გიორგაძე, ა. მესხიშვილი, გ. ზიბზიბაძე, ნ. ნათაძე, მ. ჯიბუტი, ზ. ჯინჯოლავა, პ. კოღუაშვილი**

**მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად ვიქეცით: 200 ჩაის ფაბრიკიდან არაფერი შეგვრჩა; 200 ღვინის ქარხნიდან მხოლოდ 30 ფუნქციონირებს; აღარ არსებობს კვების მრეწველობა, როცა საქართველოს შემოსავლის 50%-ზე მეტი კვების მრეწველობაზე მოდიოდა. მოხმარებული მარცვლეულის მხოლოდ 20%-ს აწარმოებს საქართველო, 80% კი შემოგვაქვს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მე ქართველი ვარ და არა ევროპელი!

**მართლმადიდებელი რუსეთის მიმართ საქართველოს საგარეო პრიორიტეტებზე საუბრისას მართლმადიდებელი საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა, მამალმა რესპუბლიკელმა განაცხადა: „ჩვენ არჩევანი უნდა გავაკეთოთ, რაც შეეხება რუსეთს, ის მართლმადიდებლურად არასოდეს იქცეოდა“.**

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ ხელი მოაწერა ბრიუსელში ნატოს პროგრამას — „აღმოსავლეთის პარტნიორობა მშვიდობისათვის“. მას შემდეგ საქართველო ერთ ვირტუალურ ცარცის წრეზე ტრიალებს და დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდა. ძალა ერთობაშიაო, — უთქვამს ბრძენკაცს, მაგრამ ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა მედასავლეთეა, ზოგი კი ნეიტრალიტეტზე ოცნებობს, ამასობაში საქართველო ხელში შემოგვადნა — დავკარგეთ ტერიტორიები და სოციალური ფონიც მნიშვნელოვნად დამძიმდა ქვეყანაში.

ხელისუფლების ეს წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, არასოდეს ისაუბრებენ იმ ე. წ. დემოკრატიულ მიდგომებზე, რომლებსაც ევროპა-ამერიკა ახორციელებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სამაგიეროდ, ამ საკითხებზე დაუფარავად საუბრობენ ევროკავშირის ქვეყნების კომპეტენტური წარმომადგენლები — ევროპა ინგრევა და მისი ქვეყნები ნანგრევებში მოხვედრისგან თავის არიდებას ცდილობენ.

***ცნობილი ჟურნალისტი და ეკონომიკური საკითხების ექსპერტი ჯერემი უორნერი ბრიტანული გამოცემა THE DAILY TELEGRAPH-ის ფურცლებზე წერს: „ევროკავშირი ეკონომიკურად კვდება და უქლურია, თავი გადაირჩინოს“. უორნერი ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისში ხელისუფლებას ადანაშაულებს.**

***ამერიკის არადემოკრატიულობაზე წერს პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი უილიამ ენგდალი JOURNAL-NEO.ORG-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში და აღნიშნავს, რომ დღეს ქვეყანაში გადაწყვეტილებებს არა პოლიტიკური პარტიები, არამედ ოლიგარქიული სტრუქტურები იღებენ.**

***ბულგარეთის ნაციონალური პარტია „ატაკას“ ლიდერმა — ვოლენ სიდეროვმა რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან და ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე, ხოლო ბერძნებმა ათენში ამერიკის დროშა დაწვეს და სკანდირებდნენ: „ევროკავშირი, აშშ და ნატო — გაეთრიეთ საბერძნეთიდან!“** (ბრიუსელის „დახმარებით“ საბერძნეთის საგარეო ვალი 323 მილიარდ ევროს აღწევს). თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაშია ესპანეთი და პორტუგალია, ხოლო, რაც სოციალიზმის ხანაში შეიქმნა ბულგარეთსა და რუმინეთში, განადგურებულია და ეს ქვეყნები, დიდი ალბათობით, თავიანთ ევრაზიულ ფესვებს გაიხსენებენ. **ევროკავშირს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური ფონის გაუმჯობესებისთვის არანაირი ვალდებულება არ აუღია. მას მხოლოდ თავისი ბანკები აინტერესებს, რომელთა მეშვეობით ამ ქვეყნებს აკოტრებს და რესურსებს ითვისებს.**

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, **საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები და თვით პრემიერი ღარიბაშვილიც კი ძალისხმევას არ იშურებენ, ევროპელ ემისრებს თავი მოაწონონ. ღარიბაშვილმა ბრიუსელში ყოფნისას განაცხადა, ჩემი ქვეყანა ევროპის ერთგული რჩეული(?!), რაც ევროპასთან ჩახუტების სანაცვლოდ ტერიტორიების დაკარგვის ტოლფასია.** უკვე მესამე წრეზე მივდივართ დასავლეთის მიმართულებით და დროა, სხვა სახელმწიფოების გამოცდილება გავითვალისწინოთ და ჩვენი ქვეყნის მომავალზე ვიფიქროთ. **ევრაზიულ კავშირში გაწევრება რუსული პოლიტიკის გატარებას არ ნიშნავს. პირიქით, ეს არის ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა თურქეთის, ჩრდილოკავკასიელთა ექსპანსიისა და რადიკალი ისლამისტებისგან; ეს არის მართლმადიდებელი ქვეყნის ზნეობის და მორალის ჩარჩოებში მოქცეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა; ეს არის ქართული სოფლის გადარჩენა რუსეთის ბაზრის მეშვეობით და სამომავლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი.**

რუსეთის მიერ აფხაზეთთან გაფორმებული ხელშეკრულება ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის ლოგიკური შედეგია. რუსეთის შოვინისტურ წრეებს 1948-50 წლებშიც ჰქონდათ აფხაზეთის რუსეთთან შეერთების გეგმა, მაგრამ ეს სტალინმა არ დაუშვა, ჩვენმა ხელისუფლებამ კი ამისკენ თვითონ უბიძგა რუსეთს.

**პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამ რეალური პატრიოტული ძალები გარიყა, რადგან მას დიდი ნდობის მანდატი ჰქონდა საქართველოში. დღევანდელი გადასახედიდან კი ჩნდება გონივრული ეჭვი — ბატონმა ექსპრემიერმა ქართველ საზოგადოებას ისეთივე დიაგნოზი (დაავადებული მსუბუქი დებილობის ფორმით) ხომ არ დაუსვა, როგორიც მისმა რჩეულმა მარგველაშვილმა? ან იქნებ ეს პიროვნებაც „დიაგნოზის დასმის ნიჭის“ გამო შეარჩია?** წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოუწოდებდა საზოგადოებას, ერთხელ კიდევ მენდეთო და არც „ნაცების“ გადარჩენას მოისურვებდა. რაც შეეხება ქველმოქმედებას, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ




ეს არც მხოლოდ ქართველის და არც მხოლოდ ივანიშვილის მახასიათებელი არ არის. რას მოიმოქმედებდა თითოეული ჩვენგანი მსგავსი ფინანსური რესურსით? **ოტო ბაისჰაიმი** — გერმანელი ბიზნესმენი, რომელიც პირველ სატანკო დივიზიონში მსახურობდა, ადოლფ ჰიტლერის მეთაურობით, დიდი ქველმოქმედი გახლდათ. იგი აფინანსებდა საქველმოქმედო საზოგადოებებს და გარდაცვალების შემდგომ (2013წ.) თავისი ფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ დაუტოვა.

ექსპრემიერმა „ნაცებთან“ კოაბიტაცია ბიზნესგარიგებად აქცია, რითაც პოლიტიკური სიმყიფე გამოავლინა, მან არც სააკაშვილის მიერ ჩარეცხილი პროფესიონალი კადრები აღადგინა თანამდებობებზე, რამაც დღეს ასეთი კადრების დეფიციტი გამოიწვია. გადავხედოთ წარსულს: **მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად ვიქეცით: 200 ჩაის ფაბრიკიდან არაფერი შეგვრჩა; 200 ღვინის ქარხნიდან მხოლოდ 30 ფუნქციონირებს; აღარ არსებობს კვების მრეწველობა, როცა საქართველოს შემოსავლის 50%-ზე მეტი კვების მრეწველობაზე მოდიოდა. მოხმარებული მარცვლეულის მხოლოდ 20%-ს აწარმოებს საქართველო, 80% კი შემოგვაქვს.**

**დასავლეთის პოლიტიკისადმი მონურმა მორჩილებამ ანტიდისკრიმინაციული კანონიც მიაღებინა „ქართულად“ მეოცნებეებს. შედეგად მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქუჩაზე, რომელიც ჩვენი სათაყვანებელი მწერლების ნავსაყუდელი იყო, პირველი გეიჟურნალის პრეზენტაციაც მოეწყო. ამ ჟურნალს ნიდერლანდების სამეფო აფინანსებს და უფასოდ ვრცელდება.** ამასთანავე, დაფინანსდა მოკლემეტრაჟიანი გეიფილმიც, რომელშიც დედა თავის გეიშვილს წითელ კაბას აზომებს. ამან ქვეყნის არცთუ შორეული გმირული წარსულიდან ერთი ლექსი გამახსენა, სადაც დედა თავის შვილს მიმართავს:

**„წითელი ჩოხა ჩაიცვი,**
**შვილო,**
**ნეტავი,**
**რა გაქვს სამგლოვიარო,**
**წითელზე სისხლი**
**არ დაგემჩნევა**
**თუნდ რომ ათი ომი**
**გამოიარო“.**

ეს ყოველივე ნათელი მაგალითია იმისა, როგორ ცდილობენ ჩვენი მენტალობის შეცვლას გარე ძალები ჩვენივე ხელისუფლების ხელით, რაც ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. ევროპული არჩევანი ხელისუფლებისთვის პანაცეად იქცა და ქვეყანაში ეროვნული იდეოლოგია ჩაანაცვლა, თუმცა ეროვნული იდეოლოგიის არსებობის სურვილმა ჩაილურის წყალი დალია გამსახურდიას ხელისუფლების დამხობასთან ერთად, „რომელია ჩემზე მეტად ევროპელი და დასავლური ფასეულობების მატარებელი?“ — სვამს კითხვას ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი და ხელს „ნაცებისკენ“ იშვერს, ანუ, **პიროვნება, რომელიც ტელეეთერიდან ეროვნულ ღირებულებებზე გვესაუბრება, „ნაცებს“ ეჯიბრება ევროპელობაში, ხოლო მეორე ლიდერი სამაჩაბლოს არ ახსენებს, ოსებს ეწყინებათო, — ბრძანებს.** გარდა ამისა, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ინიციატივას რუსეთს მიაწერს და ქართველ საზოგადოებას ტვინს ურევს. ეს დემაგოგია მხოლოდ დასავლეთის ინტერესებს ემსახურება და ქართველი საზოგადოება ასეთი ძალის არჩევით ქვეყნის სათავეში კიდევ ერთ იმედგაცრუებას მიიღებს, რადგან **ეროვნული ღირებულებები და დასავლეთისკენ სწრაფვა ურთიერთგამომრიცხავია.** პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ **ის ძალები, რომლებიც დღეს ხელისუფლებას სამართლიანობის არაღდგენაში ადანაშაულებენ და აქციებს მართავენ, თვითონ არიან დასავლეთის მონები და ისიც იციან, რომ დღეს ქვეყანაში კრიმინალებს ასევე კრიმინალური დასავლეთი ლობირებს.**

ჭეშმარიტად ეროვნული ძალა რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით კი არ გამოვა ქვეტექსტით — მე უნდა მოვიდე ხელისუფლებაშიო, არამედ ევროკავშირისა და ამერიკის წინააღმდეგ მოაწყობდა აქციას. **ეროვნული იდეოლოგია არც ქართულ ჯარშია. ამას მოწმობს ქართველი ბიჭების უკრაინაში ბრძოლაც, რაც, ასევე, ევროპა-ამერიკის ინტერესებს ემსახურება ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.**

ივანიშვილის ლიბერალურმა პოლიტიკამ კრიმინალებისადმი ფაშისტური ტერაქტის ობიექტად აქცია საქართველო. ამ აქტის მსხვერპლი ბატონი იური ვაზაგაშვილი კი სრულიად საქართველოს დააკლდა თავისი გმირული შემართებით...

ერთი მხრივ, ეკლესიები ამიშენოს, თანამემამულეებს ფინანსურად დაეხმაროს, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნება და მამის სახელი წამართვას, გაუკულმართებული სექსურთიერთობა კანონიერ ჩარჩოებში მოაქციოს, მართლმადიდებელ ეკლესიას დაარტყას, ქართული მიწები უცხოელებზე გამიყიდოს, ამერიკული საწვრთნელი ბაზები ამიშენოს და ქვეყანა რეალური საფრთხის ქვეშ დამიყენოს?! — **არ მწამს იმ ხელისუფლების, რომელიც მონური მორჩილებით ქართულ გენსა და სულს მომიკლავს, მორალსა და ზნეობას წამიბილწავს ევროპელობის სახელით! სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის?**

**ევროპა, ფაქტობრივად, ქრისტიანული აღარ არის. ეკლესიებს მრევლი აღარ ჰყავთ და ტაძრები იყიდება. ევროპულ ღირებულებებზე აპელირება სიყალბეა, რაც ეპიდემიად იქცა ქართულ პოლიტიკაში. ადამიანის უფლებების დაცვას და სუფთა გარემოში ცხოვრებას ევროპიდან კარნახი სჭირდება?** რა, ხელისუფლებას ინფორმაცია არ აქვს თუ ანალიზის უნარი?

ევროპა მხარს უჭერს სიყალბეს და ფაშიზმს (უკრაინის მაგალითი) — ეს არის მისი ფასეულობა! დასავლეთი პროპაგანდისტულ ომს აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ მისი რესურსის მითვისების მიზნით. **თუ ნატო შორეულ კოსოვოსა და ავღანეთში „იცავს“ თავის ინტერესს, რუსეთს არ აქვს უფლება, საზღვრებთან დაიცვას თავისი ინტერესი?**

არის საფრთხე, რომ ამ „დემოკრატიულმა“ ძალებმა მაიდანი ჩვენთანაც მოაწყონ, თუ ხელისუფლება მათი დირექტივების შესაბამისად არ იმოქმედებს. 1978 წელს ტერორისტებმა იტალიის პრემიერმინისტრი ალდო მორო გაიტაცეს და მოკლეს, რადგან ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო.

**სად არის გამოსავალი, როგორ დავაღწიოთ თავი ამერიკა-ევროპის ფაშისტურ ძალებს? ჩვენი უბედურების სათავე ჩვენივე მენტალიტეტშია, წარსულის ანალიზის არქონასა და სხვისი გემოვნებით ხელისუფლების არჩევაში. გამოსავალი მიმდინარე პროცესების სწორ ანალიზშია და საზოგადოება ამერიკის ხელისბიჭების — „ნაცების“, ალასანიას და მსგავსი ძალების გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცეს.** გავიხედოთ მეზობელი ქვეყნებისკენ და გავითვალისწინოთ, რომ ევროპული „ღირებულებების“ მსხვერპლი ერთადერთი ქვეყანა ვართ კავკასიაში. უნდა შევებრძოლოთ სიყალბეს, სისულელეს და უსამართლობას, რომელიც ხელისუფლებისგან მოდის ჩვენივე ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ და გავანეიტრალოთ დასავლეთიდან მართული შეტევა ზნეობასა და მორალზე. **საქართველოს ეროვნულმა ძალებმა პოლიტიკურ სივრცეში უნდა დაიკავოთ ანტიდასავლური ნიშა, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესს გაატარებს ქვეყანაში და ხმამაღლა, ამაყად განაცხადებს: მე ქართველი ვარ და არა ევროპელი!**

**იზა თამაზაშვილი**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზნეობრივი ნორმები და კანონები ზღუდავს თურმე ადამიანს და თავისუფალი განვითარების საშუალებას არ აძლევს. ასე ჰგონიათ იმ „თავმომწონე ქვეყნებში“ და თვითონ ხომ გათავისუფლდნენ ზნეობრივი შეზღუდვებისგან, ახლა სხვების გათავისუფლებას მიჰყვეს ხელი. ნებით თუ არ გათავისუფლდებით, ძალით გაგათავისუფლებთო, — იმუქრებიან.**

# რაც დასავლეთ ევროპას დამართა «სექსუალურმა რევოლუციამ», იმას ელოდოს ყველა, ვინც მათი მომხრე და მაქებარია

**მძიმე დრო უდგას ცალკეულ სახელმწიფოებს: მათ, სადაც გაგანია ომებია, როგორც გარეშე მტრებთან, ისე ერთმანეთთან, და მათაც, სადაც ჯერ სრული სიმშვიდეა, ქარიშხლის წინ რომ იცის ხოლმე, ისეთი.**

ის, რაც უკრაინაში, სირიაში, ერაყში, ავღანეთსა და ბევრ სხვა ქვეყანაში ხდება, ხვალ იქაც მოხდება, სადაც დღეს ბეცი თვალისთვის შესაშური კეთილდღეობა და სიმშვიდეა.

უმიზეზოდ რომ არაფერი ხდება ამ ცისქვეშეთში, ყველამ იცის, მაგრამ ახლა იმდენი და ისეთი რამის მოწმენი ვხდებით ყოველდღიურად, რომ მათი ახსნა არც ისე იოლია. აბა, როგორ უნდა ახსნა იმ ადამიანების მოქმედება, რომლებსაც მათივე მოგვარე და მეზობელი მტრად მიაჩნიათ და ოკეანის გაღმა მცხოვრებნი — ძმებად და მეგობრებად. კიდევ უფრო გამაოგნებელი არის ის, რომ გადამთიელთა წაქეზებით ტყვიას ესვრიან ღვიძლ ძმასა და მოყვარეს, რითაც ანგრევენ საკუთარი ერის სხეულსა და სახელმწიფოებრიობას. ან რა ეწოდება საქციელს, როცა უცხო ქვეყნიდან გამოდევნილ თანამემამულეებს მეზობელი შეიფარებს, დაასახლებს, ძმად მიიჩნევს და მოეფერება, შენ კი თანამოძმეებით დასახლებულ ადგილებს საკუთრებად გამოაცხადებ და წართმევას დაუპირებ მას, ვინც სასიკვდილოდ განწირული შენი თანამოძმენი შეიფარა?! ანდა როგორ შეიძლება ნორმალურ საქციელად მიიჩნიოს ადამიანმა ის, რომ ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთ ფორპოსტში თავის ქალის ფორმის მიხედვით წყვეტდნენ, აქვს თუ არა სხვა ადამიანს არსებობის უფლება?! და ეს — აგერ, ახლახან!

რა დაემართა კაცობრიობას, მის დიდ ნაწილს მაინც — საღი აზრი დაკარგა თუ სულაც ჭკუაზე შეცდა? არადა, ჭკუაზე გადამცდარისას არ ჰგავს მათი საქციელი. საკუთარი კეთილდღეობის თვალისჩინივით მოფრთხილება სიგიჟის ნიშანი როდია, სხვა რამეა ეს და ამ სხვა რამეს უზნეობა ჰქვია.

ზნეობრივი სილატაკე მძვინვარებს დედამიწაზე! ისევე, როგორც ბოლშევიკური იდეოლოგიით სიღარიბე საამაყოდ ითვლებოდა, დღეს უზნეობაც საამაყოდ ითვლება „თავმომწონე ქვეყნებში“. **ზნეობრივი ნორმები და კანონები ზღუდავს თურმე ადამიანს და თავისუფალი განვითარების საშუალებას არ აძლევს. ასე ჰგონიათ იმ „თავმომწონე ქვეყნებში“ და თვითონ ხომ გათავისუფლდნენ ზნეობრივი შეზღუდვებისგან, ახლა სხვების გათავისუფლებას მიჰყვეს ხელი. ნებით თუ არ გათავისუფლდებით, ძალით გაგათავისუფლებთო, — იმუქრებიან.**

ამ „თავმომწონე ქვეყნებს“, სამწუხაროდ, ძალის გამოყენების დიდი შესაძლებლობები აქვთ — ფული და იარაღი, ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების ხილული თუ ფარული საშუალებები.

აგერ, ჩვენი მაგალითი: **საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც უზნეობისკენ გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯია. ძნელი დასაჯერებელია, რომ, იქ თავმოყრილი ერთი მუჭა ლიბერასტების გარდა, ამ კანონის მიღება ვინმეს სურდა, მაგრამ მაინც ერთხმად დაუჭირეს მხარი. რატომ? იმიტომ, რომ იმ „თავმომწონე ქვეყნებზე“ არიან დამოკიდებულნი, მათ პურს ჭამენ, მათი მოვალენი არიან და თანაც ისეთი, ვალს ვერასოდეს რომ ვერ დაუბრუნებენ. ამიტომ იმ „თავმომწონეთა“ ემისრის ერთი თითის დაქნევა გახდა საკმარისი, რომ არც ხალხის მოთხოვნა ელოთ ყურად, არც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის თხოვნა და ის გაეკეთებინათ, რაც იმ „თავმომწონეებს“ უნდოდათ.**

ეს თუ ძალადობა არ არის, მაშ, რა არის?!

**რა რჯით იმ ქვეყნებს, რომლებიც ასე თავდადებით ცდილობენ ზნეობრივი სილატაკის დამკვიდრებას დედამიწაზე? — ის, რომ ზნეობრივად გალატაკებული მასების (არა — ხალხების) დამორჩილება ადვილია; უზნეო ბრბოს, საითაც მოისურვებ, იქით გარეკავ; რასაც გინდა, იმას გააკეთებინებ, თუ საჭმელსა და გასართობს დაჰპირდები.** ზნეობისგან თავისუფალ არსებებს სხვა მოთხოვნები არც აქვთ.




**ისტორია ვერაფერს ასწავლის ადამიანებს, თორემ დღევანდელ ლიბერალებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ყველაფრის ნებადართულობას განადგურებისკენ მიჰყავს ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი თუ სახელმწიფო. პიროვნების უფლების, ანუ მისი სურვილებისა თუ ახირებების უზენაეს ღირებულებად გამოცხადება ჰუმანიზმი არ არის, ეს ადამიანის ადამიანობისგან გათავისუფლების ბოროტი მცდელობაა**

იმ „თავმომწონე“ ქვეყნების მცხოვრებლებს მაინც თუ აქვთ გაცნობიერებული, როგორ ზნეობრივ სილატაკეში ცხოვრობენ და საით მიექანებიან? არა და არა! მათ ერთი რამ ჩააგონეს: ადამიანი თავისუფლებისთვის არის გაჩენილი და არავინ და არაფერმა უნდა შეზღუდოს მისი თავისუფლება. თავისუფლება სიამოვნებაა, თავისუფლების შეზღუდვა — უსიამოვნებაო. მართლაც, რაც გსურს, იმას თუ აკეთებ, სიამოვნებაა, აბა, რა! მაგრამ რაც სურს, ყოველთვის იმას როდი აკეთებს ადამიანი, რადგან მისი ქმედება ზნეობრივი ნორმებით არის შეზღუდული. სირცხვილის განცდა არ მისცემს საშუალებას, არ დაემორჩილოს ზნეობრივ აკრძალვებს. ძალიანაც რომ უნდოდეს მოშარდვა, ზნეობრივი ადამიანი ან ტუალეტს მოძებნის, ან საზოგადოების თვალისგან მოფარებულ ადგილს, მთლად ძაღლიშვილი თუ არ არის. არც სქესობრივ ურთიერთობას დაამყარებს სხვათა თანდასწრებით! სწორედ ამიტომ **სირცხვილის განცდას შეუტიეს ამ უზნეობის აპოლოგეტებმა, უწინარესად. სირცხვილი ისეთი კომპლექსია, რომელიც ადამიანის თავისუფალ განვითარებას ზღუდავსო, — ჩასჩიჩინებენ ლიბერალისტები ახალგაზრდა თაობას.**

მოდი, გადავხედოთ წარსულს და ვნახოთ, საიდან იწყება ადამიანი.

ადამიანობა, ანუ სოციალური ცხოვრება იწყება მას შემდეგ, რაც ადამიანს სირცხვილის განცდა გაუჩნდა და სასირცხო ადგილები ლეღვის ფოთლითა თუ სხვა საშუალებით დაიფარა. როდის გამოაძევა ადამი და ევა სამოთხიდან ღმერთმა? — როდესაც სირცხვილის გაჩენა შეამჩნია მათში. წადით ახლა და თქვენი შრომით იცხოვრეთო, — უთხრა უფალმა. ვიდრე შრომა და რაიმეს ცოდნა არ სჭირდებოდათ, მანამდე არც ადამიანები იყვნენ. ადამიანი ხომ სოციალური ცხოველია?! იქნებ ამის განმარტება სჭირდება ვინმეს? **კანტის** ცნობილი გამოთქმა — „ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემ ზევით და ზნეობრივი კოდექსი ჩემში“ — სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რით განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან.

უსირცხვილო ადამიანი ავტომატურად იღებს ხელს ზნეობაზე. მისთვის აღარც ტაბუდადებული სიტყვები არსებობს და აღარც აკრძალული მოქმედება. ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში შეამჩნიეს იმდროინდელმა დიდმა მოაზროვნეებმა — **შპენგლერმა** და **ნიცშემ.** ერთმა ეს პროცესი ევროპის მზის ჩასვენებად მიიჩნია (ო. შპენგლერი — „ევროპის დაისი“), მეორემ ღმერთის გარდაცვალება გამოაცხადა (ფ. ნიცშე — „ასე იტყოდა ზარათუსტრა“). **ნიცშემ რომ თქვა, ღმერთი მოკვდაო, ამით იმაზე მიანიშნა, აწი ყველაფერი ნებადართულია და ეს სამყარო, ღმერთის კი არა, ძლიერი ადამიანის, ანუ ზეკაცისააო. დაიჯერა ბევრმა ევროპელმა და არაევროპელმა ეს „სიბრძნე“ და ამიტომ ჩამოწვა ზნეობრივი სილატაკის ბნელეთი ცივილიზებული მსოფლიოს დიდ ნაწილში.**

ზნეობის დაკარგვა მარტო სულიერების დაკარგვა როდია, მას ფიზიკური კატასტროფა მოსდევს აუცილებლად. **ისტორია ვერაფერს ასწავლის ადამიანებს, თორემ დღევანდელ ლიბერალებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ყველაფრის ნებადართულობას განადგურებისკენ მიჰყავს ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი თუ სახელმწიფო. პიროვნების უფლების, ანუ მისი სურვილებისა თუ ახირებების უზენაეს ღირებულებად გამოცხადება ჰუმანიზმი არ არის. ეს ადამიანის ადამიანობისგან გათავისუფლების ბოროტი მცდელობაა.**

დღევანდელი „თავმომწონე“ ქვეყნები და მისი ცივილიზებული მოქალაქენი ვერ აცნობიერებენ ამას. მათი ქვეყნები მდიდარი სახელმწიფოებია და იქ ცხოვრება სასიამოვნოა, რადგან ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, მაგრამ რატომ არიან მაინცდამაინც ეს ქვეყნები მდიდრები, ამის გამოცნობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ხოლო, რაც შეეხება სიამოვნებას, ნარკოტიკისა და ალკოჰოლის მიღებაც სასიამოვნოა, მაგრამ, როგორ მთავრდება ეს, არც ამის მიხვედრაა ძნელი. ▶




## დუბაიში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საცხოვრებელი სახლი დაიწვა

**დუბაიში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საცხოვრებელი სახლი დაიწვა.** გავრცელებული ცნობით, 79-სართულიან შენობაში ხანძარი 50-ე სართულზე გაჩნდა. ძლიერი ქარის გამო კი ცეცხლი მალე მოედო დანარჩენ სართულებს. ჯერჯერობით უცნობია, რამ გამოიწვია ხანძარი. დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საცხოვრებელი სახლი დუბაიში 4 წლის წინათ ააშენეს, მისი სიმაღლე 336 მეტრია.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა დაემართა კაცობრიობას, მის დიდ ნაწილს მაინც — საღი აზრი დაკარგა თუ სულაც ჭკუაზე შეცდა? არადა, ჭკუაზე გადამცდარისას არ ჰგავს მათი საქციელი. საკუთარი კეთილდღეობის თვალისჩინივით მოფრთხილება სიგიჟის ნიშანი როდია, სხვა რამეა ეს და ამ სხვა რამეს უზნეობა ჰქვია.

◀ არც რომის იმპერია და არც ბიზანტია ეკონომიკურ სიდუხჭირესა და ტექნიკურ ჩამორჩენილობას არ დაუნგრევია, პირიქით — სიმდიდრითა და ცივილიზაციის დონით ისინი უკონკურენტოები იყვნენ იმჟამინდელ მსოფლიოში, მაგრამ უკვალოდ აღიგავენ პირისაგან მიწისა.

**რატომ მოხდა ეს, რამ გამოიწვია ასეთი კატასტროფა? —ზნეობაზე ხელის აღებამ, უზნეობის გაბატონებამ არისტოკრატიაში.** მამათმავლობა, უკონტროლო სქესობრივი კავშირები, მათ შორის, და-ძმასა და მშობლებს შორისაც, რომაელი და ბიზანტიელი არისტოკრატიის ცხოვრების წესად იქცა.

რომისა და ბიზანტიის იმპერიების დაღუპვის წინა დღეების უზნეობის აგონიას ძალიან მაგონებს დღევანდელი ევროპის ქვეყნების და აშშ-ის ხელისუფალთა მიერ მიღებული კანონები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვითაა შენიღბული და სასიკვდილო საფრთხის შემცველია. ამის კლასიკური მაგალითია საფრანგეთი, რომელიც ევროპული კულტურის ფორპოსტი იყო ყოველთვის და, ალბათ, სწორედ ამიტომ უნდა ექციათ უზნეობის სანიმუშო ქვეყნად. ვნახოთ, ეს თუ ასე არ არის: პიროვნების უფლებების უზენაესი ღირებულების რეალიზაციის მიზნით, საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონები, რომელთა მხოლოდ დასახელებაც კი თმას ყალყზე დაუყენებს ზნეობრივ ადამიანს. **„კანონი ერთსქესიანთა ქორწინების მართლზომიერების შესახებ“; „კანონი ერთსქესიანთა წყვილის მიერ შვილის აყვანის დაკანონების შესახებ“** (ორი პედერასტის ნაშვილები ბავშვი, რა ვაჟკაცი ან ქალკაცი გაიზრდება?!); **ინცესტის** (სქესობრივი კავშირი და-ძმას, მშობლებსა და შვილებს შორის) **კანონიერების შესახებ**. რაც შეეხება **ანტიდისკრიმინაციულ კანონს**, ის ჩვენმა პარლამენტმაც მიიღო და ამ კანონის მიხედვით, დასაჭერი ვარ, რადგან სიტყვა „პედერასტი“ ვიხმარე გეისა თუ ცისფერის ნაცვლად.

მაგრამ, მანამ არ აუდგეთ გვერდები ლიბერასტებს, სანამ პედერასტს მოფერებით გეის ან ცისფერს ვუწოდებ!

ზნეობრივად გალატაკებული ხალხისთვის წმინდა და ხელშეუხებელი აღარაფერია, რადგან მათ უკვე წარმოდგენაც აღარ აქვთ სიწმინდესა და სიყვარულზე, ერთგულებასა და თავდადებაზე. მათ მხოლოდ ის იციან, რომ ყველაფერი ნებადართულია და გამოხატვის უკიდეგანო უფლება აქვს ყველას.

ა, ბატონო, ისევ საფრანგეთის მაგალითი: ჟურნალმა „შარლი ებდომ“ მუსლიმანების უწმინდეს წინასწარმეტყველ მუჰამედზე უხამსი კარიკატურები გამოაქვეყნა და სასტიკად შეურაცხყო არა მხოლოდ ისლამის მიმდევრები, არამედ ყველა მორწმუნე და, საერთოდ, ზნეობრივი ადამიანი. მხოლოდ ისლამის მიმდევრები მილიარდზე მეტს მოითვლიან და რა გასაკვირია, აღშფოთების ქარიშხალი, რომელმაც ნახევარ მსოფლიოს გადაუარა.

ამ ლიბერასტების ჟურნალში ქრისტეზეც ბევრი უხამსობა გამოქვეყნებულა თურმე, მაგრამ დიდი აღშფოთება არავის გამოუთქვამს კათოლიკურ სამყაროში; ანდა რატომ გამოთქვამდნენ, როდესაც რომის პაპმა ამას წინათ განაცხადა, პედერასტები (მან ტერმინი „ჰომოსექსუალები“ იხმარა) ჩვენი ეკლესიის წიაღშიც უნდა შევიწყნაროთო. ზნეობრივად გალატაკებული ხალხების სულიერ წინამძღვარს სხვა რა მოეთხოვებოდა? ტყუილად არ უთქვამს ნიცშეს გასული საუკუნის დასაწყისში „ღმერთი მოკვდა“-ო. მაშასადამე, ყველაფერი დასაშვებია!

ასე არ ფიქრობენ მუსლიმანები, არც მართლმადიდებლები და სხვა რელიგიური კონფესიების მიმდევრები, სხვათა შორის, არც ზნეობის დამცველი კათოლიკები, მაგრამ მათი საპროტესტო ხმა არავის ესმის ზნეობრივად გალატაკებული ევროპის ზედა ეშელონებში.

ჰოდა, ისლამის თავდადებული მიმდევრები შეიჭრნენ „შარლი ებდოს“ რედაქციაში და ყველა იქ მყოფი ამოჟუჟეს. აღშფოთდა ევროპული „დემოკრატიული“ მასმედია, — გაუგონარი ტერაქტი მოხდაო!

კი მაგრამ, ვინ ჩაიდინა ტერაქტი — ამას რატომ არ კითხულობენ? **ჟურნალი, რომელიც ყველაზე წმინდა და ფაქიზ რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს, ტერორისტი არ არის და ის, ვინც მას სჯის, ტერორისტია?** რა ჰუმანიზმი და ლიბერალიზმია ეს? ვიღაცამ ომში დაღუპული მამის საფლავი რომ წაბილწოს, დედაზე კი ათასი უხამსობა თქვას, ხანჯალი რომ გავუყარო მუცელში, მე ვიქნები ტერორისტი, ხომ? ტერორისტი კი არა, შურისმგებელი ვიქნები და ვიამაყებ კიდეც. **„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოდ რისადა, სიკვდილი თვითონ უფალსა, გაუჩენია მტრისადა“ (ვაჟა).**

ახლა ამის წამკითხველმა ვინმე ლიბერასტმა შეიძლება დემოკრატიის ალამდარი ქვეყნის ელჩთან იჩივლოს, რომელიც ახლა შეთავსებით საქართველოს გუბერნატორად მუშაობს. იჩივლოს მერე! **ისტორიაში გაკვეთილის ჩატარება არ აწყენდა ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ქვეყნისა, რომლის პრეზიდენტს ჰგონია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 57 შტატისაგან შედგება, ხოლო მისი ადმინისტრაციის წარმომადგენელი ქალბატონი იმუქრება, — ჩვენი გემები ბელარუსის ნაპირებს მიადგებიანო (მუხლუხებიანი გემებით, ალბათ).**

უკვე დამარცხებული იაპონიის ქალაქებს — ჰიროსიმასა და ნაგასაკის აშშ-მა ატომური ბომბები რომ დააყარა თავზე და ერთ წუთში გაანადგურა ასიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, მილიონები კი სამუდამოდ დაასახიჩრა, რა იყო ეს? — პერლ-ჰარბორისთვის სამაგიეროს მიზღვა? ჰიროსიმასა და ნაგასაკიში იაპონიის მფრინავები და მეზღვაურები იყვნენ თამოყრილნი თუ რა? ჰოდა, **თუ ტერორისტებზე მიდგა საქმე, ამერიკას სირცხვილით ხმა აღარ ამოეღება იმის გამო, რაც ჩადენილი აქვს, ხოლო, რასაც ახლა სჩადის, კიდევ სხვაა.**

სრული ზნეობრივი სილატაკის გამოვლინება იყო პარიზში გამართული მილიონიანი მარში, რომლის წინა რიგებში მამალი უზნეო პოლიტიკოსები იდგნენ, — ჩვენც შარლი ვართო! ვითომ, რაო? თქვენს წმინდანებს კვლავაც შეურაცხვყოფთ, თუ მოგვეპრიანა, რადგან გამოხატვის თავისუფლება უმაღლესი მიზანიაო. მოგეპრიანებათ, თქვე უბედურებო, და შურისმგებელიც არ დაილევა. უზნეო საზოგადოებები ისე ჩაიხრჩობიან თავიანთ უზნეობის ზღვაში, როგორც რომი და ბიზანტია ჩაიხრჩო. წიგნებშიღა დარჩება რაინდი მუშკეტერების საფრანგეთი და რობინ ჰუდის ინგლისი, ზნეობას თუ არ დაიცავენ დროულად.

გაგიკვირდებათ და, ჩვენს შორისაც გამოჩნდნენ ზნეობრივი პროლეტარები და იკივლეს „ჩვენც შარლი ვართ“-ო. ახლა სწორედ იმის დროა, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“-ს ნაცვლად გამოჩნდეს ახალი ლოზუნგი — „ზნეობრივად გაღლეტილებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, მაგრამ მათი ერთობა მტკიცე და მუდმივი ვერ იქნება. მტკიცე ერთობას პრინციპები უდევს საფუძვლად. უზნეოს პრინციპულობა კი ვის გაუგონია?!

ზნეობის სილატაკეს ბევრი უბედურება მოსდევს, პირველ ყოვლისა, ცოდნის სიმწირე და აზროვნების უბადრუკობა. ესაა სწორედ, რამაც რომი და ბიზანტია დაანგრია. ამას წინათ, ცნობილმა ბჟეზინსკიმ განაცხადა, დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური ლიდერების დეფიციტს განიცდისო. მართალია ეს კაცი. აბა, ქვეყნის პრეზიდენტს ის რომ არ ეცოდინება, რამდენი შტატია მის ქვეყანაში, ხოლო მისი ხელისუფლების წარმომადგენელს რომ ჰგონია, სამხედრო ხომალდები, ზღვა რომ გათავდება, ხმელეთზე განაგრძობენ სვლას, რა ლიდერებზეა ლაპარაკი!

ზოგი ქვეყნის პრეზიდენტი კიდევ იმით ტრაბახობს, ახალგაზრდობაში ცოტა წავიპედერასტებდი და ცოტა ვნარკომანობდიო, ჩვენი პარლამენტარები რომ ტრაბახობდნენ, ქუჩის ბიჭები ვიყავითო, ისე.

ისევ „შარლი ებდოს“ ზნეობრივ ტერორისტთა საქმეს უნდა დავუბრუნდე. ის მილიონობით აღშფოთებული ფრანგი თუ არაფრანგი, რომლებიც პარიზის ქუჩებში გამოვიდნენ, ამბობდნენ, გამოხატვის თავისუფლებას ვიცავთო, და სასტიკად გმობდნენ მათ, ვინც შეურაცხყოფა, თავმოყვარეობისა და ღირსების შელახვა ვერ აიტანეს.

ამის გამო, ერთი, ამ ამბისთვის ზედგამოჭრილი ქართული ანეკდოტი უნდა გავიხსენო: შეზარხოშებული ჭიჭიკია და ბიჭიკია ღამით ქალაქის ქუჩას მიუყვებიან. საპირისპირო მხრიდან ვილაც კაცი გამოჩნდა.

— ჭიჭიკია, მოდი, გავლახოთ აი, ყაზილარიო, — უთხრა ბიჭიკიამ.

—შეხედე, ბიჭო, რამხელა მუტრუკია და აქეთ რომ გაგვლახოსო?! — სიფრთხილე გამოიჩინა ჭიჭიკიამ.

— რას გვერჩის, ეგ შობელძაღლიო, — „მყარი“ არგუმენტი დაახვედრა ბიჭიკიამ.

მერე რაც მოხდა, არც საინტერესოა და არც ძნელი გამოსაცნობი, მაგრამ სიტუაცია ძალიან ჰგავს უზნეობის მქადაგებელთა ვაი-ვიშს, როდესაც უზნეობისათვის ზნეობრივი საზოგადოება წაუთაქებს ხოლმე.

**კაცი რომ ცოლსა და დედას შეგიგინებს და ამას გამოხატვის თავისუფლებად ჩაუთვლი, მილიონის მფლობელიც რომ იყო, ზნეობრივად ღატაკი ხარ და არც ღირსება გაგაჩნია.** ამგვარი გაგებისა, კერძო კაცია თუ ქვეყანა, არსებობის ღირსი არ არის და ვერც იარსებებს, რადგან ამქვეყნად ყოფნა მარტო მუცლის ამოყორვა და ცხოველური ვნებების დაკმაყოფილება არ არის. იგი პასუხისმგებლობაა საკუთარი თავისა და სხვათა წინაშე, პირველ ყოვლისა, — სამშობლოს წინაშე.

სამწუხაროა, რომ **ეკონომიკურად ღატაკი ჩვენი სამშობლო ზნეობრივი სიღატაკის ზღვარზე დგას, ანუ ერთადერთი, რაც გაგვაჩნია თავმოსაწონებელი — ეროვნული კულტურა — შეიძლება, დავკარგოთ და ჩვენი სახსენებელიც გაქრება. ჩვენი არსებობის გარანტი არც სახელმწიფოა და არც კონსტიტუცია. ის, რაც არ გვაქვს, როგორ იქნება გარანტი?! ჩვენი არსებობა ღრმა ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს ეფუძნება და საკმარისია ამ საფუძვლების გამოცლა, რომ ისე გავქრებით, როგორც შარშანდელი თოვლი, და ისტორიას შემოვრჩებით მხოლოდ არქეოლოგიურ ექსპონატებად.**

აი, ამ საფრთხის წინაშე გვაყენებენ ჩვენი ევროპულად გამოთაყვანებული ლიბერასტები, სხვადასხვა ჯურის გრანტიყლაპია არასამთავროები და „შნირი“ პარლამენტარები. გადამთიელთა მხარდაჭერით „ვერხი“ აქვთ აღებული. მათ ხელშია ტელევიზიები (ტვინის გამორეცხვის უძლიერესი საშუალება), დატერორებული მთავრობა და პარლამენტი. ასე ცდილობენ ქართველთა და არამხოლოდ ქართველთა, ზნეობრივ გალატაკებას. ხალხის, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდების მოსასყიდად უცხოელი ძიებისგან ფულიც ბევრი აქვთ, ჯერ ერთი, **მოზარდების მოსყიდვას რა უნდა: გამოიყვან ტელეეთერში ნაბოზრებსა და ბოზებს, ქმარგაშვებულებსა და ცოლგაყრილებს, მათ კარიერულ თუ პირად წარმატებებზე ასაუბრებ და თან კომენტარსაც დაურთავ მაია ასათიანივით, — რაც ქმარს გაშორდი, მას შემდეგ ფანტასტიკურად გალამაზდიო. თანაც, მართლა ლამაზად და ერთობ უსირცხვილოდ გამოიყურება შოუში მოწვეული. ისე ზის და ტელეოპერატორიც ისე უმარჯვებს კამერას, რომ ლამაზ ფეხებთან ერთად, სასირცხვო ორგანოც მოუჩანს. უცქერის ამას მოზარდი, სიამოვნებს და შენი მიმდევარი ხდება. აქეთ კანონი და ოფიციალური პროპაგანდა ჩასჩიჩინებს: მშობლებსა და პედაგოგებს ნუ დაემორჩილებით, თქვენი ჭკუით გადაწყვიტეთ ყველაფერიო.** თუ ან მშობელი, ან მასწავლებლი გაგიწყრათ, დაგტუქსათ — ეს პიროვნებაზე ძალადობაა, შეგვატყობინეთ, მაშინვე თქვენთან გავჩნდებით და დედას ვუტირებთ მაგათო. საქართველოს ყოფილმა ვაიპრეზიდენტმა რომ მოუწოდა მოსწავლეებს, აგერ არის ბუჩქნარი, შერგეთ თავი გოგო-ბიჭებმა და გაერთეთო, კი არ წამოსცდენია ეს, დავალება შეასრულა!

**თავისუფალი სექსი, ანუ ბოზობა სექსუალურ რევოლუციად მონათლეს კაცობრიობის ზნეობრივი გალატაკების მედროშეებმა. ჰოდა, რაც დასავლეთ ევროპას დამართა „სექსუალურმა რევოლუციამ“, იმას ელოდოს ყველა, ვინც მათი მომხრე და მაქებარია.**

ზნეობრივი გალატაკების მძიმე გამოვლინებები უკვე აშკარაა პოლიტიკაშიც. შენს ქვეყანაში მძიმე დანაშაულებში მხილებულ და უცხოეთში გაქცეულ ყოფილ მაღალჩინოსნებს მეორე ქვეყანაში მაღალ თანამდებობებს რომ უბოძებენ და გულში ჩაიხუტებენ, შენ კი იმ ქვეყნის ხელისუფლებას მეგობარს უწოდებ, თავმოყვარეობაზე არაფერი გსმენია? თუ ზნეობრივად გალატაკებული ხარ შენც და ვისაც მარჩენალი დაგინიშნავს მეგობრად თუ მტრად, ისაა შენი მოყვარე და მტერი?

გონს მოვეგოთ, თანამემამულენო, ვიდრე დროა, თავიდან ავიცილოთ ზნეობრივი გალატაკება და საკუთარი ხელით ნუ გამოვისვამთ დანას ყელში!

**ზურაბ ცუცქირიძე**

**საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც უზნეობისკენ გადადგმული ერთი დიდი ნაბიჯია. ძნელი დასაჯერებელია, რომ, იქ თავმოყრილი ერთი მუჭა ლიბერასტების გარდა, ამ კანონის მიღება ვინმეს სურდა, მაგრამ მაინც ერთხმად დაუჭირეს მხარი. რატომ? იმიტომ, რომ იმ «თავმომწონე ქვეყნებზე» არიან დამოკიდებულნი. მათ პურს ჭამენ, მათი მოვალენი არიან და თანაც ისეთი, ვალს ვერასოდეს რომ ვერ დაუბრუნებენ. ამიტომ იმ «თავმომწონეთა» ემისრის ერთი თითის დაქნევა გახდა საკმარისი, რომ არც ხალხის მოთხოვნა ელოთ ყურად, არც საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის თხოვნა და ის გაეკეთებინათ, რაც იმ «თავმომწონეებს» უნდოდათ**



## ბარაკ ობამა: აშშ ებრძვის ტერორიზმს და არა ისლამს

**აშშ ებრძვის ტერორიზმს და არა ისლამს. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ექსტრემიზმთან ბრძოლის შესახებ გამართულ სამიტზე განაცხადა.**

თეთრი სახლის ლიდერის თქმით, რელიგია არ არის პასუხისმგებელი იმ დანაშაულებზე, რომელთაც ექსტრემისტები სჩადიან. ტერორიზმთან ბრძოლა აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ვაშინგტონი მოკავშირე ქვეყნებთან ერთად ცდილობს ერაყსა და სირიაში მოქმედი ისლამური სახელმწიფოს დამარცხებას. აშშ-ის მთავრობის მონაცემებით, დაახლოებით 100 ქვეყნიდან 20 000-ზე მეტი მებრძოლი შეუერთდა ექსტრემისტულ დაჯგუფებას.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



რუბიკის კუბიკის სამშობლო უნგრეთია








# უნგრეთის პეშტი, ბუდა და ობუდა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

უნგრეთი (უნგრ.—Magyarorszag) ცენტრალური ევროპის სახელმწიფოა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვს. ჩრდილოეთით ესაზღვრება სლოვაკეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთით — უკრაინას, აღმოსავლეთით — რუმინეთს, სამხრეთით — სერბეთს, ხორვატიასა და სლოვენიას, დასავლეთით — ავსტრიას.

უნგრეთი როგორც სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1000 წელს. შუა საუკუნეებში უნგრეთს ჰუნების სამეფოს უწოდებდნენ — ასეა მოხსენიებული გერმანულ ეპიკურ პოემაში „სიმღერა ნიბელუნგებზე“.

უნგრეთის ტერიტორია, რომელიც **93,03 ათას კვ.კმ-ს** შეადგენს (109-ე მსოფლიოში), მდინარე დუნაის შუა წელის დაბლობს მოიცავს.

**კლიმატი.** ქვეყნის კლიმატი კონტინენტურია, მშრალი, ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა პლუს 10 გრადუსია.

უმაღლესი წერტილია მთა **კეკეში — 1015 მ**. სლოვაკეთის საზღვარზე მდებარეობს ევროპაში უდიდესი კარსტული მღვიმე **აგტელეკი.**

**ფლორა.** უნგრეთის ტერიტორიის 18% ტყითაა დაფარული, ძირითადად, ეს ფოთლოვანი ტყეებია, სადაც ხარობს მუხა, ფიჭვი და ნეკერჩხალი.

**ფაუნა.** უნგრეთის ტყეებში ბინადრობს მელა, კურდღელი, ზღარბი, ირემი, გარეული ტახი; ფრინველთა შორის გვხვდება ყარყატი, გარეული იხვი, წერო, შაშვი, ბუ, კოდალა. მდინარეებსა და ტბებში მტკნარი წყლის თევზის ბევრი სახეობაა.

უდიდესი მდინარეებია **დუნაი** და **ტისა**, ტბა — **ბალატონი**, რომელიც უდიდესია ცენტრალურ ევროპაში. მის გარშემო გაშენებულია დიდი საკურორტო რაიონი.

უნგრეთის **დედაქალაქია ბუდაპეშტი** (2 მლნ), რომელიც 1873 წელს შეიქმნა რამდენიმე უნგრული ქალაქის გაერთიანებით, ეს ქალაქებია: **პეშტი, ბუდა და ობუდა.**

**უდიდესი ქალაქები: დებრეცენი (210 ათასი); მიშკოლცი (170 ათასი); სეგედი (170 ათასი); პეჩი (160 ათასი); დიორი (133 ათასი).**

**ოფიციალური ენა**: უნგრული.

**მოსახლეობა.** უნგრეთში 10 მლნ კაცი ცხოვრობს (87-ე მსოფლიოში). მოსახლეობის 92% უნგრელია. ცხოვრობენ, აგრეთვე, გერმანელები (1,2%), ბოშები (1,1%), ებრაელები (1%), რუმინელები (0,8%), სლოვაკები (0,4%), ხორვატელები (0,2%) და სერბები (0,2%). მეზობელ ქვეყნებში ბევრი უნგრელი ცხოვრობს, განსაკუთრებით უკრაინაში, აგრეთვე სლოვაკეთსა და რუმინეთში (ტრანსილვანია).

## მმართველობის ფორმა და რელიგია

უნგრეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა სახელმწიფო საკრებულო — პარლამენტი, რომელსაც 4 წლით ირჩევენ. სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელია პრეზიდენტი (ირჩევს პარლამენტი 5 წლით). ამჟამად უნგრეთის პრეზიდენტია **იანოშ ადერი.** მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. ეს პოსტი ამჟამად უკავია **ვიქტორ ორბანს.**

უნგრეთი დაყოფილია 7 რეგიონად, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია 19 მედიად (ოლქად), მედიები — 175 რაიონად. გარდა ამისა, უნგრეთის დიდი ქალაქები — ბუდაპეშტი, დებრეცენი, მიშკოლცი, სეგედი, პეჩი და დიორი — რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა.

**რელიგია.** უნგრელებმა ქრისტიანობა XI საუკუნეში მიიღეს. XVI საუკუნეში უნგრელთა დიდი ნაწილი პროტესტანტი იყო, მაგრამ XVIII საუკუნიდან, კონტრრეფორმაციის პერიოდიდან, დომინანტი რელიგია კათოლიციზმია. ამჟამად მორწმუნეთა 64% — კათოლიკეა, 23% — პროტესტანტი, მათ გარდა, არიან ლუთერანები, ორმოცდაათიანელები და ბაპტისტები. რელიგიურ უმცირესობას მიეკუთვნებიან მართლმადიდებლები (სერბები, რუმინელები, უკრაინელები) იუდეველები, მუსლიმები და სხვ.

## ეკონომიკა

უნგრეთში ეკონომიკა სწრაფად ვითარდება, რასაც საფუძველი ჩაუყარა 1998 წელს პირდაპირმა ინვესტიციებმა, ეფექტიანმა საგადასახადო სისტემამ და ბიუროკრატიის შემცირებამ.

განვითარებულია მანქანათმშენებლობა, კავშირგაბმულობისა და საზომი საშუალებების წარმოება, ჩარხმშენებლობა, აგრეთვე ნავთობისა და გაზის, ქიმიური, ფარმაცევტული, მეტალურგიული (განსაკუთრებით — ალუმინის) მსუბუქი (ტექსტილის წარმოება) და კვების მრეწველობის დარგები. თუმცა უნგრეთში უდიდესი კომპანიის დიდი ნაწილი უცხოურ კაპიტალს ეკუთვნის. მაგალითად, საავტომობილო ფირმა „აუდი“ (გერმანია), ელექტრონული — „ნოკია“ (ფინეთი), „პანრუსგაზი“ (რუსული „გაზპრომი“ და გერმანული „ე.ონ“), „მადიარ ტელეკომი“ (ეკუთვნის გერმანულ „დოიჩე ტელეკომს“), „ფილიპსი“ (ჰოლანდია) და სხვ.

უნგრეთის ეკონომიკაში დიდი წვლილი შეაქვს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობას.

ქვეყნის შიგა ეროვნული პროდუქტი 195 მილიარდი დოლარია (54-ე მსოფლიოში), მოსახლეობის ერთ სულზე — 19,8 ათასი.

**ვალუტა:** უნგრული ფორინტი (0,0036 დდოლარი)

**ინტერნეტდომენი: hu**

**სატელეფონო კოდი: +36**

**საათობრივი სარტყელი: UTC+1** (ზაფხულში — UTC+2).



ბუდაპეშტი. პარლამენტის შენობა



ციხესიმაგრე დიოშდიორში



## კულტურა

უნგრეთის არქიტექტურაში გვხვდება რომანული, გოთიკური, რენესანსის, ბაროკოს, კლასიციზმისა და მოდერნის ნიმუშები. ქვეყნის ღირსშესანიშნაობიდან ტურისტებში ძალიან პოპულარულია ესტერჰაზის სასახლე ფერტედში, ტაძარი — იაკეში, კოშკი — სეგედში, პარლამენტის შენობა, ეროვნული მუზეუმი, ნაციონალური სამხატვრო გალერეა, სასახლეების კომპლექსი, სამეფო სასახლესა და ციხესიმაგრესთან ერთად — ბუდაპეშტში.

**ლიტერატურა.** IX საუკუნემდე უნგრეთის ლიტერატურა ისევე როგორც უნგრული კულტურის სხვა სფეროები, დასავლური, განსაკუთრებით ავსტრიული და გერმანული კულტურების გავლენას განიცდიდა.

უნგრული პოეზიიდან აღსანიშნავია **ბალინტ ბალაშის** (1554-1594) — უნგრული პოეზიის მამის — სონეტები, **შებაშტიან ტინოდის** (1510-1556) პოემები. საქართველოში კი პოპულარულია **შანდორ პეტეფის** (1823-1849) პოეტური ნაწარმოებები. თანამედროვე უნგრელი მწერლებიდან აღსანიშნავია **პეტერ ნადაში** („ოჯახური რომანის დასასრული“), 2002 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი **იმრე კერტესი** („უბედო“), **დიორდ კონრადი** („თანამონაწილე“) **პეტერ ესტერჰაზი** („ციური ჰარმონია“) და სხვ.

## სამზარეულო

მრავალფეროვანი უნგრული კერძები ნოყიერებითა და სანელებლების სიუხვით გამოირჩევა. კერძებში დომინირებს ღორის ხორცი და ქონი („სალო“). თუმცა საქონლისა და ცხვრის კერძებიც ძალიან პოპულარულია. სპეციფიკურ გემოს კი უზრუნველყოფს ხახვი, პილპილი, აგრეთვე, მწვანე მუხუდოსა და ბოსტნეულისგან მომზადებული გარნირები. მსოფლიოში განთქმულია უნგრული ძეხვი სალიამი, კერძი გულიაში, უნგრული როსტბიფი და დებრეცენული სოსისი წიწაკით.

### გულიაში

**ტრადიციულ უნგრულ კერძს, ძირითადად, ძროხის ხორცისგან ამზადებენ, კლასიკური გულიაშისთვის ბეჭის ცხიმიანი ნაწილია საჭირო და არა — მკერდის.**

**ინგრედიენტები:**

***ხორცი** (ძროხის ან ღორის) - 500 გრ.

***პომიდორი** — 1 ცალი

***ხახვი** — 1 თავი

***ხორბლის ფქვილი** — 1 სუფრის კოვზი

***წითელი ღვინო** — 300 მლ

***ტომატის პასტა** — 3 სუფრის კოვზი

***კარაქი** — 50 გრ

**მარილი, პილპილი, წიწაკა, დაფნის ფოთოლი, ქინძი და ოხრახუში** — გემოვნების მიხედვით.



**1. ხორცი კარგად გარეცხეთ, გააშრეთ და კუბებად დაჭერით. ხახვი წვრილად დაკეპეთ.**

**2. ღრმა ტაფაზე დადეთ კარაქი და ხორცი 5 წთ-ის განმავლობაში ძლიერ ცეცხლზე შებრაწეთ.**

**3. ხორცს დაუმატეთ ხახვი აურიეთ და 5-7 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე შეწვით.**

**4. ხორცს მოაყარეთ მარილი, პილპილი, ფქვილი, კარგად აურიეთ და კიდევ 2-3 წთ-ის განმავლობაში წვით.**

**5. დაუმატეთ ტომატის პასტა და კარგად აურიეთ.**

**6. მომზადებულ მასას 2-3 ჭიქა წყალი ან ხორცის ბულიონი დაასხით, დაუმატეთ დაფნის ფოთოლი და ღვინო, ტაფას თავსახურავი დაახურეთ და ნელ ცეცხლზე ერთი საათის განმავლობაში მოშუშეთ.**

**7. კერძს, სუფრაზე მიტანის წინ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, წიწაკა და პომიდორი.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**კარგი პერიოდია ბიზნესსაქმიანობისთვის. პრობლემების მოგვარებისას უარი თქვით სტერეოტიპებზე და არასტანდარტული გადაწყვეტილებები ეძებეთ. წარმატებას მეტი შანსი აქვთ კირჩხიბისა და მორიელის ნიშნით დაბადებულებს.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**25 თებ. - 3 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

შეეცადეთ, გამოძებნოთ ოქროს შუალედი სამუშაოსა და პირად ურთიერთობებს შორის. მოერიდეთ სიტუაციას, როდესაც თქვენი ყურადღება მიპყრობილი იქნება მხოლოდ სიყვარულის ობიექტისკენ.

დაფიქრდით იმაზე, რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის — მიაღწიოთ ცხოვრებაში წარმატებას თუ განაგრძოთ ყოფნა ილუზიებში. მოკლედ, თუ გსურთ, თქვენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალოს, საკუთარი თავის შეცვლით დაიწყეთ. შეიცვლებით თქვენ, შეიცვლება — თქვენი ცხოვრებაც!

თქვენს კარიერულ გეგმებს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს, რადგან, ყურადღების გაფანტვასთან ერთად, ხელს თანამშრომლებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულებით გამოწვეული პრობლემებიც შეგიშლით. თუმცა მარტის დასაწყისში კარიერაში წინ წაწევის ან ახალი სამსახურის დაწყების შანსი გაგიჩნდებათ და შესაბამისად, თქვენი ფინანსური მდგომარეობაც გაუმჯობესდება.

ამ პერიოდში დიდია ვირუსული ინფექციებით დაავადების ალბათობა.

**დადებითი დღე: 27თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 1 მარტი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ამ პერიოდში კუროები რომანტიკულად იქნებიან განწყობილი და შეეცდებიან, ნაბიჯით მაინც მიუახლოვდნენ სანუკვარ ოცნებას. სამსახურში იდეები და წინადადებები თავზე საყრელად გაგიჩნდებათ, მაგრამ მათ ხელმძღვანელობა უნდობლობით შეხვდება. მოგიწევთ მოთმინების გამოჩენა და თქვენი იდეების უფრო ღრმად გაანალიზება. პრობლემების მოგვარებისას უარი თქვით სტერეოტიპებზე და არასტანდარტული გადაწყვეტილებები ეძებეთ.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც თქვენს მომავალ ცხოვრებაზე დიდ გავლენას მოახდენენ. მათთან ერთად წადით რომელიმე კულტურულ ღონისძიებაზე — თეატრში, გამოფენაზე ან კონცერტზე. ეს თქვენც მოგგვრით სიამოვნებას.

ძალები სწორად გაანაწილეთ — მეტისმეტმა შრომამ შეიძლება, ნერვული აშლილობა გამოიწვიოს

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

ამ პერიოდში პროფესიულ საქმიანობაში შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან, რაც ,ალბათ, სამსახურის შეცვლით დასრულდება. თქვენ ხვდებით, რომ სამუშაოს შესრულებით სულ უფრ ნაკლებ კმაყოფილებას იღებთ, მაგრამ ძირითადი პრობლემა ეს კი არა, ანაზღაურებაა.

პროფესიულ სფეროში შექმნილი პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება დიდ დროს წაგართმევთ და, თუ მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებთ და საყვარელი ადამიანის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, მასთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. ეძებეთ კომპრომისული გამოსავალი.

ამ პერიოდში დიდია სასუნთქი სისტემის დაზიანების ალბათობა ინფექციური სნეულებებით.

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

ბიზნესპარტნიორებთან ერთად დაგეგმილ პროექტებს წარმატებით განახორციელებთ, თუ თავდაუზოგავად იმუშავებთ და ახლობელი ადამიანების რჩევებს გაითვალისწინებთ.

დადგა დრო, მოაგვაროთ დაძაბული ურთიერთობები, ეს პერიოდი სასიკეთოა ავტორიტეტულ ადამიანებთან ურთიერთობებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ, ბევრი რამ გასწავლოთ, რაღაც გიკარნახოთ.

მოინდომებთ, შთაბეჭდილება მოახდინოთ საყვარელ ადამიანზე და მას სიურპრიზი მოუწყოთ, მაგრამ ეს დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული. შეეცადეთ, ვალი არ დაიდოთ და ავანტიურაში არ ჩაებათ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას არაფერი დაემუქრება.

**დადებითი დღე: 26 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 15 მარტი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ლომებისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი იმ პრობლემებში გარკვევაა, რომლებიც ბოლო ხანს დაუგროვდათ. ამიტომ ახალ საქმეს ჯერჯერობით ნუ დაიწყებთ.

კრიტიკულ სიტუაციაში შეეცადეთ, პასუხისმგებლობა სხვას არ გადააბაროთ. ყველაფერი, რაც წინსვლაში ხელს გიშლით, თავიდან მოიშორეთ. დასახულ მიზნებს მხოლოდ ასე მიაღწევთ.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს, განსაკუთრებით — შვილებს. შეიძლება გაგიჩნდეთ სადმე გამგზავრების სურვილი, მაგრამ ეს პერიოდი სასიკეთო არ არის მოგზაურობისთვის.

რისკიანმა მოქმედებებმა შეიძლება ტრავმები გამოიწვიოს. ყურადღება გამოიჩინეთ ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფით დღე: 25 თებერვალი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

წარმატებას გუნდური მუშაობით მიაღწევთ. ამიტომ გაითვალისწინეთ კოლეგების რჩევები, იდეები და გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღეთ. თუმცა ერთდროულად რამდენიმე ამოცანის გადაჭრას ნუ შეეცდებით და ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ დაიკისრებთ.

შეეცადეთ, მოთოკოთ ემოციები და ეჭვიანობის სცენები არ მოაწყოთ. ახლა არ ღირს იმის გარკვევა — უყვარხართ თუ არა სათაყვანებელ ადამიანს.

ამ პერიოდში ოჯახის უმცროს წევრებს, შეიძლება, თქვენი დაცვა და დახმარება დასჭირდეს და სასურველია, მათ გვერდით მეტი დრო გაატაროთ. დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 27 თებერვალი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება დიდხანს არ გადადოთ, რადგან შესაძლოა თქვენი რეპუტაცია შეილახოს. მხოლოდ ანალიზის უნარით შეძლებთ იმ უსიამოვნების თავიდან აცილებას, რომელიც თქვენს კარიერას განადგურებით დაემუქრება.

მოგიწევთ რუტინული სამუშაოს შესრულება და დოკუმენტების მოწესრიგება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაამრავალფეროვნეთ და შეეცადეთ, მისი მოთხოვნები შეასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ვერ აიცილებთ.

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას — დიდია შარდ-სასქესო ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 27 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 1 მარტი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

საუკეთესო პერიოდია შემოქმედებითი იდეების განსახორციელებლად. უფრო მეტის გაკეთებას შეძლებთ, ვიდრე დაგეგმილი გქონდათ, მაგრამ დაძაბული სამუშაო რეჟიმი თითქმის მთელ თავისუფალ დროს წაგართმევთ.

შეეცადეთ, დრო სწორედ გაანაწილოთ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის.

კარგი პერიოდია რომანტიკული ურთიერთობებისთვის. იმ მორიელებმა, რომლებიც დაოჯახებულნი არ არიან, შესაძლოა ცხოვრების მეგზური გაიცნონ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიაპყრობთ და ხელიდან ნუ გაუშვებთ ახალი ურთიერთობის დაწყების შანსს.

ახლა აღსავსე ხართ ენერგიით და თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ცოტა დასვენება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 26 თებერვალი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ამ პერიოდში ყოფითი პრობლემების წინაშე დადგებით, რაც თქვენს განწყობაზე აისახება.

პირდაპირობამ შეიძლება, ცუდი სამსახური გაგიწიოთ, ამიტომ ემოციებს ნუ აჰყვებით და სიტუაციას სკანდალამდე ნუ მიიყვანთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სიმართლე თქვენს მხარესაა.

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს — მასთან მეტი დრო გაატარეთ — წადით სამოგზაუროდ და მოინახულეთ თქვენთვის საყვარელი ადგილები.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, შეიძლება შეგექმნათ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემები.

**დადებითი დღე: 25 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 27 თებერვალი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

სპონტანური მოქმედებები ცუდ სამსახურს გაგიწევთ. უფრო დინჯი და თანამიმდევრული იყავით — მხოლოდ ასე მიაღწევთ დასახულ მიზნებს.

შესანიშნავი პერიოდია რომანტიკული მოგზაურობისთვის. რამდენიმედღიანი მოგზაურობისას საყვარელ ადამიანში ახალ თვისებებს აღმოაჩენთ, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაღრმავებას და ახალ ეტაპზე გადასვლას.

სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტებზე ხელის მოწერისას და კონტრაქტის გაფორმებისას, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

ამ პერიოდში თქვენი მთავარი მტერი ვირუსული ინფექციებია.

**დადებითი დღე: 26 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 1 მარტი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

კარგი პერიოდია ბიზნესსაქმიანობისთვის, თუმცა დაპირება, რომელიც პარტნიორებს მიეცით, აუცილებლად უნდა შეასრულოთ — მხოლოდ ასე შეძლებთ საქმიანი ადამიანის რეპუტაციის შენარჩუნებას. ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები მთელი წლის მუშაობაზე აისახება.

საყვარელი ადამიანი თქვენგან სიყვარულს, მზრუნველობას და სიურპრიზებს ელოდება. მას ამ პერიოდში მიძღვნილი საჩუქარი სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრება, ამიტომ ყველაფერი გააკეთეთ, რომ საყვარელ ადამიანს ასიამოვნოთ.

არც ოჯახის წევრები დაივიწყოთ — მათაც სჭირდება თქვენი მზრუნველობა, განსაკუთრებით — ხანდაზმულებს.

დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 25 თებერვალი.**
**უარყოფითი დღე: 27 თებერვალი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

ადრე დაწყებული საქმეები აუცილებლად უნდა დაასრულოთ, თანაც, მოკლე ხანში. გამოდით ინერტული მდგომარეობიდან, შეხვდით პარტნიორებს და დაიწყეთ ახალი პროექტები, ყველაფერი თქვენს ინიციატივებზე იქნება დამოკიდებული.

ამ პერიოდში დიდია ფინანსური შემოსავლების მომატების ალბათობა. მარტოხელა თევზებმა, შესაძლოა, გაიცნონ ადამიანი, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ.

დაოჯახებულ თევზებს კი შვილების პრობლემების მოგვარება მოუწევთ.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 1 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 25 თებერვალი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სუნამო უნდა დაიპკუროთ სუფთა, მშრალ კანზე, სადაც კანი უფრო ფაქიზია. ხანდახან შეიძლება დაიპკუროთ თმაზეც, თუკი მისი გამოშრობის არ გეშინიათ. ტანსაცმელზე სუნამოს დაპკურება რეკომენდებულია მათთვის, ვინც მისი რომელიმე კომპონენტის მიმართ ალერგიულია.**




# ყველაფერი სუნამოს შესახებ



**დადგენილია, რომ სუნამო ადამიანის მე-ს გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. მცენარეებისგან სურნელოვანი სითხის შექმნას საფუძველი ჩაუყარეს ძველმა რომაელებმა, ეგვიპტელებმა, ბერძნებმა, თანამედროვე ქიმიკოსებმა კი მათი სახელები დაარქვეს და ადამიანთა შინაგან სამყაროს დაუკავშირეს. ითვლება, რომ კარგად შერჩეული სუნამო ურთიერთობის ჰარმონიულობის საწინდარია. ჯონ გალიანოს თქმით, ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი სამკაული მისი სურნელია. პოეტები, მწერლები, შემოქმედები და უბრალო ადამიანები აღფრთოვანებაში მოჰყავდა იმ სურნელს, რომელიც ასე დაუფარავად ამხელდა სუსტი სქესის საიდუმლოს.**



**იმისთვის, რომ სუნამომ თავისი სურნელი დიდხანს შეინარჩუნოს, მისი განსაკუთრებულად შენახვაა საჭირო. გაუხსნელი სუნამოების შენახვის ვადა, საშუალოდ, 3 წელია, ხოლო გახსნის შემდეგ ის 6-18 თვემდე მცირდება**

## ისტორია

სიტყვა სუნამო ლათინური წარმოშობისაა: „პერ" შემდეგს, იქითას ნიშნავს, „ფუმუს" — კვამლს, მოგვიანებით ფრანგებმა ეს ორი სიტყვა გააერთიანეს და სუნამოს „პარფუმ" უწოდეს.

**პირველი სუნამო საკმეველი იყო, მისი ბოთლები აღმოაჩინეს მესოპოტამიაში ოთხი ათასი წლის წინათ. მესოპოტამიელები წვავდნენ უამრავ ფისს, ზეთსა და ხის ქერქს რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად. ისინი ხშირად ასველებდნენ ხის ქერქსა და ფისს წყლითა და ზეთით შეზავებულ საკმეველში და სხეულს იწმენდნენ, მიცვალებულსაც სწორედ ამ სითხით ბანდნენ.**

ეგვიპტური იეროგლიფებიდან ვგებულობთ, რომ სამი ათასი წლის წინათ ამ საქმის შესწავლა ეგვიპტელებმაც დაიწყეს, თუმცა სუნამოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფარაონის რიტუალისთვის იყენებდნენ. არქეოლოგებმა ეგვიპტელების სუნამო მავზოლეუმში აღმოაჩინეს.

როგორც შემდგომ გაირკვა, ისინი სუნამოს ბოთლებს ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერებისგან და ჩამოვარდნილი მეტეორის ნარჩენებისგან ამზადებდნენ. სუნამოს ბოთლს მთელი ცხოვრების განმავლობაში კისერზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ და სიკვდილის შემდეგ სწორედ ამ სუნამოში ბანდნენ.

ანტიკური ცივილიზაციებისთვის პარფიუმერია მიჩნეული იყო, როგორც ღვთის საჩუქარი. ძველ დროში ფიქრობდნენ, რომ სხეული უნდა განედიდებინათ და ღმერთს დამსგავსებოდნენ. ანტიკურ ცივილიზაციებში სუნამო, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ყვავილები და სურნელოვანი ნივთიერებები გამოიყენებოდა, როგორც ნედლი მასალა ღვთისადმი მიძღვნილ რიტუალებში. მათ სჯეროდათ, რომ სუნამო ავადმყოფობას კურნავდა და სხეულს უფრო სრულყოფილს ხდიდა.

**ეგვიპტელები სუნამოებს ოქროზე მეტად აფასებდნენ და მხოლოდ შეძლებული ფენის პრივილეგიად მიიჩნევდნენ. კლეოპატრა სუნამოს აპკურებდა იალქნებს, რათა ყველას ეგრძნო მისი ჩამობრძანება.** თანდათანობით არომატებმა მოაჯადოვა მთელი მსოფლიო. მაგალითად, ძველ ბერძნებს სჯეროდათ, რომ ღმერთები თავად ქმნიან არომატებს და რომ ღმერთის ან ქალღმერთის დედამიწაზე მოვლინება ტკბილი არომატით შეიგრძნობა. აღმოსავლეთ კულტურაში რელიგიური კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არომატებს. არაბები, პატივისცემის ნიშნად, სტუმრებს მისვლისას ვარდის წყალს, ხოლო წასვლისას ფიმიამს აპკურებდნენ. ინდოეთში არომატები კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეებში მცენარეები გამოიყენებოდა ეპიდემიებთან ბრძოლისთვის, მაშინ, როდესაც აღმოსავლური სუნამოები განაწყობდა ავხორცული სიამოვნებისთვის.

ამ პერიოდში ჯვაროსნებმა აღმოსავლეთიდან სუნამოს დასამზადებლად ჩამოიტანეს ახალი ტექნოლოგია და ნედლეული. არაბთა და ჩინელთა კვალის მიმდევარმა ალქიმიკოსებმა აღმოაჩინეს დისტილაცია და ეთილის ალკოჰოლი. მარკო პოლოს მოგზაურობებმა არნახულად გაზარდა სანელებლებით ვაჭრობა.

შუა საუკუნეების ევროპაში არომატულ ნივთიერებებს რელიგიურ დატვირთვასთან ერთად, ფსევდოჰიგიენური ფუნქციაც დაეკისრა: მას დიდგვაროვნები და რაინდები ტანის დასაზელად (და უსიამოვნო სუნის ჩასახშობად) იყენებდნენ.

რენესანსის პერიოდში დედოფლებმა და კურტიზანებმა მოიპოვეს საიდუმლო ფორმულები, რომლებიც შექმნილი იყო პირველი იტალიელი ქიმიკოსების მიერ და აღმოაჩინეს აზიიდან და ამერიკიდან იმპორტირებული სურნელოვანი ინგრედიენტები.

რენესანსის ეპოქამ კარი გაუღო ცხოვრების ახალ ხედვას. არქიტექტორები, ინჟინრები და მეცნიერები მოგზაურობდნენ ევროპაში. ხელოვნება ყვაოდა მდიდარი, ძლიერი მფარველების გავლენით. პირველმა ქიმიურმა ტრაქტატებმა პროგრესულად შეცვალა ძველი, ალქიმიური რეცეპტები. ვასკო და გამამ, ქრისტოფერ კოლუმბმა, მაგელანმა და სხვა მკვლევარებმა ჩამოიტანეს ნედლეული (ქოქოსი, ვანილი, პერუ ბალზამი, თამბაქო, პილპილი, მიხაკი, ილი) ინდოეთიდან და ამერიკიდან. გასაკვირი არაა, რომ გავლენიანი ქალბატონები და კურტიზანები სილამაზის პატარა საიდუმლოებით და საწამლავებითაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. პარფიუმერები ტოვებდნენ თავიანთ მშობლიურ ესპანეთს და იტალიასა და საფრანგეთში მიდიოდნენ, რათა პარიზში გაეხსნათ მაღაზიები. სულ მალე, მათ სურნელოვანი ხელთათმანები შესთავაზეს ფრანგ ქალბატონებს...

საფრანგეთი თანამედროვე პარფიუმერიის ცენტრი გახდა, მაგრამ სუნამომ ამ ქვეყანაში პოპულარობა მხოლოდ რენესანსის ეპოქაში (XV-XVII საუკუნეებში) მოიპოვა. როგორც ცნობილია, **მეფე ლუი მეთხუთმეტე ოთხ წელიწადში ერთხელ ბანაობდა. მისი მიბაძვით კი ყველა გაბინძურდა. უსიამოვნო სუნი რომ დაეფარათ, კაცები და ქალები გადაჭარბებულ კოსმეტიკასა და სუნამოს იყენებდნენ. იმდროინდელმა პარლამენტმა სურნელოვანი ხელთათმანების დამამზადებელთ ნება დართო, პარფიუმერის სახელი ეტარებინათ. ლუი მეთხუთმეტის სასახლეს კი „სურნელოვანი სასახლე" უწოდეს.**

ისინი ვალდებულნი იყვნენ, ყოველდღე სხვადასხვა სურნელება ჰქონოდათ. ე. წ. ტუალეტის ძმარიც პირველად აქ გამოჩნდა. ეს იყო უდარდელი, ბედნიერი დრო. მარია ანტუანეტასთან (ლუი XVI-ის ცოლი) ერთად. მაშინდელ ჟურნალებსა და გაზეთებში უხვად წააწყდებოდით ქალური ელეგანტურობის კანონებს, რომელთაც, რაღა თქმა უნდა, თავგადაკვლით ასრულებდა ევას მოდგმა. ჰიგიენა ისევ მოდაში შემოვიდა. გემოვნება განვითარდა და მოიცვა უფრო ნაზი სურნელება, რამაც მდიდრებს უბიძგა, პარიზში პირველი სუნამოს სახლი გაეხსნათ. ბალახეულის დამამზადებელ ქიმიკოსებს აღმერთებდნენ. მათ განავითარეს არომატული დისტილაციის ტექნიკა.

რომანტიკულ ერაში მცხოვრები ყვავილის მსგავსი ქალი ეძებდა სურნელს, რომელიც მის პიროვნებაზე აირეკლებოდა. 1789 წელს რევოლუციური დენთის სუნით გაიჟღინთა საფრანგეთი. სუნამოები შეზიზღდათ. ჟოზეფინა (საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი ცოლი) დიდძალ ქონებას იხდიდა ეგზოტიკურ სურნელებაში და ნაპოლეონს იტაცებდა მის სხეულთან შეხება. ინგლისელმა ჰიგიენის ოსტატებმა პოპულარიზაცია გაუწიეს სურნელოვან აბაზანებს. რომანტიკულ ერაში ქალებმა დაკარგეს ინტერესი მძაფრი სუნამოებისა და მაკიაჟისადმი. ახალი მოთხოვნა გახდა ნაზი და ფერმკრთალი... მათ ჩვევად ექცათ სურნელოვანი ხელსახოცის ტარება.

მოგვიანებით, XIX საუკუნის ბოლოს, სუნამოების ინდუსტრიის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა საშუალო კლასის წარმომადგენელი ქალბატონები. მათ არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ძვირად ღირებული ფუფუნების საგნები ეყიდათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, ფუფუნების საგნებით ვაჭრობა აყვავდა და სუნამოს დამზადება ხელოვნების დონეზე ავიდა. ახალი და ორიგინალური სუნამოს დანამატები, როგორიცაა ჰელიოტროპინი (მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახის, ბუჩქები, ნახევრად ბუჩქები და ბალახები), ვალინილი (არომატული ნახშირწყალბადი, აქვს ვანილის სუნი), იოლინი და ალდეჰიდი (ორგანული ნივთიერება, რომლის მოლეკულასთან ნახშირწყალბადის რადიკალთან დაკავშირებულია CHO ფუნქციური ჯგუფი) ქმნიდა ქიმიური რეაქციების სულ ახალ სინთეზს, რამაც არომატული რევოლუცია გამოიწვია. ეს იყო თანამედროვე პარფიუმერიის პირველი ნაბიჯები.

XX საუკუნის 50-იანებში სუნამომ თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა დაკარგა. ამ დროს გამოვიდა მამაკაცის პირველი სუნამოც და პირველი ამერიკული პარფიუმერიაც დაიბადა. **50-იანებში მიხვდნენ, რომ მამაკაცისთვისაც საჭირო იყო ტუალეტის წყალი, რომლის მიზანი იყო, რუტინული ცხოვრების წესი ელეგანტური გაეხადა. ესტე ლაუდერმა პირველი სუნამო გამოუშვა.**

60-იანებმა შექმნა კონტრასტი, შეიცვალა სოციალური დამოკიდებულება. ამ ვითარებამ სიგნალი მისცა ახალი არომატების გამოშვებას. 60-იანები იყო ეკონომიური ზრდის ერა. უმუშევარი ადამიანი თითქმის არ არსებობდა. ადამიანის სხეული და ხუთი გრძნობა იყო დიდი დაინტერესების საგანი, რამაც სექსუალური ლიბერაცია გამოიწვია.

80-იანებში ქალებმა მოითხოვეს ინდივიდუალიზმი და იპკურებდნენ lifestyle სუნამოს. მამაკაცებმა დაიწყეს სუნამოს გამოყენება გაპარსვის პროცესისგან დამოუკიდებლადაც. 80-იანების პერიოდში ცხოვრების მრავალი ახალი სტილი გამოჩნდა: ფემინისტური, ბუნებრივი, მხიარული და ნეორომანტიული. ჩაცმულობა მეტყველებდა ადამიანის დამოკიდებულებაზე ცხოვრებასთან და მათ ახალ იდეებზე. როგორც მოდის სამყაროს, ისე სუნამოს ინდუსტრიის მთავარი მიზანი გახდა მისი „მესიჯი". ამერიკაშიც და საფრანგეთშიც ახალი სუნამოს ცნება ეთაყვანებოდა ქალს, რომელიც იყო დახვეწილი და პროვოკაციული ან რომანტიული და ნაზი.

**თანამედროვე ცხოვრებაში სუნამო, გარდა ზემოჩამოთვლილისა, ერთგვარი მაგიაცაა. თუ ადრე ქალები ქმრების მოხიბვლას ჯადოქრობის გამოყენებით ცდილობდნენ. დღეს მათ ამისთვის თანამედროვე საშუალება გააჩნიათ — ფერომონებიანი სუნამო.**

მზრუნველი პარფიუმერების მიერ შექმნილი ამ ჯადოსნური საშუალების შესახებ უამრავი ლეგენდა და ჭორი დადის. შესაძლოა, ეს ჩვეულებრივი სუნამოა, რომლის მიმზიდველი ძალისაც, გვინდა, გვჯეროდეს. მეორე მხრივ, შესაძლოა, მათ მართლაც შეუძლიათ წარმოუდგენელი ვნების გაღვიძება.

სიტყვა „ფერომონი" ბერძნულია და აღგზნების მატარებელს ნიშნავს. ეს არის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომელსაც გამოიმუშავებს ყველა ცხოველის სპეციალური ჯირკვალი. გაიხსენეთ, როგორ ირჩევენ ცხოველები წყვილებს. მათთვის სულერთია, როგორი „ვარცხნილობა" ან „კუნთები" აქვს რჩეულს. ფერომონების სუნი, რომელიც მოქმედებს ქვეცნობიერზე, მათთვის საუკეთესო მაჩვენებელია. ცხვირიდან სიგნალი ხვდება დიდი ნახევარსფეროს ქერქში და იწვევს სექსუალურ ლტოლვას.

ფერომონები მსგავსად მოქმედებს ადამიანებზეც. **ამიტომ ზოგჯერ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რატომ აირჩია ლამაზმანმა ქმრად მელოტი და ტანდაბალი მამაკაცი ან პირიქით, წარმოსადეგმა მამაკაცმა არჩევანი უშნო ქალზე შეაჩერა. სავარაუდოდ, ეს ფერომონების „დამსახურებაა".**

ბუნებრივ ფერომონებს ანადგურებს დეზოდორანტები და ასევე მათ ახშობს ტანსაცმელი. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადამიანი თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენით ყოველწლიურად უფრო ნაკლებ სასქესო ჰორმონებს გამოიმუშავებს ბუნებრივი გზით. ფერომონებიანი პარფიუმის გამოყენება ზრდის ორგანიზმის მიერ საკუთარი ფერომონების გამომუშავებას. მათ გამოყენებას ურჩევენ ოჯახურ წყვილებს, რომელთაც ფერომონების შეგრძნება დაუქვეითდათ. სიყვარულის არომატები შეგიძლიათ გამოიყენოთ სასურველი მამაკაცის ან ქალის მოსაზიდად.

არსებობს პერიოდები, როცა ადამიანი არ გამოყოფს თავის „ვნების არომატს", არამედ სრულიად საწინააღმდეგო სუნს — რეპელენტს, ანუ შიშის სუნს გამოიმუშავებს. ეს არის ორგანიზმის რეაქცია სტრესზე, ხანგრძლივ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვაზე. ასეთ მომენტებში გარშემომყოფნი ვერ გვამჩნევენ, ნაკლებად მომხიბვლელები ვხდებით. ფერომონებიანი სუნამო ამ დროს აუცილებელია, რადგან ის ხელს უწყობს განწყობის ▶



**ფერომონებიანი სუნამოს შერჩევისას ისარგებლეთ იმავე წესით, რითაც სარგებლობთ ჩვეულებრივის ყიდვისას. ორიენტირება გააკეთეთ თქვენს გემოვნებაზე. დაიმახსოვრეთ, რომ ფერომონებიანი სუნამო არ შეიცავს სპირტს, რადგან ისინი ფერომონებს ანადგურებენ. ეცადეთ, სუნამოს დასხმის შემდეგ არ მიიღოთ შხაპი და არ გამოიყენოთ სხვა პარფიუმი. ის ავტომატურად აქრობს „ვნების სურნელს“.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ამაღლებას, დეპრესიიდან გამოსვლას, ჩვენ თავს ბედნიერად და ძალ-ღონით სავსედ ვგრძნობთ, ვხდებით უფრო გახსნილები ადამიანებთან ურთიერთობაში.

ფერომონებიანი სუნამო მუდმივად უნდა გქონდეთ არსენალში, რადგან ადამიანზე მოქმედებს სხვა ბევრი ფაქტორი: კლიმატის მკვეთრი ცვლილება, წამლების მიღება, ტემპერატურის ხშირი ცვლა.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ფერომონებს აქვთ ძლივს შესამჩნევი სურნელი. მაგრამ პარფიუმერიაში გამოიყენება სინთეტიკური ფერომონები. ისინი ითვლება ნატურალური ფერომონების სრულყოფილ ანალოგებად და არ გააჩნიათ უკუჩვენება. ფერომონების არსებობა სუნამოში არ ნიშნავს სურნელის არ არსებობას. პარფიუმერია არ არღვევს ფერომონების მოქმედებას და გვთავაზობს მრავალფეროვანი არომატების ფართო არჩევანს.

**ფერომონებიანი სუნამოს შერჩევისას ისარგებლეთ იმავე წესით, რითაც სარგებლობთ ჩვეულებრივის ყიდვისას. ორიენტირება გააკეთეთ თქვენს გემოვნებაზე. დაიმახსოვრეთ, რომ ფერომონებიანი სუნამო არ შეიცავს სპირტს, რადგან ისინი ფერომონებს ანადგურებენ. ეცადეთ, სუნამოს დასხმის შემდეგ არ მიიღოთ შხაპი და არ გამოიყენოთ სხვა პარფიუმი. ის ავტომატურად აქრობს „ვნების სურნელს“.**

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ლეგენდარული Chanel 5. ამ არომატის ისტორია 1920 წელს იწყება, როდესაც გაბრიელ (კოკო) შანელს მისმა ფავორიტმა — დიმიტრი რომანოვმა (ალექსანდრ II-ის შვილიშვილი) მას ყოფილი პარფიუმერი ერნესტ ბო გააცნო.

ერნესტ ბოს გაცნობამდე კოკოს არც უფიქრია სუნამოს შექმნაზე. მაშინ არომატები უმეტესად ყვავილებით მზადდებოდა. ასე რომ, ყველა სურნელი იყო საკმაოდ ჩვეულებრივი, უხარისხო და ძირითადად ამა თუ იმ ყვავილის სუნის იდენტური. გაბრიელას ეს არ მოსწონდა. მისთვის ერთადერთი და ყველაზე დახვეწილი ახალდაბანილი სხეულის სუნი იყო, სხვა დანარჩენს ის უგემოვნოდ და ბურჟუაზიული სტილის გამოვლინებად თვლიდა. მაგრამ ერნესტმა შეძლო, შეეთავაზებინა მისთვის ის, რაც მას აზრს შეუცვლიდა. ეს რაღაც კი ალდეჰიდები იყო.

გაბრიელა დათანხმდა პროექტს და მუშაობას შეუდგა. მან შექმნა რიგი სინჯარები ინგრედიენტების კომბინაციით, მათგან კი მხოლოდ ერთი — მეხუთე სინჯარა აირჩია. ეს სინჯარა ბომ შეცდომით შექმნა — მას შეეშალა ინგრედიენტების დოზები. მის შემადგენლობაში შედიოდა 80 სხვადასხვა ინგრიდიენტი. ეს იყო რთული, განუმეორებელი და ყველასგან განსხვავებული სურნელი. სწორედ ეს უნდოდა კოკოს. ის თხოვდა ბოს, შეექმნა ხელოვნური არომატი ქალის სურნელით, იმ იმედით, რომ რამე ახალს მიიღებდა. ერნესტმა გაამართლა მისი მოლოდინი, გაბრიელამ მიიღო ის, რაც უნდოდა.

სუნამოს სახელის შერჩევისას კოკომ გადაწვიტა, რომ მისთვის საკუთარი გვარი დაერქმია. ის არ აპირებდა შეჩერებას და უნდოდა, სხვა სუნამოებიც გამოეშვა, ამიტომაც ამ პირველ არომატს რამე განმასხვავებელი ნიშანი უნდა ჰქონოდა. იმ დროს სუნამოებს სრულიად უაზრო სახელებს არქმევდნენ, მაგრამ ეს არ იყო კოკოს სტილი. ელეგანტურობა და უბრალოება — აი, რა იყო მისი წარმატების საიდუმლო. „ამ სუნამოს მისი სინჯარის ნომერს დავარქმევ — №5-ს“ — გადაწვიტა მან.

Chanel 5-ის არც ფლაკონი იყო ჩვეულებრივი. მაშინ პარფიუმერები ძალიან აფორმებდნენ სუნამოებს ფაიფურით, ძვირფასი მეტალით თუ სხვა ლამაზი საგნებით. მან წარმოადგინა უბრალო, პარალელეპიპედის ფორმის ფლაკონი, იმის მსგავსი, როგორსაც იყენებდნენ მამაკაცები. მაშინ ეს, ცოტა არ იყოს, ექსცენტრიულად გამოიყურებოდა.

რადგან სუნამოზე მუშაობა დასრულებული იყო, გაბრიელამ ერთ ეშმაკობას მიმართა: იმის მაგივრად, რომ სუნამო უცებ დაედო დახლებზე გასაყიდად, მან იგი თავის მეგობრებს დაურიგა საჩუქრად. რა თქმა უნდა, მისი მეგობრები მაღალ წრეში ტრიალებდნენ და ახალი არომატის შექმნის ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. მალე Chanel 5-ის მოყვარულების საიდუმლო კლუბიც კი შეიქმნება. აი, სწორედ მაშინ გამოიტანა კოკომ ის გასაყიდად, რასაც, ცხადია, წარმოუდგენელი ბუმი მოჰყვა.

მას შემდეგ 90 წელი გავიდა. ყველაფერი შეიცვალა. იცვლება მოდაც. მას აყოლილი პარფიუმერები კი ათასობით ახალ-ახალ არომატს იგონებენ. სუნამოები ჩნდებიან და ქრებიან, მხოლოდ Chanel 5 არ ემორჩილება ცხოვრების ამ მწარე კანონებს. ის მყარად დგას, კონკურენციის და ცვლილებების გარეშე. არომატის შექმნის ფორმულა დღესაც უცვლელია, მიუხედავად ამისა Chanel 5 არ კარგავს აქტუალობას და ყოველდღე მას მილიონობით ქალი ყიდულობს. დადგენილია, რომ ყოველ 55 წამში მსოფლიოში Chanel 5-ის ერთი ფლაკონი იყიდება.

სუნამოს მთავარი საიდუმლოება მის შემადგენლობაში იმალება. პარფიუმერული ნაწარმების შემადგენლობა ერთნაირია: სპირტი, წყალი და პარფიუმერული კომპოზიცია. განსხვავებას მხოლოდ პროპორციები ქმნის. უმაღლესი კატეგორიის პარფიუმერიას — სუნამოს (Parfum-ი ან Extrait-ი) წარმოადგენს 20-30% პარფიუმერული კომპოზიცია და 90%-იანი სპირტი. სუნამოს შემადგენლობაში შედის ძვირფასი ნატურალური კომპონენტები. პარფიუმერული წყლის (eau De parfum, Parfum De toilette) შემთხვევაში პროპორცია შემდეგია: პარფიუმერული კომპოზიციის 15-20% და 90%-იანი სპირტი. ტუალეტის წყალში (Eau De Toilette) 6-12% კონცენტანტი შეზავებულია 85%-იანი სპირტით. ოდეკოლონს (Eau De Cologne) ქმნის 3-5% სურნელოვანი ნივთიერება 70-80%-იან სპირტში.

კეთილსურნელებანი კაცობრიობის თანამგზავრია. ისინი განსხვავებული, მცენარეული ან ცხოველური წარმოშობისაა და ნებისმიერი მათგანის მოპოვება, შეგროვება თუ წარმოება ბევრ დროს და იმდენად ფაქიზ შრომას მოითხოვს, რომ მაღალი ფასი გასაკვირი სულაც არ არის. სურნელების გრძელი სიიდან რამდენიმე ყველაზე კეთილშობილი და სახელოვანია.

**საკმეველი** გარკვეული ჯიშის ხის ფისია, რომელიც იემერში, ომანსა და სომალიში იზრდება. თებერვალ-მარტში ამ ხის ქერქს სერავენ და იქიდან თეთრი ფერის სითხე გადმოდის. შეგროვებული საკმეველი ორგვარია: ნარჩევი (ღია ყვითელი ან მოვარდისფრო წვეთის ფორმის მომცრო ნატეხები, რომლებსაც სასიამოვნო სუნი და მომწარო გემო აქვთ) და ჩვეულებრივი (ნაკლებად წმინდა, მუქი ფერის მოზრდილი ნატეხები).

**მური ანუ სმირნა** (არაბ. „მურ“ — „მწარე“) — აფრიკული და არაბული ჯიშის ხეებისგან მიღებული ძვირადღირებული ფისი, რომელიც მედიცინაში (ანგინის, კბილის ტკივილის დროს, აგრეთვე ინჰალაციებისას) გამოიყენებოდა. ძველბერძენი მეომარი საბრძოლველად ისე არ წავიდოდა, თან იარების მოსაშუშებელი მურის მალამო რომ არ წაეღო. მართლაც, ამ ფისს ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო თვისებები აქვს.




**ვისაც ციტრუსის არომატი მოსწონს, გამოირჩევა ორგანიზებულობით, დისციპლინით, უყვარს ყველაფრის დაგეგმვა და იბრძვის წარმატების მისაღწევად**



გადმოცემის თანახმად, ამ სურნელის პირველი მომპოვებლები მწყემსები იყვნენ, რომლებმაც თხის ბეწვზე მიკრული მურის შეგროვება დაიწყეს. თუმცა, მურის ხესთან დაკავშირებით ოვიდიუსის მიერ გადმოცემული რომანტიკული და ნაღვლიანი ლეგენდაც არსებობს კვიპროსის მეფის ასულის უბედურ სიყვარულზე, რომელიც ხედ გადაიქცევა, ხოლო მისი ცრემლები — სურნელოვან ფისად.

**გუნდრუკი** (ბერძ. „fumiam“ — „ვწვავ, ვაკმევ“) საკმევლის მსგავსად, სურნელოვანი ფისის ნაირსახეობაა, რომელიც ბევრი ქვეყნის ისტორიულ თუ კულტურულ ტრადიციებში გვხვდება. გამონათქვამი „ღმერთებს კეთილსურნელება უყვართ“ ეგვიპტელებს ეკუთვნით და გუნდრუკიც მათი „გამოგონებაა“ — მას ღმერთების მოსაზიდად და მათი გულის მოსაგებად ტაძრებშიც, სახლებშიც და საქმიანი შეხვედრების დროსაც კი აკმევდნენ.

სანდალოზი ტროპიკული ხის ნაირსახეობაა, მისგან მიღებული ზეთი ფართოდ გამოიყენებოდა პარფიუმერიაში, კოსმეტიკასა და მედიცინაში, ამჟამად მხოლოდ არომათერაპიაში გამოიყენება. ინდოეთში IX-X საუკუნეებში იცოდნენ 6-10მ სიმაღლის ხის მერქნიდან ეთერზეთის მიღება-გამოხდა, ევროპაში ეს არომატული ნივთიერება ხუთი საუკუნით გვიან აითვისეს, ხოლო ევროპულ პარფიუმერიაში მისი გამოყენება მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყეს.

მუშკი (ბერძ. „მუსკუსი“ — ჩლიქოსანი ცხოველი კაბარგი) ზოგიერთი ცხოველის ჯირკვლების მოქმედების პროდუქტია (თუმცა მუშკი მცენარეული წარმოშობისაც არსებობს — ეს ნივთიერება გარკვეული მცენარეების ფესვებში გვხვდება). ახლო აღმოსავლეთში მამაკაცებს შორის ყველაზე პოპულარული არომატი მუშკი მამაკაცური ძალის აღმდგენია და ხელს ინტიმური პრობლემების მოგვარებასაც უწყობს. შუა საუკუნეების ცნობილი ექიმი იბნ სინა (ავიცენა) ამ ნივთიერებას ფართოდ იყენებდა მედიცინაში და თვლიდა, რომ მისი გამოყენებით სხვადასხვა დაავადების მორჩენა და სმენისა და ყნოსვის მოშლილი ფუნქციების აღდგენა შეიძლება.

ვინაიდან მუშკის მოპოვება ადრე მხოლოდ სათანადო ცხოველის მოკვლით შეიძლებოდა, ქიმიკოსებმა და პარფიუმერებმა თავი იმტვრიეს და სხვადასხვა ტიპის ნიტროგლიცერინული (თხევადი ზეთოვანი ნივთიერება, აზოტმჟავას და გოგირდმჟავას ნაერთი გლიცერინთან, იყენებენ, როგორც ფეთქებად ნივთიერებას, აგრეთვე, სისხლძარღვების გასაფართოებლად) მუშკის მიღება ისწავლეს და პარფიუმერიაში ბუნებრივი მუშკი ნელ-ნელა ხელოვნურით ჩაანაცვლეს.

**იმისთვის, რომ სუნამომ თავისი სურნელი დიდხანს შეინარჩუნოს, მისი განსაკუთრებულად შენახვაა საჭირო. გაუხსნელი სუნამოების შენახვის ვადა, საშუალოდ, 3 წელია, ხოლო გახსნის შემდეგ ის 6-18 თვემდე მცირდება.** თუმცა, შენახვის წესების დაცვის გარეშე სუნამო შეიძლება ერთ კვირაში გაფუჭდეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ პარფიუმერიას სამი დაუძინებელი მტერი ჰყავს: შუქი, სითბო და ნესტი. ისინი არღვევენ სუნამოს ფორმულას და აფუჭებენ მას. სუნამო უნდა შეინახოს თავისივე კოლოფში, სითბოსა და სინათლისგან რაც შეიძლება შორს. არავითარ შემთხვევაში არ შეინახოთ სუნამო აბაზანაში. ყველაზე საუკეთესო ადგილია კომოდის ის უჯრა, რომელსაც იშვიათად იყენებთ.

ასევე თუ გსურთ, რომ სურნელი დიდხანს შეგინარჩუნდეთ, რეკომენდებულია არომატის დასხმა დღის მანძილზე რამდენიმეჯერ, 3-4 საათში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვით სუნამოს მდგრადობას – რაც უფრო კონცენტრირებულია სუნამო, მით უფრო მდგრადია იგი, მაგალითად: „ტუალეტის წყალი“ ყველაზე ნაკლებად კონცენტრირებული სუნამოა და მისი განმეორებით გამოყენება რეკომენდებულია ყოველ 2-3 საათში.

სუნამოსთვის მნიშვნელოვანია მისი სწორად გამოყენება, რათა დიდხანს შევინარჩუნოთ სურნელი. **სუნამო უნდა დაიპკუროთ სუფთა, მშრალ კანზე, სადაც კანი უფრო ფაქიზია. ხანდახან შეიძლება დაიპკუროთ თმაზეც, თუკი მისი გამოშრობის არ გეშინიათ. ტანსაცმელზე სუნამოს დაპკურება რეკომენდებულია მათთვის, ვინც მისი რომელიმე კომპონენტის მიმართ ალერგიულია.** სუნამოს არომატი სრულად მხოლოდ კანთან კონტაქტისას იშლება, ასე რომ, ქსოვილზე დაპკურებით სულ სხვა ეფექტს მივიღებთ. შესაძლებელია ტანსაცმელზე სუნამომ სურნელთან ერთად ლაქაც დატოვოს. სუფთა თმა, ნატურალური ქსოვილები და ბეწვი დიდხანს ინარჩუნებს არომატს. ეს უნდა გაითვალისწინოს მან, ვინც ხშირად იცვლის სუნამოს.

რეკლამას დიდი ადგილი უჭირავს სუნამოს (და არა მარტო სუნამოს) პოპულარიზაციაში. მაგალითად, სუნამო „Chanel 5“-ისთვის გაკეთებული რეკლამის საფასურად მსახიობმა ნიკოლ კიდმანმა 4-წუთიან ვიდეორგოლში ჰონორარი 3,71 მილიონი დოლარი აიღო და ამით გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. გინესის რეკორდების ბოლო მონაცემებით, აქამდე არც ერთ მსახიობს 4 წუთში ასეთი დიდი რაოდენობის თანხა არ გამოუმუშავებია. რეკორდსმენთა შორის არიან, აგრეთვე, მადონა, ჯენეტ ჯექსონი და სხვები.

კრიტიკოსები, სუნამო Ja Dore-ის წარმატებას სარეკლამო კლიპს მიაწერენ, რომელშიც Dior-მა ჰოლივუდის ვარსკვლავი შარლიზ ტერონი გამოიყენა.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ყველას შეუძლია გაშიფროს ყველა საიდუმლო, როგორც თავისი, ასევე სხვების. ამისათვის საკმარისია, დავაკვირდეთ არომატის მიმართულებას და გავიგოთ, რას ნიშნავს ის:

აღმოსავლური სურნელი — ვანილი, ამბრა, მუსკატის კაკალი და შავი პილპილი. ამ არომატის მოყვარული ადამიანები აფასებენ ტრადიციებს. უყვართ მარტოობა, კოლექციონერობა, ხშირად გამოირჩევიან ეფექტური გარეგნობით. თავს უვლიან და, როგორც წესი, ძალიან განათლებულები არიან.

**ვისაც ციტრუსის არომატი მოსწონს, გამოირჩევა ორგანიზებულობით, დისციპლინით, უყვარს ყველაფრის დაგეგმვა და იბრძვის წარმატების მისაღწევად.**

ხილის არომატის მოყვარულებს უყვართ ხმაურიანი კამპანიები. სანდო ადამიანები არიან, შეუძლიათ ჯგუფური მუშაობა და კარგად ესმით იუმორი.

თუ თქვენ ყვავილოვანი არომატის (თეთრი ყვავილები) ჯგუფიდან რომელიმეს იყენებთ, ესე იგი, ძალიან მსუბუქი, სასიამოვნო და სანდო მეგობარი ხართ, თუმცა, ცოტა მეგობარი გყავთ.

თუ თქვენ ყვავილების ნაკრების არომატს იყენებთ, მაშინ გიყვართ სხვისი ცხოვრების გალამაზება. ხართ კოლექციონერი და კარგი დიასახლისი.

ხის არომატების თაყვანისმცემლები გამოირჩევიან ელეგანტურობით და თავშეკავებულობით. არიან სანდოები, განათლებულები, ნაკითხები და ფრთხილები. სიმშვიდეს ინარჩუნებენ კრიტიკულ მომენტებშიც კი.

მწვანე ტყის არომატების მოყვარულები ძირითადად სპორტით არიან დაკავებულნი და უფრთხილდებიან ფიგურას.

ოკეანის ან ზღვის არომატები ხიბლავთ მათ, ვისაც ეშინიათ დახურული სივრცის. მათზე დამამშვიდებელ ეფექტს ახდენს ამ ტიპის არომატები. მათ არ უყვართ ზედმეტი მორთვა, გამოირჩევიან მინიმალისტური ჩაცმის სტილით.

ჰაეროვანი არომატების სუნი გვაგონებს სუფთა ჰაერს და მაღალმთიან ადგილებს. ასეთი არომატის მოყვარულები ხშირად ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ უყვართ ქალაქგარეთ გასვლაც. შეუძლიათ ჰარმონიას მიაღწიოს ქალაქშიც და ქალაქგარეთ ცხოვრებისასაც. არიან მოდის მიმდევრები.

კულინარული არომატები — ფინიკი, ყველი, ყავა, ვისკი, პორტვეინი, შამპანური — ხიბლავს მათ, ვისი მთავარი მახასიათებლებიცაა სტილი, შარმი, სექსუალობა. გამოირჩევიან გამბედაობით და მამაცობით. არიან საკუთარ თავში ჩაკეტილები, გამოუცნობი ადამიანები.

ტყავის არომატებს, როგორც წესი, მამაკაცები იყენებენ, ის გამომძიებლებსა და მეცნიერებს იტაცებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## 200 წლის მუმია, შესაძლოა, ცოცხალი იყოს

**მონღოლეთში მეცნიერებმა 200 წლის წინათ მუმიფიცირებული ბერი აღმოაჩინეს. ბუდისტებს ჯერათ, რომ ის კვლავ ცოცხალია და მედიტაციურ ტრანსშია შესული.** აღმოჩენილი ბერის სხეული ლოტოსის პოზაშია გაყინული. მუმია ულან ბატორის ექსპერტიზის ცენტრში გააგზავნეს შესასწავლად. ულან ბატორის ბუდისტური უნივერსიტეტის ბუდისტური ხელოვნების ინსტიტუტის დამფუძნებელმა განკჰუურჯინ პურევბატმა საინფორმაციო სააგენტოებთან საუბრისას განაცხადა: „ლამა ლოტოსის პოზაში ზის, მარცხენა ხელი გაშლილი აქვს, მარჯვენა კი სიმბოლოა მომლოცავი სუტრასი. ეს ნიშნავს, რომ ლამა ცოცხალია, უბრალოდ, ძალიან ღრმა მედიტაციურ ტრანსშია“. რამდენიმე ექსპერტმა ბუდიზმის საკითხში განაცხადა, რომ ბერი, შესაძლოა, „ტუკდამში“ იყოს, ღრმა მედიტაციურ ზონაში, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარია. მუმიფიცირებული ბერი, სავარაუდოდ, მეცხრამეტე საუკუნეში გარდაიცვალა. მისი ვინაობა უცნობია.



## ქართველი გოგონა სილამაზის მსოფლიო ატლასში მოხვდა

**29 წლის რუმინელი ფოტოგრაფი მიქაელა ნოროკი ბოლო პერიოდში მსოფლიო პროექტზე მუშაობს — „სილამაზის ატლასი“.**

მან 37 ქვეყანა მოინახულა და მშვენიერი ქალბატონები გადაიღო. ძირითადად ჩვეულებრივ ხალხს შორის არჩევდა თავიანთი ქვეყნების მშვენიერ წარმომადგენლებს და ბევრს პირდაპირ, ქუჩაშიც გადაუღო. მის მიერ მონახულებულ ქვეყნებს შორის იყო ირანი, პერუ, კოლუმბია, მიანმა, ჩინეთი, ლატვია...

ასევე საქართველო და ქართველი გოგონა, რომლის ფოტოც სხვა ქვეყნის ლამაზმანებს შორის არის.



## მშობიარობის მთავარი საიდუმლო აღმოჩენილია

**მელბურნის უნივერსიტეტის მკვლევარებმა 40 კვირის ორსული ქალის ორგანიზმში აღმოაჩინეს სპეციფიკური ცილა, რომელიც, მათი აზრით, მშობიარობის დაწყების გამშვები წერტილია.** ეს ცილა ორგანიზმში გამოიყოფა, რათა საშვილოსნოს შევიწროების ბრძანება მისცეს. ამგვარად, მეცნიერებამ მიიღო პასუხი კითხვაზე, რომელიც, დიდი ხანია, აწუხებდა — კონკრეტულად რომელი ბიოლოგიური მექანიზმი იწვევდა მშობიარობას ფეხმძიმობის 40 კვირის თავზე.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა ჯერ არ იციან, როგორ მუშაობს ეს „ტაიმერი“ და მის მიხედვით როგორ შეიძლება მშობიარობის ზუსტი თარიღის გარკვევა. მაგრამ უკვე ცნობილია, რომ, როდესაც შესაფერისი დრო დგება, ორგანიზმი ამ ცილას გამოყოფს. ამ აღმოჩენამ, შესაძლოა, საფუძველი დაუდოს ჭარბწონიანი ქალების მშობიარობის სტიმულაციას და, აგრეთვე, ვადაზე ადრე მშობიარობის აღკვეთას.

# ინფექციური დეპრესია

**სტოუნ ბრუკის უნივერსიტეტის მეცნიერი თურჰან კანლი ვარაუდობს, რომ დეპრესია ინფექციური დაავადებაა. დეპრესიით შეპყრობილებს აქვთ ენერგიის დეფიციტი, ისინი კარგავენ ინტერესს გარე სამყაროს მიმართ და არ შეუძლიათ საწოლიდან წამოდგომა. ასეთივე სიმპტომები შეინიშნება ინფექციების დროსაც. გარდა ამისა, დეპრესიით დაავადებულის ტვინში დადასტურებულ იქნა ექსუდაციური ანთებითი პროცესი, რაც, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ იმუნიტეტის აქტიურობა მომატებულია რომელიღაც გამაღიზიანებლის გამო და ეს გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს პარაზიტი, ბაქტერია ან ვირუსი.**




ბუნებაში არსებობს ისეთი პარაზიტები, ბაქტერიები და ვირუსები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევასა და ემოციებზე. ამის მაგალითია ტოქსოპლაზმა — კატის კუჭ-ნაწლავში მცხოვრები პარაზიტი. მისი კვერცხები განავალთან ერთად ხვდება გარემოში და კონტაქტის შემთხვევაში ვირთხის ორგანიზმში იჭრება.

დასნებოვნებულ ვირთხას კატის შარდის სუნისადმი ლტოლვა უჩნდება — პარაზიტი ააქტიურებს მისი ტვინის იმ უბნებს, რომლებიც სქესობრივ აღგზნებას განაგებს.

სავარაუდოდ, მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი თ. გონდიი-ს მატარებელია. ეს პარაზიტი, ისევე, როგორც დეპრესია, დაკავშირებულია ანთების მარკერებთან. ცნობილია, რომ დეპრესიითა და ბიპოლარული აშლილობით დაავადებულებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია სუიციდური აზრები, მომატებული აქვთ თ. გონდიი-ს საწინააღმდეგო ანტისხეულების დონე.

მრავალი ცდითაა დადასტურებული, რომ მღრღნელების ემოციური ქცევა იცვლება, როცა მათზე ბაქტერიები ზემოქმედებენ. გარდა ამისა, მეცნიერებმა გააანალიზეს 28 კვლევის შედეგები, რომლებმაც დაადასტურა დეპრესიის კავშირი ბორნის დაავადების, ჰერპესის, ჩუტყვავილასა და ეპშტეინ-ბარის ვირუსებთან. ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ბორნის დაავადება დეპრესიით დაავადებულებში სხვებზე 3,25-ჯერ ხშირია.

თურჰან კანლის ბოლო არგუმენტია დეპრესიასთან კავშირის მქონე გენების წარუმატებელი ძიება. მეცნიერი ვარაუდობს, რომ გენეტიკოსები გენების შიგნით ეძებენ დეპრესიის გამომწვევ ცვლილებებს, მაშინ, როდესაც გენების 8% გარეგან ზემოქმედებაზეა დამოკიდებული.

**ბაქტერიებს, ვირუსებსა და პარაზიტებს შეუძლიათ გენების შეცვლა და დედისგან შვილზე გავრცელება.**

თურჰან კანლი მასშტაბური კვლევის ჩატარებას ითხოვს. თუ მისი ჰიპოთეზა დადასტურდა, შესაძლოა, დეპრესიის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაც მოხერხდეს.

## სახლი ავტობუსში



**ჯერ კიდევ 4 წლის წინათ მირა და ჯერემი ტომპსონებმა 1989 წლის გამოშვების სასკოლო ავტობუსი იყიდეს. რაში დასჭირდათ? ეს მხოლოდ ამ კრეატიულმა წყვილმა იცოდა. მათ საკუთარი ხელით აქციეს 11-მეტრიანი საკმაოდ ფართო ავტობუსი მყუდრო კომპაქტურ საცხოვრებლად.**

მათ მიერ ჭკვიანურად დაგეგმილი სივრცე და შექმნილი გარემო ბევრს არწმუნებს, რომ სივიწროვე არაფერია, თუ კარგად მოიფიქრებ და დაგეგმავ ყველაფერს. სიმყუდროვის პოვნა კი ყველგან შეიძლება, სადაც ცოლ-ქმრის ურთიერთგაგება და სიყვარულია.

სახლის ჭერი ხის არის, კედლებიც ხით მოაპირკეთეს შიგნიდან და გარედან. ასე ლამაზიც გამოვიდა, თბილიც და ეკოლოგიურად სუფთაც. სამზარეულოში გაზქურა, მაცივარი დგას და სივრცეც არის დარჩენილი საკვების მოსამზადებლად. ორ სართულად მოწყობილ ბინაში მეორე სართულზე, წყვილის საძინებელი განყოფილების თავზეა ადგილი დასვენებისა და კითხვისთვის. ბორბლების ადგილზე საყვარელი დივანი და ის ღუმელია, რომელიც მთელ სივრცეს ათბობს და მეტ სიმყუდროვესაც სძენს.



## წყვილი, რომელიც 6000 წლის წინათ სექსის დროს გარდაიცვალა

**ბერძენმა არქეოლოგებმა პელოპონესის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ჩონჩხები, რომლებიც ერთმანეთს ეხუტებოდნენ. ჩონჩხის წლოვანება 5,8 ათასი წელია.**

სპეციალისტების აზრით, წყვილი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც სექსით იყო დაკავებული.

დაზუსტებით იმის თქმა, რამ გამოიწვია წყვილის სიკვდილი, ვერ ხერხდება. ძვლები ეკუთვნით ახალგაზრდა გოგოს და ბიჭს, რომლებიც 25 წლამდე ასაკის იყვნენ. მათ სიახლოვეს ნაპოვნია კერამიკული ჭურჭელი და სამკაული. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ყველაზე ძველი სამარხია, რაც ოდესმე საბერძნეთში აღმოუჩენიათ.

## საუდელმა ყურში სკოლის «შპარგალკა» იპოვა



**საუდის არაბეთის მკვიდრს ექიმებმა ყურიდან ის „შპარგალკა“ ამოუღეს, რომელიც 20 წლის წინ ყურში თავადვე მოითავსა.**

მამაკაცს ამ ქაღალდის ნაგლეჯის იმედი ჰქონდა, როდესაც სკოლის ერთ-ერთ გამოსაშვებ გამოცდას აბარებდა. სკოლა საუდელმა კარგი ნიშნებით დაამთავრა, შემდეგ უნივერსიტეტში სწავლაც დაასრულა და ალბათ, ყურში ჩარჩენილი ქაღალდის შესახებ არც გაიხსენებდა, ის ყურში ძლიერი ტკივილის მიზეზი რომ არ გამხდარიყო.

უკვე ზრდასრულმა, განათლებულმა და დაოჯახებულმა მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ ყველაფერში დამნაშავე ყურის ანთებაა.

მაგრამ ექიმებმა სხვა დიაგნოზი დასვეს. პაციენტის ყურის შემოწმების შემდეგ დაადგინეს, რომ ტკივილის მიზეზი უცხო სხეულია. როდესაც ის ამოიღეს, ნათელი გახდა, რომ ყურში ქაღალდის ნაგლეჯი იყო. მაშინ მამაკაცმა გაიხსენა, რომ ეს ქაღალდი მას თავის დროზე გამოსაშვები გამოცდის წარმატებით ჩაბარებაში დაეხმარა. მიუხედავად ამისა, როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, საკუთარ შვილებს იმავეს გაკეთებას არ ურჩევს.



## მსოფლიოში ყველაზე ღრმა გამოქვაბული საქართველოშია

**კრუბერის გამოქვაბული დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან ყველაზე ღრმაა. მისი სიღრმე 2190 მეტრია. იგი აფხაზეთში, არაბიკის მასივში მდებარეობს. გამოქვაბულს სახელი რუსული და საბჭოთა კარსტოლოგიის ფუძემდებლის, ალექსანდრე კრუბერის პატივსაცემად ეწოდა.** პირველად გამოქვაბული ქართველმა სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს 1960 წელს და 95 მეტრამდე გამოიკვლიეს. მეორედ კრუბერი კრასნოიარსკის სპელეოლოგებმა 1968 წელს მოინახულეს და უკვე 210 მეტრზე გამოიკვლიეს. შემდგომი ექსპედიციები სულ უფრო ღრმად ჩადიოდნენ მიწის ქვეშ და ახალ სიღრმეებს აღწევდნენ. 2007 წლისთვის რეკორდი უკრაინელმა სპელეოლოგმა დაამყარა, რომელმაც 2191 მეტრის სიღრმეზე შეძლო ჩასვლა. მღვიმეში გვხვდება მინიატურული სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები, ადგილობრივი წარმოშობის ნგრეული და გამოფიტვის მასალა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ შეიცვალა «მის მსოფლიო»

**1951 წელს ბრიტანეთის დედაქალაქში პირველად გაიმართა „მის ბიკინი“. აღსანიშნავია, რომ მაშინ ეს საცურაო კოსტუმი სულ ახალი შემოსული იყო მოდაში. ყველაფერი, რაც კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებოდათ, ეს იყო სიმღერა, ცეკვა და საზღვაო სამოსის დემონსტრირება. შოუ ერთგვარ სარეკლამო აქციას წარმოადგენდა, თუმცა გამარჯვებული მაინც გამოვლინდა. იგი შვედი კიკი ჰოკანსონი გახდა. ის ერთადერთი ადამიანია კონკურსის ისტორიაში, რომელსაც გამარჯვებულის გვირგვინი ბიკინში გამოწყობილს დაადგეს. კონკურსმა საზოგადოებაში უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა, რის გამოც გადაწყდა, რომ კონკურსის მონაწილეები უფრო მეტად „ჩაცმულები“ ყოფილიყვნენ.**

სახელწოდება „მის მსოფლიო“ პრესამ გამოიგონა. კონკურსის მიმდინარეობის პირველი ათწლეულის განმავლობაში გამარჯვებულები ე.წ. კონსერვატორული გლამურის დემონსტრირებას ახდენდნენ, როგორც ძველი ჰოლივუდის მსახიობები.

მიუხედავად იმისა, რომ მოდური ჟურნალების იმდროინდელ სიმბოლოდ მოდელი ტვიგი მიიჩნეოდა, სილამაზის კონკურსზე მაინც „ქვიშის საათის“ ფორმის მოდელები ფასობდნენ.

ასე მაგალითად, 1967 წელს გამარჯვებული პერუელი მადელეინ ჰარტოგ ბელი გახდა, ხოლო 1968 წელს — ავსტრალიელი პენელოპე პლამერი.

დისკოს ეპოქამ კონკურსში საკუთარი კორექტივები შეიტანა. „საკარნავალო“ გარეგნობამ და რუჟმა მოწინავე პოზიციებზე ლათინოამერიკელი ქალები გამოიყვანა. 1971 წლის მის მსოფლიო ბრაზილიელი ლუსია ტავარეს პატერლე გახდა, 1975 წლისა კი — პუერტ-რიკოელი ვილნელიუ მერსედესი.

ე.წ. „ნაჩოსი“, „საბრძოლო მაკიაჟი“, მკაცრი სილუეტი და ფართო მხრები. კეთილი იყოს 80-იანი წლების შემობრძანება. იმდროინდელი ტრენდებისთვის ზურგის შექცევა ვერც სილამაზის კონკურსმა მოახერხა. 1984 წლის გამარჯვებული ასტრიტ კაროლინა ჰერერა ირასაბალი ვენესუელიდან იყო (პოპულარული ტელესერიალიდან „იუდას ქალი“), 1987 წლის გამარჯვებული ულა ვაიგერშტოპფერი კი — ავსტრიიდან.

90-იან წლებში პოპულარული ხდება მდიდრული და ბრჭყვიალა კაბები, ხოლო „ფუმფულა“ სილუეტები საბოლოოდ ბარდება წარსულს. 1992 წლის მის მსოფლიო რუსი იულია კუროჩკინა გახლდათ, 1994 წლისა კი — კონკურსის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლაურეატი, ბოლივუდის ვარსკვლავი აიშვარია რაი.

2000-იანებში მოდაში სლავური გარეგნობა შემოვიდა. შედეგად, გამარჯვებულები 2006 წელს ჩეხი კუჩაროვა და 2008 წელს რუსი ქსენია სუხინოვა გახდნენ. 2012 წელს გვირგვინი ჩინელ იუი ვენსიას ერგო, 2013-ში — ფილიპინელ მეგან იანგს, ხოლო 2014-ში — სამხრეთ აფრიკელ როლენ სტრაუსს.

ვინ გახდება 2015 წლის გამარჯვებული, ამას დეკემბერში გავიგებთ.



2014



2013



2011


1975


1987


1994



2012


2009

# მომღიმარი გალაქტიკები

**ამერიკის კოსმოსური სააგენტოს კოსმოსურმა ტელესკოპმა „ჰაბლმა“, SDSS J1038+4849 გალაქტიკების უჩვეულო ფოტოსურათი გადაიღო, რომელიც მომღიმარ სახეს — „სმაილს“ მოგვაგონებს. ტელესკოპის გადაღებულ ფოტოზე ჩანს ორი სტაფილოსფერი თვალი, რომლებიც სინამდვილეში ძალიან კაშკაშა გალაქტიკებია და თეთრი „ცხვირი“.**

გარდა ამისა, ფირზე აღიბეჭდა დახრილი ხაზი, რომელსაც გრავიტაციული ლინზირების ეფექტის შედეგად, სინათლის რკალები წარმოქმნიან. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოვლენა სინათლის სხივების გარდატეხის შედეგად ხდება. როგორც ცნობილია, სმაილის ფორმის წარმომქმნელი გალაქტიკები დიდი დათვის თანავარსკვლავედში მდებარეობენ.





## ევოლუცია კვლავაც გრძელდება

**ჩვენი სახეობის ბიოლოგიური ევოლუცია არ შეჩერებულა და ჩვეული ტემპებით გრძელდება.** ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფინელი გენეტიკოსები და ევოლუციური ბიოლოგები, რომლებმაც ფინეთის გენეოლოგიური ისტორიის რამდენიმე საუკუნის ანალიზი მოახდინეს.

მკვლევარების აზრით, ბოლო ასწლეულის განმავლობაში, გენების წილი ადამიანის ევოლუციის საქმეში არ შემცირებულა, პირიქით — გაიზარდა. ეს, პირველ რიგში, დაკავშირებულია იმასთან, რომ, ჩვენი წინაპრებისგან განსხვავებით, თანამედროვე ადამიანებს პარტნიორების არჩევის მხრივ, სრული თავისუფლება აქვთ.

„სრულიად შესაძლებელია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება ჩვენს გენებს მეტ „თავისუფლებას“ აძლევდეს. ამის წყალობით, ბუნებრივი გადარჩევის მეთოდი ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებით გააქტიურდა“, — ამბობს მკვლევარი ელიზაბეტ ბოლუნდი.

# ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ ცენტრში ფოლად ბულბულ ოღლის იუბილე აღნიშნეს

**21 თებერვალს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ცნობილი აზერბაიჯანელი მუსიკოსის, კომპოზიტორისა და მომღერლის — ფოლად ბულბულ ოღლის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართა. მომღერალმა საიუბილეო საღამოზე მუსიკალური ნაწარმოებები საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა. ორკესტრს აზერბაიჯანის სახალხო არტისტი ჯავანშირ ჯაფაროვი დირიჟორობდა. საღამო ჯანსუღ კახიძის ვაჟმა, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ გახსნა.**





**«არ შემეძლო, ჩემს მეორე სამშობლოში — საქართველოში, სადაც მამა და დედა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, არ ჩამოვსულიყავი. ჩვენ, აზერბაიჯანელები და ქართველები, ძმები ვართ და ჩვენი მეგობრობა მარადიულია»**

ფოლად ბულბულ ოღლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტები თებერვალში ბაქოსა და მოსკოვში უკვე ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ფოლად ბულბულ ოღლის მამის, გამოჩენილი აზერბაიჯანელი მომღერლის, ტენორის, ბულბულის სკულპტურული პორტრეტი გაიხსნა. გაიმართა პროფესორ ვალერი ასათიანის წიგნის — „ფოლადი — საქართველოს მეგობარი“ პრეზენტაცია. მომღერალს იუბილე საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ მიულოცა.

ფოლად ბულბულ ოღლის დაწერილი აქვს სიმფონიური ნაწარმოებები, კამერული, ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკა, კინომუსიკა, მუსიკა სპექტაკლებისთვის, ავტორია ბალეტისა „სიყვარული და სიკვდილი“, თუმცა, მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი სფერო მაინც სიმღერაა, რომელმაც მას დიდი პოპულარობა მოუტანა. ფოლად ბულბულ ოღლი წლების განმავლობაში აზერბაიჯანის კულტურის მინისტრი იყო და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების განმტკიცებაში. ფოლად ბულბულ ოღლი საქართველოს ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული.

**ფოლად ბულბულ ოღლი:**

— დღევანდელი საღამოს გამო ძალიან ბედნიერი ვარ. მოგეხსენებათ, რუსეთში აზერბაიჯანის ელჩად ვმუშაობ და ხელოვნებისთვის უკვე ცოტა დრო მრჩება, მაგრამ, რადგან 70 წელი შემისრულდა, გადავწყვიტე, გამონაკლისი დამეშვა. მართალია, ბაქოში უკვე გაიმართა ჩემი საიუბილეო კონცერტი, მაგრამ არ შემეძლო, ჩემს მეორე სამშობლოში — საქართველოში, სადაც მამა და დედა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, არ ჩამოვსულიყავი. ჩვენ, აზერბაიჯანელები და ქართველები, ძმები ვართ და ჩვენი მეგობრობა მარადიულია.

**მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი:**

— დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ვინაიდან დღევანდელი საღამო, არა მხოლოდ რომელიმე მომღერლისადმი მიძღნილი საიუბილეო კონცერტია, არამედ ეს არის ორ ქვეყანას — აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ძმობის, მეგობრობის, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გაგრძელება და დარწმუნებული ვარ, მომავალში, ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

**აზერ ჰუსეინი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში:**

— საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურულ ცხოვრებაში დღევანდელი საღამო მართლაც ულამაზესი მოვლენაა. ამ საღამოს მთავარი ფიგურა კი, მოგეხსენებათ, ფოლად ბულბულ ოღლია, რომლისთვისაც თბილისი ძალიან მნიშვნელოვანი და საყვარელი ადგილია, ვინაიდან სწორედ აქ გაიცნეს ფოლადის მშობლებმა ერთმანეთი და მინდა, აღვნიშნო, რომ დღევანდელი კონცერტი ჩვენს ქვეყნებს შორის — აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობის ურყევი სიმბოლოა.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

The Independent:

# დასავლეთმა უნდა აღიაროს გლობალური შეცდომები რუსეთთან ურთიერთობაში

**„დასავლეთის დიპლომატიური სტრუქტურები უფრო პროფესიონალურად რომ მოქმედებდნენ, უკრაინის კრიზისი ასეთ მასშტაბებს არ მიიღებდა“, — წერს ბრიტანული გამოცემა The Independent-ის მიმომხილველი მერი დეჟევსკი.**

„დასავლეთის მხრიდან „კატასტროფულმა გაუგებრობამ“ რუსეთის მიმართ ევროპა უკრაინის კონფლიქტსა და რუსეთთან დაპირისპირებაში ჩაითრია — ეს დასკვნა, რომელიც ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატის ევროკავშირის საქმეების კომიტეტმა გამოიტანა, სრულიად დასაბუთებული და სამართლიანია. **კომიტეტის მოხსენებაში, რომელიც უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების წლისთავზე გამოქვეყნდა, გამოთქმულია საყვედური ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით, რომელმაც სათანადო ძალისხმევა არ გამოიჩინა ვითარების დიპლომატიური გზით მოსაგვარებლად**. 2014 წლის თებერვალში უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს რუსეთი და დასავლეთის ბევრი ქვეყანა სხვადასხვანაირად აღიქვამს: რუსეთში თვლიან, რომ მოხდა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის დამხობა, ევროპაში კი უკრაინის მოვლენებს „კორუფცირებული რეჟიმის წინააღმდეგ სახელოვან რევოლუციას“ უწოდებენ.



ხელს უწყობდა რა უკრაინის სწრაფვას ევროინტეგრაციისკენ, დასავლეთმა ვერ შეძლო, არა მხოლოდ რუსეთის მწვავე რეაქციის გათვალისწინება, არამედ იმის შეფასებაც, როგორ აღიქვამდა უკრაინა მის წინაშე თითქოს ღია ევროპულ გზას. ევროპა ცუდად აცნობიერებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება უკრაინაში დიდწილად აღიქვეს, როგორც პირველი ნაბიჯი ევროკავშირში შესასვლელად. ასე გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე ათასობით ადამიანი კიევში საპროტესტო აქციაზე არ გამოვიდა დროშების ფრიალითა და ევროპული მომავლის მოთხოვნით.

ასეთი შეცდომების წყარო ბევრ გეოპოლიტიკურ საკითხში ბრიტანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების საგარეო უწყებების არაკომპეტენტურობა და შესაბამის სტრუქტურებში პროფესიონალების არარსებობაა. შესაძლებელია, არ დაეთანხმო ბრიტანელ პარლამენტარ რორი სტიუარტს, რომელიც თვლის, რომ ბრიტანეთმა ვერაფერი ისწავლა წარსულში დაშვებული შეცდომებისგან. 2000-იანი წლების დასაწყისში ფორინ-ოფისში (საგარეო საქმეთა სამინისტრო — რედ.) განხორციელებულმა რეფორმებმა ამ უწყების თანამშრომლებს „მმართველობის ჩვევები“ კი განუვითარა, მაგრამ წაართვა კომპეტენტურობა ისტორიულ, კულტურულ და დიპლომატიურ საკითხებში.

დიპლომატებისგან არ მოითხოვენ „მომავლის წინასწარმეტყველებას“, მათ სთხოვენ გეოპოლიტიკურ პრობლემებში ღრმად წვდომას, რომელიც ევროპელებს ჯერჯერობით არ აქვთ არც რუსეთისა და უკრაინის და არც სხვა გლობალური გამოწვევების მიმართ,“ — აღნიშნავს მერი დეჟევსკი.

THE INDEPENDENT

ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა საქართველოს ბეჭდური სიტყვის გამორჩეული მოღვაწე, გაზეთ „ლელოს“ ყოფილი მთავარი რედაქტორი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის ყოფილი მოადგილე და სპორტული განყოფილების რედაქტორი საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჩვენი კოლეგა და მეგობარი

ანზორ ბასილაია

და თანაგრძნობას ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009